საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№10 (636) 4 – 10 მარტი * ფასი 1,50 ლარი



გვ. 14
როგორ გაატარა ცოტნე გამსახურდიამ გადასახლებაში რამდენიმე წელი და რით შემორჩა მის ბავშვობას ჩასახლება უდაბურ საზღვარზე

გვ. 78
რატომ გადიოდა მანანა ჯაფარიძე სცენაზე ნამტირალევი და რა ტრაგედია გადაიტანა მან

გვ. 19
რომელი ვარსკვლავების წითელი ხალიჩისთვის ქმნის გიჟოლა სამოსს და რატომ არ შეუძლიათ მის გარეშე გართობა უკრაინელ ვარსკვლავებს

გვ. 39
რა შემოთავაზებაზე თქვა უარი გოგი ჭიჭინაძემ და ვინ შეზღუდა მისი ცხოვრება



გვ. 52
რამ მიაღებინა მოდელ ლაშა გორძიკულს ბერად აღკვეცის გადაწყვეტილება და როგორ უწევს დღეს მას ქართველი ემიგრანტების სამსახურში ათასობით მილის გავლა



გვ. 15
რატომ ითვლებოდა იაპონიაში ყოფილი გეიშა სასურველ საცოლედ და როგორ ანიჭებდა ის მამაკაცებს უმაღლესი დონის სიამოვნებას



გვ. 22
რას ვერ აპატიებს საკუთარ თავს ლიკა ლაბაძე



რა სიურპრიზი მოუწყო ნიკა კაკაბაძემ მშობლებს ბიძინა ივანიშვილის დახმარებით

გვ. 38



გვ. 51
ვინ აკეთებს დიდ ფულს ფატუნა ბუშიკელის შრომით და ვინ არიან მისი ექსკლუზიური მოდელების მომხმარებლები



გვ. 50
ვინ „უჭყუნავდა“ „საგულაო“ ფულებს ჯიბეში კორკოტას და რატომ დარჩა ის უმუშევარი

ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი
წიგნი 7.50 + ჟურნალი 1.50 = 9 ლარი
ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 14 ლარი

საბავშვო ენციკლოპედია




ოლიმპიური თამაშები

## გილოცავთ 8 მარტს!

# ს ა რ ჩ ე ვ ი




რა შემთხვევაში აღმოჩნდება სოჭის ოლიმპიადაზე ქართული დელეგაცია კიდევ ერთხელ გალახული „შემეტენეს“ როლში ........................ 6

რა შემთხვევაში წამოარტყამენ თავში ქართულ ბიზნესს რუსულ ბაზარზე და რატომ არის საქართველო ერთადერთი პოსტსოციალისტური ქვეყანა, სადაც დეპოზიტებს არ აზღვევენ............8



რის მიღწევას ცდილობს „ნაციონალური მოძრაობა“ მოსახლეობის აგრესიის ხელოვნურად ზრდით და რატომ არ აპირებს „ოცნება“ ასეულობით მილიონის ფიარში დახარჯვას ............................................. 10

ვინ პოზირებდა დანიის დედოფლის მარგრეტ მეორის სამეფო ტახტზე შიშველი და რომელი ფირმის სიგარეტს ანიჭებს უპირატესობას დედოფალი ... 12

ვინ არის მილიარდერებს შორის ყველაზე ძუნწი და რატომ უწოდებენ ნიკოლას ბერგრიუენს უსახლკარო მილიარდერს ............................................. 13

როგორ გაატარა ცოტნე გამსახურდიამ გადასახლებაში რამდენიმე წელი და რით შემორჩა მის ბავშვობას ჩასახლება უდაბურ საზღვარზე .......... 14

რატომ ითვლებოდა იაპონიაში ყოფილი გეიშა სასურველ საცოლედ და როგორ ანიჭებდნენ მამაკაცებს უმაღლესი დონის სიამოვნებას ისინი .................... 15

ადვოკატი გირჩევთ ........................................ 16

როგორ გახდა მაია მახათელი ამსტერდამის წამყვანი ბალერინა და რა ოცნება დარჩა მას აუხდენელი უცხო მხარეში ........................................ 18

რომელი ვარსკვლავების წითელი ხალიჩისთვის ქმნის ბიჭოლა სამოსს და რატომ არ შეუძლიათ მის გარეშე გართობა უკრაინელ ვარსკვლავებს .... 19

არის თუ არა ქალი უნებისყოფო არსება და როდის იცის მამაკაცმა წინასწარ საკუთარი ქმედებების შედეგი ............. 20

გაშვილებულმა ტყუპებმა ერთმანეთი დაშორებიდან 38 წლის შემდეგ იპოვეს ..... 21

რას ვერ აპატიებს საკუთარ თავს ლიკა ლაბაძე და როგორ ძერწავდა მთელი ცხოვრება ის სარკეში საკუთარ თავს .... 22

რომელი თბილისური სასტუმროს პირველ სართულზე იყო გახსნილი დიმიტრი ერმაკოვის ფოტოსალონი და რა ფუნქციას ასრულებდა საბჭოთა პერიოდში სასტუმრო „ლონდონის“ შენობა ............................................. 23



რისთვის იყენებენ ადამიანები საკუთარ ვითომ სულიერებასა და მორწმუნეობას და როგორ ცდილობენ ისინი საკუთარი თავის სხვებზე უკეთესად წარმოჩენას ......... 24

რომელი საბჭოელი ფეხბურთელი მოხვდა 100-მატჩიანი ვარსკვლავების ტოპ-თერთმეტეულში და როდის დასრულდა რაულის კარიერა „ფურია როხას“ რიგებში .......................... 26

ექიმის რჩევები ............................................. 29

ვისი გარდაცვალების გამო ვეღარ შეძლო იპოლიტე ხვიჩიამ თეატრში თამაში ...... 30

აქვს თუ არა ყველა ადამიანს თავისი თარსი რიცხვი და რატომ მეორდება ჩვენს ცხოვრებაში ერთი და იგივე ფაქტი რამდენჯერმე ............................................. 32

რომელ ფილმშია გამოყენებული ბრიუს ლის დაკრძალვის რეალური კადრები და რა სახელი დაარქვეს მას მშობლებმა დაბადებისას ............................................. 34

რამ გააგიჟა თამუნა რცხილაძის უცხოელი ქმარი და რა სახით გადაწყვიტა მან ესპანურ კინოში ძალების მოსინჯვა ...... 35

ინტიმური საუბრები ..................................... 36

რა სიურპრიზი მოუწყო ნიკა კაკაბაძემ მშობლებს ბიძინა ივანიშვილის დახმარებით და როგორ ცდილობს ის ირაკლი ღარიბაშვილისთვის მიბაძვას .... 38

რა შემოთავაზებაზე თქვა უარი გოგი ჭიჭინაძემ და ვინ შეზღუდა მისი ცხოვრება ............................................. 39

აფიშა ............................................. 40

სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლებს ახარებს ტალახის დანახვა და ვინ არის მათი კლუბის წევრი ორი ქალბატონი ........................ 42

რატომ აიტაცა ინტერნეტის მომხმარებელმა „ბავარიელის“ სიმღერები და რომელ ქვეყანაშია მისი შემოქმედებითი ბუმი ............................ 47

რამ მიაღებინა მოდელ ლაშა ბორძიკულს ბერად აღკვეცის გადაწყვეტილება და როგორ უწევს დღეს მას ქართველი ემიგრანტების სამსახურში ათასობით მილის გავლა ............................................. 52

რა სასჯელი იყო დაწესებული ხევსურეთში კაცის მოკვლისთვის და რით გაიოცეს „შავფაროსნებმა“ რომაელები ............................................. 54

კოსმეტოლოგის რჩევები ........................ 55

რატომ დახვრიტეს ცნობილი საბჭოთა მეცნიერ-ფიზიკოსი ................................ 56

როგორ გაუსწორდა ქმარი ცოლს ძველი სიყვარულის გამო და რატომ დაჭრა მან საკუთარ ბინაში ორი მამაკაცი .......... 58

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს .. 59



ვეტერინარის რჩევები....64

რა განსხვავებაა ერევანსკის მოედანსა და ერევნის მოედანს შორის........65

მე – დაქირავებული მკვლელი....66

რამდენი წელი დასჭირდა სტალინს ოპონენტების დასამარცხებლად ........................................ 70

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები ........................ 71

როგორ გადიოდა მანანა ჯაფარიძე სცენაზე ნამტირალევი და რა ტრაგედია გადაიტანა მან ........................................ 78

როგორ აზიანებენ მშობლები გაუცნობიერებლად შვილის აურას და როგორ უნდა ავავსოთ ორგანიზმი საჭირო ემოციებით ................................ 80

რა სასაცილო და საინტერესო ისტორიები გადახდენია რამაზ ჩხიკვაძეს ალა პუგაჩოვასთან ერთად და სად დადიოდა ის ყველაზე დიდი სიამოვნებით .................... 82



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჭლენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

**რედაქციის მისამართია:** თბილისი, ასლანიდის (ყოფილი ალმასიანის) ქუჩა №14 სპორტის სასახლის გვერდით („მაკდონალდსის“ უკან)
ტელ: 233-42-24; 599 10-15-20 221-31-12
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 221-31-34
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge
tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ამაო გამოცდილება

## ანუ, სიმამაცეს კაცი არ მოუკლავს

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **პრეზიდენტი მთავრობას გაებუტა**, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **გაბუტვის მიზეზი დაცვის ყოფნა-არყოფნაა**. კერძოდ, მთავრობამ გადაწყვიტა, რომ **პრეზიდენტის დაცვისთვის ჩვეულებისამებრ გამოყოფილი 42 მილიონი 7-მდე შეემცირებინა,** ხოლო **მცველთა რაოდენობა კი – 400-მდე.**

**პრეზიდენტმა** ამჯერადაც **კრეატიულად იმარჯვა** და, მაგალითად, ბაქოში ოფიციალურ ვიზიტზე მიმავალი, **თავად ჩაჯდა ცისფერ ელექტრომობილში** მეუღლესთან ერთად და **აეროპორტისკენ გაეშურა**. შესაძლოა, იმიტომ, რომ **მაკვარანცხმა ქართულმა მედიამ ცისფერ ავტოსთან დაცვის სამსახურის ავტომანქანა შეამჩნია,** ბაქოდან **უკან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა დემონსტრაციულად აუარა გვერდი მის დასაცავად ჩამწკრივებულ ავტომანქანებს** და **ცისფერ ელექტრომობილს კვლავაც თვითონ მიუჯდა.**

ზედაც, გაგვიმხილა (მომყავს ციტატა): **„აქ დამხვდა იმდენი მანქანა, რამდენიც არ დამხვედრია არასდროს** (ილარიონის არ იყოს, **აქ ცოტა შეეშალა**, რადგან კარგად გვახსოვს, რომ ნახევარი თბილისი იკეტებოდა, როდესაც პრეზიდენტის ესკორტი მოძრაობდა). რას ემსახურება ამდენი მანქანის დახვედრება? **მე თუ ვინმესგან დაცვა მჭირდება, სწორედ ამათგან მჭირდება დაცვა.“**

მეტიც, მთავრობას რჩევაც მისცა: „ხომ ამბობენ, თურმე, რამდენს ხარჯავს პრეზიდენტი დაცვაზე, რამდენს ჭამაზე, სმაზე? ჰოდა, **წაიყვანონ ეს მანქანები და დააყენონ ფარეხში, ის ბენზინი კი, რაც ამათ ავზში ჩასასხმელადაა საჭირო, გადაუნაწილონ იმ ხალხს, ვისაც ჰპირდებოდნენ ბენზინის გაიაფებას.“**

მართალია, უმრავლესობა ჯიუტად იმეორებს, **რაკი სახელმწიფოს უმაღლესი პირია, პრეზიდენტს მაინც დაიცავენო,** მაგრამ, **საქმეს კოჭებშივე ეტყობა, რომ სანახაობა არ მოგვაკლდება**.

რაც შეეხება ჩვენი **პრეზიდენტის ახალ ამპლუას – ისე უნდა დავიტანჯო, როგორც ჩემი ხალხი იტანჯებაო**, ვფიქრობ, **შემდგომი ნაბიჯი საპრეზიდენტო სასახლის გაყიდვა და შემოსული თანხის ქვრივ-ობლებისთვის დარიგება უნდა იყოს.**

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **პრეზიდენტობის აისზე** ბ-ნი **სააკაშვილი მეტროთი მგზავრობდა** და გვპირდებოდა, რომ **მხოლოდ ეკონომ-კლასით იფრენდა** (რაც, საბოლოოდ, ორი პირადი თვითმფრინავის ფლობით დაგვირგვინდა მილიარდიან სასახლეში), შესაძლოა, **მისი ახლებური ამპლუა კარგად დავიწყებული ძველი იყოს** ან, სულაც, იმის დასტური, რომ **გამოცდილება მაშინ მოდის, როცა ის უკვე აღარ გვჭირდება.**

# გზა ევროპისკენ

ჯერჯერობით ჩვენი **პროკურატურა და სასამართლო იმის ფიც-მტკიცშია, დახარჯა თუ არა საბიუჯეტო სახსრები დედაქალაქის მერმა საკუთარი სურვილისამებრ** და **კანონის გვერდის ავლით**. უმრავლესობა ამტკიცებს, **გაფლანგაო**; უმცირესობა იმეორებს, ბ-ნი **უგულავასნაირი მერი ამ ქალაქს არასდროს ღირსებიაო.** ხოლო, რაკი **სასამართლოს კოჭებში ემჩნევა, რომ გული უმცირესობისკენ მიუწევს**, ბ-ნი **უგულავა მერის მოვალეობასაც ასრულებს** და **საკუთარ სიმართლეშიც დარწმუნებულია.**



ამის მიუხედავადაც, **ანეკდოტური ელფერი არ აკლდება იმას**, რომ **დედაქალაქის დასუფთავების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში 700 ადამიანი იყო დასაქმებული**, მერიის მესვეურთა განმარტებით, **მოქალაქეებისთვის ბუნკერების გაუქმების სიკეთეში დასარწმუნებლად** (რამეთუ თავდაპირველად იყო სიტყვა).

ჩვენ, ბუნებრივია, არაფერი ვიცით, **რით დასრულდება ქართული ბრალდებისა და თემიდას ჭიდილი**, თუმცა, უკვე ვიცით, რომ, მაგალითად, საბერძნეთის სიდიდით მეორე

## „მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა“

ქალაქ **სალონიკის აწ უკვე ყოფილ მერს, პატ. პაპაგეორგოპულოსს, სიცოცხლის ბოლომდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს** საზოგადოებრივი ფონდებიდან **20 მილიონი აშშ დოლარის გაფლანგვისთვის** (ზედაც, მისი ორი ყოფილი თანამშრომელიც მიუყოლეს).

თავის მხრივ, აწ უკვე **ბრალდებული მერი მიიჩნევს, რომ არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ ჩაუდენია**. ბერძნული მედია კი აცხადებს, რომ **აქამომდე ასეთი ხანგრძლივი ვადით პატიმრობა საბერძნეთის არც ერთ ნაჩინოვნიკარს არ დაუმსახურებია კორუფციისთვისო.**



თუ გავითვალისწინებთ, რომ **საბერძნეთი** (მიუხედავად ეკონომიკური მამაძაღლობებისა) **კვლავაც ევროკავშირის წევრია** (მეტიც, დახმარებას დახმარებაზე იღებს მდიდარი ევროკავშირელი პარტნიორებისგან), **არც ის არის გამორიცხული, სალონიკის მერის გამოცდილების ქართულ სინამდვილეში გადმოღებამ ევროპისკენ მიმავალი გზაც შეგვიმოკლოს!**

# ფეხებამოკეცილი და დაოთხილი

**ეპისტოლური ჟანრი მთლად უცხო ხილიც არ არის ქართული პოლიტცხოვრებისთვის** (შეგახსენებთ, რომ, მაგალითად, **„მოქკავშირთან“ გაყრა მაშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ სწორედ ედუარდ შევარდნაძისადმი მიწერილი წერილით დაიწყო**). ჰოდა, რაკი არ არის, **ამ ბოლო დროს პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტიც ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის სწორედ მას იყენებენ.**

თუმცა ისიცაა, რომ **პირველმა პრეზიდენტს „ფეისბუქით“ პრემიერ-მინისტრმა მიმართა**. მოგვიანებით, **მართალია, პრეზიდენტმა მიმართვის ფორმა დაიწუნა**, მაგრამ, **ორიოდ დღეში თავადაც „ფეისბუქი“ არჩია პასუხის გასაცემ ფორმა-საშუალებად** (წესით, ორივემ სამუშაო კაბინეტში ცუკერბერგის სურათი უნდა დაიკიდოს).

ამის პარალელურად, **უმცირესობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პრემიერ-პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრა ჰაერივით აუცილებელია**. მაგალითად, ხალხის რჩეული ბ-ნი **ბობოხიძე**, ჩვეულებრ, **უფრო შორსაც მიდის** (მოვიხმობ მის ციტატას): **„თუ ქვეყანას სჭირდება,** თუ სამშობლოს სჭირდება, **მე ვეუბნები პრემიერს, მუხლდაჩოქილი მივიდეს მიხეილ სააკაშვილთან**. თუ ქვეყანას სჭირდება, **პრეზიდენტსაც მოვუწოდებ, ფეხებამოკეცილი მივიდეს პრემიერთან**.“

## ანუ, თანამდებობისთვის შეუფერებელი პოზა

მაგრამ, რაკი **მაინც უმცირესოელია, საკუთარი თანაგუნდელის ღირსებებისთვის ხაზის გასმაც არ დავიწყებია**. აკაკი ბობოხიძე: „ოღონდ, განსხვავება, იცით, რა არის? **პრეზიდენტმა** ამისთვის (ანუ, **ფეხებამოკეცილობისთვის) მზადყოფნა უკვე გამოხატა**, პრემიერი კი მხოლოდ რაღაც საგაზეთო დეკლარაციებით ესაუბრება პრეზიდენტს. ეს არის ქვეყნისთვის დამღუპველი.“

**დიალოგი, ალბათ, აუცილებელია**, მაგრამ, მე რომ მკითხოთ, **ამ პროცესისთვის დაოთხვაზე უფრო შესაფერისი პოზის შერჩევა აჯობებდა.**

# ოპერაცია: „ანტენა“

## ანუ, ანტენებთან „საიდუმლოდ“ მებრძოლები

თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა გასულ კვირას მოგვახსენა, რომ **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2012 წლის ივლისში ლილოს ბაზრობის მოვაჭრეებისგან დიდი ოდენობით სატელიტური ანტენები წამოუღია.**



სულ მოვაჭრეებისთვის **2 719 ერთეული ანტენა ჩამოურთმევიათ**, ზედაც **1 419 „რესივერი“ მიუყოლებიათ** და **479 ცალი – „ლნბ-ც“.** საქონლის საერთო ღირებულებას, ინვოისების მიხედვით, **141 616 ლარი შეუდგენია.**

ეს **ოპერაცია**, გენინსპექციის ცნობით, **თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს ჩაუტარებია**. ოპერაციის შედეგად ამოღებული საქონლის ნაწილი (რომელიც, ყოველ შემთხვევაში, გარე მტერთან ბრძოლაში ვერაფერში გამოგადგებოდა) **შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე შეუტანიათ**, ნაწილიც **იქვე, ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე დაულუქავთ.**

რაც მთავარია, **შესყიდვის მოთხოვნა გრიფ „საიდუმლოთი“ დაუმშვენებიათ.**

რაკი საიდუმლოა, ბუნებრივია, არაფერი ვიცით, **რატომ შეაიარაღეს ჩვენი შეიარაღებული ნაწილები ანტენებით**, თუმცა, **გენინსპექციის უფროსის ვარაუდით: „ანტენები ამოიღეს, რათა არ მიეყიდათ მოსახლეობისთვის“.** ისიც სათქმელია, რომ გარე მოვაჭრეებისთვის თანხა ბოლომდე არ გაუსტუმრებიათ.

როგორც უნდა იყოს, იმედია, **გენინსპექცია გამოავლენს, რატომ შეავსეს ჩვენი საბრძოლო არსენალი სატელიტური ანტენებით**, თუმცა, **თუ ანტენებთან ბრძოლაში გამომჟღავნებულ ჟინს ოკუპანტებზეც გავავრცელებთ,** იქნებ, ამ ჩვენი ქვეყნის **სამად გაგლეჯილ რუკასაც ეშველოს რამე.**



# იზოლაციაში მოსაქცევები სცენარისტები

სახალხო დამცველის აპარატმა **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებების** (როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილთა) **მონიტორინგი ჩაატარა** და გასულ კვირას **შედეგებიც გამოაქვეყნა,**. რის მიხედვითაც, **დარღვევები თითქმის ყველა დაწესებულებაში აღმოჩნდა**. ისინი კი შემდეგნაირია: **არასათანადო მოპყრობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკური შეზღუდვის ფაქტები, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მომსახურების შეზღუდვა და სხვა.**



ანგარიშში ვკითხულობთ, რომ, „ფაქტობრივად, **არც ერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ ეძლევა შესაძლებლობა, განივითაროს ფუნქციური უნარები და დამოუკიდებელი ცხოვრების ჩვევები.“**

უფრო მეტიც, როგორც აღმოჩნდა, **ამ ტიპის დაწესებულებებში არც შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვთა და ზრდასრულთა ფიზიკური შეურაცხყოფაა უცხო ხილი.**

თუ ზედაც გავიხსენებთ, რომ **პატიმრები ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე ისეთ ამბებს ყვებიან, საშინელებათა ფილმის ჰოლივუდელ სცენარისტსაც რომ არ მოუვა თავში ფანტაზიად**, იბადება საფუძვლიანი ეჭვი, რომ **დანარჩენი სამყაროსგან იზოლაციაში ვართ მოსაქცევი**, თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ **„ჰოლივუდისგანაც“ მივიღოთ შეკვეთები (საშინელებათა ფილმის სცენარისთვის, რასაკვირველია).**

# მოციქული

## კოაბიტაციის ბატალური ხიბლი

რაკი ისე ხდებოდა, რომ **დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული, მმართველი ძალა იმავდროულად საკონსტიტუციო უმრავლესობასაც ფლობდა**, პოლიტიკური ცხოვრება **ფრიად ერთფეროვანი და მონოტონური გვქონდა** (**მიმიქარავს საბჭოეთი!**), თუმცა, ვითარება შეიცვალა და **საქართველოს მოქალაქეების თვალწინ** ახლა უკვე **პოლიტიკური ბრძოლის ბატალური სცენები ვითარდება,** ხშირად იმდენად დაძაბული, **მთლად ჩვენს ცხოვრებას რომ არ ეხებოდეს, უკეთეს გასართობს ვერც ინატრებდი.**



მაგრამ, **რადგან ეხება,** ბუნებრივია, **გართობის პროცესი დიდ სიამოვნებასაც ვერ გვანიჭებს**. ერთ-ერთი **მთავარი კითხვა: დაითხოვს თუ არა პრეზიდენტი მთავრობას? – კვლავაც უპასუხოდაა დარჩენილი.** თუმცა, მაგალითად, საქართველოში აშშ-ის ელჩი ბ-ნი **ნორლანდი გვარწმუნებს, რომ** ბ-ნი **სააკაშვილი მთავრობის დათხოვნას არ აპირებს,** რაშიც **ამ უკანასკნელს ის თავად დაურწმუნებია**.

ამის პარალელურად, ჩვენი **სულზე უტკბესი პარტნიორი ქვეყნის ელჩი კოაბიტაციის აუცილებლობაზეც საუბრობს** და გვირჩევს, რომ **წონასწორობა დავიცვათ სამართლიანობისა და ანგარიშსწორების სურვილებს შორის** (არადა, რავარი დასაცავია?!).

რაკი **ელჩის სიტყვამაც კოაბიტაცია მოიტანა**, სავარაუდოა, რომ ამ პროცესის ამ კონკრეტულ ეტაპზე, ჩვენ, თუმცა, რაღა ჩვენ, **„იმ ორს შორის მოციქული არის“** განა ტყვია, **თვით რიჩარდ ნორლანდი!**

# სტანდარტების მოყვარული

## ანუ, ვინ ენდობა „სკოტლანდ იარდს“

მას შემდეგ, რაც სამშობლოში დაბრუნდა, **„რეალ ტივის“ შემოქმედი ბ-ნი დონაძე ჟურნალისტებს ჟურნალისტებზე ხვდება**. შეხვედრის **მიზეზი უცვლელია – მისი მონაწილეობის ხარისხი ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში**.

**სულ ბოლოს** დიდუბის რაიონის პოლიციის ყოფილ უფროსთან (ბ-ნ **ფირცხალავასთან) დუეტში საზოგადოებას აუწყა, რომ საპატრულო პოლიციიდან ის პატრულ-ინსპექტორი დაითხოვეს, რომელიც რობაქიძის საქმის ერთ-ერთი მოწმეა**. მეტიც, **გულდაწყვეტილია, რომ შესაბამის ორგანოებს ჯერაც არ დაუკითხავთ პატრულის ის თანამშრომლები**, რომლებიც ბ-ნი **ფირცხალავას მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში მოჩანან** (სხვათა შორის, კვლავაც უცნობია, ვინ გადასცა ეს ვიდეომასალა ბ-ნ ფირცხალავას).

ასეა თუ ისე, გურამ **დონაძე საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად თვით ინგლისის საელჩოსაც კი აწუხებს**, ვინაიდან, **მხოლოდ „სკოტლანდ იარდის“ ექსპერტებს ენდობა**. მომყავს ციტატა: „ვაპირებ, მივმართო ინგლისის საელჩოს. მათ ვთხოვო ასეთი რამ, ირაკლი ფირცხალავას მიერ გავრცელებულ მასალას ჩაუტარდეს „სკოტლანდ იარდის“ მეშვეობით ექსპერტიზა. **მე, შეიძლება, პირდაპირ ვთქვა, რომ საქართველოში უკვე იმდენი ექსპერტი და სპეციალისტი გამოჩნდა ამ მასალის, რომ არ ვენდობი და ყველა სათავისოდ ირგებს ამ ტრაგედიას** (არ ენდობა და, მოკალი, თუ გინდა!).“

ჩვენ არ ვიცით, **რა გადაწყვეტილებას მიიღებს ინგლისის საელჩო** და არც ის, **მოცდება თუ არა „სკოტლანდ იარდი“ ამ კონკრეტული ვიდეომასალის ექსპერტიზაზე,** თუმცა, ისიც სათქმელია, **ამ ექსპერტიზის მომთხოვნები თავად თუ იქცეოდნენ „სკოტლანდ იარდის“ სტანდარტების შესაბამისად?!**

P. S. ლონდონის **პოლიციის შეფი თანამდებობიდან გადადგა** მხოლოდ იმ მიზეზით, რომ გავრცელდა კადრი, რომელზეც **პოლიციელი ანტიგლობალისტთა აქციის გაქცეულ მონაწილეს მისდევდა** (მხოლოდ მისდევდა). ჩაითვალა, რომ, **რაკი პროტესტანტი მირბოდა, პოლიციელის გაკიდება ამ უკანასკნელის მიერ უფლებამოსილების გადამეტება იყო.**

**გვერდები მოამზადა ნინო ხაჩიძემ**


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა. თავის მხრივ, რუსი პოლიტელიტა მათკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, თუკი საქართველო პროტესტზე უარს იტყვის და რუსულ ზამთრის ოლიმპიადას დააფასებს. ანტირუსული განწყობებით გამორჩეული ებრაელი პოლიტოლოგი აბრაამ შმულევიჩი კი წინასწარმეტყველებს, რომ რფ აუცილებლად გამოიყენებს შესაძლებლობას, დაამციროს ქართული დელეგაცია ოლიმპიადის მიმდინარეობისას. უნდა წავიდეთ თუ არა სოჭის ოლიმპიადაზე? – ამ საკითხზე თავის მოსაზრებას კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი გაგვიზიარებს.**

# რა შემთხვევაში აღმოჩნდება სოჭის ოლიმპიადაზე ქართული დელეგაცია კიდევ ერთხელ გალახული „შემეტენეს“ როლში

**– თუ ავწონ-დავწონით პლუსებს და მინუსებს, უნდა მივიღოთ თუ არა მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში?**

– ვფიქრობ, საკითხი სწორად არ დგას, რადგან, ჩემი აზრით, რუსეთის დამოკიდებულებაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისადმი არაფერი შეიცვლება, იმისდა მიუხედავად, საქართველო მიიღებს თუ არ მიიღებს მონაწილეობას სოჭის ოლიმპიადაში. ვიცით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რუსეთთან კონფრონტაციის გზას ადგა.

**– რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა, რომ საქართველოს დასავლეთისთვის აქვს ერთადერთი – რუსეთთან დაპირისპირებული ქვეყნის ფუნქცია და ამის გარეშე ჩვენ დასავლეთს არ დავაინტერესებთ.**

– სწორედ აქამდე მივდიოდი ლოგიკურად. „ნაციონალური მოძრაობის“ საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ მან საქართველოს ავი ძაღლის ფუნქცია აკისრებინა. თავის დროზე ასეთი როლი ჰქონდა კუბას ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. კუბამ, როგორც კუნძულმა, თავი გაართვა ამ როლს და ბოლომდე დარჩა ამერიკელების გამაღიზიანებელ პლაცდარმად, მაგრამ სახელმწიფო კუბა ვერ შედგა. კუბა არის გამათხოვრებული, გაღატაკებული და უპერსპექტივო ქვეყანა.

**– შეიძლება იმიტომ, რომ კუბის მოკავშირე რუსეთი არ არის მდიდარი, ჩვენი მოკავშირე ამერიკა კი მდიდარი ქვეყანაა?**

– ვერ დაგეთანხმებით: მონადირე ძაღლი მონადირე პატრონზე მსუქანი არასდროს არის. „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ უნდა წავიდეთ ოლიმპიადაზე, უნდა გავხსნათ სავაჭრო გზები და ვეთანხმები, გზები აუცილებლად უნდა გაიხსნას, რუსეთსა და საქართველოს შორის უნდა აღდგეს საზოგადოებრივი და ეკონომიკური ურთიერთობები და ოლიმპიადაზეც უნდა წავიდეთ. მაგრამ მე მაინტერესებს: საქართველოს ახალი ხელისუფლება ამ ნაბიჯებს დგამს გულწრფელად, უანგაროდ და ასრულებს თავის ადამიანურ ვალს თუ ამ ნაბიჯების უკან დგას გარკვეული პოლიტიკური გათვლები: ან თავი მოაწონოს რუსეთს, ან შეურიგდეს, ან გაურიგდეს, ან საერთაშორისო ზეწოლა შეარბილოს რუსეთის ფედერაციაზე?!

**– თქვენ რომელი გგონიათ?**

– ვერ გეტყვით, იმიტომ რომ ვერ დავინახე, რა ხდება. ვერც ხელს დავაფარებ ვინმეს და ვერც გუნდრუკს მივუკმევ, რომელი მიმართულების პარტიაც უნდა იყოს. მეორე მხრივ, შეცდომად მიმაჩნია, მოხვიდე ხელისუფლებაში და პირველივე დღიდანვე გააგრძელო „ნაციონალური მოძრაობის“ კურსი.

**– რას გულისხმობთ „ნაციონალური მოძრაობის“ კურსის გაგრძელებაში?**

– კონფრონტაციის კურსის გაგრძელებას.

**– ფიქრობთ, რომ რუსეთთან კონფრონტაციის კურსი შენარჩუნებულია?**

– საქმეც ის არის, რომ ახლა გაურკვევლობის პერიოდია. დიალოგი მიმდინარეობს მხოლოდ სავაჭრო გზების გახსნაზე და მეტი არაფერზე. რუსეთს ყველაზე ნაკლებად აინტერესებს, ჩახვალ თუ არა ოლიმპიადაზე.

**– აქ არის ერთი საინტერესო მომენტი: რუსეთი თავისი განცხადებებით არ იძლევა საშუალებას, არაკონფრონტაციული იყოს ურთიერთობა. ლამის ითხოვენ, რომ საქართველომ აღიაროს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, თუმცა არ ვიცი, რა ხდება უშუალოდ მოლაპარაკებებზე?**

– შემიძლია, გითხრათ, რომ რა პოზაშიც რუსეთი დგას გარეგნულად, იმ პოზაშივეა შიდა მოლაპარაკებებზე. აბსოლუტურად არანაირ თემებზე არ მიდის იქ ლაპარაკი, გარდა სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისა. პირდაპირ გეტყვით, რუსეთის ხისტი პოზიცია საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ, რუსეთის ხისტი პოზიცია აფხაზებისა და ოსების მიმართ, რუსეთის ასეთი კატეგორიულობა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართ, დასავლეთს აძლევს საშუალებას, გაამართლოს „ნაციონალური მოძრაობის“ კონფრონტაციის კურსი რუსეთთან და საქართველოს მოსახლეობასაც, ალბათ, ძალიან მალე ამოუვა ყელში კუდის ქიცინი. თუ რუსეთს უნდა, რომ ქართველებს გული ატკინოს, ნუ ამბობს, რომ მათთვის პრობლემა პიროვნულად სააკაშვილი იყო. ჩემი აზრით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აგრესიულად დეკლარირებული პროდასავლურობა არ იყო სწორი, რადგან დასავლეთს აჩვენა, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც დასავლეთსა და „ნატოში“ შეუძლია პრობლემები მიიტანოს, საქართველოს მოსახლეობას კი აჩვენა, რომ ევროკავშირი და „ნატო“ არცთუ ისე ახლო პერსპექტივაა. ამის საპირწონედ „ქართული ოცნება“ ამბობს: დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები და კარგი ურთიერთობა რუსეთთან. რას ნიშნავს კარგი ურთიერთობა რუსეთთან? მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესებას? მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ ეს ნაბიჯი უკვე გადადგა, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს, რა იქნება შემდგომ.



საქართველოში ერთმანეთს ისევ გარე ძალები ებრძვიან და ამისთვის იყენებენ ქართველ ხალხს

**– გასაგებია, რომ სოჭში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ვერ გამოიყვანს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, მაგრამ შესაძლოა, უშუალოდ შეჯიბრების წინ დაუკრან მათი ჰიმნები და გამოაცხადონ, როგორც აფხაზი ან ოსი სპორტსმენები. კიდევ რით შეუძლია რუსეთს, დაგვამციროს სოჭის ოლიმპიადის დროს?**

– თუ ჭკუა აქვთ თავში, ასე არ უნდა მოიქცნენ, მაგრამ მე სხვა რამის უფრო მეშინია: ძალიან დამწყდება გული, თუ ჩვენ იქ ჩავალთ და დამცირებულად ვიგრძნობ თავს. ნაცემი კაცი რომ შეგეტენება, იმ პოზაში თუ აღმოჩნდა საქართველოს ნაკრები, ძალიან მეწყინება და სერიოზულ პროტესტსაც გამოვთქვამ. თუ არ მოგვიწყვეს ჯეროვანი, განსაკუთრებული დახვედრა, თუ არ აღინიშნა, რომ, მიუხედავად ხელისუფლებებს შორის დაპირისპირებისა, ჩვენ მაინც მეზობლებად ვრჩებით, თუ ეს რიტუალი არ შესრულდა, მე ჩავთვლი, რომ ჩვენ გვცემეს, წაგვართვეს ტერიტორიები და მაინც მათ ვეტენებით.

**– მესმის, რომ საქართველოს მონაწილეობა-არმონაწილეობა დიდ ვერაფერს ვერც შეჰმატებს, თუ ვერც დააკლებს ოლიმპიადის მიმდინარეობას, მაგრამ თუ მიდის მსგავსი ტიპის მოლაპარაკება რუსულ და ქართულ სპორტულ ხელმძღვანელობებს შორის?**

– მე არ ვიცი რა მოლაპარაკება მიდის რუსეთისა და საქართველოს ოლიმპიურ ხელმძღვანელობებს შორის, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი: რუსეთის ოლიმპიური ხელმძღვანელობა პირველი პირების დონეზე არ დაილაპარაკებენ ჩვენთან და, მეორე, რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ორგანიზაციული საკითხები აქვს მოსაგვარებელი, ვიდრე ჩვენთან დალაპარაკებაა. ამიტომ, ვფიქრობ, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა ასეთი საკითხები მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტთან უნდა გაარკვიოს.

**– ვთხოვოთ, გვიშუამდგომლონ რუსეთთან, რომ ღირსეული დახვედრა მოგვიწყონ?**

– არ უნდა თხოვნა, ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, რაც მოხდა ჩვენ შორის?! საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ისევ გულნატკენია და, თუ ვინმე რუსულ ბაზარზე თავის პროდუქციას გაიტანს და ფულს იშოვის, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ტერიტორიების დაკარგვას შეეგუება. მსოფლიო ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ჩასვლა განსაკუთრებულად ყურადსაღები გახდეს.

**– როგორ შეიძლებოდა სოჭის ოლიმპიადის გამოყენება, რომ დიპლომატიური თუ პოლიტიკური ხეირი გვენახა?**

– ჩვენ არ ვართ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რომ ვივაჭროთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ემოციური და ცანგალა ხალხი გამოვდექით, ბევრად უფრო წარმატებულად ვურტყამთ და ვსჯით ერთმანეთს, ვიდრე მტერს. სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ საქართველო ისევ გაყოფილია, ისევ დაპირისპირებულია, ისევ დაკარგული აქვს ტერიტორიები, ისევ სიღატაკე და ისევ გაურკვეველი მომავალია. დღემდე მე ვერც საქართველოს პარტნიორი დავინახე და ვერც ეკონომიკური მხარდამჭერი. თუ ვინმე 1992 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ საქართველოში ფულს დებდა და მატერიალურად ეხმარებოდა, ამით ის პოლიტიკურ ელიტას აფინანსებდა და ხალხისთვის საძულველ ხელისუფლებას აძლიერებდა. ამ ვითარებაში, ჩემი აზრით, უნდა გაკეთდეს განცხადება, მიუხედავად ომისა და ტერიტორიების ოკუპაციისა, ჩვენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს ვიცავთ, სამართლებრივად ვიქცევით და ვაკეთებთ იმას, რასაც უნდა აკეთებდეს ნორმალური და ცივილიზებული ქვეყანა. თუ ამას შემხვედრი ნაბიჯები არ მოჰყვება რუსეთის მხრიდან, ჩვენ ვიტყვით, ჩვენ ქვები ხომ არ გვისვრია სააკაშვილივით, ღირსეულად მოვიქეცით და

მაინც არ იშლის თავისას რუსეთი. მგონია, ამით უფრო მეტი დივიდენდი აიკრიფება, ვიდრე ოლიმპიადის კონტექსტში რუსეთის გალანძღვა ან შექება მოგვიტანდა.

**– თუ არ მიიღებს საქართველო მონაწილეობას, ამან შეიძლება, რამე დადებითი მოგვიტანოს?**

– პირადად ჩემთვის, ის უფრო მნიშვნელოვანია, რა არის უკეთესი ქვეყნის მომავლისთვის, მაგრამ ჯერ ის ვერ გაგვირკვევია, რა მომავალზე ვლაპარაკობთ. საქართველოში ერთმანეთს ებრძვიან გარე ძალები და ამისთვის იყენებენ ქართველ ხალხს. ჩვენ რომ ქართული სახელმწიფო ვიყოთ და ქართულ სახელმწიფოს ვაშენებდეთ, გეტყოდით, რას მოგვიტანდა სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა ან მონაწილეობის არმიღება. მაგრამ ახლა ადამიანურად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან ცოდვა იქნება სპორტსმენი, რომელიც საქართველოში სულს ღაფავს შიმშილით და ოთხ წელიწადში ერთხელ აქვს ტიტულის მოპოვების საშუალება, ავუკრძალოთ თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია, თორემ არანაირი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს არც პროტესტს და არც მონაწილეობას.

დასრულდება სოჭის ოლიმპიადა, მეორე დღეს ახალი თემა გამოვარდება მსოფლიო მედიაში და უცბად გადაფარავს ამ საკითხს. თან, სიმართლე გითხრათ, ზამთრის სახეობებში არ გვყავს ისეთი სპორტსმენები, რომ პირველ ათეულში მაინც მოხვდნენ. არადა, დღეს საქართველოში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი თემებია და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა.

**– კერძოდ?**

– მაგალითად, სირიაში, რუსეთმა აეროპორტები გახსნა, ირანის შიგნით იზრდება საპროტესტო მუხტი და ირანში არც სირიასავით განვითარდება მოვლენები და არც სხვა არაბული ქვეყნების მსგავსად. როგორ აისახება კავკასიაზე, რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებზე სირიაში ომის დამთავრება და ირანში ომის დაწყება?! ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები მიდის აზიასა და კავკასიაში და ჩვენ ამ სერიოზულ საკითხებზე არ ვმსჯელობთ.

**– რუსეთი ამბობს, მნიშვნელოვანია, მიიღებს თუ არა საქართველო მონაწილეობას სოჭის ოლიმპიადაშიო. გვაბნევენ ამ შეფასებით?**

– არა, რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უნდა, რომ შეანელონ დასავლეთის ზეწოლა, რათა თქვან, ქართველებს კი არ ვერჩოდით, არამედ, სააკაშვილის წინაალმდეგი ვიყავით. აღარ არის სააკაშვილი და ამიტომ ჩვენ გავაღეთ სავაჭრო გზები და ისინიც ჩამოვიდნენ ოლიმპიადაზეო.

> **სამწუხაროდ, დიდი პოლიტიკური არჩევნის საშუალება არ არის. საქართველოში ყველა პოლიტიკური პარტია ვიღაცის ინტერეს-ჯგუფია**

**– ანუ რუსულ თამაშს მივყვებით?**

– არ მივყვებით, მაგრამ სხვა რა გზა გვაქვს?! ჩვენთან ხომ, სამწუხაროდ, დიდი პოლიტიკური არჩევნის საშუალება არ არის?! საქართველოში ყველა პოლიტიკური პარტია ვიღაცის ინტერეს-ჯგუფია. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართველოში ფინანსდება ყველა პოლიტიკური მიმართულების ინტერეს-ჯგუფები პოლიტპარტიების სახით, ერთადერთი, რაც არ ფინანსდება და არც დაფინანსდება, ეს იქნება ძალა, რომელიც შეეცდება ქართული სახელმწიფოს მშენებლობას.

**– ჩრდილოკავკასიელები როგორ აპირებენ სოჭის ოლიმპიადის შეხვედრას?**

– ჩრდილოკავკასიელები ოლიმპიადას ცუდად და დიდი სიფრთხილით უყურებენ. ცუდად უყურებენ, იმიტომ რომ ჩერქეზებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ იმ ტერიტორიისადმი, სადაც ოლიმპიადა უნდა ჩატარდეს. ჩერქეზებს კავკასიურ დიასპორებს შორის ყველაზე დიდი და სერიოზული დიასპორა აქვთ. ისინი არ გაჩერდებიან და აუცილებლად მოაწყობენ დიდ და მასშტაბურ საპროტესტო აქციებს. მეორე, ყველა ჩრდილოკავკასიელი ეცდება, თავისი წვლილი შეიტანოს ტერაქტებში, რომლებიც იქნება შურისძიების გამოხატულება.

**– ჯობია, არ წავიდეთ მაშინ?**

– ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. გინდა, წადი და გინდ, ნუ წახვალ. რაღაც განსაკუთრებული და არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სოჭის ოლიმპიადაზე წასვლას, უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკური საზღვრების გახსნა საქართველოსა და რუსეთს შორის და, რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესი, რადგან იმას მაინც გავარკვევთ, ღირდა თუ არა და შეიძლება თუ არა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოს მოსახლეობისთვის დასავლური ორიენტაცია გააიგივა მონობასთან, წამებასთან, სიღატაკესთან, უსამართლობასთან და ავტოკრატიასთან. ახლა გაიხსნება რუსეთთან გზები და ხალხი ნახავს, ეს რა იქნება. კიდევ ვიმეორებ, სანამ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და იდეოლოგია არ იქნება ქართული სახელმწიფოს მშენებლობა, მანამ სულ ასე ვიქნებით.

**ნინო ხაჩიძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 11, 111, 275-20-85, 241-17-71, 241-17-72
35. საპატრულო პოლიცია 122
36. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 133“ 13; 254-70-04; 254-70-03
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

**ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების პროცესი მძიმედ, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. ბუნებრივია, რაც იყო, ის ვითარება ველარ დაბრუნდება, თუმცა ქართულ კომპანიებს საკუთარი გაყიდვების გაზრდის რეალური შესაძლებლობა ეძლევათ. მოვიხმოთ ციფრები: 2000-იან წლებში საქართველოს ექსპორტში ღვინოს მეორე ადგილი ეჭირა. მაგალითად, 2004 წელს ექსპორტის საერთო მაჩვენებელმა 646 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. პირველ ადგილზე შავი ლითონების ჯართი იყო 95 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო ყურძნის ნატურალური ღვინის ექსპორტით ქვეყანაში 48 მილიონი აშშ დოლარი შემოვიდა. ეს მაჩვენებელი 2005 წელს 81 მილიონ აშშ დოლარამდე ავიდა. ბოთლებში კი მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება: 2004 წელს საქართველომ უცხოეთში 23 მილიონი ბოთლი ალკოჰოლური სასმელი გაყიდა, 2005 წელს – 45 მილიონი ბოთლი. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო მინერალური წყლების გაყიდვების მაჩვენებელიც: 2004 წელს საქართველოდან 19 მილიონი აშშ დოლარის მინერალური წყლები გაიყიდა, 2005 წელს – 32 მილიონის. თუმცა 2006 წელს რუსეთმა ხარისხის გამო დაწუნებულ ქართულ პროდუქციას თავისი ბაზარი გადაუკეტა და ქართულმა ღვინომ და მინერალურმა წყლებმა ექსპორტში პირველი პოზიციები დათმო. მეტიც, საერთო ჯამში, რფ-ის ბაზარზე ღვინის, მინერალური წყლების, ხილის, ციტრუსებისა და ბოსტნეულის აკრძალვით მიღებულმა ზარალმა საქართველოსთვის, სულ ცოტა, 150-180 მილიონამდე აშშ დოლარი შეადგინა.**

**რა პერსპექტივა და საფრთხეები ელის ქართულ პროდუქციას რუსულ ბაზარზე? – თემას ექსპერტ იოსებ არჩვაძესთან ერთად მიმოვიხილავთ.**

# რა შემთხვევაში წამოარტყამენ თავში ქართულ ბიზნესს რუსულ ბაზარზე და რატომ არის საქართველო ერთადერთი პოსტსოციალისტური ქვეყანა, სადაც დეპოზიტებს არ აზღვევენ



**თუ თქვენ გაქვთ დეპოზიტი ბანკში და ის ბანკი გაკოტრდება, მხოლოდ ბანკის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, დაგიბრუნოთ თუ არა თანხა, ანუ ინსტიტუციურ დონეზე თქვენი დეპოზიტი დაზღვეული არ არის**

**– სტატისტიკის თანახმად, რა ხეირს ნახულობდა საქართველოს ბიუჯეტი, კერძო კომპანიები და მოსახლეობა რუსული ბაზრით 2006 წლის აკრძალვამდე?**

– საქართველო წლების განმავლობაში ინტეგრირებული იყო, ჯერ, საბჭოთა ერთიან სისტემაში და, შემდეგ, მყარი კავშირები ჰქონდა რუსეთის ფედერაციასთან. თუ ავიღებთ გასული საუკუნის 80-იანი წლების პერიოდს, რუსეთის წილად მოდიოდა საქართველოს მთლიანი საგარეო ბრუნვის, დაახლოებით, 75 პროცენტი, დანარჩენი 25 პროცენტი – სხვა მოკავშირე რესპუბლიკებზე.

**– საბჭოთა დროზე ვლაპარაკობთ?**

– დიახ. 1988 წლის მდგომარეობით, სანამ აირეოდა სიტუაცია, საქართველოს საგარეო ვაჭრობის სამი მეოთხედი მოდიოდა რუსეთზე, დანარჩენ 13 რესპუბლიკაზე კი – ერთი მეოთხედი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთელ საგარეო ბრუნვაში, სადაც საბჭოთა რესპუბლიკებიც შედიოდნენ და დანარჩენი მსოფლიოც, უცხოეთის წილი, დაახლოებით, 13 პროცენტი იყო, საერთო საგარეო ბრუნვის სამი მეხუთედი რუსეთზე მოდიოდა და ეს ძალიან დიდი ციფრი იყო.

**– ანალოგიური სიტუაცია იყო სხვა რესპუბლიკებშიც?**

– დიახ, რესპუბლიკები მიბმული იყვნენ რუსეთზე და სამხრეთკავკასიური შიდა კოოპერაცია იყო ძალიან დაბალი. ყველა დაკავშირებული იყო ცენტრთან. ტექნოლოგიურად კოოპერაციის რესურსი არსებობდა, მაგრამ არ იყო წახალისებული, რომ სამხრეთ კავკასიაში საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შიდა კოოპერირება გაძლიერებულიყო. დაიშალა საბჭოთა კავშირი და რუსეთის წილი საგარეო ბრუნვაში 30 პროცენტამდე შემცირდა, შემდეგ – 20-22 პროცენტზე დავიდა. 90-იანი წლების ბოლოს რუსეთში, ძირითადად, ხდებოდა მინერალური წყლების, ღვინისა და ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი. ღვინის ექსპორტის დიდი ნაწილი მოდიოდა რუსეთის ფედერაციაზე. მაგალითად, 2005 წელს ღვინის 75-77 პროცენტი ღირებულებითი ფორმით რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა, ნატურით კი ეს ციფრი გაცილებით მაღალი გამოდიოდა – 85 პროცენტზე ადიოდა. ესე იგი, ერთ მხარეს იყო ყველა დანარჩენი და მეორე მხარეს – რუსეთი. თანაც, რუსეთში გატანილი ღვინომასალების ღირებულება გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში გატანილის. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: გადიოდა დაუფასოებელი ღვინო კონტეინერებში და, ალბათ, რუსეთში უფრო დაბალი ხარისხის ღვინო გაჰქონდათ, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში.

**– იტანდა რუსეთის ბაზარი, თორემ ხომ არ გავიდოდა?**

– დიახ, იტანდა, თუმცა ეს არ იყო მხოლოდ ქართველი მეღვინეებისა და ექსპორტიორების სარგებელი. იმ პერიოდში მოსკოვში 3-4 ათას რუბლად მინახავს „ხვანჭკარა" და სხვა აშკარად ფალსიფიცირებული ქართული ბრენდული ღვინოები. აქედან გატანილ ღვინოს ადგილზე ხვდებოდა სუროგატი ძმა და ორივე ერთად ითვისებდა რუსულ, თითქმის უსასრულო ბაზარს. ამდენად, ჰქონდა თავისი ეკონომიკური საფუძველი იმას, რომ რუსეთმა 2006 წლის დასაწყისში აკრძალა ქართული პროდუქცია.

ჩვენი მეწარმეების დიდი ნაწილი დიდი იმედით ხვდება პროდუქციის რუსულ ბაზარზე გასვლას, თუმცა პირადად მე, დიდი მოლოდინი არ მაქვს. დიდი მოლოდინი ბაზრის დიდი სეგმენტის დაპყრობისა იმ ქვეყანაში, რომელთანაც საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობები, ძალიან თამამი და ოპტიმისტური განაცხადია.

**მაგალითად, ერთ-ერთმა ინდოელმა ინდოეთში ერთი ჰექტარი მიწის გაყიდვით 200 ჰექტარი იყიდა საქართველოში. ეს რას ნიშნავს? რომ ჩვენთან ერთეული მიწის ფასი 200-ჯერ ნაკლებია**

ის პრობლემაც არსებობს, რომ შესაძლოა, დაინტერესებულმა პირებმა რუსეთში დაიწყონ ქართული ღვინის ფალსიფიკაციაც და მე მეორე პრობლემასაც ვხედავ: ვინ დაიცავს ქართველი ბიზნესის ინტერესებს რუსეთის ფედერაციაში? როგორ მოხდება ანგარიშსწორება, პირობების დაცვა?! ეს ხომ ის კლასიკური ბაზარი არ არის, რომელიც ჩვენ ევროპასა და აზიის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში გვხვდება?! რუსეთის ბაზარი ახლა ყალიბდება და იქ სულ ახლახან დამთავრდა სფეროების დიდი გადანაწილება და 90-იან წლებში დღე არ გავიდოდა, ვინმე არ მოეკლათ სწორედ ამ ეკონომიკური მიზეზების გამო.

**– თუმცა რუსეთის ბაზარზე მთელი მსოფლიო მუშაობს, მათაც იგივე პრობლემები აქვთ თუ ჩვენ დაბალი ღობის პრინციპით მოგვიდგებიან?**

– თანაც, ჩვენ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები და მე არ მინდა, რომ ქართული ბიზნესი რუსეთში იყოს თავში წამოსარტყმელი. ჩვენ გვჭირდება ისეთი ავტორიტეტული სტრუქტურები და ინსტიტუტები, რომლებიც თვალყურს მიადევნებენ ქართული ინტერესების დაცვას რუსეთის ფედერაციაში.

**– ორიოდე კვირის წინათ მედვედევმა თქვა, ჩვენ არ შევუშვებთ ქართულ ღვინოს რუსეთის იმ რეგიონებში, საადც არის ღვინის ადგილობრივი წარმოებაო. ასეთი წესია რუსეთში? კრასნოდარის მხარეში არ უშვებენ ფრანგულ ღვინოებს?**

– არ მგონია, ეტყობა, ეს სურვილის დონეზეა. მაგრამ ყველაფერი ვერ გადაწყდება სურვილის დონეზე, რადგან რუსეთი, ბოლოს და ბოლოს, გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი.

**– ამ ორგანიზაციის წევრობა არ არის მექანიზმი, რომელიც დაიცავს ქართული ბიზნესის ინტერესებს რუსულ ბაზარზე?**

– ამ ორგანიზაციის პირობაა, რომ ყველასთვის თანაბარი მდგომარეობა შეიქმნას და რაც ერთისთვისაა დასაშვები, ავტომატურად გავრცელდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრ ქვეყანაზე. ამდენად, ეს ერთ-ერთი ძირითადი დამცველი სტრუქტურაა და კიდევ ერთი საკითხი: რუსული ბაზარი უკვე ათვისებულია, განაწილებულია და ქართულ პროდუქციას ხელგაშლილი ნამდვილად არ ხვდებიან. გასული საუკუნის 70-იან წლებში გადაღებულ ფილმებში რესტორნები: „არაგვი" და „წინანდალი" ითვლებოდა პრესტიჟულ ადგილებად, დღეს ქართული გამოდევნილია, როგორც ბრენდი. რა თქმა უნდა, მოსკოვში არის რამდენიმე ათეული ქართული რესტორანი, მაგრამ სხვა ქვეყნების ეგზოტიკური დატვირთვის მქონე სამზარეულოების ფართო არჩევანიცაა. დივერსიფიცირებულია იქაური ბაზარი.

ერთ მაგალითს გავიხსენებ: გასული საუკუნის 90-იან წლებში მოსკოვში გაიხსნა სწრაფი კვების ობიექტი „მაკდონალდსი" და ამ სწრაფი კვების ობიექტში რომ მოხვედრილიყავი, უფრო დიდხანს უნდა მდგარიყავი რიგში, ვიდრე ლენინის მავზოლეუმთან. აი, ასეთი ალოგიკური სურათი იყო: სწრაფი კვების ობიექტში რიგში გიწევდა დგომა. ახლა ასეთი პრობლემა აღარ არსებობს, იმიტომ რომ სწრაფი კვების ძალიან ბევრი ობიექტია მოსკოვში, სხვა ქალაქებშიც და რიგის პრობლემა მოხსნილია. ამდენად, ქართულ სამზარეულოსა და ქართულ ღვინოს მოუწევს ბაზრის ხელახლა დაპყრობა და რამდენად გავა ბოლომდე ეს პროცესი, ძნელი სათქმელია.

**– მაშინ არც ისე მაღალი ხარისხის ღვინოს ვაწარმოებდით, თუმცა უფრო ბევრს, დღეს კი**

# ენდოსკოპიური ქირურგია – უშვილობის დიაგნოსტიკისა და გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ოქროს სტანდარტი

*უშვილობის პრობლემა ქართული საზოგადოებისთვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, უშვილობის პრობლემებთან დაკავშირებული პროექტების სახელმწიფო რეგულირება ექსპერტთა განსჯის თემად იქცა. საბედნიეროდ, საქართველოში არის კლინიკები, სადაც უშვილობის პრობლემის გადაწყვეტა თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების მეშვეობით ხდება. ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა ერთ-ერთი წარმატებულია მათ შორის. კლინიკა, ასევე, მუშაობს ინ ვიტრო განაყოფიერების მაღალ ტექნოლოგიურ და ენდოსკოპიურ მეთოდებზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია უშვილობის პრობლემის მოგვარებისთვის. ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკის დირექტორი, საქართველოს გინეკოლოგ-ენდოსკოპისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი არსენ გვენეტაძე ოც წელიწადზე მეტია, ენდოსკოპიურ ქირურგიაში მუშაობს. ის კოლეგებთან ერთად საქართველოში ამ დარგის ფუძემდებელია. ბატონი არსენი ახლახან დაბრუნდა შოტლანდიიდან, სადაც მიწვეული იყო ენდოსკოპიური ქირურგიის ევროპის წამყვან პროფესორებთან ერთად.*

**– ბატონო არსენ, რა სიახლეებით დაბრუნდით ედინბურგიდან და რა იყო ექსპერტთა კონფერენციის მიზანი?**

– კონფერენცია ეძღვნებოდა ლაპაროსკოპიის როლს რეპროდუქტოლოგიაში, უფრო ზუსტად, ლაპაროსკოპიის გამოყენებას ისეთი დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დროს, როგორიცაა ენდომეტრიოზი და შეხორცებითი პროცესი მცირე მენჯის ღრუში, რაც ძალიან ხშირად ხდება უნაყოფობის მიზეზი. კონფერენციას ესწრებოდნენ წამყვანი პროფესორები. დისკუსიისას კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენი კლინიკა მუშაობს იმავე რეჟიმით, რომლითაც ჩვენი ევროპელი კოლეგები. მაგალითად, ქალებში, რომლებსაც 2 და მეტი წლის უშვილობის პრობლემა აქვთ, ზუსტად ისევე ხდება ენდომეტრიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა ლაპარასკოპიის მეთოდით, როგორც აღიარებულია ევროპის წამყვან კლინიკებში. მტკიცებით მედიცინაზე დაფუძნებული კვლევებით დადასტურებულია, უშვილობის პრობლემის გადაჭრისას, როცა ის მცირე ენდომეტრიოზული კერებით არის გამოწვეული, ქირურგიული, ანუ ლაპაროსკოპიული მკურნალობა მნიშვნელოვნად უფრო შედეგიანია, ვიდრე თერაპიული მკურნალობა.



**– რა არის ენდომეტრიოზი და რატომ ხდება ასე ხშირად უნაყოფობის მიზეზი?**

– სტატისტიკის მიხედვით, ენდომეტრიოზი აღენიშნება უშვილო ქალბატონების 25-35%-ს. ენდომეტრიოზი არის ქრონიკული, მორეციდივე ჰორმონდამოკიდებული დაავადება, რომლის დროსაც ენდომეტრიული ჯირკვლები ჩაიზრდება და ვითარდება საშვილოსნოს ღრუს გარეთ, სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში. გასათვალისწინებელია, რომ ენდომეტრიოზი არცთუ იშვიათად სრულიად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და მისი გამოვლენა მხოლოდ ლაპაროსკოპიის საშუალებით არის შესაძლებელი. მე გეტყვით ორ ცოცხალ მაგალითს, რომლებიც ჩვენს კლინიკასთან არის დაკავშირებული: ცოტა ხნის წინ ჩვენთან ჩატარებული ლაპაროსკოპიული ოპერაციიდან ორ თვეში, ათწლიანი უშვილობის შემდეგ დაორსულდა ქალბატონი, რომელსაც აღმოვუჩინეთ ენდომეტრიოზის კერები და მოხდა მათი დესტრუქცია. მეორე შემთხვევაში, მოგვმართა პაციენტმა, რომელსაც შვიდი წელი უნაყოფობის პრობლემა ჰქონდა. მას ჩაუტარდა ენდომეტრიული კერების ელექტროკოაგულაცია, რაც ამ დაავადების მკურნალობის ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს. პაციენტი ამ პროცედურიდან ოთხი კვირის შემდეგ დაორსულდა, ამჟამად იგი 16-17 კვირის ორსულია. ორივე შემთხვევაში, რომელზეც მე მოგახსენეთ, მოხდა მხოლოდ ენდომეტრიოზის მოწვა და, მკურნალობის სხვა, დამატებითი მეთოდების ჩარევის გარეშე, მალე დადგა სასურველი შედეგი, შესაბამისად ენდომეტრიოზის ლაპაროსკოპიული მკურნალობა არის ეფექტური გზა უშვილობის პრობლემის მოსაგვარებლად.

**– ბატონო არსენ, რას იტყვით ზოგადად ენდოსკოპიის როლზე თანამედროვე გინეკოლოგიაში და რა სახის ენდოსკოპიური ოპერაციები ტარდება თქვენს კლინიკაში?**

– დღეს ენდოსკოპია იძლევა პრაქტიკულად ამოუწურავ შესაძლებლობას რეპროდუქციული და გინეკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და ეფექტური ქირურგიული მკურნალობისთვის. ჩვენს კლინიკაში სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადების მკურნალობისთვის გამოიყენება ენდოსკოპიური მეთოდები: ლაპაროსკოპია, ფერტილოსკოპია, ჰისტეროსკოპია. ლაპარასკოპიული ოპერაციები მრავალი უპირატესობით გამოირჩევა. რაც შეეხება ჰისტეროსკოპიას, ის ფართოდ გამოიყენება თანამედროვე გინეკოლოგიურ პრაქტიკაში. დიდია მისი როლი უშვილობის დიაგნოსტიკაში. ევროპელ ექსპერტთა რეკომენდაციით, ჰისტეროსკოპია პირდაპირი ჩვენებაა მათთვის, ვინც ორი და მეტი წარმატებული ინ ვიტრო განაყოფიერება ჩაიტარა. ჰისტეროსკოპია აუცილებელი სამკურნალო პროცედურაა საშვილოსნოს ღრუს საეჭვო და დიაგნოსტირებული პათოლოგიების დროს. თანამედროვე გინეკოლოგიაში ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ფერტილოსკოპიის როლი.

***P.S* არსენ გვენეტაძე: ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია ასეთი დონის ექსპერტთა შეხვედრებში გამოცდილების ურთიერთგაზიარება, იმისთვის, რომ შენარჩუნებული იყოს მკურნალობის მაღალი სტანდარტი. უახლოეს დღეებში ჩვენი კლინიკა კვლავ მიიღებს მონაწილეობას ევროპაში შეხვედრაზე, თუმცა, ამის შესახებ მომავალში...**

**თამუნა ნიჟარაძე**

*„ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკის" მისამართია: დიღომი, ლუბლიანას 2/6, პირველი სართული (იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს ტერიტორია).*
*საკონტაქტო ტელეფონები: 222-00-65; 251- 88-87; 597-51-19-13.*
*www.sabakhtarashviliclinic.med.ge*
*E-mail: zsreproclin@hotmail.com*

---

**იმდენს ველარ ვაწარმოებთ, მაგრამ სამაგიეროდ, ხარისხია მაღალი.**

– თანაც, ჩვენ მხოლოდ ღვინის ექსპორტზე კი არ უნდა ავიღოთ აქცენტი, არამედ უნდა შევეცადოთ, მომსახურების ექსპორტიც მოვახდინოთ. ეს ნიშნავს, რომ მოვახერხოთ უცხოელი ტურისტების ჩამოყვანა საქართველოში და მათ ისეთი სერვისი და კომპლექსური მომსახურება შევთავაზოთ, რომელში ღვინოც შევა და ჩვენი ისტორიისა და კულტურის გაცნობაც. კარგი ხარისხის ღვინის გასაღების პრობლემა მისი მარტო ქვეყნის გარეთ გატანა კი არ არის, არამედ ქვეყნის შიგნით მისი რაციონალური და კომპლექსური მიწოდება, რაც გაცილებით მეტ შემოსავალს მოუტანს სახელმწიფოს, ვიდრე ღვინის შიშველი გატანა და დახლებზე დაწყობა. ამდენად, ჩვენ უნდა შევუთავსოთ ერთმანეთს ეს ორი ფორმა: საქონლის ექსპორტი და მომსახურების ექსპორტი, რომელიც დაკავშირებულია ღვინის გატანასთან.

**– თუკი ღვინისა და მინერალური წყლების შემთხვევაში უფრო მარტივია ხარისხის შემოწმება, ხილ-ბოსტნეულის შემოწმება უფრო რთული არ არის?**

– იქ მე სხვა პრობლემას ვხედავ. ბოლო პერიოდში ვრცელდება ინფორმაცია, რომ უცხოელები ითვისებენ მიწებს, რომ ალაზნის მარცხენა სანაპირო იყიდეს ინდოელებმა. მაგალითად, ერთ-ერთმა ინდოელმა ინდოეთში ერთი ჰექტარი მიწის გაყიდვით 200 ჰექტარი იყიდა საქართველოში. ეს რას ნიშნავს? რომ ჩვენთან ერთეული მიწის ფასი 200-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ინდოეთში. რომ შევადაროთ ინდოეთი და საქართველო, საქართველო უბრალოდ ფიზიკურად ვერ გაუძლებს ამას. გეოგრაფიაში გვასწავლიდნენ მოსახლეობის სიმჭიდროვის ცნებას: რამდენი ადამიანი მოდის ერთ კვადრატულ კილომეტრზე. პირიქით დავითვალოთ.

**– რამდენი მიწა მოდის თითოეულ ჩვენს მოქალაქეზე?**

– დიახ და გამოვა 115-115 მეტრი ერთ კაცზე.

**– დასამარხად გვეყოფა, მეტზე რა მოგახსენოთ.**

– ერთი გოჯი მიწაა, ინდოეთში კიდევ უფრო ნაკლებია – 50-50-ზე. ჩვენ არ გვაქვს იმის რესურსი, რომ ამდენი უცხოელი მივიღოთ. მიწა აუცილებელია არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანისთვის, არამედ ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. შარშან გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გააკეთა განცხადება, რომ პოლიტიკამ, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ატარებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნები მულტიკულტურიზმის დანერგვით, კრახი განიცადა. იმიტომ რომ ევროპაში ჩადის მილიონობით უცხოელი მიგრანტი, მათი ინტეგრაცია ადგილობრივ საზოგადოებაში ნაკლებად ხდება. ისინი ქმნიან თავიანთ ჩაკეტილ სისტემებს, კომუნებს, არ ემორჩილებიან ადგილობრივი ცხოვრების წესს და ცხოვრობენ თავიანთი კულტურისა და რელიგიის კარნახით, რაც დისონანსში მოდის ადგილობრივი ცხოვრების წესთან. თუ ეს პრობლემა გააჩნია 80-მილიონიან გერმანიას, 60-მილიონიან საფრანგეთს, საქართველოში ხომ სულ სამ-ნახევარი მილიონი ქართველი ცხოვრობს?! ასეთი კოროზია, რასაც გამოიწვევს ინდოელებისა თუ ჩინელების კომპაქტური დასახლებები, მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც უკავშირდება არა მარტო სოფლის მეურნეობას, არამედ მთლიანობაში ქვეყნის მდგრადობის შენარჩუნებას. ჩვენ ახლა რუსეთის ბაზრისკენ ვიყურებით, მაგრამ ზურგიდან ასეთი საფრთხე გვაქვს.

**– რით შეიძლება დავაზღვიოთ რუსეთის ბაზარზე არსებული რისკები? ერთ დღეს ხომ შეიძლება, ისევ ჩაგვიკეტონ?**

– აბსოლუტური დაცვა არ არსებობს. მაგალითად, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, სადაც არ არის მიღებული კანონი დეპოზიტების დაზღვევის შესახებ. თუ თქვენ გაქვთ დეპოზიტი ბანკში და ის ბანკი გაკოტრდება, მხოლოდ ბანკის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, დაგიბრუნოთ თუ არა თანხა, ანუ ინსტიტუციურ დონეზე თქვენი დეპოზიტი დაზღვეული არ არის. მით უმეტეს, რთულია უცხო ქვეყნის ბაზრის რისკების დაზღვევა, თუმცა ერთგვარი დაზღვევაა სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის ზრდა. მოსკოვში არის ადგილი, სადაც მხატვრები ჰყიდიან თავიანთ ნამუშევრებს. ათიოდე წლის წინათ გავიარე და რამდენიმე ქართველ მხატვარს გამოველაპარაკე. მათ მითხრეს, როდესაც საქართველოში სიტუაცია არეული იყო, მილიციაც აგდებულად გვექცეოდა და მოსახლეობაცო, მაგრამ, როდესაც საქართველოში ვითარება ცოტა დაწყნარდა, ჩვენც უფრო მორიდებით გვექცევიანო. ამდენად, ყველაზე მთავარი დაცვა არის ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური გაძლიერება. თუ მოხერხდა სამოქალაქო მშვიდობის დამყარება და გარკვეული კონსენსუსი პოლიტიკურ ძალებს შორის, ეს კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს ბიზნესისთვის გარანტიების შექმნისთვის არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**ისე მოხდა, რომ ბოლო 9 წელია, ფიარის ელემენტებით გაჯერებულ მართვას შევეჩვიეთ. მეორე მხრივ, ფიარი არცთუ უცხო ხილია ქართული ცხოვრების წესისთვის, იმ მარტივი მიზეზით, რომ უცხო თვალისთვის ცხოვრება ქართული ყოფითი კულტურისთვის ორგანულადაა დამახასიათებელი (ამის ერთ-ერთი დასტურია სტუმრის საგანგებო დახვედრაც და ძვირად ღირებული „ჯიპებიც“, რომელთა პატრონებსაც იმ „ჯიპებში“ ჩასასხმელი ბენზინის ფული არ აქვთ). ფიარში დაოსტატებული „ნაციონალური“ ხელისუფლება „ოცნებამ“ ჩაანაცვლა, რომელიც პრინციპულად ამბობს უარს თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელ ამ ტექნოლოგიაზე და ხელმძღვანელობს პრინციპით: საქმემან შენმან გამოგაჩინოს. რომელი მიდგომაა მართებული პოლიტიკური ძალისთვის ძალაუფლების შესანარჩუნებლად (ქვეყნისთვის, უდავოდ, საქმეზე ორიენტირებულობა ჯობს)? – ამას პოლიტიკურ კონსულტანტ ვალერიან გორგილაძესთან ერთად გავარკვევთ, რომელიც მთავრობის კანცელარიის საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციის დეპარტამენტს სამი თვის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.**

# რის მიღწევას ცდილობს „ნაციონალური მოძრაობა“ მოსახლეობის აგრესიის ხელოვნურად ზრდით და რატომ არ აპირებს „ოცნება“ ასეულობით მილიონის ფიარში დახარჯვას

**– ფაქტია, რომ მხოლოდ ფიარტექნოლოგიების მოხერხებულად გამოყენებამ არ გაამართლა, რადგან არჩევნების შედეგმა აჩვენა, რომ მთავარია შინაარსი და არა ის, როგორაა შეფუთული, თუმცა 9 წლის განმავლობაში სანახაობას შეჩვეულ საზოგადოებას ერთგვარი შიმშილის გრძნობა გაუჩნდა, იმიტომ რომ „ოცნებამ“ უარი თქვა ფიარზე. მოუტანს ეს მას წარმატებას?**

– სწორი შეფასებაა, რადგან რა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ეგრეთ წოდებული ფიარი? 9 წლის განმავლობაში საზოგადოება ცხოვრობდა ინტენსიური, ჰიპერაქტიური პროპაგანდის რეჟიმში. ეს არც იყო ფიარი, არსებობდა ინფორმაციის გავრცელების ექსკლუზიური წყაროები, პირველი არხი, „რუსთავი 2“, „იმედი“, სხვა მედიასაშუალებები და მიმდინარეობდა მძლავრი ავტორიტარული პროპაგანდა. პროპაგანდა სწორედ ავტორიტარიზმის მახასიათებელია: როდესაც ფლობ ინფორმაციის გავრცელების ექსკლუზიურ წყაროებს და არ არსებობს ალტერნატიული წყაროები, ბუნებრივია, ეს პროპაგანდაა. პროპაგანდას იყენებდა წინა ხელისუფლება და ეს პროპაგანდა ხშირად გადადიოდა ინფორმაციულ, ფსიქოლოგიურ ძალადობაში. მას შემდეგ, რაც პირველ ოქტომბერს შეიცვალა ხელისუფლება, მოსახლეობაში დარჩა გარკვეული ფანტომური ლტოლვა საინფორმაციო ნაკადის მიმართ.

**– შეაჩვიეს და რა ქნას?**

– დიახ და ეს ფსიქოლოგიური პრობლემაა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ წინა ხელისუფლება ძალადობდა არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც. ამ რეჟიმში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, იმიტომ რომ პირველი ოქტომბრის შედეგი იყო ძალადობაზე უარის თქმა. თუმცა ორ მაუწყებელზე: საზოგადოებრივ არხსა და „რუსთავი 2-ზე“ ისევ გრძელდება წინა ხელისუფლების პოლიტიკური კონტროლი, მმართველი კოალიცია კი არც კი ცდილობს, რამე კონტროლის დამყარებას მედია-საშუალებებზე, მათ შორის, არც „მეცხრე არხზე“.



ერთი მხრივ, ვხედავთ სიყალბეს, მეორე მხრივ, ემოციურ რეალობას. ამდენად, უნდა გადავლახოთ ეს პრობლემა, ფანტომური ტკივილები, რაც დაკავშირებულია ინფორმაციულ ძალადობასთან

**– აქვე დავამატებ: გარწმუნებთ, ძალიან ეხმარებიან ოპოზიციას რიგი სამინისტროების პრესსამსახურები, რომლებიც ცოცხალი თავით არ გახვედრებენ სამინისტროების პირველ პირებს დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად.**

– აქ ობიექტური პრობლემაცაა: დღეს ხელისუფლებაში, ძირითადად, არის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც სახელმწიფოს მართვის გამოცდილება არ გააჩნიათ და, შესაბამისად, არ გააჩნიათ საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილებაც. ჩემი აზრით, რაც ხდება, პოზიტიურია, უბრალოდ მოსახლეობაში არის შფოთი და მგონია, რომ ეს შფოთი არ არის რაციონალური. პრეტენზია ასეთია: ფიარში თქვენ აგებთ, რატომ არ აქვს მოსახლეობას ინფორმაცია გაზრდილ პენსიებთან, შემწეობებთან დაკავშირებით...

**– საინტერესოა, რომ თვითონ პენსიონერმა და მარჩენალდაკარგულმა იცის, რომ გაეზარდა დახმარება.**

– რა თქმა უნდა. გარდა ამისა, ის ადამიანები, რომლებიც პრეტენზიებს გვიყენებენ, ადასტურებენ, რომ ამ ინფორმაციას ფლობენ, მაგრამ, რატომღაც, მიაჩნიათ, რომ სხვა არ ფლობს. არადა, თავისუფალი მედიასივრცე რომელიც პირველი ოქტომბრის შემდეგ გაიხსნა, აძლევს საშუალებას მოქალაქეს, რომ მოიპოვოს მისთვის სასურველი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამდენად, ამ არგუმენტს მე ვერ მივიღებ.

**– პროპაგანდა, უდავოდ, ავტორიტარიზმის ნიშანია, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ პროპაგანდას ჰქვია ფიარი. დასავლური სამყაროსთვის ფიარი არ არის უცხო ხილი, არ შეიძლება მათი ამ გამოცდილების გაზიარება?**

– ამას წინათ ერთ-ერთი ანალიტიკოსის წერილი წავიკითხე, რომელიც წერდა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოყენებულ საინფორმაციო ტექნოლოგიებზე და აღნიშნავდა, რომ დასავლეთ ევროპაშიც კი ძალიან ცოტა ქვეყანაა, სადაც ასე იყენებს ხელისუფლება სიანფორმაციო ტექნოლოგიებს. ვიმეორებ, პროპაგანდის რეჟიმია, როდესაც გაქვს სტერილური სივრცე, აკონტროლებ საინფორმაციო ნაკადებს, მაგრამ ამ ხელისუფლების ამოცანა სულ სხვა რამაა: ეს არის მოქალაქეების ინფორმირებულობა იმის შესახებ, თუ რას აკეთებს და რის გაკეთებას აპირებს. მე არ ვფიქრობ, რომ ეს აქტივობა არ გამოირჩევა ინტენსივობით. თუ გაითვალისწინებთ, რა ინტენსივობით ხვდება პრემიერ-მინისტრი ინტერესთა ჯგუფებს, ბიზნესმენებს, მედიას, არასამთავრობოების წარმომადგენლებს, ეს უპრეცედენტოა ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შეხვედრებზე არ არის შეზღუდვები და სტერილური რესპონდენტების სივრცე. ვხედავთ იმასაც, რომ რესპონდენტი ხშირად ემოციურად ეკამათება ჟურნალისტებს, რაც ძალიან ბუნებრივია. მოსახლეობის ნაწილს, ალბათ, უკვირს ეს ბუნებრიობა. კოაბიტაცია გვაძლევს იმის საშუალებას, რომ შევადაროთ პრემიერ-მინისტრის ბრიფინგები და პრეზიდენტის რიტორიკა. პრეზიდენტის აუდიტორია საგანგებოდაა შერჩეული, აშკარად ეტყობა, რომ სინთეტიკური სივრცეა. აქ ემოციური, ცოცხალი სივრცეა. ერთი მხრივ, ვხედავთ სიყალბეს, მეორე მხრივ, ემოციურ რეალობას. ამდენად, უნდა გადავლახოთ ეს პრობლემა, ფანტომური ტკივილები, რაც დაკავშირებულია ინფორმაციულ ძალადობასთან.

**– გენეტიკური მიდრეკილებაც ხომ არ გვაქვს სიყალბე-ხელოვნურობისადმი? პომპეზურობა ორგანულადაა დამახასიათებელი ჩვენი ყოფისთვის.**

– არტისტული ერი ვართ, მაგრამ წარმოდგენაც არის და წარმოდგენაც. როდესაც ეს წარმოდგენა შენს ესთეტიკურ გემოვნებას არ ესადაგება, ჩნდება უნდობლობა და ეს უნდობლობა არის კიდეც. შევადაროთ რეიტინგები და ვნახავთ, რომ პრეზიდენტის გამოსვლას ძალიან ცოტა ადამიანი უყურებს. ის ნაწილიც, რომელიც უყურებს, ხშირად მაზოხისტურ ლტოლვას აჩვენებს: რესპონდენტი უყურებს პრეზიდენტის გამოსვლას აღშფოთებული განწყობით, კიდევ უფრო აღშფოთებული რჩება, როდესაც ყურებას დაასრულებს და აფრთქვევს ამ აგრესიას. თუმცა სხვა თემაა, რომ ამ მიზანმიმართულ, აგრესიის გამომწვევ კამპანიას შეგნებულად აწარმოებს „ნაციონალური მოძრაობა“ და დარწმუნებული ვარ, ეს ფიქოლოგიური ომის გაგრძელებაა.

**– მაგრამ ეს აგრესია ხომ მათ დაუბრუნდებათ?**

– რასაკვირველია და სწორედ ეს უნდათ. ამის ნათელი დასტურია 8 თებერვალი, 19 აპრილს დაანონსებული მიტინგიც. ამას ეხმარებიან მოსამართლეებიც თავიანთი გადაწყვეტილებებით. „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელს აძლევს ასეთი ვითარება, რადგან, როდესაც აღშფოთებული მოსახლეობა ხედავს, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ პასუხობს იმ მოლოდინებს, რაც ჰქონდა არჩევნებამდე, ამან შეიძლება, გამოიწვიოს კონფრონტაცია და დესტაბილიზაცია ქვეყანაში.

**– ამით რა ხეირს ნახავს „ნაციონალური მოძრაობა“, თვითონ დაბრუნდება ხელისუფლებაში თუ რა გათვლები შეიძლება, ჰქონდეთ?**

– ერთია, დაანახვოს დასავლეთს, რომ ეს არის ველური სივრცე, რომელიც ვერ ეგუება მოდერნისტებსა და რეფორმატორებს; მეორე, უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს. ვხედავთ, რომ საკონსტიტუციო მოლაპარაკებები გადაიზარდა ვაჭრობაში. ნათელია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ბირთვის ნათელი მიზანია თავიანთთვის პოლიტიკური და ეკონომიკური სამართლებრივი გარანტიების შექმნა.

**– რაციონალურია „ნაციონალური მოძრაობის“ ეს გათვლა?**

– რაციონალურია, რადგან ყოველთვის არის არგუმენტი, რომ აი, ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს სტაბილურობას.

**– მაგრამ, რეალურად, შესაძლოა, სანამ პავლე მოვიდეს, პეტრეს ტყავი გააძრონ. თუ ფიქრობენ, რომ მათ მიმართ აგრესია რეალურ აგრესიაში არ გადაიზრდება?**

– „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან კარგად ხვდება, რომ ლინჩის წესის დაშვება არ არის ხელისუფლების ინტერესი. აქ საუბარია რამდენიმე ათეულ ადამიანზე, ამიტომაც მიმართეს პრემიერ-მინისტრმა, პარლამენტის სპიკერმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, რომლებიც არ არიან დამნაშავეები, არ აქვთ ჩადენილი მძიმე დანაშაული. ეს არის გარკვეული დერეფნის გახსნა იმ წევრებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მოტივით არიან ამ ორგანიზაციაში. რეალურად, პრობლემაა რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლებმაც იციან, რომ უმძიმესი დანაშაული მიუძღვით ქვეყნისა და კონკრეტული ადამიანების წინაშე. ამიტომ ისინი ყოველდღიურად გეგმავენ რაღაც პროვოკაციებს, ქვეყნის გარეთ თუ შიგნით.

# რა ჩააბარა წარსულს სტომატოლოგიაში იმპლანტაციამ



***თანამედროვე ადამიანისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კბილების ვიზუალური მხარე. ქათქათა, სრულფასოვანი კბილებით პიროვნების სოციალური სტატუსიც კი განისაზღვრება. „კუზანოვ დენტში“ იშვიათობას აღარ წარმოადგენს პაციენტი, რომელიც იქ დაკარგული კბილის სრულფასოვნად აღდგენის სურვილით მიდის. განსაკუთრებით აქტუალური გახდა იმპლანტაცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, პროთეზის გარეშე დავიბრუნოთ დაკარგული კბილი. იმპლანტაციის იმ შედეგებმა, რაც კლინიკა „კუზანოვ დენტში“ აქვთ, ყველაზე სკეპტიკოსებსაც კი გაუფანტა ეჭვი. გვესაუბრება კლინიკა „კუზანოვ დენტის“ მთავარი სპეციალისტი, ქირურგი რობერტ აგამირიანი.***

ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებამ იმპლანტაცია უმტკივნეულო პროცედურად აქცია. მისი დახმარებით შესაძლებელია, დაკარგული კბილის აღდგენა და პრაქტიკულად, ბუნებრივი კბილის მიღება. იმპლანტზე მორგებული კბილი არანაირად არ განსხვავდება ბუნებრივისგან. დღეს ეს უკვე რეალობაა. სამწუხაროდ, გვყავს პაციენტები, ადრეულ ასაკში რომ დაკარგეს კბილი, ტრავმის ან, ხშირ შემთხვევაში, არასწორი მკურნალობის შედეგად. აქამდე ალტერნატივა იყო, ეგრეთ წოდებული „ხიდები“ ან პროთეზები. იმპლანტაციამ თითქმის სრულიად ჩაანაცვლა ერთიც და მეორეც.

**– ანუ, სტომატოლოგიურ წარსულს ჩააბარა?**

– დიახ. ***(იღიმება).*** იმპლანტაციის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის ყველაზე კარგი მაგალითი იყო ჩვენი კლინიკის პაციენტი, საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე, რომელმაც ორი იმპლანტ-



ის ჩასმიდან რამდენიმე წუთში, მოტოციკლით აილო სტარტი და დღის ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. იმპლანტი, ეს არის ხელოვნური ფესვი, რომელზეც შემდეგ უმაღლესი ხარისხის ფაიფურის გვირგვინი „შენდება“. კლინიკაში ვიყენებთ მხოლოდ ისრაელისა და გერმანული წარმოების, უმაღლესი ხარისხის იმპლანტებს. შემდეგ უკვე პაციენტი ირჩევს „ცირკონის“ კარკასზე დამზადებული ფაიფურის გვირგვინი გავუკეთოთ, თუ ასევე მაღალი ხარისხის ლითონო-ფაიფური. ორივე შემთხვევაში შედეგი საუკეთესოა.

**– ადვილად მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ ეს სიახლე?**

– ვერ ვიტყვი, რომ იმპლანტაცია  სიახლეა. ამ მეთოდმა უკვე წარმატებით ჩააბარა ყველანაირი „ტესტი“ და დაამტკიცა თავისი უალტერნატივობა. თუ გადაწყვიტეთ კბილის იმპლანტაცია, აუცილებელი იქნება წინასწარი კონსულტაცია სპეციალისტთან. **ტელეფონი: 237-12-61.** „კუზანოვ დენტის“ სტომატოლოგები თქვენს ყველა კითხვას გასცემენ პასუხს, როგორც პირადად, ასევე ტელეფონით და ონლაინ-რეჟიმშიც. კონსულტაციები უფასოა. მარტში კი გვაქვს სპეციალური აქცია ქალბატონებისთვის: ვინც 15 მარტამდე ჩაეწერება იმპლანტაციაზე, მიიღებს 20-პროცენტიან ექსკლუზიურ ფასდაკლებას. ჩვენი კლინიკის ყველაზე დიდი წარმატება კმაყოფილი პაციენტებია. გვინდა, ყველასთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ ჯანმრთელი და ლამაზი კბილები.

Kuzanov Dent/კუზანოვ დენტი

**ელენე წულუკიძე**

---

**– ჩვენ პირველად ვაკვირდებით ვითარებას, როდესაც პოლიტიკური ძალები პოლიტიკურ სვლებს აკეთებენ და ეს საინტერესო სანახაობაა, უბრალოდ ჩვენი ბედია ამაზე დამოკიდებული. ხელისუფლებას აქვს პრევენციის ფუნქციაც. რას აკეთებს იმისთვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ის ზიანი, რაც შეიძლება მოიტანოს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აგრესიის გამოწვევაზე აგებულმა კამპანიამ?**

– „ქართული ოცნების“ ლიდერებს, პრემიერ-მინისტრს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მოსახლეობა უნდა ინარჩუნებდეს მშვიდობას, არ უნდა აჰყვეს ამ პროვოკაციებს და რაციონალურად მიუდგეს, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ მიზანია ამ აგრესიაში მოსახლეობის ჩართვა. ძველი ხელისუფლება ფლობს ბერკეტებს თვითმმართველობაში, მოსამართლის კორპუსში, პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც თავისი ბერკეტები გააჩნია, ამდენად, პრევენცია არის მოთმინება, რუტინული შრომა, ძალიან უძნელდება მუშაობა პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს, პროცესი ხანგრძლივია და არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ საქართველოში კვალიფიციური გამოძიება ახლა იწყება. მანამდე ასეთი პრეცედენტი არ არსებობდა.

**– ძალიან დაბალია საგამოძიებო ორგანოების კვალიფიკაცია. მათ არასდროს მიუღიათ მონაწილეობა რეალურ შეჯიბრებითობაში დაცვის მხარესთან.**

– მხოლოდ მოწმეების ჩვენებებზე დაყრდნობით იხსნებოდა საქმეები და, ფაქტობრივად, სტალინური პროკურატურის სტილში მუშაობდნენ. მაგრამ დღეს ვხედავთ საჯაროობას, სასამართლო დარბაზებში მონტაჟდება კამერები. სულ რამდენიმე დღის წინათ დაამტკიცა თავმის ელჩები კოალიციამ, 100 დღის თავზე, ანუ ფაქტობრივად, აქამდე არანაირი მუშაობა არ იყო უცხოეთში. შედეგებიც არის: აპატურაის განცხადება. ნორლანდის განცხადება, რომ არანაირი საფუძველი არ აქვს, ეჭვი შეიტანოს საგარეო კურსის უცვლელობაში. რაც უფრო ინტენსიური გახდება ხელისუფლების კონტაქტი დასავლელ პარტნიორებთან, პრობლემაც, რომელიც იქმნებოდა დასავლეთში, სრულად მოგვარდება.

**– ქვეყნის შიგნით მოსახლეობა თავის თავზე იგრძნობს ყველა სიკეთეს, რაც მოხდება, რის საშუალებაც არ აქვს დასავლეთს. ისევ ფიქრობთ, რომ ლობისტური კომპანიების დახმარებას არ უნდა მიმართოთ და მხოლოდ დიპლომატიური კორპუსის იმედზე იქნებით?**

– ლობისტების დახმარებით „ქართული ოცნება“ არჩევნების დროს სარგებლობდა და არ არის

**„ნაციონალურ მოძრაობას“ ხელს აძლევს ასეთი ვითარება: როდესაც აღშფოთებული მოსახლეობა ხედავს, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ პასუხობს მოლოდინებს, ამან შეიძლება, გამოიწვიოს კონფრონტაცია და დესტაბილიზაცია**

გამორიცხული, რომ ამ ეტაპზეც მიმართოს გარკვეულ ლობისტურ ჯგუფებს, მით უფრო, რომ „ოცნებას“ აქვს კავშირები დასავლეთში. უბრალოდ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: ასობით მილიონ დოლარს ხარჯავდა ლობისტებში წინა ხელისუფლება. არავინ აპირებს ლობისტებისთვის ნახევარი მილიარდის გადახდას, რათა „ნიუ-იორკ თაიმსში“ წავიკითხოთ, თუ რა კარგი მთავრობა ჰყავს საქართველოს.

**– მაგრამ, თუ მოსახლეობის ნაწილს უნდა, რომ ეს წაიკითხოს „ნიუ-იორკ თაიმსში“?**

– ეს არის, მათ შორის, ამ მოსახლეობის პრობლემა.

**– ეს მოსახლეობა ჰყავს ამ ქვეყანას.**

– ამიტომ მოსახლეობას უნდა ავუხსნათ, რომ ეს დალაგდება. მმართველ პოლიტიკურ ელიტას ნაკლები ურთიერთობა აქვს დასავლეთთან. ეს კონტაქტები დამყარდება ეტაპობრივად. რაც შეეხება ჩვენს ამ პროვინციულ დამოკიდებულებას დასავლეთის მიმართ, რომელიც შესაძლოა, გააჩნდეს მოსახლეობის ნაწილს: ჩვენ მათ უნდა ვუთხრათ, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება, გათავისუფლებულია სხვადასხვა რეპრესიული სტრუქტურებისგან, არ ხდება დაშინება, ქონების წართმევა. არადა, ჩვენ გვახსოვს, რა ხდებოდა ვარდების რევოლუციის შემდგომ პროცესში. ვხედავთ იმასაც, რომ ბიუჯეტი მკვეთრად სოციალური გახდა. უამრავი პროგრამაა ჯანდაცვაში, შემოვიდა დაზღვევის უნივერსალური ბაზისური პოლისი, 14 ფაკულტეტზე სწავლება უფასო გახდა, შემწეობები 100-პროცენტით გაიზარდა, უპრეცედენტო ინიციატივა სოფლის მეურნეობის ფონდის დაარსება. ეს ყველაფერი მიმზიდველს გახდის ქვეყანას ინვესტორებისთვის და ბევრად უფრო ეფექტიანია, ეკონომიკისთვის, ვიდრე ვირტუალური რეიტინგები, რითიც მანიპულირებდა წინა ხელისუფლება.

**– არის იმის ალბათობა, რომ ამასობაში გარღვევა მოახდინოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“?**

– თეორიულადაც კი წარმოუდგენელია რამე გარღვევა. როდესაც დღითიდღე კლებულობს მათი რეიტინგი, „ნაციონალურ მოძრაობას“ მთელი ძალების მობილიზაციით მხოლოდ პრობლემების შექმნა შეუძლია და ის ამ პრობლემებს ქმნის. „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს თავისი მძიმე პრობლემა და ამიტომაც იქცევა ისე, როგორც იქცევა. სამართლიანობის აღდგენის პროცესი გაგრძელდება და ლოგიკურ დასასრულამდე მივა.

**ნინო ხაჩიძე**

# ვინ პოზირებდა დანიის დედოფლის მარგრეტ მეორის სამეფო ტახტზე შიშველი და რომელი ფირმის სიგარეტს ანიჭებს უპირატესობას დედოფალი

*2013 წლის იანვარში ზუსტად 41 წელი შესრულდა, რაც დანიის სამეფოს სათავეშია დედოფალი მარგრეტ მეორე. სკანდინავიური სახელმწიფოს 72 წლის მონარქი გლიუქსბურგის სამეფო ოჯახის წარმომადგენელია. გლიუქსბურგებმა 1863 წელს დანიის სამეფო ტახტზე ოლდენბურგების ცნობილი საგვარეულო ჩაანაცვლეს, რომელიც ოთხი საუკუნის განმავლობაში მართავდა დანიის სამეფოს. ცნობისთვის, ოლდენბურგების საგვარეულოს საქართველოსთან ჰქონდა კავშირი. საუბარია კონსტანტინე ოლდენბურგელზე, რომელსაც სხვადასხვა ბიზნესი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე და გახმაურებულია მისი რომანი ქართველ დიდგვაროვან აგრაფინა ჯაფარიძესთან. ამჯერად „თბილისელებში” გლიუქსბურგების გვარის წარმომადგენლის, დანიის დედოფლის მარგრეტ მეორის შესახებ რამდენიმე ფაქტს შემოგთავაზებთ.*



* მარგრეტ ალექსანდრინე ტორჰილდურ ინგრიდი, ანუ დედოფალი მარგრეტ მეორე 1940 წელს დაიბადა ამალიენბორგის სასახლეში, დანიის ოკუპაციიდან ცოტა ხნის შემდეგ. მისი მშობლები იყვნენ: დანიის მეფე – ფრედერიკ მეცხრე და დედოფალი – ინგრიდი. მარგრეტის ერთ-ერთი სახელი ისლანდიურ ასობგერას შეიცავს, რადგან მისი დაბადებისას ისლანდია დანიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. შთამბეჭდავია მარგრეტის განათლებისთვის განვლილი გზა. 1960 წელს ის კოპენჰაგენის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, სადაც პოლიტოლოგიას, არქეოლოგიასა და ფილოსოფიას შეისწავლიდა. 1960-1961 წლებში კემბრიჯში სწავლობდა, შემდეგ – დანიურ უნივერსიტეტში ქალაქ ორჰუსში, 1963-1964 წლებში სორბონის უნივერსიტეტში, 1964-1965 წლებში ლონდონში, პოლიტიკური მეცნიერებისა და ეკონომიკის სკოლაში. დედოფალი სრულყოფილად ფლობს ფრანგულ, გერმანულ, შვედურსა და ინგლისურ ენებს. აღსანიშნავია, რომ მარგრეტმა ლონდონში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, ფრანგი დიპლომატი ანრი ჟან მარი ანდრე, დე ლაბორდ დე მონპეზას გრაფი, რომელიც ავტომატურად გახდა დანიის პრინცკონსორტი ჰენრიკ დანიელი.

* მარგრეტ მეორე მოგზაურობის მოტრფიალე მონარქია. მას თითქმის მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი – ამერიკიდან ავსტრალიამდე. ის იყო პირველი ევროპელი მონარქი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, რომელიც 1975 წელს საბჭოთა კავშირში ვიზიტით ჩავიდა. სხვათა შორის, 1988 წელს მარგრეტს აუდიენცია ჰქონდა საბჭოთა კავშირის მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრთან ედუარდ შევარდნაძესთან. ყველაზე მეტად კი მარგრეტს გრენლანდიასა და ფარერის კუნძულებზე უყვარს მოგზაურობა, სადაც ის ძაღლებით შეკაზმული ციგით გადაადგილდებოდა. დედოფალს ასევე, ძალიან უყვარს თხილამურებით სრიალი და ნორვეგიის პრინცესა სონიასთან ერთად, დანიისა და სკანდინავიის სხვა ქვეყნების სათხილამურო კურორტების ხშირი სტუმარია. გარდა ამისა, დედოფალი მარგრეტი სპორტის დიდი მოყვარულია და 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე ის ოჯახთან ერთად ქომაგობდა დანიელ სპორსტმენებს. დედოფალმა ოლიმპიურ სოფელში პირადად მოინახულა რამდენიმე სპორტსმენი.

* დედოფალი მარგრეტ მეორე გატაცებულია ფერწერით და სხვადასხვა ჟანრში მუშაობს – სახვითი ხელოვნება, გრავიურა, ტექსტილი, აკვარელი, გრაფიკა, დეკუპაჟი (აპლიკაცია), სცენოგრაფია, წიგნების ილუსტრირება. მისი დასურათებულია. ჯ. რ .რ. ტოლკიენის ცნობილი რომანი „ბეჭდების მბრძანებელი”. დედოფლის ნამუშევრების უმეტესობა გამოფენილია როგორც დანიაში, ასევე ევროპული ქვეყნების სხვა მუზეუმებსა და საგამოფენო ცენტრებში. გარდა ამისა, დედოფალი კოსტიუმებს ქმნის სხვადასხვა ბალეტის, სპექტაკლებისა და მხატვრული ფილმებისთვის. ის ასევე, თარგმნის კიდეც თავის მეუღლესთან ერთად, მან ვაირბერგის ფსევდონიმით გამოსცა სიმონა დე ბოვუარსის რამდენიმე ნაშრომის თარგმანი დანიურ ენაზე.

* დედოფალ მარგრეტ მეორის ერთ-ერთი მავნე ჩვევაა ის, რომ თამბაქოს მოიხმარს. მონარქი დღეში თამბაქოს რამდენიმე ათეულ ღერს ეწევა და მისი უსაყვარლესი სიგარეტია, ბერძნული „კარელია”, რომელიც ძალიან პოპულარულია დანიელ სამხედროებში. სხვათა შორის, მარგრეტი ცდილობს საზოგადოებაში არ გამოჩნდეს სიგარეტით ხელში, მაგრამ, კოპენჰაგენის მცხოვრებთ არაერთხელ უნახავთ ის სიგარეტით ხელში, სხვადასხვა დაწესებულებაში, რესტორნებსა თუ კაფეებში.

* მარგრეტის მეუღლემ და შესაბამისად, დანიის პრინცმა ჰენრიკმა, ჟურნალისტებთან ინტერვიუში აღიარა, რომ ძალიან უყვარს ძაღლის ხორცი. სკანდალი იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ პრინცი ჰენრიკი ტაქსას ჯიშის ძაღლების კლუბის საპატიო წევრია. ჰენრიკს ახალგაზრდობის წლები ვიეტნამში აქვს გატარებული და ძაღლის ხორცის ჭამას, სწორედ იქ მიეჩვია. იმავე ინტერვიუში პრინცმა აღნიშნა, რომ ძაღლის ხორცი ბოცვრის ხორცს წააგავს და ძალიან გემრიელია. საინტერესოა, რომ სკანდალურ აღიარებამდე რამდენიმე თვით ადრე სამეფო სასახლიდან დაიკარგა დედოფალ მარგრეტის საყვარელი ძაღლი – ტაქსა, მეტსახელად ჰერტრუდა.

* დედოფალ მარგრეტ მეორის ავტომობილების კოლექციიდან აღსანიშნავია 1968 წელს გამოშვებული „დაიმლერ ლიმუზინი”, რომელიც სამეფო ოჯახის სპეციალური შეკვეთით დამზადდა. 6 მეტრის სიგრძის ავტომობილს, „იაგუარ 420ჯ-ის” 4,2 მოცულობის ძრავა აქვს და 175 კილომეტრ-საათში სიჩქრეს ავითარებს. სამეფო „ლიმუზინის“ სალონის ინტერიერი დანიური სამეფო ოჯახის სიმბოლიკებით არის დატვირთული. გარდა ამისა, ავტომობილი აღჭურვილია ბოლო თაობის ტექნიკური საშუალებებით და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ძარა ჩვეულებრივი რკინისაა და არა ბრონირებული ლითონის. 14 წლის განმავლობაში კომპანია სპეციალურად ამზადებდა ამ მარკის ავტომობილს ნორვეგიის, ესპანეთის, შვედეთის სამეფო ოჯახებისთვის და ავტომოყვარულებმა ამ ავტომობილს „სამეფო ლიმუზინი” უწოდეს.

* სხვა ევროპული მონარქიული ოჯახების მსგავსად, დანიის დედოფლის ოჯახსაც დანიის მოსახლეობა ინახავს. ყოველწლიურად დედოფალ მარგრეტ მეორის მონარქიული მოთხოვნების შესრულება დანიელებს 6,75 მილიონი დოლარი უჯდებათ. სხვათა შორის, მარგრეტი ერთ-ერთ ყველაზე „ღარიბ” მონარქად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მისი ოჯახის ქონება, სულ რაღაც, 15 მილიონ დოლარად არის შეფასებული. სასახლეები, აგარაკები, იახტები და დანარჩენი ყველაფერი კი დანიის მოსახლეობის საკუთრებაა და ჩამოთვლილიდან სამეფო ოჯახს არაფერი ეკუთვნის. ბოლო პერიოდში ევროპაში გამეფებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე დანიის დედოფალმაც აამოქმედა ეგრეთ წოდებული „ქმრის მოჭერის” პროგრამა და მაქსიმალურად შეამცირა სამეფო ოჯახის ხარჯები.

* რამდენიმე წლის წინ დანიის სამეფოში დიდი სკანდალი მოჰყვა ერთ-ერთ ჟურნალში გამოქვეყნებულ ფოტოსესიას, რომელზეც შიშველი გოგონა დედოფალი მარგრეტის სამეფო სასახლის დიდ დარბაზსა და სამეფო ტახტზე პოზირებდა. ეროტიკული ფოტოსესიის სათაური იყო „მეძავი სამეფო ტახტზე” და ამ ფაქტმა სამეფო დაცვის სამსახური დააინტერესა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ფოტოები სამოყვარულო კამერით მართლა სამეფო სასახლეში იყო გადაღებული. მარგრეტ მეორემ შეშფოთება გამოთქვა ამ ფაქტის გამო და სასახლის დაცვას ექსკურსიების დროს კონტროლის გამკაცრება დაავალა.

**უშანგი რუხაძე**


**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# ვინ არის მილიარდერებს შორის ყველაზე ძუნწი და რატომ უწოდებენ ნიკოლას ბერგრიუენს უსახლკარო მილიარდერს

***ისინი ყველასგან განსხვავებულები არიან. ეკონომიას აკეთებენ ელემენტარულ ნივთებზე, მაგრამ, ხარჯავენ მილიონობით დოლარს ექსტრემალური სპორტის სახეობებში, სახლში კი საკუთარი პინგვინები ჰყავთ... – საუბარია ყველაზე ექსცენტრიკულ მილიარდერებზე, რომელთა შესახებ „თბილისელების" ამ ნომრიდან შეიტყობთ.***

## ჰოვარდ ჰიუზი

ყველა დროის ყველაზე ექსცენტრიკულ მილიარდერად მეოცე საუკუნეში მცხოვრები ამერიკელი მაგნატი, ინვესტორი, ავიატორი, ფილანტროპი და რეჟისორი ჰოვარდ ჰიუზი სახელდება. ჰიუზი გავლენიანი და მდიდარი ოჯახიდან იყო – მამამისი მილიონერი გახლდათ. 19 წლის ასაკში, მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ჰოვარდმა მემკვიდრეობით მიიღო საოჯახო ბიზნესი – კომპანია „ჰიუზ ტული". ჰიუზი დაკავებული იყო კინოწარმოებით ჰოლივუდში და 1938 წელს მისი პროდიუსერობით გადაიღეს ცნობილი განგსტერული დრამა „ნაიარევი სახე". გარდა ამისა, ჰიუზს ეკუთვნოდა თვითმფრინავების ქარხანა და ის თავადაც პილოტი გახლდათ. 1938 წელს მან დაამყარა მსოფლიო რეკორდი, როდესაც პლანეტას 91 საათში შემოუარა გარშემო. 1947 წელს ის სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს ავიაკატასტროფის დროს. ჰოვარდ ჰიუზს ჰქონდა ობსესურ-კომპულსური აშლილობა – მას მანიაკალურად ეშინოდა ინფექციების. ეს ფობია მას დედისგან გადაედო. ჰიუზი იკეტებოდა ოთახში და არ გამოდიოდა იქიდან კვირების განმავლობაში; არ იჭრიდა თმასა და ფრჩხილებს; შიშველი იჯდა სავარძელში და ფილმებს უყურებდა. დათვლილია, რომ ჰიუზმა ზედიზედ 150-ჯერ ნახა ფილმი „პოლარული სადგური „ზებრა". გარდა ამისა, ჰიუზის გატაცება იყო მარცვლების განცალკევება სიდიდის მიხედვით.



## რიჩარდ ბრენსონი

კორპორაცია „ვირჯინის" დამაარსებლის 63 წლის რიჩარდ ბრენსონის ცხოვრების სტილი ბევრისთვის არაჩვეულებრივი და რისკებით აღსავსეა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრენსონის კომპანიის მთავარი რგოლი ხმის ჩამწერი სტუდია „ვირჯინ რეკორდსი" იყო, რომელიც მოგვიანებით მან გაყიდა. სხვადასხვა დროს ბრენსონი დაკავებული იყო ავიაგადაზიდვებით, სარკინიგზო ბიზნესით, საკაბელო ქსელებით, მედიცინით, გამომცემლობით და ასე შემდეგ. ბრენსონს ექსტრემალური სპორტის სახეობები იზიდავს და მას სიცოცხლის რისკის ფასად არაერთი არაორდინარული რეკორდი აქვს დამყარებული. მან დიდი საჰაერო ბურთით შემოუფრინა მსოფლიოს, მაქსიმალური სიჩქარით გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს, ავტომობილი-ამფიბიით ყველაზე სწრაფად გადაცურა ლამანშის სრუტე. თავის ცხოვრებაზე ბრენსონს რამდენიმე წიგნი აქვს დაწერილი.

## ნიკოლას ბერგრიუენი

გერმანული წარმომავლობის მქონე ამერიკელ ბიზნესმენს, საინვესტიციო კომპანია „ბერგრიუენ ჰოლდინგსის" დამაარსებელს, ნიკოლას ბერგრიუენს, ყველაფერი აქვს ოჯახისა და სახლის გარდა. 2 მილიარდი დოლარის კაპიტალის მქონე ბიზნესმენი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ელიტური საცხოვრებელი სახლების აშენებით არის დაკავებული, თავად კი ძირითადად სასტუმროებში ცხოვრობს. ბერგრიუენი უსახლკაროა და, ამის მიუხედავად, თავს ბედნიერად გრძნობს. ის აგროვებს ხელოვნების ნიმუშებს და შემდგომ მათ მუზეუმებს სჩუქნის. გარდა ამისა, ნიკოლასი დიდ დროს უთმობს თავისი ანალიტიკური ცენტრის „ნიკოლას ბერგრიუენ ინსტიტუტის" მუშაობას.

## ინგვარ კამპრადი

ცნობილი კომპანია „იკეას" დამაარსებელი, შვედი ინგვარ კამპრადი ცნობილია ტოტალური ეკონომიისა და ასკეტიზმის მიმართ სიყვარულით. „ფორბსის" მონაცემებით, კამპრადის კაპიტალი 3 მილიარდი დოლარია, ხოლო „ბლუმბერგის" ცნობით 43 მილიარდი დოლარი. ამის მიუხედავად, 86 წლის კამპრადი ეკონომ-კლასით დაფრინავს, იაფიან ტანსაცმელს ყიდულობს, ჰყავს ოც წელზე მეტი ხნის „ვოლვო", ჩერდება იაფფასიან სასტუმროებში და თავის ქვეშევრდომებს, ეკონომიის მიზნით, თაბახის ფურცლების ორივე გვერდზე წერას აიძულებს. 1976 წლიდან კამპრადი შვეიცარიაში ცხოვრობს, რადგან შვედეთში მდიდრები სპეციალურ გადასახადებს იხდიან. ინგვარ კამპრადი პლანეტის ყველაზე ცნობილი ძუნწი მილიარდერია.



## ბიძინა ივანიშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მსოფლიოს ყველაზე ექსცენტრიკული მილიარდერების რეიტინგში მოხვდა. ცნობილია, რომ ივანიშვილი პროფესიით ეკონომისტი და ინჟინერია, თავისი დიდძალი კაპიტალი კი მან რუსეთში დააგროვა. თავდაპირველად ის ტელეფონებითა და კომპიუტერებით ვაჭრობდა, შემდგომ დაკავდა მეტალურგიითა და საბანკო საქმით, ხოლო ბოლო წლებში პოლიტიკურ სარბიელზე გააქტიურდა და შექმნა კოალიცია „ქართული ოცნება", რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა. ივანიშვილი თბილისში, შუშის სასახლეში ცხოვრობს, რომელიც იაპონელმა არქიტექტორმა შინ ტაკამაცუმ დააპროექტა. მშობლიურ სოფელ ჭორვილაში კი, გავრცელებული ვერსიის თანახმად, ივანიშვილს კერძო ზოოპარკი აქვს, სადაც პინგვინები, ლემურები და ზებრები ბინადრობენ.

## კლაივ პალმერი

პლანეტის ერთ-ერთმა უმდიდრესმა ავსტრალიელმა, სამთო-მომპოვებელი კომპანიისა და ტურისტული კურორტების მფლობელმა კლაივ პალმერმა, 1912 წელს აისბერგთან შეჯახების შედეგად ჩაძირული „ტიტანიკის" ზუსტი ასლის აგება გადაწყვიტა. ახალი „ტიტანიკი" თავისი წინამორბედისგან იმით იქნება განსხვავებული, რომ აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკითა და თანამედროვე სანავიგაციო სისტემით, სხვა მხრივ კი, ზომებს ძველი ნახაზების მიხედვით დაიცავენ. მეორე „ტიტანიკს" უკვე აშენებენ ჩინეთში და მისი წყალზე გაშვება 2016 წელს იგეგმება. ცნობილია პირველი მარშრუტიც: ლონდონი – ნიუ-იორკი. გარდა ამისა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ პალმერი დინოზავრების კლონირებითაც არის დაკავებული, ზუსტად ისე, როგორც ეს ხდება სტივენ სპილბერგის გახმაურებულ ფილმში „იურიული პერიოდის პარკი."



## სერგეი პოლონსკი

სამშენებლო ბიზნესში ჩართული რუსი ოლიგარქი სერგეი პოლონსკი ერთ-ერთ ყველაზე ექსცენტრიკულ რუს ბიზნესმენად ითვლება. 2008 წელს მან პირობა დადო, რომ, თუკი მისი კომპანიის – „მირაქს გრუპის" მიერ აშენებული სახლების ფასი არ მოიმატებდა, ის პირდაპირ ეთერში ჰალსტუხს შეჭამდა. ფასებმა არ მოიმატა და პოლონსკის ჰალსტუხის ნაწილის შეჭმა მოუხდა. პოლონსკის არაერთხელ აქვს ნაჩვენები ჟურნალისტებისთვის საკუთარი თავის ტვინის ტომოგრაფია, რომ იგი ჯანმრთელია. პოლონსკის სახელთან დაკავშირებული სულ ბოლო სკანდალი ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე გახდა ცნობილი, კერძოდ, კამბოჯის პოლიციამ რუსი ოლიგარქი, მეგობრებთან ერთად, 31 დეკემბერს დააკავა კამბოჯელი მეზღვაურების შეურაცხყოფის გამო. როგორც ამბობენ, ისინი დანის მუქარით აიძულებდნენ მეზღვაურებს ნავიდან გადახტომას.

## გერმან სტერლიგოვი

რუსი მეწარმე, პირველი რუსული სავაჭრო ფონდის დამაარსებელი და მულტიმილიონერი გერმან სტერლიგოვი, 2004 წელს, ყველასთვის მოულოდნელად, ოჯახთან ერთად სოფელში გადავიდა საცხოვრებლად და სოფლის მეურნეობით დაკავდა. სტერლიგოვი ხის სახლში ცხოვრობს, არ იპარსავს წვერს, ქალებს უკრძალავს შარვლის ჩაცმას, უარყოფითი რეაქცია აქვს ნაძვის ხისა და აბორტების მიმართ. მისი აზრით, მსოფლიო არასწორი კალენდრით ცხოვრობს და მიაჩნია, რომ იესო ქრისტე დადგენილ თარიღთან შედარებით 8 წლით გვიან დაიბადა. საკუთარ თავს სტერლიგოვი მორწმუნე მართლმადიდებლად მიიჩნევს, თუმცა, ყველა სასულიერო პირს ერეტიკოსად თვლის. სოფელში სტერლიგოვი თავის მიერვე მოჭრილ ფულზე იძენს პროდუქტებს – საქმე ისაა, რომ მონეტები ბაჯაღლო ოქროსგან არის მოჭრილი.

**უშანგი რუხაძე**

**ციხიდან გათავისუფლებული ცოტნე გამსახურდია მკურნალობის აქტიურ კურსს გადის. შერყეულ ჯანმრთელობას არ „ნებდება" – ვარჯიშობს, წერს, მუშაობს. როგორც თავად ამბობს, 40 წლის ასაკში ცხოვრების თავიდან დაწყება უწევს და ამ გზას მარტო შეუყვა, მაგრამ, იმ განსაცდელებმა, რაც მას საკმაოდ ბევრჯერ ერგო, თავადაც შეცვალა და მისი ცხოვრების წესიც.**

# როგორ გაატარა ცოტნე გამსახურდიამ გადასახლებაში რამდენიმე წელი და რით შემორჩა მის ბავშვობას ჩასახლება უდაბურ საზღვარზე

**– ცოტნე, როგორ ხარ როგორია შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა ციხიდან გათავისუფლების შემდეგ?**

– ვმკურნალობ, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა ცოტა გაუმჯობესდა, მაგრამ, კიდევ დიდხანს მომიწევს მკურნალობის კურსის გაგრძელება, ალბათ, მაისში ოპერაციასაც გავიკეთებ. ამჟამად ღვიძლს ვმკურნალობ და არსებული მდგომარეობით ამ კურსის გაგრძელებაც მომიწევს. ციხიდან რომ არ გავთავისუფლებულიყავი, ჩემი ფიზიკური მდგომარეობით მაქსიმუმ წელიწად-ნახევარი გამეძლო; ასე რომ, შეიძლება ითქვას, მიხეილ სააკაშვილის დამარცხებამ სულზე მომისწრო.

**– დღეს შენი მდგომარეობა აქტიური ცხოვრების საშუალებას გაძლევს?**

– ვერ ვიტყვი, რომ ცხოვრების პასიური რეჟიმი მაქვს, პირიქით, როგორც ვახერხებ ვმუშაობ. მოგეხსენებათ, მწოლიარე მდგომარეობაში წერა მთლად მოხერხებული არ არის, მაგრამ, საბედნიეროდ, არის ტექნიკური საშუალებები, რაც მეხმარება, რომ გავაუმჯობესო მუშაობის პროცესი. რაც ციხიდან გამოვედი, შეძლებისდაგვარად ვესწრები სხვადასხვა ღონისძიებას, კონფერენციებს, რომლებიც იმართება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და ეძღვნება პოლიტიკური პატიმრების, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისადმი მიძღვნილ თუ სხვა საინტერესო თემებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ ვახერხებ დარჩენას, რადგან, დიდხანს დგომა ძალიან მიჭირს.



**არ მაქვს ტიპური, ეგრეთ წოდებული „გრუზინული" მენტალიტეტი, ამისგან შორს ვარ**

**– როგორია ახალ პოლიტიკურ რეალობაში პოლიტიკური პარტიების „მოთხოვნა" საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილზე?**

– ეს უკვე ჩემზე იქნება დამოკიდებული. საბაზრო ურთიერთობის პრინციპით ვერ შევხედავ ამ საკითხს, რადგან, საქონლად არ მივიჩნევ საკუთარ თავს, რაც დღეს ქართულ პოლიტიკაში მიღებულია. იმის მიუხედავად, რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, ყოველთვის მქონდა შეხება პოლიტიკასთან, ეს სფერო ჩემთვის დიდად მომხიბლავი არასდროს ყოფილა, თუმცა, მყავს ამ სფეროში ბევრი ახლობელი. დღემდე მაქვს მეგობრული ურთიერთობები როგორც ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკოსებთან, ასევე, ხელისუფლების გარეთ დარჩენილ პოლიტიკურ ძალებთან. მაქვს მათთან ურთიერთთანამშრომლობა აზრთა გაცვლა-გამოცვლის სახით; უფლებადაცვის კუთხით ვთანამშრომლობ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან და კმაყოფილი ვარ იმ პროცესებით, რაც იქ ვითარდება.

**– უცხოეთში ხომ არ აპირებ წასვლას საცხოვრებლად?**

– წინასწარ დარწმუნებით არაფრის თქმა არ ღირს, რადგან, არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები შენს ცხოვრებაში, თუმცა, ამ ეტაპზე საცხოვრებლად სხვაგან წასვლის გეგმა არ მაქვს. ბევრი წელი მაქვს გატარებული სხვა ქვეყნებში და ვიცი, როგორი რთულია ეს. 40 წლის ასაკში მამაკაცისთვის ცხოვრების კიდევ ერთხელ თავიდან დაწყება არაა იოლი. მე ეს ბევრჯერ გამიკეთებია და, დღესაც, ფაქტობრივად, თავიდან ვიწყებ ყველაფერს. მე ადრეც მითქვამს, რომ მარტო კაცი ვარ, აღარც ჯანმრთელობა მაქვს, აღარც სურვილი და აღარც შესაძლებლობა, რომ სხვაგან დავიწყო ცხოვრება თავიდან.

**– მარტო კაცი ვარო, ამბობ. არ გიჭირს ასე ცხოვრება?**

– როგორ გითხრათ... ამას უკვე მიჩვეული ვარ. ერთ-ერთ მწერალს აქვს ნათქვამი: მარტოობა თავიდან გაუსაძლისია, შემდეგ ეგუები, მერე კი მის გარეშე გიჭირსო. მარტოობაში ყველაზე რთული, ალბათ, იმ სტერეოტიპთან და ფობიებთან „გამკლავებაა", რაც ჩვენი აღზრდიდან და ცხოვრების წესიდან მოგვყვება. ეს დიდი ხნის წინ გადავლახე, თუმცა, მარტოობას თავისი პლუსებიც აქვს, ინდივიდუალისტური ცხოვრების წესისთვის მარტო ყოფნა ყველაზე კარგი ვარიანტია, რადგან, ინდივიდუალურად ახერხებ შენი ცხოვრების ორგანიზებას. ჯერჯერობით, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, მაინც ვახერხებ საკუთარი თავის მოვლას, ყველაფრით თავად უზრუნველვყოფ საკუთარ თავს.

**– ოჯახი არ დგას შენ გვერდით?**

– მე ოჯახი არ მყავს, არავითარი ურთიერთობები არ მაქვს ამ ადამიანებთან და ამაზე საუბარიც კი არ მინდა. ამის მიუხედავად, ცხოვრებას შავ-თეთრ ფერებში არ ვუყურებ. ვიღაც მოდის ჩემთან, ვიღაც – არა, ვიღაცას არც ვთხოვ არაფერს. ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს ჩვენს ცხოვრებაში. არსებობენ ადამიანები, ვისთანაც განსაკუთრებით ახლოს ვარ, მაგრამ, მე მაინც მირჩევნია, მარტო გავუმკლავდე ცხოვრებისეულ სირთულეებს.

**– ორი შვილი გყავს. გაქვს ურთიერთობები მათთან და ყოფილ ცოლებთან?**

– ჩემი უმცროსი შვილი, 5 წლის დანიელი და დედამისი მოსკოვში ცხოვრობენ. ის ყოფილი მეუღლე არაა, მოქმედი მეუღლეა, ის ზრუნავდა ჩემზე, როდესაც ციხეში ვიყავი. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და ჩვენც ცალ-ცალკე მოგვიწია ცხოვრება. მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვინც ასე ცხოვრობს. პერიოდულად ისინი ჩამოდიან ხოლმე ჩემთან. მე თვითონ წინააღმდეგი ვარ, რომ მოსწყდნენ იქაურ ჩვეულ გარემოს, ცხოვრების წესს და აქ ჩამოვიდნენ. მე თვითონ არ ვიცი, როგორ განვითარდება ჩემი ცხოვრება უახლოეს მომავალში – ერთი წელი მაინც მჭირდება, რომ წესიერად ფეხზე დადგომა შევძლო. რაც შეეხება ჩემი მეორე შვილის დედას, ის ქალი არასდროს ყოფილა ჩემი მეუღლე, ის კი ამბობს ამას, მაგრამ, ეს ასე არაა. რამდენ ქალთანაც გამივლია, ყველას რომ მეუღლე ვუწოდო, კარგა დიდი ჰარამხანა გამოვა *(იცინის)*.

**– შენი ცხოვრება ყოველთვის ხმაურიანი იყო, ეხვეოდი უამრავ ინციდენტსა და ისტორიაში. ახლა როგორ ცხოვრობ? ძალიან შეცვლილი ჩანხარ.**

– ყველაფერი იცვლება ამ სამყაროში. არავინ თქვას, რომ ის ისეთივეა, როგორიც იყო ერთი წლის წინ. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს გარემო – ამ ქალაქში პირველად ვგრძნობ თავს უსაფრთხოდ. რაც შეეხება იმას, რომ არასასიამოვნო ინციდენტებში ვხვდებოდი, მე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება მიწევს გამკლავება ისეთ სიტუაციებთან, როცა სახელმწიფოს სახელით თუ კერძო ინტერესით მოქმედი პირები ცდილობდნენ ჩემს დაჩაგვრას, იმიტომ, რომ ხელისუფლებასთან ვიყავი დაპირისპირებული. ამით ცდილობდნენ, შეჰკედლებოდნენ სისტემას, ვინმესთვის სიამოვნება მიენიჭებინათ, ეს ადამიანურ, პრივატულ ისტორიებშიც გამოიხატებოდა ხოლმე. ისეთი პერიოდიც იყო, როცა სისტემასთან არ ვყოფილვარ დაპირისპირებული, მაგრამ, მომყვებოდა სახელი-გვარი, წარმომავლობა და, შესაბამისად, ვიღაცეებს უჩნდებოდათ სურვილი, ჩემთვის ზიანი მოეყენებინათ. მეც ვცდილობდი, რომ არავისთვის დამეჩაგვრინებინა თავი. მაინცდამაინც ის რომ გახსენდებათ, ვიღაცას მოგიერიების დროს რომ ცხვირი გავუტეხე, ისიც გაიხსენეთ, რამდენი პროვოკაცია იყო ჩემი მისამართით: მამა მომიკლეს, სახლ-კარი გამიძარცვეს, 200 ნაკერი მადევს ტანზე, – ვინმემ ამისთვის ვინმეს მოჰკითხა პასუხი?!

**– და, გამსახურდიების რთული ბუნება არ განსაზღვრავდა თქვენს ბედს?**

– მე არ მჯერა ამის, შეხედულებები და აზრები გენეტიკურად არ გადადის. ჩემი ცხოვრების ნახევარი, თითქმის ოცი წელიწადი, მარტომ გავატარე, რომელ კლიშეებზე და სტერეოტიპებზე შეიძლება ლაპარაკი?! ჩემი თავი მე თვითონ გავზარდე; უამრავი კომპლექსის, ფობიის დაძლევა მომიხდა ამ წლებში, მაგალითად, მქონდა შიში მარტოდ დარჩენის, ჩვეული ადამიანური ურთიერთობების დანგრევის. ჩვენი კულტურულ-ისტორიულ-რელიგიური გარემო და აღზრდა სულ სხვა წარმოდგენებს გვიყალიბებს და გვახვევს თავზე, რეალური ცხოვრება კი აბსოლუტურად სხვანაირია. მეც ვუყურებდი სამყაროს კლიშეებით მანამ, სანამ ეს კლიშეეები ნგრევას დაიწყებდა. ჩემთვის თითქმის ყველაფერი საბოლოოდ დაინგრა გლდანის ციხეში, დაინგრა ის, რაც უკავშირდებოდა კონსერვატიულ ღირებულებებს. მე არ მაქვს ტიპური, ეგრეთ წოდებული „გრუზინული" მენტალიტეტი, ამისგან შორს ვარ.

მივხვდი, რომ ეს კლიშეები არ მუშაობს, დავინახე, როგორ იქცევა ტიპური, „საშუალო სტატისტიკური" ქართველი კაცი. ეს ადრეც ნანახი მქონდა, სამოქალაქო ომის პერიოდში, თუმცა, მაშინ, ჩემი ასაკიდან გამომდინარე, აღქმა სხვანაირი იყო, მაგრამ, ალბათ, უფრო მძაფრიც კი.

**– ამ სტერეოტიპებთან ერთად, საგზლად ხომ პირველი პრეზიდენტის შვილის სტატუსიც გერგო...**

– მე არავისგან არაფერი არ მერგო საგზლად. ეს ისაა, რისი შეცვლაც არ შეგვიძლია, მაგრამ, ყველაფერი დანარჩენი მაინც ჩვენს ხელშია. არასდროს მიფიქრია იმაზე, სხვა ოჯახში რომ დავბადებულიყავი, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება... ცხოვრების დიდი ნაწილი სხვა სახელითა და გვარებით მაქვს გატარებული, ჩემთვის ეს სახელი და გვარიც მეორადია. ჩემი ცხოვრება უზრუნველი არ ყოფილა, 2-3 წლის ვიყავი, როცა გადასახლებაში წავედით – სადღაც, დაღესტნისა და ყალმუხეთის საზღვარზე. ჩვენ ვცხოვრობდით ჩასახლებაში, ახლომახლო სოფელიც არ იყო. იყო არტეზიული ჭა, იმისთვის, რომ წყალი გვქონოდა; ვცხოვრობდით მიწურ სახლში. პატარა ვიყავი და

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

**იაპონია... ღრმა, მიუწვდომელი, შორეული, ბუნდოვანი და საოცრად მიმზიდველი. იაპონური ლიტერატურა, კინო თუ თეატრალური ხელოვნება სულიერებით სავსეა, მათ ყველაფერი ხელოვნების დონეზე აჰყავთ, სექსიც კი, რომელსაც, მათდამი პატივისცემის ნიშნად, კულტუროლოგ ნინო გოგავასთან ერთად, „ალერსის ხელოვნება“ დავარქვით.**

# რატომ ითვლებოდა იაპონიაში ყოფილი გეიშა სასურველ საცოლედ და როგორ ანიჭებდნენ მამაკაცებს უმაღლესი დონის სიამოვნებას ისინი

**ნინო გოგავა**: იაპონელებისთვის ყველაფერი სულიერია – ყვავილები, მცენარეები... და ეს რელიგიიდან მოდის. იაპონელებს მიაჩნიათ, რომ სიყვარული, ალერსი, მათ ღმერთებმა ასწავლეს და ეს ფილოსოფია შინტოიზმიდან მოდის. ღმერთებს კი სიყვარული ჩიტებმა ასწავლეს – ისინი ისე თბილად ეფერებიან ერთმანეთს, რომ ღმერთებმა ეს თავისთვის გადმოიღესო. აღმოსავლეთში სექსს სულ სხვა დატვირთვა აქვს ევროპელებისგან განსხვავებით, რომელთათვისაც სექსი თითქოს სპორტის დონეზეა მისული. იაპონიაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩაკეტილი იყო დანარჩენი მსოფლიოსგან, სექსთან დაკავშირებული ტრადიციები თავიდან ბოლომდე შენარჩუნდა. ამ ქვეყანამ მოახერხა, იყოს საოცრად ტრადიციული და, ამავდროულად, სუპერთანამედროვე. უზომოდ დიდ შრომისმოყვარეობასთან ერთად, ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გართობას, რაც უკავშირდება როგორც დალევას (ეს იაპონელებს ძალიან უყვართ), ისე სექსუალურ თავგადასავლებს.

**– და, ამავდროულად, მიდრეკილები არიან სუიციდისკენ.**

– დიახ, ესეც მათი რელიგიიდან მომდინარეობს, რომელიც აიძულებს, რაც შეიძლება მეტად ჩაუღრმავდეს ადამიანი საკუთარ თავს, არსს. რა არის იკებანა? ყვავილების სულში ჩახედვა, რომელიც საშუალებას მოგცემს, შექმნა რაღაც განსაკუთრებულად ლამაზი. ასე არის ქვის ბაღები, ასევეა ჩაის დალევის ცერემონიალი და, რა თქმა უნდა, გეიშებიც.

**– რას ნიშნავს გეიშა?**

– სიტყვა ორი იეროგლიფისგან შედგება: „გეი“ ნიშნავს „ტალანტს“, „ნიჭიერებას“, მეორე ნაწილი კი – შია, რომელიც იაპონურად ჟღერს როგორც „სია“ – ნიშნავს „ადამიანს“. ანუ, გეიშა – ნიჭიერი ადამიანი. ეს იყო მაღალ დონეზე განათლებული ქალი, რომელსაც შეეძლო საინტერესო საუბარი, სიმღერა, ცეკვა, დაკვრა მუსიკალურ ინსტრუმენტზე, აუცილებლად უნდა სცოდნოდა იკებანა, ჩაის ცერემონიალი ყველა წესის დაცვით. მას არა მარტო უნდა გაერთო და უმაღლესი სიამოვნება მიენიჭებინა მამაკაცისთვის, არამედ, ის უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აეყვანა. იაპონიაში ძველად ქალი იყო აბსოლუტურად უუფლებო. კაცს ყველაფრის უფლება ჰქონდა, ქალი კი მონის მდგომარეობაში იყო, რომელიც ქმარს თქვენობით მიმართავდა, თავი სულ დახრილი უნდა ჰქონოდა და მორჩილებაში ყოფილიყო. მათი ფილოსოფია იყო – „მამაკაცს ეცი პატივი და ქალი გძულდეს“. ცოლი ნაკლებად მოჰყავდათ სიყვარულით, ეს გარიგებით ხდებოდა. სიყვარულსა და სიამოვნებას რაც შეეხება, ამას მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან იღებდნენ.

**– მითია თუ რეალობა გეიშების ზურგზე დამაგრებული ლეიბებთან დაკავშირებული გადმოცემა, თითქოს ისინი ვალდებული იყვნენ, მამაკაცისთვის სიამოვნება მიენიჭებინათ ნებისმიერ ადგილას?**

– გეიშები იყვნენ რანგებად დაყოფილი. მეჩვიდმეტე საუკუნიდან ქვეყნის მორალურ-ეთიკური პრინციპები აიგო კონფუციანიზმზე, რომლის მიხედვითაც, სავალდებულო იყო ოჯახის პატივისცემა, მაგრამ, ამასთანავე, მამაკაცი იყო მამა, ქმარი, რომელიც ყველაფერს განაგებდა ოჯახში, დამოუკიდებლად იღებდა ყველა გადაწყვეტილებას და, ამავდროულად, მას ენიჭებოდა თავისუფლება სიყვარულში. ამ პერიოდიდან პროსტიტუცია სახელმწიფოსგან დაშვებული იყო და ხელსაც უწყობდა, რომ აშენებულიყო მხიარული კვარტლები, სადაც მამაკაცები გართობას შეძლებდნენ. იყო ჩაის სახლები, სადაც რეალურად ხდებოდა გოგოების არჩევა. რაც შეეხება გეიშების ისტორიას: რაღაც ასაკში, გაჭირვებული ოჯახის უფროსს თავისი შვილი ან ცოლი მიჰყავდა საროსკიპოში და ათწლიანი ხელშეკრულებით მას იქ ტოვებდა. პირველი და ბოლო წელი არ ეთვლებოდა, ანუ, გეიშა ვალდებული იყო, თორმეტი წელიწადი დარჩენილიყო იმ ადგილას. გეიშას მომსახურე გოგოს „მაიკო“ ერქვა და სწორედ მაიკო იყო პირველი საფეხური გეიშას ცხოვრების გზაზე. ადრეულ პერიოდში მაიკოები 7 წლიდან იწყებდნენ სწავლას, მომსახურებას კი – 11 წლიდან. 15 წლის ასაკში უტარდებოდათ ეგრეთ წოდებული ინიციცია, რომლის შემდეგაც ისინი იღებდნენ სახელს, რომელიც მისი უფროსი გეიშას სახელის ნაწილი უნდა ყოფილიყო. მაიკო ამ დროისთვის უკვე შესაფერისი ვარცხნილობითა და კიმონოთი დადის. ამ ადამიანებთან ყველაფერს მნიშვნელობა ჰქონდა: ვარცხნილობას, მარაოს მოძრაობას, კიმონოს ხარისხს, ფერებს. რაც უფრო ზემოთ იწევდა ვარცხნილობა, ეს ნიშნავდა, რომ მაიკოც ახალ საფეხურზე ადიოდა. მაიკოს ჰქონდა მხოლოდ ზედა ტუჩის შეღებვის უფლება, ხოლო გეიშა ორივე ტუჩს წითლად იღებავს.



**ამ პერიოდიდან პროსტიტუცია სახელმწიფომ ოფიციალურად დაუშვა და ხელსაც უწყობდა, რომ აშენებულიყო მხიარული კვარტლები, სადაც მამაკაცები გართობას შეძლებდნენ**

**– საიდან იწყება გეიშების ისტორია?**

– გეიშები მოდიან კაბუკის თეატრიდან, სადაც თამაშობდნენ ქალები, რომლებმაც პირველად ჩაიცვეს კიმონოები საცვლების გარეშე. მარაოებით ცეკვის დროს მათ შიშველი ფეხი და მკერდი მოუჩანდათ, რაც სექსუალურ ფანტაზიებს აღძრავდა. მოგვიანებით სახელწიფომ თეატრში ქალების მონაწილეობა საერთოდ აკრძალა და აქედან იწყება გეიშების ისტორია. მამა, ქმარი ან ძმა, რომელიც მხიარულ კვარტალში გოგონას მიიყვანდა, გეიშას გასამრჯელოს თავად იღებდნენ, ხოლო თავად გეიშას მფარველები ჰყავდა, რომლებიც მას აცხოვრებდნენ. მხიარულ კვარტლებში ამათი საცხოვრებლები მაღალი კედლით იყო შემოსაზღვრული და მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა. კედლის მიღმა წყლის არხი გადიოდა, რათა ვინმე არ გაქცეულიყო, კლიენტი გადახდის გარეშე არ გაპარულიყო ან კართან იდგა ორი ტირიფი, რაც პროსტიტუციის სიმბოლოა. თვითონ ქუჩებში იდგა ძალიან ბევრი საკურა – ალუბლის ხე, რომ საზოგადოების მხატვრებისთვის, პოეტებისთვის, მწერლებისთვის, რომლებიც იმ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მაქსიმალურად ლამაზი გარემო შეექმნათ, რათა ბოჰემურ ნაწილს ამ ადგილების იდეალიზება მოეხდინა. თავისი ვიზუალითაც, გეიშები მაქსიმალურად ხაზს უსვამდნენ სინატიფეს, მორჩილებას, ბავშვურ უცოდველობას, რისთვისაც იყენებდნენ ბრინჯის ფქვილს, წარბებისა და ტუჩების მოყვანილობას. ამ კვარტლიდან გასვლის უფლება მათ არ ჰქონდათ. გეიშები, კურტიზანი ქალები და მეძავები ერთად ცხოვრობდნენ. დაბალი დონის კურტიზანები ცალკე საუბრის თემაა – შესაძლოა, მათ მართლაც ამ მიზნით დაჰქონდათ ლეიბი კიმონოთი, ეს გამორიცხული არ არის, რადგან, ისინი ძალიან დაბალ საფეხურზე იდგნენ გეიშებთან შედარებით, ისევე როგორც მომღერალი-მონაზონი ქალები, რომლებიც საპორტო ქალაქებში იყვნენ და პირდაპირ გემებსა და ნავებზე ამყარებდნენ სქესობრივ კავშირს კლიენტებთან. ჩაცმულობის მიხედვითაც სერიოზული განსხვავებები იყო მათ შორის. დაბალი დონის კურტიზანს ეცვა იაფფასიანი კიმონო, რომელიც თხელი ქამრითა და მარტივი კვანძით იკვრებოდა წინ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას ხშირად უწევდა მისი გახდა-ჩაცმა, მაშინ, როცა გეიშას ჰქონდა რამდენიმეფენიანი, ყელამდე დახურული ძვირად ღირებული კიმონო, რომლის ფასი დღესაც კი, საშუალოდ, ხუთი ათასი დოლარიდან იწყება. გეიშა კიმონოს სქელი ქამრითა და ძალიან რთულად შესაკრავი კვანძით უკან იმაგრებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი გახდა შეუძლებელი იყო, თუ მაიკო ან კლიენტი მამაკაცი თავად არ მოემსახურებოდნენ. კიმონოს გახდაც დიდ სექსუალურ რიტუალად მიაჩნდათ. საერთოდ, ძალიან ძვირფას საჩუქრად ითვლებოდა, თუ გეიშა თავის მფარველს თავისი ხელით შეკერილ ან მოქარგულ ნივთს აჩუქებდა. ცნობილია, რომ ოჯახის მრეცხავი ქალები ხშირად აღმოაჩენდნენ ხოლმე ოჯახის უფროსის საცვლებზე დაქარგულ სექსუალურ ნახატებს, სადაც თავად ის და მისი გეიშა იყვნენ გამოსახულნი. სამოსის შიგნით მამაკაცები ასეთ საცვლებს ატარებდნენ. კურტიზანები ფეხშიშველები დადიოდნენ; მხოლოდ მაღალი დონის კურტიზანს, რომელიც ახალი მოდის შემომტანი იყო, შეეძლო, ფეხზე დაწნული საბო ჩაეცვა.

**– რა ასაკიდან ემსახურებოდნენ გოგონები მამაკაცებს?**

– 18 წლიდან მათ უკვე აქვთ მფარველის ყოლის უფლება, 20 წლიდან კი ტარდება ეგრეთ წოდებული ერიკაეს ცერემონიალი, როდესაც ტუჩების წითლად შეღებვის უფლებას აძლევენ.

**– თითქოს ბავშვურ სილამაზეს ეძებდნენ მათში...**

– არ მინდოდა ამ თემაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ, ბოლო პერიოდშიც კი ხშირია, როდესაც სკოლის მოსწავლის ფორმას აცმევენ კურტიზანს და ისე ცხოვრობენ მათთან. საერთოდ, იაპონიაში, მიუხედავად აკრძალვისა, ძალიან მაღალ დონეზეა განვითარებული სექსუალური ინდუსტრია და ქუჩაში უკვე 12-13 წლის ბავშვებიც კი დგანან. ისეთი რაოდენობის სექსუალური კომიქსები, ჟურნალები გამოდის, როგორც არსად მსოფლიოში. მამაკაციც თავის სოციალურ საფეხურს ხაზს გეიშასთან ურთიერთობით უსვამდა და ყოველთვის ხდებოდა ამის აფიშირება.

**– მაიკოსთან პირველი ღამე, ალბათ, ძალიან ძვირი ღირდა.**

– რა თქმა უნდა, აუქციონებიც კი იმართებოდა, სადაც მიმდინარეობდა მამაკაცებს შორის ვაჭრობა, თუ ვის ექნებოდა მასთან პირველი ღამე.

**– ქალიშვილობის თემა რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვეულებრივ ქალებში?**

– ეს მნიშვნელოვანი იყო, მით უმეტეს, რომ ქალები საკმაოდ ახალგაზრდები თხოვდებოდნენ. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქალს ძირითადად სახლში ტოვებდნენ და მასთან სექსუალურ კავშირს მამამთილი ან ქმრის ძმა ამყარებდა.

**– გეიშები დღესაც არსებობენ?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ, უფრო სახეშეცვლილი ფორმით – ეს უფრო თეატრალიზებული სანახაობაა. უცხოელებიც ხშირად სტუმრობენ ამ ადგილებს, რაც ძალიან ძვირი ღირს – იწყება დაახლოებით ორი ათასი დოლარიდან და ზემოთ და ზემოთ ადის – გეიშების ცხოვრება საკმაოდ

**(გაგრძელება 53-ე გვერდზე)**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
> **ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: სასამართლოს მიერ გამოტანილია ჩემს მიმართ გადაწყვეტილება, რომლითაც დამეკისრა თანხის გადახდა. აღმასრულებელმა მოგვმართა წინადადებით და მთხოვა, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ვალდებული ვარ თუ არა, აღმასრულებელს მივაწოდო ინფორმაცია ქონებრივი მდგომარეობის შესახებ? რა ხდება არასწორი ან არასრული ინფორმაციის წარდგენისას?**

**პასუხი:** მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოვალე ვალდებულია, აღმასრულებელს წარუდგინოს ქონებრივი ნუსხა. თუ მოვალე აღმასრულებელს, მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში, არ წარუდგენს ქონების ნუსხას, ან უარს ამბობს წერილობითი გარანტიის მიცემაზე, ან შეგნებულად წარუდგენს არასწორ ინფორმაციას, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, კერძოდ, კი მოეთხოვება პასუხი აღმასრულებლისთვის ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობისთვის.

**კითხვა: ბინა იპოთეკით გვაქვს დატვირთული რამდენიმე იპოთეკარის სასარგებლოდ, ბინის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. როგორ მოხდება აუქციონზე ამოღებული თანხის განაწილება?**



**პასუხი:** მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება თითოეული კრედიტორის მოთხოვნის პროპორციულად.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ გადაწყდება საკითხი, თუ აღმოჩნდება და დადგინდება, რომ მაღალი თანამდებობის პირს საკუთრებაში აქვს ქონება, რომლის შეძენის ფინანსური დასაბუთება, მისი შემოსავლიდან გამომდინარე, შეუძლებელია?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, თანამდებობის პირი, თუ საქართველოს კონსტიტუციით ან ორგანული კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უნდა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდება, რომ თანამდებობის პირის მფლობელობაშია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, კონკრეტულად რა სახის აკრძალვები ვრცელდება პირზე მას შემდეგ, რაც იგი ინიშნება სახელმწიფო სტრუქტურებში გარკვეულ თანამდებობაზე და რისი უფლება არ აქვს თანამდებობის პირს?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ თანამდებობის პირს უფლება არ აქვს, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან სახაზინო საწარმოში, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. თანამდებობის პირს (მისი ოჯახის წევრს) უფლება არ აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა ან ასრულებდეს რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება. თანამდებობის პირს უფლება არ აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში. თანამდებობის პირს (მისი ოჯახის წევრს) უფლება არ აქვს, ფლობდეს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება. თანამდებობის პირს უფლება არ აქვს, იყოს რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენელი ან რწმუნებული, ან განახორციელოს წარმომადგენლობა ან დაცვა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში რომელიმე სახაზინო დაწესებულების წინაშე ან წინააღმდეგ, იმ შემთხვევის გარდა, როცა ის არის ამ ფიზიკური პირის მეურვე ან მზრუნველი.

**კითხვა: მაინტერესებს და გთხოვთ, მიპასუხოთ, ვის ეკუთვნის ის 20-ლარიანი ვაუჩერი, რომელსაც თბილისის მერია გამოყოფს დენისა და დასუფთავების გადასახადის დასაფარავად თბილისში მცხოვრები თითოეული ოჯახისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც ბინა გაქირავებულია – ბინის მეპატრონეს თუ ბინაში მცხოვრებ მდგმურს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ თბილისის მერია თანხას გამოყოფს თითოეული ბინის მესაკუთრის ოჯახისთვის დენისა და დასუფთავების გადასახადის დასაფარავად. შესაბამისად, თუ ბინა გაქირავებულია, მერიის მიერ დახმარების სახით გამოყოფილი დენისა და დასუფთავების გადასახდელი თანხა ეკუთვნის ბინის მესაკუთრეს.

---

# როგორ გაატარა ცოტნე გამსახურდიამ გადასახლებაში რამდენიმე წელი და რით შემორჩა მის ბავშვობას ჩასახლება უდაბურ საზღვარზე

**(მეთოთხმეტე გვერდიდან)**

ეს ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვს. მერე იყო ხანმოკლე პერიოდი, როცა მამა პრეზიდენტი იყო, მაგრამ, მე არასდროს მიყვარდა რაიმეს აფიშირება პირადი მდგომარეობიდან გამომდინარე, არც ის მიფიქრია, რომ რაიმეთი მეტი ვიყავი გარშემო მყოფებზე და ამის გამო დისტანცია უნდა მქონოდა ადამიანებთან. შეძლებისდაგვარად, მახსოვდა მამია გურიელის სიტყვები: „არ დაივიწყო, რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი".

**– ალბათ, ბევრ ცდუნებასაც გიყენებდა ცხოვრება.**

– კი, როგორ არა, ძალიან ბევრჯერ ჩამიდგამს ფეხი ხაფანგში; მეტსაც გეტყვით, ერთსა და იმავე ხაფანგშიც ბევრჯერ გავბმულვარ. ეს მხოლოდ ზღაპრებშია, როცა ერთსა და იმავე ადგილას ორჯერ არ წაიქცევი ***(იცინის).*** კარგიც ბევრი ვნახე და ცუდიც და, შესაძლოა, ვთქვა, რომ სწორედ ამიტომაც, საკმაოდ ძვირი ფასი გადავიხადე იმაში, რომ დღეს, საკუთარი გამოცდილებით, ვიცი კარგისა და ცუდის განსხვავება. დღეს მეტი ინფორმაცია და გამოცდილება მაქვს, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღო.

**– და, როდესაც „მარტო კაცს", როგორც უწოდებ საკუთარ თავს, ადამიანურად გიჭირს, რა გზას ადგები? რა არის ყველაზე კარგი რელაქსი შენთვის?**

– მე იშვიათად ვარ ცუდ ხასიათზე, არ მჭირდება დამატებითი საშუალებები იმისთვის, რომ საკუთარ მდგომარეობას გავუმკლავდე. არსებობს ფსიქოლოგიური თუ სხვა ტიპის მეთოდები, თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ მეთოდიკების გამოყენება უკვე არის დამატებითი მიჯაჭვა ნეგატიურ მდგომარეობაზე. სასტიკად ნეგატიური დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა სხვადასხვა დამამშვიდებელი საშუალებისა თუ ალკოჰოლის მიმართ. ჯერ ერთი, ეს ჩემი ჯანმრთელობისთვის არის სახიფათო, მეორეც თუ ამ დაავადებას მოვირჩენ, მაინც არასდროს დავაპირებ, გავეკარო ალკოჰოლს, რომელიც რეალობის შეგრძნებას გაკარგვინებს. მე გავიგე ფხიზელი გონების ფასი და, რომ მაიძულონ, ველარ შევძლებ ამის შეცვლას. წარსულის გამოცდილებით ჩვენ ყველას გვაქვს გამომუშავებული ის, რითაც ვუმკლავდებით სიძნელეებს; მე, მაგალითად, ძალიან მსიამოვნებს წიგნთან ურთიერთობა, ბუნებაში ყოფნა, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ამას ხშირად ვიყენებ. მსიამოვნებს ადამიანებთან ურთიერთობა, როცა ამის საშუალება მაქვს. ვცდილობ, ვიცხოვრო აქ და ახლა, არ ვფიქრობ წარსულზე, მომავალზე, შეიძლება, გააკეთო ანალიზი, მაგრამ, ვერასდროს წარმოიდგენ, როგორ განვითარდება შენი ცხოვრება; ამიტომაც, არ უნდა მიეჯაჭვო გონების პროექციებსა და ფანტაზიებს, რაც მხოლოდ ფანტაზიად რჩება და მეტი არაფერი. ამ მიდგომამ სიტყვა „დეპრესიის" მნიშვნელობაც კი დამავიწყა – აღარც კი მახსოვს, ამ ყველაფერმა ბოლოს როდის შემაწუხა...

**თამუნა სამადაშვილი**

# კერძო სკოლა „სინათლე" 10 წლისაა

**თბილისში მომრავლებული კერძო სკოლები და მათგან შემოთავაზებული პირობები ზოგჯერ თავგზას უბნევს მშობელს და ველარ გადაუწყვეტია, სად მიიყვანოს ბავშვი. არჩევნის გაკეთებაში დაგეხმარებათ ჩვენი რუბრიკა „ცოდნის კერა", რომელშიც მათი მუშაობისა და სწავლების შესახებ გესაუბრებით. დღევანდელი ნომრის სტუმრები არიან სკოლა „სინათლის" დირექტორი გოჩა ლომიძე და მისი მეუღლე, დირექტორის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში – ზაირა კაპანაძე:**

**– ბატონო გოჩა, როდის გაჩნდა სკოლის შექმნის იდეა და გაართვით თავი ჩანაფიქრს?**

**გოჩა ლომიძე:** პროფესიით პედაგოგი გახლავართ, ფიზიკა-მათემატიკა-ასტრონომიის განხრით. წლების განმავლობაში ვმუშაობდი მასწავლებლად და კარგად ვიცი სკოლის სპეციფიკა, იქ არსებული სიტუაცია. აგრეთვე, 2002-2003 წლებში განათლების სამინისტროში ერთ-ერთი სამმართველოს ინსპექტორი ვიყავი, რომელსაც საქართველოს მასშტაბით ევალებოდა სკოლების მონიტორინგის განხორციელება. სწორედ ამ პერიოდში გამიჩნდა საკუთარი სკოლის გახსნის იდეა და ავიღე ლიცენზია. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად 8 მოსწავლე გვყავდა და ვიყავით პატარა შენობაში, მაგრამ, დროთა განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობამ სკოლის გაფართოება და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება მოითხოვა. დღეს გვყავს 160 მოსწავლე, რაც, თავისთავად, სწავლების კარგ შედეგზე მიუთითებს.

**– რა არის თქვენი პრიორიტეტები?**

– ჩვენთან ყველაფერი გამჭვირვალე და მისაღებია: **ინდივიდუალური და პროფილური სწავლება; ეკოლოგიური და დაცული გარემო; ნათელი, თანამედროვე ლაბორატორია; გახანგრძლივებული დღის ჯგუფები; კომპიუტერული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვება; ხელმისაწვდომი გადასახადი; დამატებითი მეცადინეობის სისტემა ცოდნის გასაძლიერებლად; გამოცდების ექსტერნად ჩაბარებით ატესტატის აღება და უმაღლესში მოწყობის გარანტია; ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულება; კავშირი ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან; სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციების ორგანიზება; გასვლითი ღონისძიებები; ვიდეოკონტროლი...**



**– ქალბატონო ზაირა, თქვენ რას დაამატებთ?**

**ზაირა კაპანაძე:** სკოლის დაფუძნების დღიდან გვერდით ვუდგავარ მეუღლეს, თუმცა სიმართლე გითხრათ სულაც არ ვიყავი ამ ბიზნესის მომხრე, მე უფრო სასტუმროს გაკეთება მინდოდა და ამაში ჩვენი აზრი არ ემთხვეოდა ერთმანეთს. გავიდა წლები და მივხვდი: თუ ადამიანი არის შრომისმოყვარე, ენერგიული და მიზანდასახული, ნამდვილად გაუმართლებს! ჩვენი დიდი მონდომებითა და შრომისმოყვარეობით სკოლაც დავაფუძნეთ და სასტუმროც. აქ ძალიან თბილი გარემოა, ურთიერთგაგება, სიყვარული. ჩვენ არ ვართ ორიენტირებული ფულზე – სკოლა არ არის ფულის საშოვნელი ბიზნესი. ხანდახან ისეთი ბავშვები შემოდიან, ვერც კი წარმოიდგენ როგორ უნდა მიაღწიო მასთან მაღალ შედეგს, მაგრამ, ასეთი ბავშვებიც კი სტუდენტები ხდებიან. ერთი დიდი ოჯახივით ვართ და სწორედ ეს ურთიერთობა არის ყველაზე დიდი საწინდარი მომავლის განვითარების ნებისმიერ საკითხში. ჩემმა სამივე შვილმაც ეს სკოლა დაამთავრა და ერთ-ერთი ამჟამად დიდ ბრიტანეთში სწავლობს. ასე რომ, ჩვენი პრიორიტეტი არის შედეგზე ორიენტირებული.

**ეკა პატარაია**

*სკოლის მისამართია: ბეთანიის ქუჩა №15; ტელეფონი: 2 74-95-49.*
*www.momavali.ge;*
*skola-momavali@yahoo.com*


## განსაკუთრებული შეთავაზება სასტუმრო „ნოელისგან"



**წარმოუდგენლად დაბალი ფასები მარტისა და აპრილის თვეში.**
**სპეც-პაკეტები ოჯახებისთვის და კორპორატიული დამსვენებლებისთვის**



სასტუმრო „ნოელში" თავს ისე გრძნობ, როგორც ზღაპარში. აქ კომფორტი და სტუმრების მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობა ყველა დეტალში იგრძნობა, ამიტომ, აღარაფერი დაგრჩენია, გარდა დასვენებისა და სიმშვიდით, სიმყუდროვით ტკბობისა...



**ბაკურიანი, ცენტრი. წერეთლის ქუჩა №31; ტელეფონი: 367 24-04-07. მობილური: 599 10-36-26.**
**www.hotel-noel.ge**

**27 წლის ქართველი პრიმა-ბალერინა მაია მახათელი უკვე ექვსი წელიწადია, ამსტერდამში ცხოვრობს და ჰოლანდიურ ნაციონალურ ბალეტში მოღვაწეობს. მიუხედავად ასაკისა, მან უკვე ბევრის გაკეთება შეძლო და თავისი სათქმელი ბალეტში, მსოფლიოს წამყვან სცენებზე თქვა. ის ერთ-ერთ წამყვან ბალერინად არის აღიარებული ამსტერდამში და მისი ჰაეროვანი და საოცრად პლასტიკური ცეკვის სანახავად მსოფლიოში ცნობილი უამრავი ადამიანი დადის. მაიას მშობლები და ძმაც ცნობილი მოცეკვავეები არიან, ამიტომაც, არ არის გასაკვირი, თუ რატომ აირჩია მან ხელოვნების ეს ურთულესი დარგი.**

# როგორ გახდა მაია მახათელი ამსტერდამის წამყვანი ბალერინა და რა ოცნება დარჩა მას აუხდენელი უცხო მხარეში

**მაია მახათელი:** უკვე 12 წელია, რაც უცხოეთში ვმოღვაწეობ. 2000 წელს მთელი ოჯახი წავედით ამერიკაში, აიდაჰოს შტატში. მამა საბალეტო სკოლაში ასწავლიდა, მე და ჩემმა ძმამ, დათომ, სწორედ იქ ვიცეკვეთ სპექტაკლ „მაკნატუნაში". შემდეგ გადავედით კოლორადოს შტატში, სადაც „კოლორადო ბალეტში" ამიყვანეს. ყველაზე ახალგაზრდა – 16 წლის ბალერინა ვიყავი. ოთხი წელი ვცეკვავდი იქ. შემდეგ ინგლისში გადავედი, მანამდე კი მე და ჩემმა ძმამ იაპონიაში, ვარსკვლავთა ინტერნაციონალურ ფესტივალზე ვიცეკვეთ და საუკეთესო მოცეკვავე წყვილად დაგვასახელეს. შემდეგ ამსტერდამიდან კარგი შემოთავაზება მივიღე. ამსტერდამმა აღმაფრთოვანა და ძალიან შემიყვარდა – უნიკალური ქალაქია, ყველასგან განსხვავებული, ზღაპრული. ბავშვობიდან ვოცნებობდი, მსოფლიოში სახელგანთქმული ბალერინა გავმხდარიყავი. მამა მეუბნებოდა, თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, ძალიან ბევრი უნდა იშრომოო. მეც დაუღალავად ვშრომობდი. ჩემი მშობლები დღესაც ამერიკაში ცხოვრობენ, ჩემი ძმა, დათო კი ლონდონში ცნობილი ბალერონია, უამრავი ჯილდო აქვს აღებული და საკმაოდ წარმატებული ადამიანია.

**– არ გაგიჭირდა ჯერ ინგლისში, შემდეგ კი ჰოლანდიაში საკუთარი ადგილის დამოუკიდებლად დამკვიდრება?**

– თავიდან ძალიან გამიჭირდა. ხომ იცით, ქართველებს როგორ გვზრდიან მშობლები? ოჯახზე ვართ დამოკიდებული. თუმცა, დამოუკიდებლად ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა, რეპერტუარის მხრივაც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ჩემთვის ჰოლანდია. ვხუმრობ ხოლმე, ბევრი ოცნება მაქვს, თუმცა მთავარი ოცნება ავიხდინე-მეთქი *(იცინის).*

**– თუ საიდუმლო არ არის, რა იყო ის მთავარი ოცნება, რომელიც ჰოლანდიაში აგიხდა?**

– მინდოდა გავმხდარიყავი წამყვანი ბალერინა და ეს ოცნება ავიხდინე. აუხდენელი ოცნებებიც მაქვს და, იმედია, იმათაც ავიხდენ, ამის დიდი იმედი მაქვს. საქართველოს ოპერისა და ბალეტის სცენაზე მინდა ვიცეკვო სპექტაკლი და ქართველი მაყურებლისთვისაც დავიხარჯო. სხვათა შორის, ორი წლის წინ ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა დამპატიჟა და ჩამოვედი. ნინო ანანიაშვილისა და ჟილბერ ალბერის საერთაშორისო პრემია – „ოქროს ვარსკვლავი" რომ გადმომცა ქალბატონმა ნინომ, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ მეგულებოდა დედამიწის ზურგზე. ეს ჩემთვის შეუფასებელი განძია.

**– ვიცი, ბალერინების ცხოვრების სტილი საკმაოდ რთულია, კერძოდ, შეზღუდვა კვებაზე, ძილზე და ასე შემდეგ. შენთან როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

– ძალიან რთულია ბალერინას ცხოვრება. ხანდახან გვავიწყდება, რომ დრო თვალის დახამხამებაში გადის, არადა, ბალეტის მოცეკვავეებს ძალიან ცოტა დრო გვაქვს, ამიტომ, განსაკუთრებულად ბევრი უნდა ვიშრომოთ, ყველაფერი მოვასწროთ. თავისუფალი დრო ბევრი არ მაქვს. კვირაში ექვსი დღე ვმუშაობ, დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე. თავისუფალი დრო თუ გამოვნახე, პარკში ვსეირნობ მეგობრებთან ერთად. სიმართლე გითხრა, დიეტა არასდროს დამიცავს, ჩვეულებრივად ვიკვებები. დიდი დატვირთვა მაქვს და ენერგიის აღსადგენად ჯანსაღი საკვებისა და ვიტამინების მიღება აუცილებელია, მხოლოდ ტკბილეულს ვერიდები. მაგრამ, საქართველოში რომ ჩამოვდივარ და ხაჭაპურსა და ხინკალს დავინახავ, აი, მერე მიჭირს ხოლმე წონაზე ფიქრი *(იცინის),* თუმცა, წელიწადში ორჯერ მიწევს მანდ ჩამოსვლა და, შესაბამისად, კვების რეჟიმის დარღვევაც. ასევე, სათანადო ყურადღება თუ არ მიაქცია ბალერინამ ჯანმრთელობას, ისე არაფერი გამოვა. არადა, ადამიანი ხარ, ხან გაცივდები და ხანაც სიცხე აგიწევს. როცა სპექტაკლია დანიშნული, მაყურებელი შენს ცეკვას ელის და ნაკლებად აინტერესებს, სიცხე გაქვს თუ გაციებული ხარ. ბევრჯერ მიცეკვია სიცხიანს. ვიჭიპები ხოლმე წამლებით და ისე გავდივარ დიდ სცენაზე – სხვა გზა არ არის.



**ხანდახან გვავიწყდება, რომ დრო თვალის დახამხამებაში გადის, არადა, ბალეტის მოცეკვავეებს ძალიან ცოტა დრო გვაქვს**

**– ჰოლანდიაში ძალიან აფასებენ კლასიკურ მუსიკას, ბალეტს, ოპერას. ცნობილი ადამიანები თუ ესწრებიან შენს გამოსვლებს?**

– დიახ, ხშირად დადიან ცნობილი ადამიანები და სიამოვნებით ადევნებენ თვალყურს. მაგალითად, პრინცი უილიამსი და პრინცესა მაქსიმა ხშირად დადიან ბალეტის საყურებლად შვილებთან ერთად. უილიამსი და მაქსიმა სპექტაკლის შემდეგ გვეიცანი და პირად საუბარში აღნიშნეს, ძალიან მოვიხიბლეთ თქვენი ცეკვითო. ძალიან თბილი ადამიანები არიან. სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს ჩემთან ერთად. არც თაყვანისმცემლების სიმცირეს განვიცდი და ბედნიერი ვარ *(იცინის).* თუმცა, ზოგი ისეთი გიჟმაჟია, თავს ვარიდებ. უამრავი ცნობილი ადამიანის მიერ ნაჩუქარი სამახსოვრო ნივთებიც მაქვს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და შეუფასებელი ნინო ანანიაშვილის პუანტებია, რომელზეც მისივე ხელმოწერაა. რაც ამსტერდამის ნაციონალურ ბალეტში ვცეკვავ, პასუხისმგებლობა მომემატა სცენაზეც და მუშაობის პროცესშიც. პრიმა-ბალერინა მაგალითის მიმცემი უნდა იყოს დამწყები ბალერინებისთვის, მას შეცდომა არ ეპატიება. არ დამავიწყდება, სანამ წამყვანი ბალერინა გავხდებოდი, „დონ კიხოტში" ვცეკვავდი. რთული მოძრაობა მქონდა გასაკეთებელი და შუა ტრიალში პუანტები გამძვრა. რაღა მექნა, გადავიხარე და დავიწყე პუანტების ჩაცმა. პარტნიორი მელოდება, ორკესტრი გაჩერდა, მაყურებელი კი გასუსული მიყურებდა – ეს გოგო რაებს სჩადისო *(იცინის).* დამიჯერეთ, ამ ერთ წამში საუკუნემ ჩაირბინა.

**– მიუხედავად დაძაბული რეჟიმისა, ოჯახის წევრები ერთად შეკრებას თუ ახერხებთ ხოლმე?**

– წინასწარ ვთანხმდებით და დათქმულ დროს ყველანი თბილისში ჩავდივართ – ეს ჩვენთვის მართლა ზეიმია. მერე, უკან წამოსვლა გვიჭირს. ძალიან მენატრება საქართველო. ხანდახან განსაკუთრებულად მიმძაფრდება ხოლმე ნოსტალგია. ქართულ სიმღერას თუ მოვუსმინე, მთელი დღე ნოსტალგიურ ტალღაზე ვარ. ქართველები ძალიან ემოციურები, მგრძნობიარეები და ჯღუტები ვართ, ჰოლანდიელები კი სხვანაირები არიან, უფრო თავშეკავებულები. ქართულმა გენმა წარმატებაში შემიწყო ხელი. მე ძლიერი ვარ და ეს სწორედ ქართული გენის დამსახურებაა. თუმცა, ჰოლანდიაში ისეთი წესებია, გადაირევი. მაგალითად, ნაგვის გადასაყრელად, კვირაში ორჯერ, სპეციალური დღეებია გამოყოფილი. მე ეს არ ვიცოდი. დამიგროვდა ნაგავი, გავიტანე, გადავყარე და ერთ კვირაში ჯარიმის ფურცელი მომივიდა სახლში, რომელშიც ეწერა, 70 ევროთი ჯარიმდებითო. ვიცინოდი – ჩემს ნაგავს ეს რა ფასი ჰქონია-მეთქი *(იცინის).*

**„კოლორადო ბალეტში" რომ ამიყვანეს, ყველაზე ახალგაზრდა – 16 წლის ბალერინა ვიყავი**

**– რა გრძნობაა, ცხოვრობდე უცხო მხარეში, იყო ქართველი, პრიმა-ბალერინა, სცენაზე უამრავი გაბრწყინებული თვალი გიყურებდეს და უამრავი თაყვანისმცემელი გელოდებოდეს სპექტაკლის შემდეგ?**

– ამ გრძნობას ვერ გადმოგცემთ, იმდენად ძლიერი და ამაღლებულია. ამყი ვარ. სცენაზე რომ ვდგავარ, თითქოს სხვა სამყაროში ვარ. საქართველო ჩემი სახლია, ამერიკა – ადგილი, სადაც ჩამოვყალიბდი, ინგლისი – სადაც ვისწავლე მარტო ცხოვრება და ჰოლანდია – სადაც შევიგრძენი დამოუკიდებლობა.

**ნონა დათეშიძე**


„ოქსფორდის აკადემია"

აცხადებს მიღებას სხვადასხვა სერტიფიცირებულ პროგრამებზე:

**ზოგადი ინგლისური** – გრამატიკა, საუბარი, მოსმენა, წერისა და კითხვის უნარების გაუმჯობესება;

**სასაუბრო ინგლისური** – ერთთვიანი პროგრამა უცხოელ სპეციალისტთან ერთად;

**ბუღალტერია** – თეორია და პრაქტიკა; ORIS & SuperFin.

**ორგანიზაციული მენეჯმენტი** – სრული კურსი, სადაც ისწავლება: ზოგადი მენეჯმენტი; HR მენეჯმენტი და PR მენეჯმენტი, პროექტების მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა, პრეზენტაციის უნარები და სხვა.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: ტელ. 2 30-59-30
ან გვეწვიეთ: მის. კოსტავას №20 (ფილარმონიასთან).
www.oxfordacademy.ge
Facebook.com/OxfordAcademy.ge

**იყო და არა იყო რა... ამ პატარა ბიჭის ისტორია სწორედ ამ სიტყვებით უნდა დაიწყოს, რადგან, ზღაპარს ჰგავს მისი ბიოგრაფია, რომელმაც სულ რამდენიმე წელიწადში ნულიდან ძალიან დიდ მასშტაბებს მიაღწია. დღეს მას აქვს ყველაფერი, რაც შეიძლება, რომ ინატროს ბიჭოლას ასაკში მყოფმა ადამიანმა თავის პროფესიაში... ბოლოს და ბოლოს, მილანის მოდის კვირეულისთვის გაკეთებულ ვიდეოში მისი ფოტო ქავერის, ანუ, ყდის ფოტოდ იქცა. სულ ცოტა ხანში კომპანია „ანუკი ბიჭოლა" კიევში საკუთარ მაღაზიას ხსნის. ბიჭოლა კიევის ელიტაში მიღებული პერსონაა – მის გარეშე თითქმის არც ერთი ბომონდური თავყრილობა არ იმართება. იმ რუსულით, რომელიც საქართველოში ახალი ანეკდოტების მიზეზად იქცა, უკრაინულ არხებზე ყველაზე რეიტინგულ გადაცემებში იწვევენ, ერთ-ერთ გადაცემაში კი, რომელიც ცნობილი ადამიანების ჩაცმულობის კრიტიკაზე იყო აგებული, ბიჭოლა მთავარი შემფასებლის როლში იყო წარმოდგენილი. სახელი „ბიჭოლა" უკრაინაშიც ბრენდად იქცა და, როგორც თავად დიზაინერი ამბობს, კიევი მისი მეორე სახლია.**

# რომელი ვარსკვლავების წითელი ხალიჩისთვის ქმნის ბიჭოლა სამოსს და რატომ არ შეუძლიათ მის გარეშე გართობა უკრაინელ ვარსკვლავებს



ეპატაჟური ჩაცმა ყოველთვის მახასიათებდა. ის „შანელის" ჩანთა ჩემმა მეგობარმა მათხოვა, ჩემი არ არის, ხალხო...

**ბიჭოლა**: უკვე ათი თვეა თბილისში არ ვყოფილვარ, შარშან გაზაფხულზე ვიყავი ჩამოსული ცოტა ხნით. ისე აეწყო ყველაფერი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ ჩამოვედი – აქ ძალიან ბევრი საქმე დაგვიგროვდა მე და ანუკის. ვემზადებით მაღაზიის გასახსნელად, რაც საკმაოდ დიდ სირთულეებთან ყოფილა დაკავშირებული. მაღაზიის გახსნის შემდეგ დიდი სურვილი მაქვს, თბილისში ჩამოვიდე, ვეწვიო ჩემს მონატრებულ ქალაქს, შოუ-ბიზნესი ცოტა ავაფორიაქო. მეუბნებიან, რომ დავაკლდი – შენი აჟიოტაჟი სჭირდებაო *(იცინის).* ახლა მთელი ძალებით საქმეზე ვარ მოტივირებული.

**– უკვე დადგა მაღაზიის გახსნის აუცილებლობა? ამდენად დიდი მოთხოვნაა „ანუკი ბიჭოლას" სამოსზე?**

– დიახ, გარდა ჩვეულებრივი მომხმარებლების საკმაოდ დიდი რაოდენობისა, შოუ-ბიზნესის სოლიდური ნაწილი – ტელეწამყვანები, მომღერლები, მსახიობები – ჩვენთან იმოსებიან და გვთხოვეს, რომ გაგვეხსნა მაღაზია. მოკლედ, აუცილებლობა ნამდვილად დადგა.

**– ანუკის მეუღლის სახელი დაგეხმარებოდათ, მაგრამ, მაინც მაინტერესებს, როგორ შეძელით ასე მოკლე დროში ამ ფენაში თავის დამკვიდრება და როგორია ამაში შენი როლი?**

– რა თქმა უნდა, ანუკის ოჯახი ყველას უყვარს, მათ სახელს კარგად იცნობენ და ყველაზე დადებითად მოქმედებს. ეს ყველაფერი გარკვეულ ეტაპზე გეხმარება, მაგრამ, მერე ეს სახელი ბევრი მუშაობით, საინტერესო შეთავაზებებით თუ არ გაამყარე, მხოლოდ ამის გამო საჭირო დონეზე ვერ დარჩები. მე და ანუკი ძალიან ბევრს ვფიქრობთ, ვმუშაობთ; თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ სიახლე შევთავაზეთ კიევს. რაც შეეხება ჩემს ფაქტორს, ჩემი კომუნიკაბელურობა, ადამიანების სიყვარული, რა თქმა უნდა, აქაც მეხმარება. უამრავი მეგობარი შევიძინე, ჩემს კონტაქტურობაზე რომ ბევრია დამოკიდებული, ეს ფაქტია. ბევრი კლიენტი უკვე ჩემი მეგობარია და ერთად ძალიან ბევრ დროს ვატარებთ. ისე ვგრძნობ თავს, როგორც სახლში. თვითონაც გაკვირვებული ვარ, ისე მალე ავეწყვე ამ ქალაქს. სადმე რომ მივდივარ, ისე მენატრება როგორც თბილისი. ხალხმა ძალიან თბილად მიმიღო, ჩემი მეორე სამშობლოა. ყველაფრის სხვანაირი დაფასება იციან. საქართველოში თუ პირველად უარყოფითს ეძებენ და იმით იწყებენ საუბარს, აქ – პირიქით, ყველა მონდომებულია, როცა ახალს ნახულობს, პირველ ყოვლისა, დადებითი აღნიშნონ, შეაქონ, მოეფერონ და, თუ რამეა გასაკრიტიკებელი, ამასაც რაღაც რბილი ფორმა მოუძებნონ. ამიტომაც, ყველას აქვს მუშაობის დიდი სტიმული. ჩვენ გვიჭირს აღიარება, მაგრამ, ჩვენს შოუ-ბიზნესში დიდი შუღლია. აქაც არის, რა თქმა უნდა, ჭორები, ბოღმა, ვიღაცას ვიღაც მოსწონს, ვიღაც – არა, მაგრამ, საერთო ჯამში, ყველა ერთმანეთს პატივს სცემს.

**– რას ნიშნავს უკრაინულ ელიტაში ყოფნა, რა პრივილეგიებთან არის ეს დაკავშირებული?**

– საერთოდ, ცნობად ადამიანს უკრაინაში ძალიან აფასებენ, ბევრი პრივილეგია აქვს. კლუბებში, რესტორნებში, სადაც არ უნდა მიხვიდე, სხვანაირი დამოკიდებულება აქვთ. ამ წრეში ყოფნა ნიშნავს, რომ პრესას ყოველთვის აინტერესებ, ყურადღების ცენტრში ხარ და, შესაბამისად, შენი პროდუქტიც მოთხოვნადია. გპატიჟებენ სხვადასხვა ღონისძიებაზე, კონცერტებზე, უმეგობრდები მომღერლებს, რომელთათვისაც სამოსს ქმნი. ინტენსიურად ვმუშაობთ ჯამალასთან – ახლაც წითელი ხალიჩისთვის კაბას ვუკერავთ.

**– კიევშიც ასეთი სიტუაციაა და, სადაც ბიჭოლაა, იქ კარგად ერთობიან?**

– ფაქტობრივად, ასეა. რადგან ყველგან მპატიჟებენ, ესე იგი, მოსწონთ ჩემს კომპანიაში ყოფნა. ვმეგობრობ და ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ყველასთან: „კაზაკებთან", ჯამალასთან, ვერა ბრეჟნევასთან... მაშა ეფრასიმინა – არის ასეთი წამყვანი, როგორც თბილისში, მაგალითად, თიკა ფაცაცია, რომელმაც სეზონი ჩვენი კაბით გახსნა და ამას ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვა.

**ხანდახან ვფიქრობ, რომ უფრო დავსერიოზულდი, მაგრამ, მერე, დილის შვიდ საათზე საშინლად გადაღლილი რომ ვბრუნდები სახლში რომელიმე კლუბიდან, ვხვდები, რომ ძალიან გავერთე და ისევ ისეთი რაღაცეები მსიამოვნებს, რაც მსიამოვნებდა და მომწონდა**

**– შენ თუ გაიზარდე და შეიცვალე? როგორ იმოქმედა ამ ქალაქმა შენზე?**

– ხანდახან ვფიქრობ, რომ უფრო დავსერიოზულდი, მაგრამ, მერე, დილის შვიდ საათზე საშინლად გადაღლილი რომ ვბრუნდები სახლში რომელიმე კლუბიდან, ვხვდები, რომ ძალიან გავერთე და ისევ ისეთი რაღაცეები მსიამოვნებს, რაც მსიამოვნებდა და მომწონდა. შევიცვალე იმითაც, რომ რუსული უფრო დავხვეწე *(იცინის).* სხვათა შორის, ჩემი რუსულის გამო აქ მხოლოდ სითბოს, სიყვარულს ვიმსახურებ, აღფრთოვანებულები არიან იმით, რომ ვცდილობ, მათ ენაზე ვილაპარაკო. ცხოვრება მაინც თავისას შვრება, უკვე რუსულად მიწევს აზროვნება და, შესაბამისად, უკეთაც ვსაუბრობ.

**– შენს ჩაცმაშიც კიდევ უფრო მეტი სიგიჟე იგრძნობა. მართალია, არასდროს იცვამდი კონსერვატიულად, მაგრამ, ახლა თითქოს უფრო მეტ რისკზე მიდიხარ...**

– სპორტულ სამოსზე „შანელის" ჩანთას გულისხმობ?! მგონი, ამ ფოტომ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. არადა, ყოველთვის ასე ვიცვამდი, არაფერი განსაკუთრებული და განსხვავებული. უბრალოდ, ახალ-ახალ დეტალებს ვამატებ. მილანის „ფეშენ-ვიქზე„ ყოფნისას, შეიძლება, ცოტა გიჟურად გამოვიყურებოდი, მაგრამ ეს სხვისთვის, ჩემთვის კი აბსოლუტურად ნორმალურია. ეპატაჟური ჩაცმა ყოველთვის მახასიათებდა. როდესაც ვიცი, რომ ისეთ ღონისძიებაზე მივდივარ, სადაც აუცილებლად დამათვალიერებენ, რა მაცვია, ვცდილობ, მეც ვიფიქრო და საინტერესოდ გამოვიყურებოდე. ის „შანელის" ჩანთა ჩემმა მეგობარმა მათხოვა, ჩემი არ არის, ხალხო!.. *(იცინის).*

**– პროფესიაში თუ გაიზარდე?**

– დღითი დღე ვიზრდები და დიზაინს უკვე სულ სხვა თვალით ვუყურებ. ყოველდღიურად გვაქვს ჟურნალებისთვის გადაღებები, არტ გადაღებები, ბაერებთან შეხვედრები, მეტს ვფიქრობთ გაყიდვებზე, სამოსის კომერციულ მხარეზე – უკვე სხვა დატვირთვები შემოდის და ძალაუნებურად ეს ხელწერაზეც ახდენს გავლენას – მე და ანუკის ეს დაგვეტყო.

**– ვიცი, რომ პარიზშიც იყავით ქართველი დიზაინერები. რა იყო ამის მიზეზი?**

– სოფო ჭყონიას ორგანიზებით გაიმართა „ქართული არტის დღეები", ასეც ერქვა: „არტ ჯორჯია ინ პარიზ", სადაც წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ქართველი დიზაინერის კოსტიუმები და ჯიჯიმ წარმოადგინა ფოტოპროექტი, ფარაჯანოვის თემაზე. საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია მივიღეთ, ძალიან საინტერესო ადამიანებმა დაათვალიერეს გამოფენა, რომელიც ულამაზეს სივრცეში იყო მოწყობილი. იყვნენ მარჯიელა, დაიან პერნე და ბევრი ცნობილი სახე. ერთადერთი, ვისურვებდი, რომ პრესის მეტი წარმომადგენელი დასწრებოდა ამ დღეებს. მოკლედ, ყველამ ვისიამოვნეთ ამ გამოფენით და, თან, საინტერესო წინადადებები მივიღეთ.

**სალომე გველესიანი**

# არის თუ არა ქალი უნებისყოფო არსება და როდის იცის მამაკაცმა წინასწარ საკუთარი ქმედებების შედეგი

**არსებობენ მამაკაცები, რომლებსაც, უბრალოდ, არ სჯერათ ქალის პატიოსნების. ისინი ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ყველა ქალი გიღალატებს, თუკი მას „შესაფერისი“ სიტუაცია შეექმნება, ანუ, თუ გაჩნდება შესაბამისი მომენტი და გარემოება და, კიდევ, თუკი მამაკაცი მიზნად დაისახავს მის „დაპყრობას“. ესე იგი, გააჩნია მამაკაცის სურვილის ხარისხს, მონდომებას და – „ყველა ციხე აღებულია“, ისიც კი, რომელიც ერთი შეხედვით მიუწვდომელი ჩანდა. შეესაბამება თუ არა სიმართლეს ეს მოსაზრება? ან, რატომ უჩნდებათ მამაკაცებს გათხოვილი ქალის დამორჩილების სურვილი – ეს ხომ პრობლემებთან არის დაკავშირებული? რატომ უნდა გაირთულო ცხოვრება, როცა არც სიყვარული და არც აღმაფრენაა? ან, იქნებ, ეს მხოლოდ აზარტია?!**



**მამუკა** *(29 წლის):* ზოგადად, აზარტული ვარ. კაზინოებში და ტოტალიზატორში მხოლოდ იმიტომ არ დავდივარ, რომ მეშინია, ეს ჩემი ცხოვრების წესად არ იქცეს. ამას არ ვამბობ იმისთვის, რომ ვინმემ თქვას, საწყალი ბიჭი, თურმე რატომ წასულა ამ გზაზეო. ეს არაფერ შუაშია. მე მინდა, საკუთარი თავი გაგაცნოთ. დიახ, ვარ აზარტული. იმ ქალთან ჩემი ურთიერთობა იყო ძალიან აზარტული და საინტერესო. სხვა შემთხვევაში, ვერაფრით „შევებმებოდი“.

**– ანუ, თქვენ „შეგაბეს“ და არა პირიქით, – თქვენ „აბამდით“?**

– როგორ გეკადრებათ, სწორედაც რომ „ვაბამდი“, მაგრამ, ამ დროს, მე უკვე „შებმული“ ვიყავი და, თანაც, სერიოზულად „შებმული“ – ძალიან დამაინტერესა მისმა შეუვალობამ. ვიფიქრე: დავიჯერო, იშვიათი გამონაკლისია და მართლა ასეთი უზადოდ პატიოსანია-მეთქი?!

**– გაგალიზიანათ მისმა პატიოსნებამ?**

– თუკი გინდათ, რომ ასეთი ფორმულირება მისცეთ, კარგი, ბატონო, – გამაღიზიანა. ვიგულისხმე, რომ ეს ერთგვარი ფანდი, სატყუარა იყო მისი მხრიდან. ცუდად არ გამიგოთ, ქალი ბუნებრივად არის ინტრიგებისკენ მიდრეკილი – ის ასეთად შეიქმნა, კაცზე გაცილებით ინტერესიანი და ცნობისმოყვარე; მოუსვენარი და ექსპერიმენტატორი. ასეთი მონაცემების არსება, შეუძლებელია, ცდუნების წინაშე არ აღმოჩნდეს. არავის გასაბრაზებლად არ ვამბობ ამას. არც ის მინდა, ქალთმოძულედ გამომაცხადონ. პირიქით, უდიდეს პატივს ვცემ სუსტი სქესის წარმომადგენლებს, მაგრამ, ხშირად ისინი ძალიან უსამართლონი არიან.

**– რაში არიან უსამართლონი?**

– იმაში, რომ ყველაფერში მამაკაცებს ადანაშაულებენ. ყველა მათი უბედურების სათავედ ჩვენ მიგვიჩნევენ, თან, კაცის გარეშე ცხოვრებაც არ შეუძლიათ. ერთხელ ვიხუმრე: კაცებზე რომ ამბობენ, ყველა ერთნაირი მოღალატეაო, მოღალატე და უზნეო ქალები რომ არ იყვნენ, კაციც ერთგული იქნებოდა-მეთქი. იცით, რა მოხდა? იქ მყოფმა მანდილოსნებმა ლამის ჩამქოლეს. არადა, იყავით გულახდილი და თქვით, ხომ არის ამ ხუმრობაში რაღაც ლოგიკა?

**– გააჩნია, ამ „რაღაც ლოგიკაში“ რას გულისხმობთ.**

– რა თქმა უნდა, მამაკაცებს პასუხისმგებლობას არ ვუხსნი. ისინი ვალდებულები არიან, კარგად მიხედონ საკუთარ ცოლებს, თორემ ყოველთვის გამოჩნდება ჩემნაირი.

**– შემცდენი?**

– შემცდენი რატომ? თქვენ გგონიათ, არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც სხვისი სიამოვნებისთვის გააკეთებს იმას, რისი გაკეთებაც არ უნდა?! ძალიან ცდებით. ყველანი, მნიშვნელობა არ აქვს, კაცია თუ ქალია, ვართ პატიოსნები, სანამ შესაფერისი სიტუაცია არ შეგვექმნება.

**– იმის თქმა გინდათ, რომ პატიოსნება უცხოა ადამიანის ბუნებისთვის, რომ ნებისმიერი ქალი და ნებისმიერი კაცი მივა ღალატამდე?**

– რა თქმა უნდა. ამაში ეჭვი გეპარებათ? თუ თქვენთვის ქმარს არ უღალატია, უბრალოდ, გაგიმართლათ, რადგან, მას ჯერ არ შეჰქმნია სიტუაცია და გარემოება. ზუსტად ასე არიან ქალებიც. მე მქონდა გათხოვილ ქალთან ურთიერთობა და ის სულაც არ იყო გარყვნილი. მასზე ცუდის თქმას არ ვაპირებ. რაღაც მომენტში მოაკლდა ყურადღება, სითბო და ამიტომ გადადგა ეს ნაბიჯი. ასეა, ქალი თუ შენად მიგაჩნია, ერთი წუთითაც არ უნდა დატოვო მარტო – ემოციურ სიმარტოვეს ვგულისხმობ, რაც, მგონი, მარტო ქართველი კაცებისთვის არის დამახასიათებელი ეს მეტად უცნაური ფენომენი. გაგიჟდებიან, გადაირევიან ქალზე, ტყავიდან ძვრებიან და წარმოუდგენელ რაღაცეებს აკეთებენ მისთვის... მერე კი, ცოლად რომ შეირთავენ, თავისად დაიგულებენ და მორჩა – აღარ აინტერესებთ. აი, ეს არ მესმის.

**– თქვენ ცოლი არ გყავთ?**

– არ მყავს, მაგრამ, სხვისი ცოლების ფსიქოლოგია ვიცი ძალიან კარგად. მე ცოლი იმიტომ არ მყავს, რომ, ჯერ ერთი, ქალზე „გადასაყოლად“ მზად არ ვარ.

**– ეს როგორ გავიგოთ?**

– როგორ და, ვიცი, ჯერჯერობით ქალს ვერ მივცემ იმას, რაც მას სჭირდება – არ მაქვს

> **დამაინტერესა მისმა შეუვალობამ. ვიფიქრე: დავიჯერო, იშვიათი გამონაკლისია და მართლა ასეთი უზადოდ პატიოსანია-მეთქი?!**

ამისი თავი. იმ ურთიერთობამ, რომელიც ცოტა ხნის წინ დავამთავრე, ბევრი რამ მასწავლა.

**– სხვის ცოლთან ურთიერთობამ?**

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რაღაც ისწავლო. ადამიანების პრობლემების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ არაფრის სწავლა არ უნდათ. ზოგიერთი მაინც, უაზრო პრინციპებს „აწვება“ და ილრმავებს პრობლემებს. ფაქტები რეალურად უნდა აღიქვა და შეაფასო. სირაქლემასავით რომ ჩაყოფ თავს ქვიშაში, რა, უკანალი უფრო ლამაზად გამოგიჩნდება?! ბოდიშს გიხდით, ამ უხეშობისთვის, მაგრამ ესეც ფაქტია. ის ქალი ერთ წვეულებაზე გავიცანი. მაშინვე მომეწონა. ისეთი იყო, რაღაცას რომ გიტოვებს – დადებითი მუხტითა და სიცოცხლით სავსე. ქმარი საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. ვიცეკვეთ. არც ამაზე ჰქონია რეაქცია მის ქმარს, იჯდა, სვამდა და სხვა ქალებს ზვერავდა მუშტრის თვალით. გამეცინა.

**– თქვენ ეს არაბუნებრივად მოგეჩვენათ?**

– არა, პირიქით, ქართველი ქმრისთვის სრულიად ბუნებრივია. მე გიყვებით იმას, რაც იყო. რომ გითხრათ, მაშინვე გამიჩნდა მისი „შებმის“ სურვილი-მეთქი, მოგატყუებთ. თუმცა, მასზე ფიქრი რამდენიმე დღე გამყვა. მერე შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. დავინახე და კიდევ უფრო მომეწონა. გამოველაპარაკე და რამდენიმე ფრაზის შემდეგ მივხვდი, რომ იმ საღამოს არც მისთვის ჩაუვლია ისე... რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შევხვდი. ვერ ვიტყვი, რომ ეს შეხვედრაც შემთხვევითი იყო. მაგრამ, თავიდან ძალიან მეგობრული „მეჭირა“.

**– ანუ, „შებმის“ საკუთარი პროგრამა გაქვთ?**

– რაც გინდათ, ის დაარქვით. ქალს აკლდა სიყვარული, სითბო... მის ცხოვრებაში დეფიციტი არსებობდა და შევუვსე. რომ არ ყოფილიყო ეს დეფიციტი და მისი და მისი ქმრის ურთიერთობაში ხარვეზები, მე არანაირი „პროგრამა“ არ მიშველიდა, გარწმუნებთ.

**– აბა, შესაფერისი სიტუაციაო?**

– ეგეც აუცილებელია. უბრალოდ, იმდენად უმნიშვნელოა ისეთი წყვილების რიცხვი, ვისაც ერთმანეთში პრობლემა არ აქვთ და თავისუფლად შეუძლიათ ყველა თემაზე საუბარი, სალაპარაკოდაც არ ღირს. ყველა თემაზე საუბარში მე აბსოლუტურ გახსნილობას ვგულისხმობ, ინტიმური ექსპერიმენტების ჩათვლით და ასე შემდეგ... საკმარისია, რაღაცაში ვერ აეწყონ, გააჩნდეთ ინტიმურობის დეფიციტი, რომ ღალატის ალბათობა ათმაგდება. დარწმუნებული ვარ, ბევრი არ დამეთანხმება, მაგრამ, ეს უკვე მათი პრობლემაა. მოკლედ, მე მომეწონა ეს ქალი და გადაწყვეტილებაც მივიღე. სხვათა შორის, მარტო ჩემი სიამოვნებისთვის არ მიფიქრია. დავიწყე ინტენსიური რეკვა მასთან. საგანგებოდ ვარჩევდი ისეთ დროს, როცა მისი ქმარი სახლში არ იქნებოდა.

**– მესიჯებსაც სწერდით, ალბათ...**

– არა, მესიჯებს სწორედაც რომ არ ვწერდი. ხმა გაცილებით ინტიმურია. მესიჯები სერიოზულ ქალებთან არ მუშაობს. ორი თვის განმავლობაში დღე არ ჩამიგდია. ლაპარაკისას ხმა უთრთოდა ხოლმე და ეს მაგიჟებდა. ქალი, რომელიც აკრძალულ თამაშში ებმევა, სხვანაირად მგრძნობიარე ხდება – ინტუიცია, შეგრძნებები უმძაფრდება. მასში ქალი ახალი ძალით ილვიძებს და ორმაგად საინტერესო ხდება. სპეციალურად ვაყოვნებდი შეხვედრას – ამით სიამოვნებას ვიხანგრძლივებდი.

**– თუ, მიზანმიმართულად აგიჟებდით?**

– „ვაგიჟებდი“ რა სიტყვაა? გეუბნებით, მეც სიამოვნებას ვიღებდი. ეს უსერიოზულესი აზარტია და დიდი დოზით ადრენალინი. ვგრძნობდი, როგორ იცვლებოდა დღითი დღე მისი ხმის ტონალობა, ტემბრი... თითქოს ვხედავდი მის ანთებულ თვალებსა და გახსნილ ტუჩებს... არ ვიცი, როგორ აგიწეროთ ის განცდები, რაც მაშინ მქონ-

# გაშვილებულმა ტყუპებმა ერთმანეთი დაშორებიდან 38 წლის შემდეგ იპოვეს

*41 წლის ტარიელ გერმანის ძე ცენტერაძე (აღმზრდელის გვარი) ეძებდა 41 წლის ავთანდილს და ბიოლოგიურ დედას (სახელი და გვარი უცნობია).*

**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია ჩვენს ერთგულ მკითხველს „თბილისელების“ რუბრიკა „დაკარგულებიდან“ ახსოვს. დარწმუნებული ვარ, არ გავაზვიადებ, თუკი ვიტყვი, რომ ეს ჩემი რუბრიკის კიდევ ერთი სასწაულია. ძმები – ავთანდილი და ტარიელი 1974 წელს სხვადასხვა ოჯახზე გააშვილეს, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ იპოვეს ერთმანეთი და განშორების 38 წელი დასრულდა.

**ლელა პაპავა** ***(ტარიელის მეუღლე):*** ტარიელს ძალიან უნდოდა ძმის პოვნა, მაგრამ, არ იცოდა, როგორ მოეგვარებინა ეს საქმე. გული კი სულ იმას უგრძნობდა, რომ მისი ტყუპისცალი საქართველოში უნდა ყოფილიყო. ჩემმა ახლობელმა, სრულიად შემთხვევით თქვენი რუბრიკის შესახებ მიამბო, მე კი ტარიელს ვუთხარი და დავითანხმე. დღეს ისეთი აღელვებული და ბედნიერი ვარ, ცხოვრებაში რომ არასდროს ვყოფილვარ. როგორც კი ავთანდილის სურათები მაჩვენეთ, მაშინვე მივხვდი, რომ სწორედ ის არის ტარიელის დაკარგული ძმა. მსგავსება მათ შორის ერთი-ერთზეა. გასაოცარია ისიც, რომ მათ ერთნაირი ხასიათი და გემოვნება ჰქონიათ – ორივეს ძალიან უყვარს ხალხური სიმღერები და ქეიფი. ჩემი მეუღლე ნამდვილად იმსახურებდა, რომ თავისი ძმა ეპოვა და გვერდში ჰყოლოდა ამდენი წლის შემდეგ მაინც.

**ავთანდილის მეუღლე – ანა ჟანტურიძე:** დედაჩემმა დამირეკა (ის ზესტაფონში ცხოვრობს). მას იქ წაუკითხავს თქვენი სტატია და ორი დღე ტიროდა, თურმე. მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ ჩემს მეუღლეს ეძებდნენ. ტარიელის ბავშვობის სურათი როგორც კი ნახა, მაშინვე დამირეკა: ანა, ესა და ეს რუბრიკა ნახეო. დედაჩემმა კი ავთოს ამბავი ჩვენი სოფლიდან იცოდა – ის და ავთოს აღმზრდელები ერთი სოფლიდან იყვნენ. დღესდღეობით ავთოს აღმზრდელები ცოცხლები აღარ არიან. როდესაც ავთოს დავურეკე და ვუთხარი, ასე და ასეა-მეთქი, არ დაიჯერა. როგორც ვიცი, თავის მამიდებთანაც კი იყო წასული (აღმზრდელი მამის დებთან) და მათ ყველაფერი იუარეს, სიმართლე დაუმალეს. მაგრამ, მსგავსება მასა და ტარიელს შორის იმხელაა, რომ კითხვები აღარ მრჩება.



**– იშვიათობაა, როდესაც აღმზრდელი მშობლები ნაშვილებ შვილებს სახელებს არ უცვლიან. დაბადების თარიღები თუ ემთხვევა?**

– რიცხვი და წელი კი ემთხვევა, მაგრამ, თვე ერთით მეტი უწერია ერთ-ერთს: ავთოს უწერია 30 ოქტომბერი, ტარიელს კი – 30 ნოემბერი.

**– დნმ-ის ანალიზის გაკეთებას ხომ არ ფიქრობთ იმის დასაზუსტებლად, რომ ისინი ძმები არიან?**

– ნამდვილად არაა საჭირო დნმ-ის ანალიზი, ამდენი დამთხვევა და ასეთი მსგავსება შეუძლებელია. ერთხელ, დაახლოებით შვიდი წლის წინ ავთო მისული იყო ერთ-ერთ დაწესებულებაში, მეტრო „ელექტროდეპოსთან“. მას იქ ისე შეხვდნენ, როგორც ნაცნობს და ტარიელს ეძახდნენ. მერე, როდესაც მან თქვა, რომ აქ პირველადაა, უთხრეს, ტყუპისცალი ძმა გეყოლებაო. მართლაც ასე აღმოჩნდა.

**– ავთომ ვისგან და როდის გაიგო, რომ ნაშვილებია?**

– ერთხელ ვიკამათეთ და გულმოსულმა მე ვუთხარი ეს ამბავი. ეს ოთხი წლის წინ იყო, მანამდე კი მან ეს არ იცოდა. შეიძლება, რაღაცას ხვდებოდა, მაგრამ, არ იცოდა სიმართლე.

**ტარიელ ცენტერაძე** ***(ვინც ეძებდა):*** ვიგრძენი, თითქოს დაკარგული ნაწილი ვიპოვე. არც ისეთი დალხენილი ცხოვრება მქონდა, მაგრამ, დღეს უბედნიერესი ვარ – ჩემი სისხლი და ხორცი ჩემ გვერდითაა და მე მას აღარასოდეს დავკარგავ. როდესაც გავიგე, რომ ავთო დასავლეთშია, მაგრამ მზადაა, ჩემთან შესახვედრად თბილისში ჩამოვიდეს, კინაღამ გავგიჟდი სიხარულისგან *(ტირის).*

**– დედის მოძებნაზე რას იტყვით?**

– კარგი იქნებოდა, ისიც მოგვეძებნა. მაინც დედაა ჩვენი და, თუკი ის ცოცხალია და მიხვდება, რომ მას ეძებენ, ვთხოვ, გამოგვეხმაუროს.

**ავთანდილ ფანჩულიძე:** ოთხი წლის წინ გავიგე, რომ ტყუპისცალი მყავს და ნაშვილები ვარ. სულ მაინტერესებდა მისი მოძებნა, მაგრამ, ამას ბოლომდე ვერ ვიჯერებდი. გარკვეული შეგრძნებები კი მეც მქონია, უბრალოდ, თავად მე საკმაოდ ჩაკეტილი პიროვნება ვარ და ეს არავისთვის მითქვამს.

*თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

და... ვუცდიდი მომენტს, როცა მზად იქნებოდა შეხვედრისთვის; როცა ჩვენ შორის ყველანაირი ზღვარი და ბარიერი წაიშლებოდა. არ მიმაჩნია მე ეს გარყვნილებად.

**– ჰო, მაგრამ, გრძნობა ხომ არ ყოფილა? სიყვარული არც გიხსენებიათ.**

– აუცილებლად სიყვარული უნდა დავარქვა ამას? ლტოლვა გაცილებით მომწონს, ერთმანეთზე რომ ირევიან და გიჟური სიყვარული აქვთ. მერე რატომ აღარ უნდებათ ერთმანეთი? – ამ კითხვაზე მიპასუხონ სიყვარულის მხარდამჭერებმა. მე მირჩევნია, ლტოლვა და ვნება მქონდეს ქალის მიმართ.

**– ლტოლვა და ვნება გადის...**

**ქალი თუ შენად მიგაჩნია, ერთი წუთითაც არ უნდა დატოვო მარტო**

– რა, სიყვარული კი რჩება? კარგი, რა, ვილას სჯერა მაგ ზღაპრის. მგონი, სიყვარული უფრო ადრე გადის, ვიდრე ლტოლვა და ვნება. არ გინახავთ წყვილი, შეყვარებულები რომ არ არიან, მაგრამ, ვნება და ლტოლვა წლობით მიაჯაჭვებთ ხოლმე ერთმანეთს?! მე თუ მკითხავთ, ასეთი ურთიერთობა უფრო მყარია.

**– თქვენ ახლა ქმრიანი ქალის საყვარელი ხართ?**

– საყვარელი კი არ ვარ, ის „დეფიციტი“ ვარ, რომელიც ჰაერივით სჭირდებოდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ის ქალი პატიოსანია, წესიერია და თავისი ქმარიც უყვარს.

**– უყვარს და ღალატობს?**

– დიახ, ასეც ხდება. ცხოვრება ზოგჯერ უსამართლოა. ერთს ოჯახიც აქვს, ფარული ურთიერთობაც აქვს, საყვარელიც ჰყავს და მაინც მარტოსულია. მთავარია, საკუთარ თავს არ ულალატო ადამიანმა. როცა რაღაცის მოთხოვნილება გაქვს და არ დაიკმაყოფილებ, დეპრესიაც გარანტირებული გაქვს, კომპლექსებსაც აიკიდებ და ხასიათიც უარესობისკენ შეგეცვლება.

**– ესე იგი, სექსი აკლდა?**

– არა მარტო. რაც მთავარია, სითბო აკლდა, ყურადღება, საკუთარ თავში დარწმუნება. ვინ იცის, როგორ ელოდებოდა და რამდენი ხანი, რომ ქმარი მიმხვდარიყო ამ ყველაფერს. მისი ქმარი კი, რომელსაც ცოლი უყურადღებოდ და უალერსოდ ჰყავდა მიგდებული, ალბათ, ყველა შესაძლო სიტუაციაში სხვა ქალს უწყებდა შებმას და იმ სხვასთან თამაშობდა მაგარ ტიპს.

**– ანუ, „მაშველი რგოლი“ ხართ გათხოვილი, დაუკმაყოფილებელი ქალებისთვის?**

– ჯერ ერთი, გათხოვილი მხოლოდ ეს ერთი ქალი მყავდა; მეორეც – „მაშველი რგოლი“ რას ნიშნავს?! გეუბნებით, ჩემთვის ეს ქალი და მასთან ურთიერთობა სულერთი არ არის. ორმხრივი, დიდი სიამოვნება და ძალიან დიდი ბედნიერებაა. მას რომ გაეთიშა ტელეფონი, ეთქვა, რომ აღარ სურდა, დამერეკა, თავს ნამდვილად არ მოვაბეზრებდი.

**– კიდევ ხვდებით ერთმანეთს?**

– დიახ, ვხვდებით. იმდენად ბუნებრივი და ორგანულია ჩვენი ურთიერთობა, რომ სიტყვები საერთოდ არ გვჭირდება. როცა რომელიმეს დისკომფორტი შეგვექმნება, ეგრევე გავჩერდებით.

**– რატომ არ შეჩერდით სატელეფონო საუბრებზე?**

– ხომ გითხარით – იმიტომ, რომ ორივეს გვინდოდა ერთმანეთი. საოცარი მიზიდულობის ძალა იყო და ამან თავისი საქმე გააკეთა. ვიცი, რომ, ადრე თუ გვიან, ჩვენი ურთიერთობა დასრულდება, მაგრამ, ეს არ არის პრობლემა. მუდმივი არაფერია და ორივე დიდხანს ვიქნებით ბედნიერები ამ დღეების გახსენებით.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემი ქმრის ყოფილი ცოლი (ერთმანეთს თორმეტი წლის წინ დაშორდნენ) ამ ბოლო დროს დიდ ყურადღებას იჩენს ჩვენი ოჯახური ცხოვრების მიმართ. სულ რაღაც ერთი წელია, რაც დავქორწინდით. ჩემს ქმარს სამი წელი მოვწონდი, მაგრამ, ისე იყო პირველი ცოლისგან შეშინებული, რომ ფეხს ითრევდა ოჯახის შექმნაზე. ბავშვი ჩვენთან ცხოვრობს. აქამდე დედამისს არც ახსენდებოდა შვილი, ახლა კი ყოველდღე ურეკავს ჩემს ქმარს და კვირაში ერთხელ სტუმრად მიზის. მეტი აღარ შემიძლია, ლამის გავგიჟდე. ის მიდის და მე ჩემს ქმარს ვეჩხუბები. თუ ასე გაგრძელდა, ურთიერთობა ძალიან გაგვიფუჭდება.**

**გამოხმაურება:** სერიოზული მოთმინება გჭირდებათ. თუ ხვდებით, რომ ის ქალი მიზანმიმართულად იქცევა ასე, თქვენი საქციელით ნუ შეუწყობთ ხელს, რომ ჩანაფიქრი განახორციელოს. პირიქით, „ეთამაშეთ“ და გაუღიმეთ. როცა მიხვდება, რომ ვერაფერს გაკლებთ, შეგეშვებათ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**„იმედის“ დილის გადაცემის წამყვანი ლიკა ლაბაძე მაყურებლის წინაშე ახალ ქართულ მიუზიკლში „F5-ში“ წარდგა, სადაც ის ბალერინას როლს თამაშობს და რომლის ნახვაც კინოთეატრებში უკვე შესაძლებელია. ლიკას ოცნება ყოველთვის მსახიობობა იყო, ამიტომაც, სიახლეების მოყვარული წამყვანი არ გამორიცხავს, რომ მომავალში ამ საქმით, შესაძლოა, სერიოზულად დაკავდეს.**

# რას ვერ აპატიებს საკუთარ თავს ლიკა ლაბაძე და როგორ ძერწავდა მთელი ცხოვრება ის სარკეში საკუთარ თავს

**ლიკა ლაბაძე**: აქამდე ძირითადად სტუდენტურ ფილმებში მქონდა მონაწილეობა მიღებული. ეს პირველი ფილმი იყო ჩემი მონაწილეობით, რომელიც ფართო ეკრანებზე გამოვიდა. მსახიობობა ყოველთვის მინდოდა, ვაპირებდი კიდეც ჩაბარებას, მაგრამ, იმის გამო, რომ 24 საათის განმავლობაში ოპერაში ვიყავი, ვცეკვავდი, ფიზიკურად შეუძლებელი იყო. არ ვიცი, როგორ და საიდან დამიკავშირდა რეჟისორი და მითხრა, რომ, სურდა, მის ფილმში მიმეღო მონაწილეობა. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. არ გამოვრიცხავ, რომ ერთ დღეს ამ საქმეს სერიოზულად მივხედო, მაგრამ, თუ ავირჩევ ამ პროფესიას, სრულფასოვნად ვისწავლი.

**– ასე უდგები ნებისმიერ საქმეს?**

– თუ ასე არ მივუდგები, ამას მერე ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს, მტანჯავს, რადგან, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა მაქვს. ვერაფერს გავაკეთებ ისე, რომ არ მოვძებნო ნიუანსი, რომელმაც არ დამაკმაყოფილა. არასდროს არ ვარ არაფრით ბოლომდე კმაყოფილი. ეს, ერთი მხრივ, კარგია, რადგან გაზრდაში მუდმივად გეხმარება. რაც უნდა ბევრი შეცდომის შესახებ მითხრან, მით უმეტეს, კომპეტენტურმა ადამიანებმა, ყოველთვის მზად ვარ, რომ მივიღო და გავითვალისწინო. როცა რაღაცას ვკიდებ ხელს, მინდა, რომ ყველაფერი ბოლომდე ამოვწურო. საერთოდ, რაც მეტს ვიგებ, მინდა, რომ უფრო მეტი გავიგო და მერე უსასრულობამდე მივდივარ... მაგრამ, ამასობაში მეორე სფერო მინდება და ისევ თავიდან იწყება...



ბავშვობაში, როცა სხვა ბავშვები შატალოზე გარბოდნენ, ჩვენ ყოველთვის კდემა-ბავშვები ვიყავით და, შეიძლება ითქვას, ბევრ რამეს ამაცილა ბალეტმა

**– ამდენი თვითკრიტიკა, შენი მხრიდან, ერთგვარი თვითგვემაც ხომ არ არის?**

– შეიძლება. როცა რაღაც ისე არ ხდება, როგორც საჭიროა, მერე მეორე დღეს ეს სულ მტანჯავს. თუნდაც, ეთერში უმნიშვნელო შეცდომას რომ დავუშვებ, ეს მთელი დღე მაწუხებს. დასაძინებლად რომ მივდივარ, პირიქით, ვერ ვიძინებ – ეს რა ვთქვი-მეთქი. არადა, იმ წუთებს ველარ დაიბრუნებ. ეს საშინელი გრძნობაა და არ მიყვარს.

**– საკმაოდ ემოციური ადამიანი ჩანხარ.**

– ძალიან ემოციურად განვიცდი ყველაფერს, გულთან ახლოს მიმაქვს, მაგრამ, წყობიდან ადვილად არ გამოვდივარ, უბრალოდ, აჟიტირებული ვხდები და, შეიძლება, ემოციების გამო თავი ვერ ვაკონტროლო. ამიტომ, ხშირად მეუბნებიან – დაწყნარდი, დაწყნარდიო.. „ფორიაქაც“ შემარქვეს, რადგან, ძალიან მიჭირს დაწყნარება. ბავშვობიდან სულსწრაფი ვიყავი, ჩქარი – ცეკვაში, საუბარში, ჭამის დროსაც სულ მეჩქარება. მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩემი პრობლემა ტემპის დაგდება იყო. ხანდახან საუბარსაც ვერ ვაკონტროლებ, გავუბერავ ხოლმე და ვხვდები, რომ უნდა „დავატორმუზო“. მეგობრებიც მეუბნებიან ხოლმე – მშვიდად, მშვიდადო.

**– ბალერინებს საკმაოდ რთული და მკაცრი რეჟიმი გაქვთ. ალბათ, ეს პიროვნების ჩამოყალიბებაზეც ახდენს გავლენას.**

– ბევრჯერ მინანია, რატომ გავყევი ბალეტს, რადგან, შეიძლებოდა, მეტი დრო დამეთმო ჩემი ოცნებისთვის, სამსახიობო კარიერისთვის, ან, თუნდაც, საფუძვლიანად მესწავლა ჟურნალისტიკა. კი დავამთავრე საზოგადოებასთან ურთიერთობის ფაკულტეტი, მაგრამ, ჟურნალისტიკა მაინც სხვა არის. თუმცა, ახლა ვხვდები, რომ ბალეტმა დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება მომცა და ამაზე ვრცლად შემიძლია საუბარი. ჯერ მარტო დისციპლინა: გაკვეთილი იწყება 09:15 საათზე და მთავრდება 11:35 საათზე. ეს ნიშნავს იმას, რომ შენ 10 წუთით ადრე უნდა იყო მზად ყველაფრისთვის, რადგან, ზუსტად იმ დროს თუ არ დაიწყებ, შეიძლება, მეორე დღეს დასში აღარ იყო. გარდა ამისა, მთელი ცხოვრება სარკეში მუდმივად ძერწავ საკუთარ თავს. ბალეტში იდეალისკენ სწრაფვა მუდმივად არის, ვერასდროს მიაღწევ სრულყოფილებას. ამიტომ, მთელი ცხოვრება ძერწავ და ესთეტიკის შეგრძნება მაღალ დონეზე გაქვს. ზუსტად ვიცი, რა, სად, როგორ მიხდება. ამ ყველაფერთან ერთად, გამომუშავებული გაქვს დისციპლინა, პუნქტუალური ხარ, მორიდება გაქვს პედაგოგების მიმართ, თანაც, ხელოვნების საოცარ სამყაროში იზრდები, სწავლობ ყველა სფეროს, რაც ხელოვნებას ეხება და ამას საერთოდ სხვაგან მიჰყავხარ. ბავშვობაში, როცა სხვა ბავშვები შატალოზე გარბოდნენ, ჩვენ ყოველთვის კდემა-ბავშვები ვიყავით. შეიძლება ითქვას, რომ ბევრ რამეს ამაცილა ბალეტმა. თან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეგუებული ხარ ყველანაირ ტკივილს. რა უნდა გამიკეთოს ადამიანმა როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად, რომ მე გამომიყვანოს წყობიდან?! დასისხლიანებული თითებით, მოტეხილი ფეხით მიცეკვია სცენაზე, ცეკვის დროს თითი მომტეხია და ყველანაირი ტკივილისთვის გამიძლია. პედაგოგები სულ გვეუბნებოდნენ: ბალეტი არის ერთადერთი პროფესია, რომელშიც არ არსებობს სიტყვა „არ შემიძლია“. ვიდექი და ვტიროდი, სისხლიანი მქონდა ფეხები, მაგრამ, პედაგოგი მეუბნებოდა – არ მაინტერესებს, შენ ეს ცეკვა ბოლომდე უნდა იცეკვოო. ეს 15 წლის განმავლობაში ყოველდღე რომ ხდება, რაღამ უნდა დაგანგრიოს ცხოვრებაში, რა უნდა დამავალო, რომ ვერ შევძლო?! ბალერინის შრომა მეშახტის შრომასთან არის შედარებული.

**დასისხლიანებული თითებით, მოტეხილი ფეხით მიცეკვია სცენაზე, ცეკვის დროს თითი მომტეხია, ყველანაირი ტკივილისთვის გამიძლია**

**– იმედია, მეშახტეობას არ ცდი?**

– ჯერ არ მიცდია. მართლა არ არსებობს რამ, რამაც, შეიძლება, შემაშინოს. ისეთი მობილიზება გაქვს, ისეთი სიმტკიცე, რომ, არ შეიძლება რამეს ვერ გაუმკლავდე. თან ბევრ რამეზე უარის თქმას სწავლობ, ყველანაირად უძლევნი საკუთარ თავს ამ პროფესიას. 22 წლამდე ვნანობდი, რადგან, მეგონა, რომ დასრულდა ცხოვრება და სხვას ვერაფერს გავაკეთებდი, მაგრამ, ახლა კი არ ვნანობ, მადლობელი ვარ ბალეტის, რადგან, უზარმაზარი შემოქმედებითი ჟინი დამიკმაყოფილა ამ პროფესიამ.

**– ამიტომ, ერთ დღესაც, დაანებე თავი და ჟურნალისტიკაში მოსინჯე ძალები.**

– ამ ყველაფერს ძალიან დიდი შრომა სჭირდება. რადგან ცხოვრებაში სხვა ინტერესებიც მქონდა, ამიტომ, ამან მიბიძგა, რომ პარალელურად მესწავლა სხვა საქმე, მეფიქრა სხვა საქმიანობაზე. გაწონასწორებულად მივიღე გადაწყვეტილება – უნდა დამეთმო ბალეტი, რასაც მთელი ცხოვრება მივუძღვენი. ეს დაახლოებით ერთ კვირაში გადავწყვიტე. ჩემს ცხოვრებაში ხშირად ხდება დამთხვევები, რასაც იღბალს ვერ დავარქმევ, რადგან, ჩემი აზრით, იღბალს შენ განაპირობებ – თვითონ უნდა მიხვდე, როდის არის საჭირო დრო და საჭირო მომენტი. მახსოვს, ზაფხულში, 20-დან 30 აგვისტომდე, ნინო ანანიაშვილმა დასიდან მხოლოდ ათი გოგონა შეგვარჩია და ჩამოიყვანა უცხოელი ქორეოგრაფი, რომელიც გვიდგამდა ახალ სპექტაკლს. ისეთი რეჟიმი იყო, პრაქტიკულად, გამოღწევის საშუალება არ იყო. ზუსტად ისე დაემთხვა, რომ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ წამყვანის ქასტინგი იყო. ნინოსთან მისვლა და თხოვნა – გამიშვიო – წარმოუდგენელი იყო. მაგრამ, ვიფიქრე: მოდი, მივალ და ვცდი-მეთქი. მივედი, თან, გულში ვფიქრობდი: „ვიზამ, ვიზამ, გამიშვებს, გამიშვებს“... ვუთხარი: ხვალ თბილისში მნიშვნელოვანი დღე მაქვს და, იქნებ, გამიშვათ-მეთქი. დამთანხმდა. ღამით წამოვედი თბილისში, დილით ქასთინგზე მივედი და საღამოს უკან დავბრუნდი. ოთხ დღეში დამირეკეს და მითხრეს – აგიყვანეთო. თუ ამიყვანდნენ, გადაწყვეტილი მქონდა ბალეტიდან წამოსვლა, რაც, გარკვეულწილად, რისკი იყო. მაგრამ, ყოველთვის ზუსტად ვგრძნობ, რომ ამ დროს არის მისაღები ეს გადაწყვეტილება. ბევრი მეუბნებოდა – იქნებ, არ გინდა, წინ გაქვს ყველაფერიო, მაგრამ, ვიცოდი, რომ დღეს ეს მჭირდებოდა და მორჩა. არასდროს ვფიქრობ, ხვალ რა იქნება, დღეს მინდა და მორჩა! პირადში უფრო ვიღებ სპონტანურ გადაწყვეტილებას, თორემ, საქმესთან დაკავშირებით ბევრს ვფიქრობ. მანამდე წლები ვფიქრობდი სხვაგან მუშაობაზე: მინდოდა ფიარში, ბანკში, მაგრამ, არ გამოდიოდა ხოლმე – ალბათ, არ იყო საჭირო. ამიტომ რაზეც კარგად ვიფიქრებ და გამოვიტან საბოლოო დასკვნას, ის ამართლებს.

**– როდის იღებ ხოლმე პირად ცხოვრებაში სპონტანურ გადაწყვეტილებას?**

– ამბობენ, ქალს იმის ეშმაკობა უნდა ჰქონდეს, რომ რაღაცეებზე თვალი დახუჭოს, დათმოს და, თუნდაც, ითამაშოსო. ვერ ვიტყვი, რომ ეს არ გამომდის, მაგრამ, ძირითადად, ემოციებზე ვარ დამოკიდებული. შეიძლება, დრო გავიდეს და მერე ვთქვა: იქ რომ მომეთმინა, ასე არ მოვქცეულიყავი, შეიძლება, დღეს ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო-მეთქი. ურთიერთობის დაწყება უფრო სპონტანურად ვიცი, ვიდრე დამთავრება.

**– ახლა რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– არაფერი, მხოლოდ და მხოლოდ საქმე, ძილი. ისე, ამ ყველაფერს ვერც დაგეგმავ. შეიძლება, შენი მეორე ნახევარი იმ დროს გამოჩნდეს, როცა არ ელოდები.

**ნათია უტიაშვილი**

# რომელი თბილისური სასტუმროს პირველ სართულზე იყო გახსნილი დიმიტრი ერმაკოვის ფოტოსალონი და რა ფუნქციას ასრულებდა საბჭოთა პერიოდში სასტუმრო „ლონდონის“ შენობა

*მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე თბილისში სასტუმროების ბიზნესი ძალზე გავრცელებული სფერო იყო. ქალაქში არაერთი პატარა თუ დიდი სასტუმრო ფუნქციონირებდა და არც კლიენტების ნაკლებობას უჩიოდა. ძველი ფოტოების დახმარებით, შესაძლებელია, რამდენიმე მათგანის შესახებ საინტერესო ცნობებს გავეცნოთ.*

## „კავკაზი“

მეცხრამეტე საუკუნეში გახსნილ სასტუმროებს შორის განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა 1858 წელს ერევნელის მოედანზე, ოლქის შტაბის შენობის გვერდით გახსნილი სასტუმრო „კავკაზი“, რომელმაც ბინა სუმბათაშვილების სახლში დაიდო. ტფილისში სტუმრად მყოფი ალექსანდრე დიუმას ცნობით, სასტუმროს მმართველი ფრანგი მზარეული გიიომი გახლდათ, რომელიც სასტუმროს 1858-1865 წლებში უძღვებოდა. სასტუმროსთან არსებული რესტორანი იმ დროის მაღალი წრის შეკრების ადგილად ითვლებოდა და იქვე უყვარდათ სადილობა ქალაქის სტუმრებს, მათ შორის არაერთხელ უსადილია იქ ალექსანდრე დიუმასაც. 1865 წელს შენობა მირზოევებს შეუძენიათ და სასტუმრო სამართავად სხვა ფრანგისთვის, ასევე შეფ-მზარეულ მარიუს მარტენისთვის გადაუციათ. იმ პერიოდში „კავკაზი“ „ოტელ მარტენის“ სახელით იყო ცნობილი და სტუმრებს შორის მაღალი შეფასებით სარგებლობდა. 1876 წელს „კავკაზის“ შენობას არქიტექტორ ალექსეევის პროექტით მესამე სართული დააშენეს და სასტუმრომ საბოლოო სახე მიიღო, თუმცა, მანამდე, 1874 წელს, ეს შენობა ერევნელის მოედნის შუაგულში მდგარი თამამშევის თეატრი-ქარვასლის ხანძრის მოწმე გახდა. გავრცელებული ცნობის თანახმად, ქარვასლის სარდაფებში ნავთი ინახებოდა და შიშობდნენ, რომ ცეცხლი ახლომდებარე შენობებზეც გადმოვიდოდა, თუმცა ხანძარს მხოლოდ ქარვასლა ემსხვერპლა. მესამე სართულის დაშენების შემდეგ „კავკაზის“ პირველი სართული მაღაზიებმა დაიკავეს, მათ შორის ალექსანდრე მანთაშევის ქსოვილების მაღაზიამ, რომელიც ქსოვილებისა და ბამბეულის პირველი მაღაზია იყო იმ დროის თბილისში. 1880-იან წლებში „კავკაზი“ „ლონდონის“ შემდეგ თბილისის საუკეთესო სასტუმროდ ითვლებოდა, აქ ჩერდებოდნენ ქალაქის მაღალი რანგის სტუმრები. სასტუმროში 90 ნომერი ფუნქციონირებდა და ფასი დღე-ღამეში 1-დან 5 მანეთამდე მერყეობდა. 1910-იან წლებში სასტუმროს პირველ სართულზე განთავსებული იყო ცნობილი ფოტოგრაფის, დიმიტრი ერმაკოვის ფოტოსალონი, სადაც „კავკასიის ხედებისა და ტიპების კოლექციები“ იყიდებოდა. გასაბჭოების შემდგომ წლებში „კავკაზის“ შენობა წითელი არმიის „ვერხუშკას“ ჰქონდა მითვისებული, შემდგომში იქ რამდენიმე უწყება იყო განთავსებული, ხოლო 1991-1992 წლების სამოქალაქო ომის პერიოდში ეს ულამაზესი შენობა დაიწვა და მთლიანად დაინგრა. ამჟამად სასტუმრო „კავკაზის“ ადგილზე სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტია“ გახსნილი.



სასტუმრო „კავკაზი“ ერევნელის მოედანზე (1900-იანი წლები, დ. ერმაკოვის ფოტო)

ერევნელის მოედანი, სასტუმრო „კავკაზი“ და თამამშევის ქარვასლა (1900-იანი წლები, დ. ერმაკოვის ფოტო)





სასტუმრო „ლონდონი“ (1900-იანი წლები)

## „ლონდონი“

სკუდიერის „მშრალ ხიდთან“ მდებარე სასტუმრო „ლონდონი“ თბილისელ არქიტექტორ ოტო სიმონსენის პროექტით ზუბალაშვილების ოჯახის სახსრებზე აშენდა. შენობა თავდაპირველად ალექსანდრე ზუბალაშვილს ეკუთვნოდა, შემდგომში მის ძმას – კონსტანტინეს და, ბოლოს – პეტრე ზუბალაშვილს. „ლონდონის“ ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად მისი სადარბაზო და კიბის უჯრედი ითვლება, რომელიც ამჟამად შემორჩენილია, თუმცა, დაზიანებული და მოუვლელია. „ლონდონი,“ ნომრების რაოდენობის გამო პატარა სასტუმროდ ითვლებოდა (1890-იან წლებში 28 ნომერი და 1910-იან წლებში – 30 ნომერი), თუმცა, მაინც ქალაქის საუკეთესო სასტუმროდ იყო აღიარებული. უცხოელი მოგზაურების უმეტესობა თავის არჩევანს სწორედ „ლონდონზე“ აკეთებდა. ამ სასტუმროში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ: რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი, ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი, პოეტი ტერენტი გრანელი; „ლონდონის“

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

სასტუმრო „ლონდონის“ ხედი მარცხენა სანაპიროდან (1910-იანი წლები)





სასტუმრო „ლონდონი“ (1900-იანი წლები)







სასტუმრო „ლონდონის“ ყოფილი შენობის თანამედროვე ხედი

**ყველა, ვინც მიიჩნევს, რომ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, უნდა ჰქონდეს სურვილი, შეუდგეს წმიდა დიდმარხვას, იაროს ეკლესიაში და აღიაროს საკუთარი ცოდვები. მაგრამ სურვილს თან უნდა ახლდეს სიმდაბლე, რისგანაც შორს არიან ფარისევლები. სწორედ მათ შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# რისთვის იყენებენ ადამიანები საკუთარ ვითომ სულიერებასა და მორწმუნეობას და როგორ ცდილობენ ისინი საკუთარი თავის სხვებზე უკეთესად წარმოჩენას



**ერთი თანამედროვე მოძღვრის საინტერესო ქადაგება წავიკითხე, სადაც, კითხვაზე: არიან თუ არა ქართველები ფარისევლები, პასუხობს: ჩვენ ფარისევლები კი არ ვართ, ჩვენ ვართ სადუკევლებისა და ფარისევლების ნაჯვარი, ჰიბრიდი**

**– მამაო, დღეს ხშირად ამბობენ ადამიანები სხვაზე: ეს ფარისეველია, ნახეთ, როგორ ფარისევლურად იქცევაო. სინამდვილეში, ბევრმა არ იცის, ვინ იყვნენ ფარისევლები და, შესაბამისად, რა გვაკავშირებს დღეს თანამედროვე ქრისტიან ქართველებს მათთან.**

– თავიდან სიტყვა „ფარისეველი“ იმ გაგებით არ იხმარებოდა, როგორც დღეს იხმარება, ანუ, სიტყვა „ფარისეველი“ ნიშნავდა „მართალს“. ქრისტეს შობამდე 200 წლით ადრე ებრაელებში ჩამოყალიბდა გარკვეული პარტია, ეროვნული მოძრაობა, რომელიც იცავდა საღმრთო რჯულს, მოსეს კანონებს. მათ იმდენად უყვარდათ საკუთარი ქვეყანა, იუდეველობა, რომ თავიანთ სწავლებებს ელინიზმისგან იცავდნენ. მაგრამ ისინი, საბოლოოდ ამ ყველაფერს იმდენად გადაჭარბებულად აკეთებდნენ, რომ გადავიდნენ მოჩვენებითობაში – ვითომ რჯულისა და ეროვნების დამცველები იყვნენ. მაგრამ, როდესაც მოვიდა განკაცებული ღმერთი, იესო ქრისტე, ის ვერ იცნეს და დაუწყეს წინააღმდეგობის გაწევა, მხილება. დღევანდელი გაგებით, ფარისეველი ნიშნავს ადამიანს, რომელიც მატყუარა, ცრუპენტელაა და მოჩვენებითად ემსახურება ღმერთს, ქვეყანას, ადამიანებს. ფარისეველი, რომელიც წარდგება უფლის წინაშე, დგება იქ, სადაც მართლები დგებიან და იწყებს დიდებით მეტყველებას უფლის წინაშე. ის ამბობს: „მადლობა, დიდება შენდა, ღმერთო, რომ მე არ ვარ მპარავი, მემრუშე, ავაზაკი, როგორც ის მეზვერე“, – და მიუთითებს იმაზე, რომელიც მის გვერდით დგას; გულზე მჯიღს იცემდს და უფალს ევედრება: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე“. მეზვერეები იმ დროს იყვნენ მოღალატე ადამიანები, რომლებსაც ერთი შეხედვით, არ უყვართ თავიანთი სამშობლო. ებრაელებში სიტყვები: „მეზვერე“ და „ცოდვილი“ სინონიმები იყო. მაგრამ, ეს პიროვნება არ მიიჩნევს თავს ღირსად, რომ თავი ასწიოს უფლის წინაშე. ასე რომ, დგას ორი პიროვნება: ერთი, რომელიც მოჩვენებითად მართალია და მეორე – რომელიც ერთი შეხედვით ცოდვილი ჰგონიათ. ფარისეველი ერთი შეხედვით მართალია: იცავს რჯულს, კვირაში ორჯერ მარხულობს. აქვე შეგახსენებთ, რომ ებრაელების მარხვა წელიწადში ერთხელ იყო და ეს პიროვნება კვირაში ორჯერ მარხულობდა. თავისი მონაგებიდან, ასევე, შემოსავლებიდან, მეათედს სწირავდა უფალს. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ამას ფარისეველი თავმდაბლობით, ტაძრისა და ერის სიყვარულით კი არ აკეთებს, არამედ, პატივმოყვარეობით; თავს იწონებს და განიკითხავს სხვას და მისი მთავარი დანაშაული სწორედ ის არის, რომ სხვას განიკითხავს. სამწუხაროდ, ჩვენც ხშირად ვიმყოფებით ასეთ მდგომარეობაში. როცა მოვდივართ ეკლესიაში და ვხედავთ პიროვნებას, რომელიც არ გამოირჩევა ზნეობრივი ცხოვრებით, ვაცხადებთ: „რა უნდა მას ეკლესიაში, როგორი ცოდვილია“... ჩვენ არც მეზვერეები ვართ და არც ფარისევლები. ფარისევლისგან განსხვავებით, ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ კვირაში ორი დღე მარხვაა; რომ მეათედი უნდა შევწიროთ ეკლესიას და არ ვართ ისეთი ეროვნულები, როგორებიც ფარისევლები იყვნენ თავიდან. ასე რომ, ამ უარყოფითი პერსონაჟისგანაც შორს ვართ უკვე. თუმცა, გვინდა, რომ მივბაძოთ მას: ხშირად თავი მოგვაქვს, როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს, ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს; ცოტა ხნის წინ ერთი თანამედროვე მოძღვრის საინტერესო ქადაგება წავიკითხე, სადაც, კითხვაზე: არიან თუ არა ქართველები ფარისევლები, პასუხობს: „ჩვენ ფარისევლები კი არ ვართ, ჩვენ ვართ სადუკევლებისა და ფარისევლების ნაჯვარი, ჰიბრიდი“. როცა ქრისტე მოვიდა ამქვეყნად, ისრაელში ორი ძირითადი პარტია იყო: ფარისევლებისა და სადუკევლების, რომელიც იყო ელიტური პარტია და დაკომპლექტებული იყო ძირითადად მღვდელმთავრებისა და მღვდლებისგან, მათ კი არ სწამთ აღდგომა, სული და ანგელოზი. მათი ნაჯვარად გამოიყვანა თანამერდოვე მამამ ჩვენი, ქართველების ცნობიერება და, არ შემიძლია, არ დავეთანხმო.

**– როგორ უნდა დავინახოთ საკუთარ თავში ფარისეველი?**

– ამოგიკითხავთ იოანე კრონშტადტელის ცნობილ ქადაგებას, სადაც ძალიან საინტერესო მომენტებია, რაც დაგვეხმარება, საკუთარ თავში დავინახოთ ფარისეველი და არ ვეძებოთ ის სხვებში: პირველი ნიშანი ფარისევლობისა არის დაბრკოლებისკენ მიდრეკილება. ბევრ ადამიანს არაფერი არ მოსწონს: მოვა ერთ ეკლესიაში, მერე – მეორეში; ეს მღვდელი მაღალია, ეს – დაბალია, ეს – მსუქანია, იქ ასე გალობენ, აქ – ისე... როცა უკმაყოფილო ხარ ყველაფრით, ყველათი: ცოლით, შვილით, მეზობლით, მეგობრით – აი, ეს არის უკმაყოფილების განცდა. ამას კი ხშირად იმით ნიღბავენ, რომ მე ვარ ძალიან წმიდა, პატიოსანი და არ შეუძლია, ეს მოითმინონ, აღშფოთებულებს და გაკვირვებულებს თავიანთ გარშემო არაფერი მოსწონთ და არიან განკითხვაში. აი, აქედან მოდის მუდმივად განკითხვა. მეორე ნიშანი, რომელიც არის პირველის გაგრძელება, ანუ საიდან მოდის დაბრკოლება ფარისეველში, ეს ყველაფერი კი არის თავმოყვარეობის მიერ ნაშობი და ის მომდინარეობს კაცის სულში მოყვასისა და ღმერთის სიყვარულის ნაკლებობიდან. ფარისევლებს რომ ჰყვარებოდათ უფალი, მოყვასი, მიხვდებოდნენ, ვინ იყო იესო ქრისტე და არ იქნებოდნენ მის მიმართ მუდმივად უთანხმოებაში. ჩვენი მდგომარეობაც ასეთია – იმიტომ ვართ განკითხვაში, რომ არ გვიყვარს უფალი და მოყვასი ისე, როგორც საჭიროა; მესამე მდგომარეობა – ეს არის ყოველივე კანონის წვრილმანებით მოჩვენებითი დაცვა: იწყება მარხვა და ზოგიერთები იწყებენ ქვაბების ბოლომდე გახეხვას, რომ არასამარხვო არაფერი შეჰყვეს; რომელი კოვზითაც ბავშვის საჭმელი გააკეთე, იმით არ უნდა მიირთვა, რადგან, დიდი მართლმადიდებელი ხარ; არ უყურებ არაფერს; არ იცვამ ვულგარულად; არ შეიძლება, წახვიდე თეატრში; არ შეიძლება, გაიღიმო, თმა დაივარცხნო და ასე შემდეგ. არადა, ამ დროს, ეს ადამიანი ძალიან შორს არის ქრისტიანობისგან, თუმცა ყველაფერს უწვრილმადნები, ყველაფერს აქცევ ყურადღებას, მაგრამ, სინამდვილეში, შორს ხარ ჭეშმარიტებისგან და ფარისევლურ მდგომარეობაში იმყოფები; მეოთხე – ფარისეველი პიროვნება გამოირჩევა ცუდმედიდობით, როცა ადამიანს არაფერი გააჩნია კარგი, ამას არ აღირებს და ცუდად მედიდობს. თუნდაც, ვითომ მართლმადიდებელი ხარ, არ მარხულობ, არ ეზიარები, გააჩერებ იელოველს და ურტყამ თავში, უმტკიცებ, რომ ერთპიროვანი სამარსება ღმერთი გწამს, მაგრამ, სინამდვილეში, კარგი არაფერი გაგაჩნია. ქრისტემ ფარისევლებს უწოდა „თეთრად შეღებილი საფლავები“, ანუ, გარედან არის შეფერილი, შელესილი, გარემონტებული შიგნით კი ყარს ცოდვებით და ამას მალავს; სამაგიეროდ, სხვას მიუთითებს და განიკითხავს; მეხუთე – ფარისეველი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სხვებისგან მიიღოს დიდება, რომ შეაქონ, ადიდონ. არავის სჭირდება პირფერობა, ქება, გადამეტებული შეფასებები – ეს ხომ პირმოთნეობა, მლიქვნელობაა. ეს ყველას გვეხება, მოძღვრებსაც, ვინც ელოდება ხოტბა-დიდებას; მეექვსე – ფარისევლისთვის ქრისტეს ჯვარი არის სასაცილო. მას უნდა, მესიად ჰყავდეს ისეთი პიროვნება, როგორებიც იყვნენ: მაკედონელი, სტალინი, ნაპოლეონი... ამიტომაც, ქრისტე, რომელიც უბრალო ადამიანის სახით მოვიდა, არ მიიღეს. მათ უნდათ ისეთი მესია, რომელიც მთელს მსოფლიოში გააბატონებთ; მეშვიდე – ფარისეველის გულშია აღმართულია კერპი, რომელსაც ჰქვია „მე“, ანუ – ეგოიზმი. ჩვენ, ყველა, ფაქტობრივად, ასე ვართ. კერპი, რომელიც ჩვენშია აღმართული უნდა დაიმსხვრას თავმდაბლობით, ლოცვით, მეტანიებით, სინანულითა და უფალთან ურთიერთობით.

**ნათია უტიაშვილი**

## მშვიდობით, მამა!
## ხვთისო (ვიქტორ) თევდორაშვილის გახსენება

*„დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“.*
*შოთა რუსთაველი*

მშვიდობით, მამა, ჯვარი გეწეროს, ღმერთთან ცხოვრება უფრო ტკბილია,
ვერ გიპატრონეთ შვილებმა მშობლებს, ღამე მშვიდობით არ გიძინია.
გიყვარდა წიგნი, შრომა და გარჯა, შენ შემაყვარე ბრძენი ილია,
ისე გახვედი სოფლიდან უცებ, წამი მოყვასთან არ გიჩივლია.
დედამიწაზე, რაც შენ აღარ ხარ, ყოველდღე მხოლოდ ცივი ნისლია,
ვიხსენებ, როგორ მასწავლე კითხვა, მამაშვილობა დიდი ნიჭია,
უკვე სინდისი მაწუხებს ხშირად, მინდა, ვიკითხო შენთვის ბიბლია.
დედის თვალებში ვუყურებ სევდას, მისთვის სიცოცხლე უკვე ჩრდილია.
დადგება დრო და მეც მოვალ შენთან, ყოველი წამი ჩემთვის ფიქრია,
აგინთებ სანთელს, ვილოცებ ჯვართან, ცოდვის შენდობა სულის ლხინია.
შვილების თვალზე არ წყდება ცრემლი, უფალს ულიმის დღეს სესილია,
იქნება, კიდევ გეცხოვრა დიდხანს, თუმცა განგების ძალა დიდია.
შევცქერი სახლის მგლოვარე კედლებს, მათი შენება შენი წვლილია,
მინდა, გაკოცო გონიერ შუბლზე, დღეს უჩვეულოდ ძალზე ცივია,
ისე წახვედი, ვერ მოგეფერე, უმამოდ კაცი მაინც ჩვილია,
ადრე მასწავლე ერთ ღმერთზე ლოცვა, ტაძრის მოძღვარი შენი შვილია.
ზეციურ მამულს უკეთ იცნობდი, სულთა წიაღზე სიყრმით მსმენია,
პირველად ბავშვმა ვიწამე ღმერთი, არ მავიწყდება შოთას გენია.
დედას მივხედავ, არ გქონდეს დარდი, ცისფერ თვალებში ისევ ცრემლია,
არ გიწერია ჩემში სიკვდილი, ეს ლექსი გულზე დამიწერია.

**მამა გიორგი (24.12.2012 წელი)**

# სწავლანი მამათა ცხოვრებიდან

## მორჩილებისთვის

წმიდა მამა იოანე შეყენებული მოწაფითურთ უდაბნოში იყო გასული. მოეწყინა მოწაფეს დაყუდება და უთხრა ბერს: „მამაო, მოახლოვდა აღდგომა, წავიდეთ მონასტერში და აღვასრულოთ დღესასწაული მამებთან ერთად, რადგან არაფერი გვაქვს საჭმელი ამ ფხალის მეტი“. მამა იოანემ არ ინება მონასტერში მიქცევა, რადგან მამა საბა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო იქ, ხოლო მოწაფე თავისას არ იშლიდა. ბერი კი შეაყოვნებდა: „ვსხდეთ, ძმაო და გვწამდეს, რომ, ვინც ექვსასი ადამიანი დააპურა ორმოცი წლის განმავლობაში, იგივე მოგვცემს ჩვენც არა მარტო საჭირო სახმარს, არამედ უმეტესსაც; რადგან მან ბრძანა: „არა დაგიტევო, არცა დაგაგდო შენ“. ხოლო სახარებასა იტყვის: „ნუ ჰზრუნავთ, გინა თუ რაი ვჭამოთ, გინა თუ რაი ვსვათ, გინა თუ რაი შევიმოსოთ. რამეთუ მამამან თქვენმან, რომელ არს ცათა შინა, იცის, რაი იგი გიხმს ამის ყოველისაგანი, არამედ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ცათასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“. გულისხმაყავ აწ, შვილო ჩემო და შეიკრძალე შენ იწრო გზა, უფროის ფართოსა, რადგან ამქვეყნიური განსვენება იმქვეყნად სატანჯველს შობს, ხოლო ამქვეყნად შიმშილი – იქ კეთილთაგან განაძღობს“.

არ შეისმინა მოწაფემ ბერის სიტყვები და გაუყვა გზას მონასტრისკენ, ხოლო მისი წასვლისთანავე მამა იოანესთან მივიდა უცხო კაცი, სანოვაგით დატვირთული ვირით. კაცმა ტვირთი გადმოხსნა სახედარს და დაუტოვა მამა იოანეს, ხოლო თავად უკანვე გაბრუნდა. ხურჯინში აღმოჩნდა სანოვაგე: თბილი პური, ღვინო, ზეთი, ხაჭო, კვერცხი და თაფლი. მამა იოანემ განიხარა სულით, რადგან მოხედა მას ღმერთმა.

ხოლო მოწაფე, რომელიც ურჩებით წავიდა, გზა დაებნა და დიდად იგვემა. მესამე დღეს მობრუნდა იგი უკან ბერთან მშიერი და დაუძლურებული, რომელიც გამაძღარი იყო ოდენ თავის ურჩების ნაყოფით, ხოლო, როცა მან, გამოქვაბულში მობრუნებულმა, იხილა სანოვაგე, გულისხმაყო თავისი ურწმუნოება და ურჩება. შეინანა და შერცხვენილი დაეცა ბერის წინაშე და ითხოვა მისგან შენდობა. ხოლო ბერმა გულისხმაყო კაცობრივი უძლურება, შეეწყალა მოწაფე, წამოაყენა და უთხრა: „ჭეშმარიტად უწყოდე, შვილო ჩემო, ვითარმედ, ღმერთი შემძლებელ არს განმზადებად ტაბლისა უდაბნოსა ზედა“.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რით დასტურდება, რომ უფალი ჩვენს ყოველგვარ ჩანაფიქრს ხვდება?**

**პასუხი:** ის, რომ ყოვლადმცოდნე უფალმა იცის ყოველი ჩვენი ჩანაფიქრის შესახებ, ჩვენივე სინდისით დასტურდება. ამიტომაცაა, როდესაც სასიკეთო საქმეს ჩავდივართ, სიმშვიდე და სიხარული გვეუფლება, უკეთური განზრახვისა და საქმის ჩადენისას კი – სინდისის ქენჯნას ვგრძნობთ და მოუსვენრობა გვიპყრობს, რადგან ვიცით, უფლის მცნებებს გადავუხვიეთ და სასჯელი არ აგვცდება. ეს ყოველივე უფლის ჩარევით ხდება. ამიტომ ადამიანი ფხიზლად უნდა იყოს და არ გადაუხვიოს ღმერთის ნებას.

**კითხვა: რატომ იკრძალება მართლმადიდებლურ ეკლესიებში წირვა-ლოცვის დამჯდარი მოსმენა ისე, როგორც ეს კათოლიკურ სამლოცველოებში ხდება?**

**პასუხი:** მჯდომარე ადამიანი დუნდება, არ არის მობილიზებული, ის ვერ ახდენს ლოცვისადმი კონცენტრაციას და შეიძლება, ღვთისმსახურების დროს ჩაეძინოს კიდეც. ამიტომ მართლმადიდებლურ ტაძრებში არის გარკვეული შეზღუდვები სხვა სარწმუნოების მიმდევართა ტაძრებთან შედარებით. ზოგადად, მართლმადიდებლური ეკლესია უფრო მკაცრია და მორწმუნისგან მეტ მოთმინებასა და თავდადებას მოითხოვს. გარდა ამისა, ჩვენს ტაძრებშიც არის დაშვებული გამონაკლის შემთხვევებში სკამზე ჩამოჯდომა, მაშინ, როცა მორწმუნე სნეულია, ან მოხუცი და არ შეუძლია მთელი წირვა-ლოცვის განმავლობაში ფეხზე დგომა.



**კითხვა: შეიძლება თუ არა, უკურთხებელი ხატების ნაკურთხ ხატებთან ერთად დაბრძანება?**

**პასუხი:** უკურთხებელი ხატები ნაკურთხ ხატებს არაფერს „ავნებს“, მაგრამ, გირჩევთ, დროულად აკურთხებინოთ ყველა ხატი და ისე მოაწყოთ სალოცავი კუთხე სახლში.

**კითხვა: რამდენი ნათლული შეიძლება ჰყავდეს ერთ ადამიანს? არის თუ არა ნათლულების რაოდენობა შეზღუდული?**

**პასუხი:** თუ ნათლია იმდენად ღვთისმოსავი და მადლიანია, რომ ახერხებს თავისი ნათლულების სულიერ აღზრდაზე ზრუნვას, მაშინ, მათი რაოდენობა არ არის შეზღუდული. მაგრამ, როგორც წესი, ასე არ ხდება ხოლმე და ადამიანები მხოლოდ თავიანთი მრავალრიცხოვანი ნათლულებით იწონებენ თავს, რაც დაუშვებელია. ზოგადად, თუ უკვე გყავთ ბევრი ნათლული და კიდევ გთხოვენ მონათვლას, დაეკითხეთ თქვენს მოძღვარს და ისე მიიღეთ გადაწყვეტილება.

# მამათა შეგონებანი

**პაისი მთაწმინდელი:** საუბედუროდ, ჩვენს დროში ადამიანებს არ სურთ, მოიკვეთონ ვნებები, საკუთარი თვითნებობა. ისინი უსირცხვილო ლაპარაკს იწყებენ და ღვთის მადლს განიშორებენ. ბოლოს ადამიანი, სადაც არ უნდა იყოს იგი, ვერაფერში წარმატებას ვერ აღწევს, რადგან იგი ეშმაკეული ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ადამიანი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის, რადგან გარედან მას ეშმაკი მართავს. ეშმაკი მასში კი არ არის! – ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ, მას გარედანაც შეუძლია მართოს იგი. ღმერთის მადლს განშორებული ადამიანი ეშმაკზე უარესია. რადგან ეშმაკი ყველაფერს თვითონ კი არ აკეთებს, არამედ ბოროტებისკენ უბიძგებს ადამიანებს. მაგალითად, ის თვითონ არ აღასრულებს ბოროტმოქმედებას, მაგრამ ადამიანებს კი აქეზებს ამისკენ. და ამის გამო ადამიანები ეშმაკეულები ხდებიან.

**გრიგოლ ღვთისმეტყველი:** თუმცა სულიწმიდა ერთია, მისი ძღვენი თანაბარი არაა, ვინაიდან სულიწმიდის მიმღებნი თანაბარნი არ არიან.

**ნიკოლოზ სერბი:** რაც უფრო სულიერია ადამიანი, მით მეტად ეშინია ცოდვისა; ისევე, როგორც უფსკრულის პირას გამოფხიზლებულ მთვარეულს მის წინაშე საშინელი შიში იპყრობს. მართლაც ცოდვილები მორალური მთვარეულები არიან. ვაი მთვარეულს, რომელიც მეტისმეტად გვიან გამოფხიზლდება, როდესაც ფეხები უკვე უსხლტება ღრმა უფსკრულის პირას; რამეთუ გამოფხიზლება მხოლოდ დაამოწმებს მის ვარდნას უფსკრულში.

**გაბრიელ ეპისკოპოსი:** ყოველი ცოდვა ისეთი თესლია, რომელიც თავის დროზე მწარე ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს. გარდა ამისა, ვინც სცოდავს, ძალიან ცუდ მაგალითს აძლევს ოჯახის წევრებსა და გარშემო მყოფთ. იგი ფრიად მძიმე ტვირთს გადასცემს შთამომავლობას, რომელიც მისი ცოდვის უნებლიე მემკვიდრე ხდება, ღმერთმა ყოველ ცოდვას რომელიმე უბედურება განგებ დაუკავშირა, რათა ადამიანს, რომელსაც უნებურად დიდი მიდრეკილება აქვს ცოდვის ჩადენისკენ, შეეშინდეს და გაფრთხილდეს. ცოდვის საპირისპირო მადლი და სათნოება, რომელიც ამ ქვეყანაშივე ხდება ადამიანისთვის ნუგეშისა და ბედნიერების წყარო.

**იოანე:** ნუ შეიყვარებთ ამ ქვეყანას, ნურც ამქვეყნიურს რასმე: ვისაც ეს ქვეყანა უყვარს, მამის სიყვარული არ არის მასში. ვინაიდან ამ ქვეყნად ყველაფერი – გულისთქმა ხორცის გულისთქმა და თვალის სიამაყე არსებობისა, – მამისაგან კი არ არის, არამედ ამ ქვეყნისაგან. ეს ქვეყანაც გარდავა და მისი გულისთქმანიც, ხოლო ღმერთის ნებისმყოფელი წარუვალია უკუნისამდე.

**პეტრე დამასკელი:** გადარჩენა ასე იწყება: ადამიანმა უნდა დაუტევოს თავისი ნება და გულისხმაყოფა და შეიქმნება ღმერთის ნებისა და ზრახვის აღმსრულებელი. ღმრთის ნებას ვერ შევიცნობთ გულისხმყოფის გარეშე და ეს უნდა ხდებოდეს არა საკუთარი, არამედ იმათი განსჯის საფუძველზე, ვისაც საამისო ცოდნაც აქვს და გამოცდილებაც. სხვაგვარად ხსნა შეუძლებელია. ისიც კი, რაც ჩვენ სიკეთედ მიგვაჩნია, ყოველთვის არ არის სიკეთე იმის გამო, რომ უდროოდ აღესრულება ან კიდევ იმიტომ, რომ არ გვჭირდება.

# რომელი საბჭოელი ფეხბურთელი მოხვდა 100-მატჩიანი ვარსკვლავების ტოპ-თერთმეტეულში და როდის დასრულდა რაულის კარიერა „ფურია როხას" რიგებში

*მსოფლიო ფეხბურთში არცთუ ბევრია ფეხბურთელი, რომელთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული მატჩების რაოდენობა 100 და მეტი მატჩია. საკუთარი ქვეყნის დროშის ქვეშ 100 მატჩის ჩატარება ნამდვილად დასაფასებელი ფაქტია და დღეს გაგაცნობთ 100-კეპიანი მატჩების ჩამტარებელ ყველაზე ცნობილ ფეხბურთელებს, რომელთა ნაწილს დღემდე არ დაუნებებია თამაშისთვის თავი და, შესაძლოა, საკუთარი რეკორდი კიდევ უფრო გაზარდოს. ცნობისთვის, საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ისტორიაში მხოლოდ ერთი მოთამაშეა, რომელმაც ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში 100 მატჩის ჩატარება მოახერხა – ესაა ბერლინის „ჰერტას" ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი, რომელსაც აქტიური სპორტული კარიერა ჯერ არ დაუსრულებია და, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიზეზების გამო, მას ბოლო პერიოდში არ უწევს ნაკრებში თამაში, იმედია, კვლავ ვიხილავთ „ჯვაროსნების" ფორმაში გამოწყობილს. მანამდე კი გთავაზობთ 11 ყველაზე ცნობილ ფეხბურთელს, რომლებმაც 100-მატჩიან ზღვარს გადააცილეს საკუთარ ეროვნულ ნაკრებებში.*

## იკერ კასილასი

მადრიდის „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების გოლკიპერი უკვე ითვლება რეკორდსმენად „ფურია როხას" შემადგენლობაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით – მის ანგარიშზე 150 მატჩია და ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება, რადგან, იკერი ჯერ მხოლოდ 31 წლისაა და აქტიური სპორტიდან წასვლას უახლოეს მომავალში არ გეგმავს. კასილასი მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე ტიტულოვან მეკარედ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, მასზე მეტი სანაკრებო ტიტული არც ერთ მეკარეს არ მოუგია; გარდა ამისა, იგი კლუბშიც და ნაკრებშიც კაპიტანია.



## ფაბიო კანავარო

„სკუადრა აძურას" შემადგენლობაში მატჩების რაოდენობით რეკორდსმენი ფაბიო კანავაროს კარიერა 13 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და მის ანგარიშზე 136 მატჩი და ორი გატანილი გოლია. კანავაროსთვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა 2006 წელი, როდესაც ის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა და წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. კანავარომ კარიერის განმავლობაში ტოპ-კლასის კლუბებში იასპარეზა, მათ შორის „ნაპოლიში", „რეალში" და „იუვენტუსში", კარიერა კი ახლო აღმოსავლეთში, „ალ-აჰლიში" დაასრულა.

## პაოლო მალდინი

კანავაროს შემდეგ, მატჩების რაოდენობით მეორე ადგილზეა ლეგენდარული პაოლო მალდინი – „მილანისა" და იტალიის ნაკრების საუკეთესო 3 ნომერი, რომლის ანგარიშზეც 126 მატჩია. მალდინის პატივსაცემად, „მილანის" 3-ნომრიანი მაისური სამუდამოდ მის საკუთრებაშია და მხოლოდ იმ შემთხვევაში „ამოქმედდება", თუკი პაოლოს რომელიმე ვაჟი ფეხბურთელის კარიერას „მილანის" რიგებში გაატარებს. საკლუბო დონეზე ტიტულოვან ფეხბურთელს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ნაკლებად გაუმართლა, თუმცა, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლები მის კოლექციას ნამდვილად ამშვენებს.

## ლოთარ მათეუსი

ლოთარ მათეუსის ანგარიშზე 150 მატჩია გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში; იგი, ასევე, უნიკალური რეკორდის თანამფლობელია მექსიკელ გოლკიპერ ანტონიო კარბახალთან ერთად. მათეუსს მონაწილეობა აქვს მიღებული 5 მსოფლიო ჩემპიონატში (1982, 1986, 1990, 1994 და 1998). მათეუსის ანგარიშზე, ასევე, 23 გატანილი გოლია. კარიერის დასრულების შემდეგ მათეუსმა ბედი სამწვრთნელო სფეროში სცადა, თუმცა, ნაკლებად წარმატებულად.

## ლილიან ტიურამი

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, ფრანგი ლილიან ტიურამის კეპების რაოდენობა ნაკრებში 142 მატჩს შეადგენს და მას ორი გოლი აქვს გატანილი, რომლებიც მან ერთ მატჩში, 1998 წელს მუნდიალის ნახევარფინალში ხორვატიის ნაკრების კარში გაიტანა. ტიურამის კარიერა, შესაძლოა, კიდევ უფრო გაგრძელებულიყო, რომ არა 2008 წელს დადგენილი გულის დაავადება, რის გამოც გამოცდილ და საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელ მცველს კარიერის დასრულება მოუხდა.

## რონალდინიო

თავისი მე-100 მატჩი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში რონალდინიომ 2013 წლის 6 თებერვალს ინგლისელებთან ითამაშა. წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ დააბრუნა და, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დაწყებამდე რონალდინიოს სიმბოლური 100-ნომრიანი მაისური გადაეცა, მან ამ თამაშში ანტიგმირის სახელი უფრო მოიპოვა, რადგან, თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააცუდა და ნაკრებმა წააგო. უცნობია, ენდობა თუ არა სკოლარი 33 წლის რონალდინიოს მომავალში, თუმცა, 100 მატჩი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში უკვე დიდი მიღწევაა.



## ზინედინ ზიდანი

ზინედინ ზიდანის დახასიათება რამდენიმე ფრაზით შეუძლებელია. იგი მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო და, ასევე, ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია. ზიდანს 12-წლიანი კარიერის განმავლობაში „სამფეროვანთა" რიგებში 106 მატჩი და 31 გოლი დაუგროვდა, მათ შორის, არა მგონია, ფეხბურთის ქომაგებს დაავიწყდეთ ზიდანის ბოლო მატჩი და ბოლო გოლი ნაკრების რიგებში, რომელსაც მარკო მატერაცისთან მომხდარი ინციდენტი ახლავს.

## დევიდ ბექჰემი

ბექჰემმა უკანასკნელი მატჩი ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 2009 წელს ითამაშა, დებიუტი კი 1996 წელს შედგა და ერთ-ერთი პირველი მატჩი მან თბილისში, საქართველოს ნაკრებთან მოგებულ მატჩში ითამაშა. სულ „პარი სენ-ჟერმენის" ახალწვეულის ანგარიშზე 115 მატჩი და 17 გატანილი გოლია. ვარსკვლავური ფეხბურთელის კარიერა ჯერაც გრძელდება, თუმცა, სანაკრებო დონეზე ბექჰემის ნახვა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან, როი ჰოჯსონის გეგმებში არ შედის 38 წლის ვეტერანის გამოძახება.

## ოლეგ ბლოხინი

ლეგენდარული საბჭოელი ფეხბურთელი ოლეგ ბლოხინი 1975 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. გარდა ამისა, მის აქტივშია წარმატებული კარიერა კიევის „დინამოში" და უამრავი ტიტული. ბლოხინმა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 112 მატჩი ითამაშა და 42 გოლი გაიტანა. იგი უკრაინული ფეხბურთის ნამდვილი სიმბოლოა და დღესაც ჩართულია ფეხბურთში – კიევის „დინამოს" წვრთნის, ხოლო მანამდე ორჯერ იყო უკრაინის ნაკრების მწვრთნელი და 2006 და 2012 წლების მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ათამაშა გუნდი.

## რაული

რაულ გონსალეს ბლანკოს ანგარიშზე 104 მატჩი და 44 გატანილი გოლია ესპანეთის ნაკრების რიგებში ყოფნისას, თუმცა, ბოლო წლების დიდ წარმატებას ნაკრებმა რაულის გარეშე მიაღწია. მადრიდის „რეალის" ლეგენდამ ბოლოს „ფურია როხას" რიგებში 2006 წელს ითამაშა და მას შემდეგ ის არც ლუის არაგონესისა და არც ვისენტე დელ ბოსკეს ინტერესის სფეროში არ მოხვედრილა. 2010 წელს მადრიდიდან აზარგებულმა ფეხბურთელმა ორი წელი გერმანიაში, „შალკეს" რიგებში გაატარა, ახლა კი ყატარში „ალ-საადის" რიგებში ასპარეზობს. ამბობენ, რომ 35 წლის ფეხბურთელზე ესპანელებმა ნაადრევად თქვეს უარი.

## მიროსლავ კლოზე



გერმანიის ნაკრების პოლონური წარმომავლობის ფეხბურთელი მიროსლავ კლოზე, წელს 35 წლის გახდება, თუმცა, ის ნაკრებისთვის ჯერაც შეუცვლელი ფიგურაა და, სავარაუდოდ, აუცილებლად იასპარეზებს 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც რონალდოს რეკორდის მოხსნას გეგმავს და მსოფლიო ჩემპიონატების ყველა დროის ბომბარდირის ტიტულს უმიზნებს. კლოზეს ანგარიშზე 126 მატჩია და მას 67 გატანილი გოლი აქვს ნაკრების რიგებში, რაც არცთუ უმნიშვნელო ფაქტია.

# გიგზის 999-ე და გოლი



ინგლისის პრემიერლიგის ლიდერის „მანჩესტ-ერ იუნაიტედის" ლეგენდარულმა 11-მა ნომერმა, უელსელმა რაიან გიგზმა კიდევ ერთი უნიკალური რეკორდი დაამყარა: 39 წლის ლეგენდამ თავის კარიერაში 999-ე ოფიციალური მატჩი ჩაატარა და ეს მიღწევა გოლის გატანით აღნიშნა. „წითელი ეშმაკების" თავკაცის, ალექს ფერგიუსონის თქმით, გიგზი უნიკალური ფეხბურთელია, რომელსაც სარგებელი მოაქვს გუნდისთვის და გოლების გატანასაც ახერხებს. ფეხბურთელს წელს 40 წელი შეუსრულდება და კონტრაქტი სეზონის ბოლომდეა გათვლილი, თუმცა, ფერგიუსონი იმედოვნებს, რომ გიგზის დაყოლიებას მოახერხებს და კიდევ ერთი სეზონით დატოვებს გუნდში.

# ირინა შეიკის სხეულის მორიგი ჩვენება



კრიშტიანუ რონალდუს სექსუალური მეგობარი გოგონა, რუსი სუპერმოდელი ირინა შეიკი, თავის თაყვანისმცემლებს ყოველკვირეულად ახალი, „ცხელი" ფოტოსესიებით ახარებს. ამჯერად მოდელმა „ბიჩ ბანის" ბრენდის სექსუალური საცურაო კოსტიუმების სარეკლამო ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ინტერნეტში უკვე გავრცელდა რამდენიმე ფოტო, რომლებზეც გარუჯული შეიკი საცურაო კოსტიუმებში პოზირებს. საცურაო კოსტიუმების მთავარი ღირსება კი ის არის, რომ სპეციალური ქსოვილისგან არის დამზადებული და მისი განსხვავება ქალის სექსუალური თეთრეულისგან პრაქტიკულად შეუძლებელია.

# როჯერ ფედერერის აზრი პოპულარობაზე

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა და ბოლო ათწლეულის პლანეტის ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა მამაკაცმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა „როიტერსის" სააგენტოსთან ინტერვიუში გაიხსენა, თუ როგორ გაუმკლავდა ზეწოლას მას შემდეგ, რაც ცნობილი სპორტსმენი გახდა. „სიმართლე გითხრათ, არანაირი რეაქცია არ მქონია, როცა უიმბლდონზე გავიმარჯვე პირველად და სათავეში ჩავუდექი რეიტინგს. ჩემი წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა, მე წლობით ვემზადებოდი ამისთვის და ურთულესი ეტაპები გავიარე, სანამ საყოველთაოდ ცნობილი გავხდებოდი. ჩემზე მუდამ ამბობდნენ, რომ ნიჭიერი ვარ და პირველი ჩოგანი გავხდები, თუმცა, მე არ ვაქცევდი ამ ლაპარაკს ყურადღებას, რადგან, ვიცოდი, რომ შრომაა საჭირო. ოქროს შუალედი მაქვს არჩეული და ცხოვრების ასეთ რეჟიმში განვაგრძობ ცხოვრებას".

# ტევესის ექსსაცოლის პაპარაცული ფოტო

არგენტინელი მოცეკვავე და რეალითი-შოუების ვარსკვლავი კლაუდია ჩიარდონე, უპირველეს ყოვლისა, არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავთან, კარლოს ტევესთან გახმაურებული რომანით არის ცნობილი. ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხვდებოდნენ და, ამბობენ, რომ საქმე ჯვრისწერამდეც იყო მისული, თუმცა, საბოლოოდ კარლოსმა უარი თქვა დაოჯახებაზე და ლამაზმანი მიატოვა. ჩიარდონეს დიდხანს არ უგლოვია დაშორება და თავს გულახდილი ფოტოსესიებით ირთობდა, სულ ახლახან კი მისმა მეზობელმა ჩიარდონეს პიკანტური ფოტოები გამოამზეურა. ჩიარდონე რუჯს იღებდა საკუთარ აივანზე, რა დროსაც მას ფოტოებს უღებდნენ. აღნიშნულ ფაქტზე ლამაზმანს კომენტარი არ გაუკეთებია, არგენტინულმა ტაბლოიდებმა კი დიდი სიამოვნებით დაბეჭდეს აღნიშნული ფოტოები თავიანთ პირველ გვერდებზე.

# უსაინ ბოლტი შოკირებულია





იამაიკელი სპრინტერი და ოლიმპიური ჩემპიონი, რეკორდსმენი უსაინ ბოლტი შოკირებულია იმ ფაქტით, რაც მის მეგობარს, სამხრეთაფრიკელ მორბენალს ოსკარ პისტორიუსს შეემთხვა. შეგახსენებთ, რომ პისტორიუსმა შემთხვევითი გასროლით თავისი მეგობარი გოგონა მოკლა და ამჟამად საქმე სასამართლოშია გადაცემული. „დღემდე მიჭირს იმის გააზრება, რომ, რაც ოსკარს შეემთხვა, რეალობას შეესაბამება, ეს ნამდვილი ტრაგედიაა და ჩემს მეგობარს თანაგრძნობას ვუცხადებ," – განაცხადა ბოლტმა. ოსკარ პისტორიუსი პირველი მორბენალია, რომელმაც ფეხების ამპუტაციის შემდეგ სპეციალური პროთეზების დახმარებით დიდ სპორტში დაბრუნება მოახერხა და 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. მანამდე კი რამდენჯერმე გაიმარჯვა პარა-ოლიმპიურ თამაშებში.

# „რეალის" პროტესტი კატალონიელების რეკლამაზე

ესპანეთის სამეფო კლუბმა მადრიდის „რეალმა" სასამართლოში უჩივლა კატალონიურ ტელეარხ „ტვ 3-ს" იმის გამო, რომ ეთერში სპორტული ვიდეორგოლი გაუშვეს, სადაც „რეალის" ფეხბურთელები გიენების სახით იყვნენ წარმოდგენილნი და დამპალ ხორცზე ნადირობდნენ. „რეალის" ხელმძღვანელობა ტელეარხისგან კომპენსაციის სახით 6 მილიონი ევროს მიღებას აპირებს. „რეალის" ფეხბურთელებიდან აღნიშნულ რგოლს ლუკა მოდრიჩი გამოეხმაურა, რომელმც ვიდეოს ამაზრზენი უწოდა. საინტერესოა, რომ ვიდეორგოლში „ბარსელონის" სუპერსტარი ლიონელ მესი ანტილოპა გნუს როლშია და გიენებზე ნადირობს.

# დელ პიეროს ნათელი მომავალი

ვეტერანმა იტალიელმა ფორვარდმა ალესანდრო დელ პიერომ კიდევ ერთი სეზონით გაახანგრძლივა კონტრაქტი ავსტრალიურ კლუბ „სიდნეისთან". 38 წლის ფეხბურთელი იტალიაში, კერძოდ, ტურინის „იუვენტუსში" გატარებული 19 სეზონის შემდეგ გასული წლის ზაფხულში გადავიდა სიდნეიში და 18 მატჩში 11 გოლის გატანა მოახერხა. „მოხარული ვარ, რომ სიდნეიში განვაგრძობ კარიერას. მომწონს ავსტრალია და სურვილი მაქვს, ავსტრალიელები ვასიამოვნო ჩემი შედეგიანი თამაშით," – განუცხადა დელ პიერომ ჟურნალისტებს. ცნობისთვის, ალესანდრო სიდნეიში ოჯახთან ერთად ცხოვრობს და თავს ბედნიერად გრძნობს.

# ბიოლოგიური პასპორტებით ბრაზილიაში 2014 წელს

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ – „ფიფამ", მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, 2013 წლის კონფედერაციათა თასისა და 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის განაცხადში მოხვედრილი ნაკრები გუნდების ფეხბურთელები ვალდებულნი იქნებიან, იქონიონ ბიოლოგიური პასპორტები, რათა კონტროლი დაწესდეს სპორტსმენებზე. ეს გადაწყვეტილება „ფიფამ" ანტისადოპინგო უწყების საპასუხოდ მიიღო, რადგან უკანასკნელ პერიოდში „ფიფას" აკრიტიკებდნენ, რომ არ ნერგავდა ახალ ტექნოლოგიებს ფეხბურთელების კონტროლის სფეროში. იოზეფ ბლატერის უწყებამ აღნიშნა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ბიოლოგიური პასპორტების სისტემის ტესტირებაზე მუშაობდა და ზაფხულში ამ სისტემას საბოლოო სახით წარუდგენს საზოგადოებას.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ




## რომელი ვიტამინებით აიცილებთ თავიდან კიბოს შესაძლო განვითარებას

ვიტამინები ორგანიზმისთვის აუცილებელია, მათი ნაკლებობა კი უმძიმეს დაავადებებს იწვევს.

ვინც C ვიტამინის ნაკლებობას არ განიცდის, მას კუჭის, საშვილოსნოსა და სარძევე ჯირკვლების კიბო არ ემუქრება.

კიბოს საწინააღმდეგოდ განსაკუთრებით საჭიროა, ადამიანმა ორგანიზმი მოამარაგოს A, C, D და E ვიტამინებით.

მიაჩნდათ, რომ საყლაპავი მილის სიმსივნის მიზეზი გადაჭარბებული ალკოჰოლი და ნიკოტინი იყო. კვლევებმა კი ცხადყო, რომ ამ პროცესის ალკვეთა შეუძლია A, $B_2$ და C ვიტამინებს, თუნდაც ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარების დროსაც.

ასევე, სიმსივნის დროს, თუ დაავადებული ადამიანი დიდი რაოდენობით B ვიტამინს მიიღებს, კიბოს უჯრედების ზრდა ფერხდება და ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა დაავადების მიმართ იზრდება, მაგრამ, ყველაზე პერსპექტიულ მებრძოლად კიბოს წინააღმდეგ, მაინც, A ვიტამინი მიიჩნევა.

სიმსივნის შემთხვევაში A ვიტამინს ბუნებრივი სახით სტაფილოსგან მიიღებთ, C ვიტამინი ორგანიზმში კარცენოგენების მოქმედებას ბლოკავს. ასი მილიგრამი C ვიტამინი დღიური ნორმაა.

## მიირთვით სოია და იყავით ჯანმრთელი

ადამიანის გაახალგაზრდავების პროცესში წითელ ღვინოსა და C ვიტამინს სოიამ აჯობა. სოუსი, რომელიც სოიის ფერმენტაციის შედეგად მიიღება, ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომელიც ათჯერ მეტი აქტიურობით აფერხებს ორგანიზმის უჯრედებში ჟანგვის პროცესს, ვიდრე ღვინო და C ვიტამინი.

წითელი ღვინო, ხილი და ბოსტნეული შეიცავს ელემენტებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევს არასტაბილურ ატომებს ორგანიზმში. ანუ, ეს არის, ეგრეთ წოდებული, თავისუფალი რადიკალები, რომლებიც ადამიანის უჯრედისებსა და ქსოვილებს ანადგურებს. სწორედ ამ რადიკალებს უკავშირდება დაბერების სწრაფი პროცესი და სხვადასხვა მძიმე დაავადების წარმოქმნა.

სოია აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, თუმცა, არც ბევრი ვარგა, მასში დიდი რაოდენობით მარილის შემცველობის გამო. ასე რომ, მიირთვით სოია ზომიერად და იყავით ჯანმრთელი და ახალგაზრდა დიდხანს.

## ქრონიკულმა დაღლამ შესაძლოა, პათოლოგიურ მდგომარეობამდე მიგიყვანოთ

საქმიანობის შემდეგ დაღლა ნორმალურია და მალე გაივლის. სამაგიეროდ, თუ ის ერთდროულად, ფიზიკური და გონებრივია, საქმე სახუმაროდ არ გქონიათ, რადგან, დაღლამ, შეიძლება, პათოლოგიურ მდგომარეობამდე მიგიყვანოთ.

დარღვეული წონასწორობა, სიარულის დროს სიმძიმის შეგრძნება, მადისა და ხალისის დაკარგვა, ძილისა და სიწყნარის მოთხოვნილება, თავის ხშირი ტკივილი, დღის ბოლოს ფეხების მოკვეთა – ყველაფერი ეს თქვენი ზეაქტიური მოქმედების შედეგია. ამგვარ დაღლას სპეციალისტები „სხეულის მოწყენილობას," ანუ ცხოვრებისეულ დაღლას უწოდებენ.

ატკივებული კუნთები, ნევროზი, დაქვეითებული მეხსიერება, ულონობა, დაქვეითებული მხედველობა და ყნოსვა – ეს უკვე გადაღლის შედეგია. მიზეზი კი ბევრია.

ქრონიკულ დაღლას თავი რომ დავაღწიოთ და ცხოვრების ხალისი დავიბრუნოთ, გთავაზობთ მარტივ რჩევებს:

ბალანსირებული კვება – დაღლის საწინააღმდეგო დიეტური წესების დაცვა მარტივია. მიზანი ორგვარია, კერძოდ, დაძაბულობის მოხსნა და ტონუსის გაძლიერება. ყოველდღე მიიღეთ აუცილებელი, კალორიული მენიუ. ორგანიზმის მინიმალური მოთხოვნა 1 800 კალორიაა, სპორტსმენებისთვის კი – 2 200 კალორია.

ხშირად მიირთვით პური, მარცვლეული, ლევი, მწვანე ლობიო, სატაცური, პრასი – ეს პროდუქტი აჯანსაღებს კუჭ-ნაწლავის სისტემას, ხელს უწყობს საკვების მონელებას და, რაც მთავარია, გონებრივი და ფიზიკური ფორმის შენარჩუნების შესანიშნავი საშუალებაა.

ჭამეთ ბრინჯი, სახამებლის შემცველი ბოსტნეული – ეს მთელი დღის განმავლობაში ენერგიით მოგამარაგებთ.

მიირთვით ახალი და მწიფე ხილი, მაგალითად: ვაშლი, ყურძენი, კივი, ბროწეული, ქლიავი, ხურმა. ეს ვიტამინების საბადოა და „ზარმაც" ნაწლავებს აფხიზლებს.

დალიეთ წყალი, დღეში არანაკლებ 1,5 ლიტრისა.

ჭამეთ ისპანახი, სტაფილო, ოსპი, ნიახური, იოგურტი. მოერიდეთ ისეთი პროდუქტების მიღებას, რომელთა მიმართ თქვენი ორგანიზმი უარყოფით განწყობას ამჟღავნებს.

არსებობს დაღლის მოსახსნელი ვიტამინები და მინერალები, მაგრამ მაგნიუმი, როგორც დაღლის საწინააღმდეგო ბუნებრივი საშუალება, უცვლელ ლიდერად რჩება.

დაღლასა და სტრესს მოგიხსნით ვიტამინი $B_{12}$. ამ მხრივ ეს უფრო ეფექტურია, ვიდრე ვიტამინი C.

მიიღეთ ვიტამინი D, რომელსაც შეიცავს ღვიძლი, კარაქი, ცხიმიანი თევზი. ვიტამინი $B_1$ მცირე რაოდენობით ყველა საკვებშია, $B_2$ – რძეში, $B_6$ – მწვანე ბოსტნეულში, ვიტამინი C – ციტრუსებში, კივსა და მარწყვში.

სწორად ისუნთქეთ – მოდუნება და ვარჯიში საუკეთესო საშუალებაა დაღლის წინააღმდეგ. კუნთების მოძრაობა და სწორი სუნთქვა არღვევს მანკიერ წრეს, რომელსაც სტრესამდე მიჰყავს ადამიანი.

იბანავეთ მცირე დაღლის დროსაც კი. წყალი ორგანიზმს ხელახლა ავსებს მინერალებითა და ოლიგო-ელემენტებით.

მოუსმინეთ კლასიკურ მუსიკას, რადგან ის ენერგიასა და კონცენტრაციას ზრდის.

იმოძრავეთ – სახლში ან სამსახურში ისარგებლეთ მხოლოდ კიბით. რაც შეიძლება სწრაფად აიარეთ ორი სართული. სისხლის აჩქარებული მოძრაობა სტიმულს აძლევს მთელ ორგანიზმს.

იძინეთ მშვიდად – ძილის ხარისხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ხანგრძლივობა. ყოველ საღამოს ჭამეთ ვაშლი, რადგან მისი კანი ძილის მომგვრელ ნივთიერებებს შეიცავს. დაწოლამდე მიიღეთ თბილი შხაპი. დალიეთ თბილი, შაქრიანი რძე, ცაცხვის, გვირილის დამამშვიდებელი ნაყენი ან ჩაი.

## ასთმიანი ადამიანისთვის ფიზიკური დატვირთვა საშიშია

ბრონქული ასთმა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში ყველაზე ხშირად გვხვდება ეგრეთ წოდებული ფიზიკური დატვირთვის ასთმა.

ასთმით დაავადებულთა დაახლოებით 70-75 პროცენტში ამ ავადმყოფობის განვითარების მექანიზმი გადაჭარბებული ფიზიკური, კუნთოვანი აქტივობის დროს ირთვება. ამ მხრივ, უარესი მდგომარეობაა ბავშვებში – ფიზიკური დატვირთვის დროს სულის ხუთვა უვითარდებათ ასთმით დაავადებული ბიჭების 80, ხოლო გოგონათა 70 პროცენტს. ამ ტიპის ასთმისათვის დამახასიათებელია შემდეგი სიმპტომები: დაავადების დასაწყისში, როდესაც კუნთები აქტიურად მუშაობს, სუნთქვა თავისუფალია. ათწუთიანი დატვირთვის შემდეგ, თავს იჩენს მკერდის არეში მოჭერის შეგრძნება, გულისცემის სიხშირის გაძლიერება, ხველება და სულის ხუთვა. აღნიშნული სიმპტომები, როგორც წესი, გაივლის ნახევარი საათის შემდეგ. ამიტომ, სპორტსმენები და აქტიური ცხოვრების წესის მიმდევრები ამას თავიდან ყურადღებას არ აქცევენ. ისინი ფიზიკურ დატვირთვას აგრძელებენ, რითაც აჩქარებენ ბრონქული ასთმის განვითარებას და ჩამოყალიბებას. ექიმები ამ დაავადების საწყის ეტაპზე მკურნალობენ ეგრეთ წოდებული დოზირებული დატვირთვით, ანუ ფიზიკურ დატვირთვას იწყებენ ადვილი ვარჯიშებით. თანდათან აძლიერებენ მის ინტენსივობას და ტემპს, რითაც ხელს უწყობენ ადამიანის ნორმალური ცხოვრების რეჟიმის ჩამოყალიბებას. ბრონქული სპაზმის განვითარებას სირბილთან ერთად ხშირად სიმძიმის აწევა, კალათბურთი და ფეხბურთიც იწვევს. ერთადერთი სპორტი, რომელიც ნებადართულია, ეს არის ცურვა.

## რა გამოვლინდება ახასიათებს მენინგიტს და იკურნება თუ არა ის

მენინგოკოკური ინფექცია მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც მენინგოკოკი იწვევს. ის ვლინდება არა მხოლოდ ტვინის გარსის ჩირქოვანი ანთებით, ანუ მენინგიტით, არამედ, ბევრად უფრო ხშირად, ცხვირ-ხახის ანთებით, ანუ ნაზოფარინგიტით. იშვიათად ვითარდება მენინგოკოკური სეფსისი, ფილტვების ანთება, გულის კუნთის ანთება, ართრიტი, ზამთარში იმატებს დაავადების შემთხვევები. ადამიანი ავადდება მენინგოკოკური ინფექციის მქონე ავადმყოფთან ახლო კონტაქტის დროს. ინფექცია გადაეცემა ჰაერწვეთოვანი გზით.

ცხვირ-ხახის ანთების, ანუ ნაზოფარინგიტის დროს ავადმყოფს აწუხებს თავის ტკივილი, ტკივილი საქმლის ყლაპვის დროს, ფხაჭნის შეგრძნება ყელში. ასევე, ახველებს, უჭირს ცხვი-

რით სუნთქვა. თვალნათლივ ჩანს ხახის უკანა კედლის ძლიერი შეშუპება და შეწითლება.

სამწუხაროდ, დიაგნოზი ხშირად არ ისმება სწორად, რადგან ნაზოფარინგიტი ძალიან ჰგავს ჩვეულებრივ მწვავე რესპირატორულ დაავადებას. ხველისა და ცემინების დროს, ასეთი ავადმყოფები გამოყოფენ დიდი რაოდენობით მენინგოკოკს და ინტენსიურად ავრცელებენ დაავადების გამომწვევ ბაქტერიებს.

მენინგიტი უეცრად იწყება ძლიერი შემცივნებით, ტემპერატურის სწრაფი მატებით, დაახლოებით 39-40 გრადუსამდე. ავადმყოფს პირველი წუთებიდანვე აღენიშნება თავის ტკივილი, რომელიც სულ მალე აუტანელი ხდება. ამას მოსდევს პირღებინება. ვითარდება ტკივილი კუნთებში, მუცლის არეში, უძილობა, აღგზნება.

ტვინის ნივთიერებაზე ანთებითი პროცესის გავრცელებისას, ვითარდება დამბლა. თუ მკურნალობა დაგვიანდა, ხშირ შემთხვევაში, მენინგიტი სიკვდილით მთავრდება. შეიძლება, დარჩეს მძიმე გართულება, მაგალითად, გონებრივი განვითარების ჩამორჩენა, დამბლა, ეპილეფსია.

ანტიბიოტიკებით დროულად და სწორად მკურნალობისას, მოკლე დროში, შეიძლება სრული გამოჯანმრთელება.

დაავადების პროფილაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიგიენურ რეჟიმს, კერძოდ, სუფთა ჰაერზე სეირნობას, სპორტს და ასე შემდეგ. ანუ, ყველაფერს, რაც აძლიერებს ადამიანის ორგანიზმს დაავადების მიმართ.

## რომელ დაავადებას ახასიათებს მუცლის მწვავე ტკივილი

არსებობს დაავადებები, რომლებსაც მუცლის ტკივილი ახასიათებს და ამ დაავადებების შესახებ აუცილებლად უნდა იცოდეთ, რომ შესაბამისად უმკურნალოთ და არ გაირთულოთ საქმე. მაგალითად:

მუცლის ჭიით დასნებოვნების დროს, ადამიანი მალე ილლება. ხშირად უჩივის მოთენთილობას. ჭამის შემდეგ, მუცლის არეში მოვლითი ტკივილები აღენიშნება. კვების რეჟიმის დარღვევისას კი, თავს ცუდად გრძნობს. ასევე, დიდი რაოდენობით ცხიმიანი კერძების, ტკბილეულის ან გაზიანი სასმლის მიღების შემდეგ, ეწყება მუცლის ტკივილი.

პნევმონიის აშკარა სიმპტომებია: მაღალი სიცხე, ხველება, მოთენთილობა, მაგრამ ანთება შესაძლოა, ფილტვების ქვედა არეში იყოს ლოკალიზებული, რაც ნერვულ არხებზე გადადის და მუცლის ტკივილით ხასიათდება.

სალმონელოზისა და დიზენტერიის დროს, ადამიანს ეწყება ღებინება, კუჭის აშლა, მუცელში მოვლითი ტკივილები. ეს ნაწლავური ინფექციები განსაკუთრებით ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში მწვავდება.

აპენდიციტის ანთების დროს ტკივილი ქვემოთ, მუცლის მარჯვენა ნაწილში გადადის. ამ დროს ადამიანს აწუხებს ნევროზული შეტევაც.

შარდსადინარი არხების ინფექციით დაავადების საწყის ეტაპზე ადამიანი თავს შეუძლოდ გრძნობს, მოშვებულია, შრომის უნარი დაქვეითებული, მადა კი დაკარგული აქვს. მას ახასიათებს ხშირი შარდვა. ცისტიტის დროს კი შარდვა მტკივნეულია.

სწრაფად და ბევრი საკვების მიღების შემდეგ, შესაძლოა, ადამიანს დაეწყოს მუცლის ტკივილი, რადგან კუჭს ამ დროს უჭირს ზომაზე მეტად მიღებული საკვების გადამუშავება.

ცივ წყალში ბანაობის ან ფეხებზე შემცივნების დროსაც, ადამიანს აღენიშნება მუცლის ყრუ ტკივილი. ამ დროს კარგია ფეხების დათბუნვა.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 52 წლის. ექოსკოპიაზე ნაღვლის ბუშტში 10 მმ ზომის პოლიპი აღმომაჩნდა. არის თუ არა პოლიპი ჩვენება ოპერაციისათვის?**

**პასუხი:** თუ პოლიპი შემთხვევითი აღმონაჩენია და ჩივილები არ გაქვთ, შესაძლებელია, დინამიკური დაკვირვება (ულტრაბგერითი კვლევა პირველ ხანებში 3 თვეში ერთხელ, შემდგომში წელიწადში ერთხელ). იმ შემთხვევაში, თუ მარჯვენა ფერდქვეშა არეში ტკივილები ან სხვა სიმპტომატიკაა, პოლიპის ზომა იმატებს, ახალი პოლიპები ან კონკრემენტები ისახება, ქირურგიული ჩარევის საკითხი უნდა გადაწყდეს.

**კითხვა: ვარ 32 კვირის ორსული, ვიკვებები ნორმალურად, წონაში კი სულ 4 კილოგრამი მაქვს მომატებული. რასთან არის ეს დაკავშირებული და ბავშვზე ხომ არ იმოქმედებს?**

**პასუხი:** თუ ულტრაბგერითი კვლევების მონაცემებით ნაყოფი ნორმალურად ვითარდება, ანალიზები ნორმაშია, წონის გამო ნუ ინერვიულებთ. მშობიარობის შემდეგ სხვა ქალებისგან განსხვავებით ნაკლები პრობლემა გექნებათ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა გამოიწვიოს სერიოზული გართულებები კორონაროგრაფიის პროცედურამ?**

**პასუხი:** კორონაროგრაფია განეკუთვნება ინვაზიურ კარდიოქირურგიულ გამოკვლევათა რიცხვს. ახლა ის რუტინული გახდა, დაგროვილია დიდი გამოცდილება, გამომუშავებულია მეთოდოლოგია, მაგრამ გართულებების საშიშროება ყოველთვის რჩება. ავადმყოფს აფრთხილებენ ამის შესახებ.

**კითხვა: ამ ბოლო დროს ხშირად მიჩნდება მეჭეჭები. როგორ მოვიქცე, რომ არ გამიჩნდეს და რით ვუმკურნალო?**

**პასუხი:** ყველაზე მარტივია მეჭეჭის მოშორება კრიოდესტრუქციით (მოყინვა თხევადი აზოტით) ან ლაზერით. ამას ქირურგი წყვეტს. ხალხურ მედიცინაში მიღებულია ქრისტესისხლას ნაყენი ან ჩაის ხის ზეთი (ამ შემთხვევაში ეფექტი გარანტირებული არ არის, მაგრამ შესაძლებელია).

**კითხვა: რამდენ მამაკაცის ჰორმონს შეიცავს „ვიაგრა” და ქალის ორგანიზმზე ცუდად ხომ არ იმოქმედებს?**

**პასუხი:** „ვიაგრაში” ჰორმონების შემცველობა ნულის ტოლია, გვერდითი მოვლენები მინიმალურია, მით უმეტეს, ქალისთვის.

**კითხვა: ჩავიტარე გამოკვლევა და სისხლში ქოლესტერინი მაქვს მომატებული. როგორ მოვიქცე, თუ არსებობს ამის მკურნალობა?**

**პასუხი:** სისხლში ლიპიდების (მათ შორის ქოლესტერინის) მომატებისას აუცილებელია, დაიცვათ დიეტა ქოლესტერინის დაბალი შემცველობით (ხორცისა და კვერცხის მინიმალური რაოდენობა, მცენარეული ზეთი კარაქის მაგივრად), მაგრამ თუ ლიპიდები საგრძნობლადაა მომატებული, დიეტასთან ერთად დაგჭირდებათ ასევე, მედიკამენტური ხანგრძლივი მკურნალობა.

**კითხვა: რამდენი C ვიტამინის მიღება შეიძლება დღეში?**

**პასუხი:** დღიური დარტყმითი დოზა შეადგენს 2-5 გრამს. C ვიტამინისგან ჰიპერვიტამინოზი არ არსებობს. უბრალოდ, ორგანიზმი არ ითვისებს იმაზე მეტს, ვიდრე სჭირდება. უნდა მიიღოთ საკვების მიღებამდე.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ

# ვისი გარდაცვალების გამო ვეღარ შეძლო იპოლიტე ხვიჩიამ თეატრში თამაში

***„დიდ სიამოვნებას გვრიდა თუ მოსთხოვდით ჩამოეთვალა ფილმები, რომლებშიც თამაშობდა და ჩამოთვლისას, ფილმის დასახელებას ისე იტყოდა, იმ წუთში ფილმის შინაარსი წარმოგიდგებოდა თვალწინ," – წერს ნუნუ ხვიჩია წიგნში „მონოგრაფია მამაზე", საიდანაც კინოკომიკოსის ცხოვრების ბევრ ისეთ საინტერესო ამბავს გაიგებთ, რაც აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. დიახ, დღეს თქვენთვის გავაცოცხლებთ იპოლიტე ხვიჩიას ცხოვრებისა და შემოქმედების კადრებს, იმ კაცის, რომელიც ასეთ დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ყველას.***





იპოლიტე ხვიჩიას მეუღლე

„1910 წლის 31 დეკემბერს საშინელ თოვაში, სუსხსა და ყინვაში, იმ დროს, ახალ წელს რომ უნდა შემოებიჯებინა, ხონთან, იქვე, სამ კილომეტრში, სოფელ კონტუათში, ალექსანდრე (იონა) ყვინჩიას სახლში გაჩნდა ვაჟი, მეექვსე შვილი. ახალი წლის შემობრძანებისას პატარა იმერულ ჯარგვალში გაჩნდა ქართული თეატრისა და კინოს მომავალი კომიკოსი იპოლიტე ყვინჩია. მართლაც უცნაურად ჟღერს მითოლოგიური სახელი – იპოლიტე. ვის მოუვიდა აზრად აქ, ამ ალაგას გაჩენილი



კადრი ფილმიდან „თოჯინები იცინიან"

ბიჭუნასთვის დაერქმიათ სახელი შორეული გალაქტიკის ეტლის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ კაშკაშა, გიგანტურ ვარსკვლავს რომ ჰქვია. თუმცა, ის არც ანტიოპესა და ათენის მეფის თეზევსის ვაჟი ყოფილა და არც მასავით სანდომიანი და მითიური აღნაგობის. სახუმაროდ არ ჰქონდათ საქმე ჩემს ბაბუას ალექსანდრესა და ბებია პისტის. ექვსი შვილის მშობლებს წუთით ჩამოჯდომის უფლება არ ჰქონდათ. ექვს შვილს ჩაცმა უნდოდა, დახურვა, ჭამა, სმა და, რაც მთავარია, აღზრდა. სახლდამწვარი, ექვსი მცირეწლოვანი შვილით ნალიასთავშეფარებული ოჯახი, ცოტას მეზობლებიც რომ ეხმარებოდნენ, იმედიანად ხვდებოდნენ ყოველი დილის გათენებას. და-ძმებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა საშა. სადაც ხელი მიუწვდებოდა და იშოვიდა, მოჰქონდა წიგნი შინ და სულმოუთქმელად კითხულობდა. წაკითხულს ხმამაღლაც იმეორებდა, რითაც ავლენდა გამომეტყველებითი კითხვისადმი მიდრეკილებას. პატარა იპოლიტეს ფაქიზი განცდისა და აღქმის უნარი ჰქონდა. როცა დროს გამონახავდა, შეიპარებოდა სათონეში და ძველისძველი კედლის შეყვითლებულ სარკეში იმეორებდა საშას ქცევებს, მოძრაობებს, მიმიკას, ჟესტს და ცდილობდა, მიმსგავსებას... ნახახულევი იქვეა კონტუათთან და სკოლაშიც იპოლიტე იქ მიაბარეს. თავიდან სკოლამ მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. უფროსმა ძმებმა – აკაკიმ და საშამ სკოლაში დრამატული წრე შექმნეს. ბიჭებს მოცლა აღარ ჰქონდათ და სცენით დაიტვირთნენ. საღამოები საინტერესო შეიქნა... აქვე იყო დრამატურგი, კომპოზიტორი, მხატვარიც – საშა ყვინჩია. წარმოდგენებში მთავარ როლებს აკაკი, საშა, ლუბა, სირიო ასრულებდნენ. ამ დროს იპოლიტეს არ აინტერესებდა და-ძმის საქმიანობა, წამოყვინჩილდა და ჯერჯერობით სცენისკენ არ იხედებოდა... 1925 წელს თოთხმეტი წლის ყმაწვილი თბილისში ჩამოვიდა და სწავლა გააგრძელა სამრეწველო ეკონომიკურ ტექნიკუმში. სწავლის პერიოდში ბინად პისტი თოფურიას დასთან, ოლღა დეიდასთან იყო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ხაშურის რაიონის საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში ინსტრუქტორად, შემდეგ – ხარაგაულის რაიონის სოფელ ძირულას აგურის ქარხანაში მგეგმავი ეკონომისტის თანამდებობაზე, მერე ხე-ტყეს ჭრიდა ხაიშში, ლახამულაში, ჭუბერში და აცურებდა ენგურზე, მაგრამ აქაც დიდხანს არ გაჩერებულა. მუშაობდა სოხუმშიც – მეთულუხჩედ და პურის მცხობლად. ამ დროს ხონში ჩამოყალიბებული იყო მუშა-ახალგაზრდობის თეატრი... 23 იანვარს გაიხსნა ქუთაისი-ხონის თეატრის სეზონი ხონში. თეატრმა მაყურებელს წარუდგინა ბელორუსი მწერლის პიესა – „გუტა". ამ სპექტაკლს დაესწრო ყვინჩიების ექვსეული... დიდი გავლენა მოახდინა იპოლიტეზე აკაკი კვანტალიანის, გრიგოლ კოსტავას, ალექსანდრე გომელაურის თამაშმა. სცენამ მაშინ მიიზიდა, მოხიბლა და დააინტერესა. ჰოდა, ხონის რაიონული თეატრის პირველი თეატრალური სეზონის აფიშებზე გაჩნდა ექვსივე ყვინჩიას სახელი. გაიხსნა ფარდა. წამით სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა დარბაზში და სცენაზე. დაიქუხა მქუხარე ტაშმა, დაინგრაო თითქოს იქაურობა... და გავიდა იპოლიტე სცენაზე... 1936 წლის 28 დეკემბრიდან იპოლიტე ტყიბულში ჩავიდა სამუშაოდ, სადაც რეჟისურაშიც მოუწია ძალთა მოსინჯვა და არცთუ ურიგოდ. ის მეშახტეთა ცენტრალური კლუბის გამგედ და სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა. ხან მსახიობად და ხან რეჟისორად ილვწის. თეატრალურმა ცხოვრებამ ნირი იცვალა დასავლეთ საქართველოს ცენტრში. ოთხი წლის განმავლობაში უთეატროდ იყო ქალაქი... სახკომსაბჭოს დადგენილებით, ქუთაისის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად მოწვეული იყო იმ დროსთვის კოტე მარჯანიშვილის საუკეთესო მოწაფე დოდო ანთაძე. ანთაძემ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოიყვანა ნიჭიერი მსახიობები. ეს, ის პერიოდია, იპოლიტე მაღაროელთა ქალაქში რომ ილვწის... დოდო ანთაძე დააინტერესა იპოლიტე ხვიჩიას ნიჭმა, უშუალობამ, ბუნებრიობამ... როცა მოსალაპარაკებელი შეხვედრა შედგა, დიალოგი იუმორით წარიმართა: მობრძანდი, დაბრძანდი, წარმომიდექი... ახლა არ ვიდექი – დაჯექიო. მე იპოლიტე ვარ ყვინჩია... ააა ყვინჩია? მერე შევცვალოთ „ყ"-„ხ"-თი რა მოხდება, ამით ვითომ დაშავდება რამე? არც არაფერი, ერთი ოხერია ორივე!.. ამგვარად ყვინჩია გახდა ხვიჩია და ნამდვილად ამ დიდ ხელოვანს უნდა ვუმადლოდეთ იპოლიტე ხვიჩიას აღმოჩენას, რომელმაც ჩამოაყალიბა, გამოძერწა, დააოსტატა, და-



კადრი ფილმიდან „მანანა"

ავაჟკაცა მომავალი მსახიობი. თუმცა, იპოლიტე თვითონ, თავისი ნიჭით მაინც გაიკვლევდა გზას, არ დაიკარგებოდა, მაგრამ ყველაფერს თავისი დასაწყისი აქვს... ქუთაისში ჩვენი სახლი შუაგულ ქალაქში იდგა – „ბავშვთა სამყაროსა" და ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკას შორის, აი იქ, ებრაელების „პასაჟს" რომ ეძახდნენ... იქაური მეზობლები, მამას თბილისში გადმოყვანის შემდეგაც, არ წყვეტდნენ ჩვენთან ურთიერთობას... რუსთაველის თეატრში მსახიობს საოცარი სითბო და სიყვარული დაახვედრეს თეატრის დასმა, ტექნიკურმა პერსონალმა, რეჟისორებმა და ხელმძღვანელებმა. დაიწყო ახალი ცხოვრება. 1966 წლის 13 აპრილს რუსთაველის თეატრში, „უკანასკნელ მასკარადში" გიზო ჟორდანიას რეჟისორობით, ითამაშა სპირიდონი. ეს მამას უკანასკნელი როლია სცენაზე. რატომღაც თეატრთან დაშორებამ სულმთლად მიაჯაჭვა კინოსა და ტელევიზიას.

მინდა, ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა გავიხსენო. იმ დროს თეატრის მთავარი რეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე ქუთაისში იყო. საქართველო გლოვობდა საყვარელ მსახიობს გიორგი შავგულიძეს. ამ დროს ქუთაისის თეატრში განაწილებული იყო „კოლმეურნეს ქორწინება", ხარიტონზე იპოლიტე ხვიჩია დანიშნეს და რეპეტიციები უკვე დაწყებული გახლდათ. თეატრი დედაქალაქში საგასტროლოდ ემზადებოდა. ხვიჩიამ იმდენად განიცადა შავ-



კადრი ფილმიდან „ტარიელ გოლუა"

გულიძის გარდაცვალება, რომ სპექტაკლზე არ


იპოლიტე ხვიჩია ცოლ-შვილთან

მივიდა. ამბობდა: ჟორას შემდეგ ამ როლს ველარ ვითამაშებო. აკაკიმ იპოლიტეს უარი ვერ მიიღო და საყვედური გამოუცხადა... შემდეგში კოლექტივი გვერდში ამოუდგა იპოლიტეს და შავგულიძის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი გადაატანინა.

ბოლო წლებში გაუსაძლისი შეიქმნა ცხოვრება. ხშირად იჯდა სახლში მამა, გარეთ გამოსვლას ერიდებოდა, ასეთი არ მინდა დავამახსოვრდე ხალხსო. ბევრს კითხულობდა, წერდა მოგონებებს და მთავარი – თამაშობდა ნარდს. ვაი, მისი ცოდვა, ვისაც ხელში ჩაიგდებდა. იყო ერთი კენჭების ტკაცუნი. მერე პარტნიორი განგებ წამოდგებოდა, წავედიო და შეიქმნებოდა ისევ ტკაცუნი. რას არ თმობდა, ოღონდ პარტნიორი არ დაჰკარგვოდა. ერთ-ერთი მომთმენი და დიდი მოყვარული ნარდის თამაშებისა გახლდათ ცნობილი ჟურნალისტი და პოეტესა კირა კვეიძე. სულ ჩხუბობდნენ, მაგრამ მაინც „მელას თავის მახრჩობელა უყვარდაო!.." დაიგინებდა მამა, გააგდებდა კირას, კირაც დაიგინებდა და გავარდებოდა... მეორე დღეს არჩევდნენ ტელეფონით პარტიას და საღამოს 9 საათზე ცხადდებოდა შეჯიბრებაზე. ასე იყო შვილიშვილებთანაც: მაკასთან, ავთოსთან, მარიკასთან... ქვის მოპარვა აუტანელს ხდიდა თამაშს. ერთ დღეს შეიქმნა საბუთი ანუ ხელწერილი, რომლითაც იპოლიტე უკრძალავდა თავის თავს თამაშის დროს გინებას, ქვის მოპარვასა და სხვადასხვა რამეს, რაც ნარდის თამაშს ახლავს. ხელწერილი: „მე, იპოლიტე ალექსის ძე ხვიჩია სახალხო არტისტი და სახელმოხვეჭილი კომიკი, ვალდებული ვარ, ჩემი ძვირფასი პარტნიორების წინაშე დავიცვა (ნარდში) ხელშეუხებლობის პრინციპი, ანგარიში გავუწიო პარტნიორების მოგებას და არ მივითვისო იგი. 1. ერთის ნაცვლად არ გამოვიყენო სამი ქვა უსირცხვილოდ (მაინც წამასწრებენ და...); 2. წამდაუწუმ არ ვუწოდო ჩემს ძვირფას და ნიჭიერ პარტნიორს შემდეგი სიტყვები: ჩათლახი, უპატრონო, კრეტინი, დეგენერატი, კიკა... 3. გავუფრთხილდე სხვის წნევას და შარი არ მოვდო ჩემს სასარგებლოდ სხვას პარტიის მითვისებაში; 4. (მეოთხე მუხლის პირობა ხელწერილის სიძველის გამო არ ჩანს); 5. არ ვიტრაბახო სხვასთან


კადრი ფილმიდან „განძი“

ძლივს მოგებულ პარტიებზე და არ დავამცირო წაგებული ნიჭიერი მოწინააღმდეგე; 6. ვაღიარო ერთხელ და სამუდამოდ, რომ კირა და მარიკა ჭეშმარიტად დიდებული ნიჭით დაჯილდოებული მოთამაშეები არიან და მათთან თამაში მგვრის სიამოვნებას და ხანდახან შიშსაც კი. ოღონდ ახლა შემირიგდნენ და მეთამაშონ, ამიერიდან ამ პირობების ყველა მუხლს დავიცავ. რაზედაც ხელს ვაწერ იპ. ხვიჩია. (ხელწერილზე) ვაწერ ხელს,


იპოლიტე ხვიჩია დედასთან ერთად

მაგრამ თუ ავდექი ფეხზე, თქვენ მ......კარგის ტრ..! თქვენი იპო“.

...ბატონმა რეზო ჩხეიძემ თავისი სკოლის ამხანაგთან, ცნობილ ჟურნალისტთან ბატონ გივი მეფისაშვილთან საუბარში გაიხსენა კანის ფესტივალი, სადაც უჩვენეს „ბურთი და მოედანი". ბატონი რეზოს გვერდით ჟან გაბენი მჯდარა. აღფრთოვანებულს ჩუმად გადაულაპარაკებია: „ეს რა გენიოსი გყოლიათ?!" ჩაპლინი? ბურვილი? ტოტო? ფიუნესი? ლინსკი?.. დიდებულია, კარგია, შესანიშნავია, მაგრამ იპოლიტე, ჩვენი იპოლიტე, ქართველი, სულ სხვაა... ერთ-ერთ ინტერვიუში („ახალგაზრდა კომუნისტი" 1979 წ. 11 დეკემბერი) იპოლიტე ეკითხება კორესპონდენტს – „რამდენი შეკითხვა გამოგვივიდა?" თერთმეტი. თუ შეიძლება კიდევ ორი შეკითხვა დავამატოთ. ცამეტი ჩემი ციფრია, კარგად მაქვს დაცდილი: ოჯახში 13 სული ვიყავით – დედა, მამა და 11 შვილი; ქუთაისში ლერმონტოვის 13-ში ვცხოვრობდი; ქუთაისიდან თბილისში წითელი პარტიზნების 13-ში გადმოვედი; რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება 1953 წლის 13 ივნისს მივიღე; სასტუმროში ყოველთვის 13 ნომერი მხვდება; ახალი ბინა სევასტოპოლზე 13 ივნისს მივიღე და ასე შემდეგ. კორესპონდენტმა კიდევ ორი კითხვა დაუმატა, რომლის პასუხებზეც იმდენი იცინა და ისე ხმამაღლა, რომ მერე ბოდიშებს იხდიდა უნებლიე ხუმრობისთვის."

**ეკა პატარაია**

# რომელი თბილისური სასტუმროს პირველ სართულზე იყო გახსნილი დიმიტრი ერმაკოვის ფოტოსალონი და რა ფუნქციას ასრულებდა საბჭოთა პერიოდში სასტუმრო „ლონდონის" შენობა

(ოცდამესამე გვერდიდან)

რესტორნის ხშირი სტუმარი იყო ილია ჭავჭავაძე. გარდა ამისა, „ლონდონი" იყო თბილისის ერთ-ერთი პირველი შენობა, სადაც გაიყვანეს ელექტროენერგია. პირველი მსოფლიო ომის დროს ზუბალაშვილებმა სასტუმროს შენობა ლაზარეთს დაუთმეს, ხოლო ომის დასრულების შემდეგ სასტუმრო აღარ აღადგინეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერე „ლონდონი" გლეხთა ცენტრალურ სახლად გადაკეთდა, მოგვიანებით იქ მილიციის სამმართველო იყო გახსნილი, სარდაფში კი საკნები იყო მოწყობილი. 1960-იანი წლებიდან ის საცხოვრებელ სახლად გადააკეთეს. არსებობს არაოფიციალური ვერსია, რომ საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში „ლონდონში" ბორდელი იყო გახსნილი და მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ნომრებში ემსახურებოდნენ კლიენტებს.

**„გრანდ ოტელი"**

სასტუმრო „ლონდონის" მოპირდაპირე მხარეს, ზედ „მშრალ ხიდზე", ამჟამინდელ ხიდის ქუჩაზე, 1881 წელს გახსნილი სასტუმრო „გრანდ ოტელი" ფუნქციონირებდა. სასტუმროს ხუთსართულიანი შენობის ნაწილი ეკავა, იქვე იყო გახსნილი მაღაზია, აფთიაქი და საზოგადოება „ღუზის" კანტორა. „გრანდ ოტელს" საკმაოდ კარგი რეპუტაცია ჰქონდა და მაღალი რანგის სტუმრებს მასპინძლობდა, მათ შორის მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს, კოლექციონერსა და ფილანტროპს, გალუსტ გიულბეკიანს, რომელიც თბილისს 1888 წლის შემოდგომაზე ესტუმრა. იმ პერიოდში ეს სასტუმრო „ბერლინის" სახელით იყო ცნობილი, 1890-იან წლებში კი სასტუმროს კვლავ ძველი სახელწოდება – „გრანდ ოტელი" დაუბრუნდა. საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ „გრანდ ოტელმა" მუშაობა შეაჩერა და ის საცხოვრებელ სახლად გადააკეთეს.


სასტუმრო „გრანდ ოტელი" (1900-იანი წლები)


„გრანდ ოტელის" შენობის თანამედროვე ხედი

**უშანგი რუხაძე**

# აქვს თუ არა ყველა ადამიანს თავისი თარსი რიცხვი და რატომ მეორდება ჩვენს ცხოვრებაში ერთი და იგივე ფაქტი რამდენჯერმე

**ნებისმიერს შეუძლია, გაიხსენოს თავს გადამხდარი უცნაური ამბები, რომლებიც გაკვირვებას იწვევს და თითქოს რაღაცაზე მიგვანიშნებს. სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების დაძაბული რიტმის გამო ამას ვერ ვაანალიზებთ და ვცდილობთ, ესა თუ ის მოვლენა და ფაქტი რაიმე კანონზომიერებას მივაწეროთ, ან, სულაც არ ვიფიქროთ მასზე – თითქოს არც ყოფილა. მაგრამ, როცა ასეთი დამთხვევები გვაწუხებს და ხშირად გვახსენებს თავს, მერე ვუფიქრდებით და ვცდილობთ, მათ ახსნა მოვუძებნოთ.**

**როგორც პარაფსიქოლოგი, ბატონი ვახტანგი ამბობს, ადამიანების ცხოვრებაში უამრავი ფაქტი ხდება, რომელიც ერთმანეთს ჰგავს და ეს სულაც არ არის უბრალო დამთხვევა.**

**ვახტანგი:** დამთხვევები უბრალოდ არ ხდება, ეს კანონზომიერებას ექვემდებარება დედამიწის ყველა მცხოვრების რეალურ სამყაროში. ასეთ მოვლენათა წარმოქმნის უნარი კი სამყაროს ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისებაა და, დამთხვევები, შესაძლოა, დროსა და სივრცეში მოხდეს. მრავალი წელია, რაც პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსთა და მეცნიერთა დიდი ნაწილი ცდილობს, უცნაურ დამთხვევათა საიდუმლო გაიგოს და ახსნას. ზოგი ასეთ ფაქტებს მისტიკურსაც მიაწერს, მაგრამ, ეს ტყუილია.

**– ხშირად, ადამიანები მსგავს რამეებს ყურადღებას არ ვაქცევთ და ამით არ ვირთულებთ ისედაც დაძაბულ ცხოვრებას. ამაშიც ხომ მეთანხმებით?**

– რასაკვირველია, გეთანხმებით. არ დავმალავ და გეტყვით, რომ სწორედ აქ ცდებით ***(იცინის).*** ნებისმიერი ადამიანი უნდა იმახსოვრებდეს იმ დღესა და რიცხვს, როცა რაიმე უცნაური მოხდა მის ცხოვრებაში, რადგან, ასეთი ფაქტი, არ არის გამორიცხული, კვლავ განმეორდეს და იმ დროსა და სივრცეში დაგაბრუნოთ, როცა ის პირველად მოხდა. თუ კარგად დააკვირდებით და ყურადღებას მიაქცევთ თქვენს ცხოვრებაში არსებულ მისტიკურ დღეებსა და ციფრებს, თავადაც მიხვდებით, რომ ასეთი დამთხვევები არც ისე იშვიათია. ერთმა ჩემმა ნათესავმა, რომელიც საკმაოდ წარმატებული იყო, პირადი ცხოვრება ვერ აიწყო – ორჯერ დაქორწინდა და ორჯერვე კრახით დასრულდა მისი ქორწინება. მოვიდა ჩემთან, დავსხედით, ვისაუბრეთ და აღმოჩნდა, რომ ორივე ქორწილის თარიღი ერთსა და იმავე დღეს დაემთხვა; ორივე ცოლთან ორ-ორი წელიწადი იცხოვრა და ორივეს სახელი ასო ნ-ზე იწყებოდა. აბა, მითხარით, ეს დამთხვევა არ არის?! ზოგადად, ეზოთერიკოსები ასეთ დამთხვევებს თანმიმდევრობის კანონებს ვუწოდებთ. კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაში ხდება მისი სერიული გამეორებები და, არ არის გამორიცხული, მთელი ცხოვრება მისი გავლენის ქვეშ იყოთ – ამისგან დაზღვეული არავინაა და ეს ეგრეთ წოდებული „სერიული კანონები“ ჩვენივე ბედის საფუძველში დევს.

**– გამოდის, რომ ამ ეგრეთ წოდებული „სერიული კანონების” მსხვერპლნი ვართ და ამისგან თავდაცვა არ შეგვიძლია?**

– არა, რას ამბობთ! მე, უბრალოდ, ფაქტი და რეალური სახე დაგანახვეთ ამ ეგრეთ წოდებული ბედის საფუძველში ჩადებული „სერიული კანონის”, თორემ, მისი ნეგატიური ზეგავლენისგან თავდაცვა როგორ არ შეიძლება. მაგალითად, თუ გადავხედავთ განვლილ ცხოვრებას, როგორც იტყვიან, დროსა და სივრცეში შეინიშნება ჩვენი არსებობის თანდაყოლილი შეზღუდვები და მას უნდა დავემორჩილოთ. თუ ხვდებით, რომ მაგალითად, ორშაბათობით ან სამშაბათობით, 2, 3 ან 8 რიცხვში საქმე კარგად არ გამოგდით, ჩხუბი გიწევთ, იქმნება პრობლემები საყვარელ ადამიანთან და ასე შემდეგ, ესე იგი, ამ დღეებსა და რიცხვებში განსაკუთრებულად უნდა დაკვირვებოდით საკუთარ საქციელსა და სიტყვებს. ზოგადად,



ყველა ადამიანს აქვს თავისი თარსი და ნეგატიური რიცხვი და დღე და ამ დღეებსა და რიცხვებს უნდა მოერიდოთ. ბევრი იმასაც მეუბნება, ეს რა შუაშია, უბრალოდ, ვიღაცას არ უმართლებს ცხოვრებაში, ბედი არ სწყალობს და მორჩაო. ამაშიც გარკვეული კანონზომიერება დევს. კერძოდ, ზოგი ადამიანი ქუდბედიანია, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული და მათ

> **დამთხვევები უბრალოდ არ ხდება, ეს კანონზომიერებას ექვემდებარება დედამიწის ყველა მცხოვრების რეალურ სამყაროში**

ყოველთვის უმართლებთ, ყველა დასახულ მიზანს აღწევენ და ცხოვრებაც მოწყობილი აქვთ. ისინი უხილავი ძალის მფარველობას ყოველ ნაბიჯზე გრძნობენ. ისე კი, ყველას შეგვიძლია, ცხოვრებაში წარმატებას მივაღწიოთ და ამაში საკუთარი თავის გარდა ვერავინ დაგვეხმარება.

**– ამისთვის როგორ მოვიქცეთ, იქნებ ესეც გაგვიმხილოთ?**

– მთავარია, თქვენს საუბარს ძლიერი ენერგეტიკული ფონი შეუქმნათ. კერძოდ, თუ ადამიანი ემოციის გარეშე საუბრობს, მის სიტყვებს არანაირი ენერგეტიკული ძალა არ აქვს. რაც მეტია ემოციური ფონი, ენერგეტიკულად მით უფრო ძლიერია თქვენი ნათქვამი სიტყვა და მას გარშემო მყოფების მოზიდვა, დაჯერება და დაფიქრება შეუძლია. ანუ, ამ დროს ადვილად ზემოქმედებთ ადამიანებზე. ერთი ნაცნობი მყავს, რომელიც საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენია. ვერ გეტყვით, დიდი ნიჭითა და ცოდნით გამოირჩევა-მეთქი, მაგრამ საქმეშიც უმართლებს და ხელქვეითებიც უსიტყვოდ ემორჩილებიან. უბრალოდ, მისი წარმატების მთავარი საფუძველი ის მანერებია, რომლებიც მან კარგად შეისწავლა და „დაამუღამა”. არც ფინანსებს უჩივის, საქმეც კარგად აქვს აწყობილი და მის სიტყვასაც ყველა ემორჩილება.

**– არ გიფიქრიათ, რომ ამ წარმატების მიზეზი მისი დახვეწილი მანერები კი არა, იღბალი და ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებაა?**

– ამაზეც მიფიქრია, მაგრამ, მე მას პირადად ვიცნობ და ვიცი მისი წარმატების მთავარი საიდუმლო. რასაკვირველია, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებაც შველის, მაგრამ, თუ მხოლოდ ამაზე იფიქრე, ფეხი ფეხზე გადაიდე და თქვი, მე ქუდბედიანი დავიბადე და ყველაფერი თავისით მოვაო, ისე დაგენგრევა ცხოვრება, აზრზეც ვერ მოხვალ. ცხოვრებაში მეტად გიმართლებს, თუ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, პლუს, შრომაც გიყვარს და დახვეწილი მანერებიც გაქვს. ამ დროს შენი ცხოვრება და წარმატება ზენიტშია. დამაჯერებელი და ემოციური საუბრით კი ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს. აბა, დაფიქრდით და თავადაც მიხვდებით ჩემი ნათქვამის აზრს. ასე არ არის? მე, უბრალოდ, მინდა, ადამიანებს ვუთხრა, რომ, თუ თქვენი საუბარი ემოციური და დამაჯერებელი არ არის, ამით ვერ მოხიბლავთ გარშემო მყოფებს, ვერც აიყოლიებთ და ვერც კეთილად განაწყობთ თქვენ მიმართ. ასე რომ, დაუკვირდით საკუთარ მანერებს, საუბრის ტემბრს და ბუნებრივად მიიზიდეთ საზოგადოების ნდობა და სიყვარული.

**ნონა დათეშიძე**

## ძალა დეტალებშია...

ქალი ძლიერი უნდა იყოს. ცხოვრება რთულია და დაბრკოლებებით სავსე. ხომ გინდათ, თავს გამარჯვებულად გრძნობდეთ?! მაშინ ენდეთ ჩვენს რჩევებს...

* კარგი მაკიაჟი თავდაჯერებულობას გმატებთ. „ფასადიც" ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შინაგანი სამყარო. როცა სარკეში ჩაიხედავთ და საკუთარი გამოსახულება მოგეწონებათ, წარმატებისკენ ერთი ნაბიჯი გადადგმულია. განწყობას დიდი ძალა აქვს.

* რისკი კეთილშობილური საქციელია. ზოგჯერ უბრალოდ აუცილებელია, თამამად გადადგათ ნაბიჯი და მიიღოთ გადაწყვეტილება, თუნდაც კარგად არ იცოდეთ, რა მოჰყვება ამას. ცვლილებები ახალ შანსს იძლევა.

* წესრიგი – ყველგან და ყველაფერში მოსაწყენი საქმეა, მაგრამ ძალიან სასარგებლო. წესრიგი კარადაში, წესრიგი ნივთებში, საქმეში, საბუთებში... როცა ირგვლივ ქაოსია, თავშიც ყველაფერი ირევა. ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანები შინაგანად მიელტვიან წესრიგს.

* შესანიშნავია, როცა ადამიანს რაიმე კონკრეტული მიზანი აქვს. ყურადღების კონცენტრაციას ისწავლით და თავდაჯერებულობა შეგემატებათ. რასაკვირველია, ცხოვრებას თავიდან ბოლომდე ვერ დაგეგმავთ, მაგრამ მონახაზი მაინც საჭიროა. და კიდევ, მოულოდნელობები ისევე აუცილებელი და ბუნებრივია, როგორც თავად ცხოვრება.

* ერთი კარგი გამოძინება ნამდვილად არ გაწყენდათ. დასვენება სულსაც და სხეულსაც ერთნაირად სჭირდება.

* გონივრული ეგოიზმი – თუ საკუთარი თავი არ გიყვარს, სხვას ვერ შეიყვარებ და მით უმეტეს, სხვას ვერ შეაყვარებ თავს. ანუ, გარკვეული დოზით ეგოიზმი ძალიან სასარგებლოა. გაანებივრეთ ზოგჯერ საკუთარი თავი. მაგრამ ჭირვეულ პრინცესადაც ნუ გადაიქცევით.

* და... ცრემლებიც... ნუ აიძულებ საკუთარ თავს, გაიღიმო მაშინაც, როცა არ გეღიმება. ტირილი გინდა? – იტირე! ძლიერი ადამიანები არ ემალებიან პრობლემებს და არც სევდას.

## ოჯახური იდილია, ანუ...

ზოგჯერ ხდება, რომ ოჯახში ატმოსფერო უარყოფითად იმუხტება და იძაბება. მოსალოდნელია ჭექა-ქუხილი. შესაძლებელია, ამ დროს მშვიდი კლიმატის შენარჩუნება?! – რაც აუცილებელია, ის შესაძლებელიც უნდა იყოს და არის კიდეც. ოჯახი თითოეული ჩვენგანის ნავსაყუდელი და თავშესაფარია – ადგილია, სადაც თავს კომფორტულად, თავისუფლად და მშვიდად უნდა ვგრძნობდეთ. სამწუხაროდ, ოჯახის წევრები სწორედ ამ ყველაფრის საპირისპიროდ იქცევიან. გინდა საყვარელ ადამიანებთან ერთად, დამღლელი დღის შემდეგ ცოტა დაისვენო, მაგრამ არ გამოდის. ვიღაც ტელევიზორს მისჩერებია, ვიღაცას გაზეთში აქვს ცხვირი ჩარგული, ვიღაცას არ შია, ვიღაცას პირიქით – ძალიან შია, სამზარეულოში გასარეცხი ჭურჭლის გორა დგას და თქვენც, ძალაუნებურად, ნერვები გეშლებათ.

ერთმანეთზე გაღიზიანების მანერა ძალიან ბევრი ცოლ-ქმრისთვისაა დამახასიათებელი. ყველაფერი გასაგებია – დაიღალეთ, სამსახურში რაღაცაზე ნერვები მოგეშალათ. გინდათ, მეუღლემ თავზე ხელი გადაგისვათ და გითხრათ, თქვენზე ძვირფასი არავინ ჰყავს, რომ ბევრს შრომობთ და იღლებით, მაგრამ დუმს, ან გეუბნებათ: მშია, მაჭამე რამე! ისიც ზუსტად იგივეს მოელის თქვენგან, რასაც თქვენ – მისგან: სითბოს და ყურადღებას. მოგიწევთ, პირველი ნაბიჯი სწორედ თქვენ გადადგათ... ნუ შეგებრალებათ საკუთარი თავი. ნუ იტყვით, რომ არავის უყვარხართ და არავის ეცოდებით. მით უმეტეს, ნუ შეეცდებით ამის დამტკიცებას ჩხუბით და ყვირილით. არ გადმოიტანოთ გარედან შემოყოლილი ნეგატივი სახლში. ეს არ არის გამოსავალი. ოჯახურ იდილიას თქვენ ქმნით. გადადგით პირველი ნაბიჯი – ეს არ არის რთული. ბუმერანგის პრინციპი ყოველთვის მუშაობს.

## ესეც კრიზისი...

„...და, ცხოვრობდნენ ერთად დიდხანს და ბედნიერად"... – ასე მხოლოდ ზღაპრებში ხდება, თუ, შესაძლებელია, რეალურ ცხოვრებაშიც მოხდეს სასწაული? პრინციპში, თუ ზღაპრების არსს კარგად ჩავწვდებით, აღმოვაჩენთ, რომ ისინი რეალობისგან არც ისე შორსაა. მოვიდა დრო და თეფშზე მბრუნავი ვაშლიც ვიხილეთ – ტელევიზორი! მფრინავი ხალიჩაც – თვითმფრინავი... დანარჩენი თქვენ თავად გაიხსენეთ – ასეთი თანხვედრები ძალიან ბევრია. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთად დიდხანს და ბედნიერად ცხოვრებაც შესაძლებელია! თუ გაუძლებთ კრიზისებს, თუ გადალახავთ პრობლემურ წლებს, თუ გეყოფათ მოთმინება და, რაც მთავარია, სიყვარული, ზღაპარს რეალობად აქცევთ. საყვარელ მამაკაცთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ადვილი ნამდვილად არ არის. შეიძლება, მართლა გიყვარდეს, მაგრამ, მის გვერდით ზედიზედ ორი თვეც ვერ გაატარო. ძალიან მიამიტი უნდა იყო, რომ ამ ურთიერთობას „მსუბუქად" შეხედო. ადრე თუ გვიან, კრიზისი აუცილებლად დადგება და, სწორედ მაშინ, სიყვარულთან ერთად აუცილებლად დაგჭირდებათ დიდი მოთმინება, სიმშვიდე, გაგების უნარი, კიდევ – წვრილმანების არდანახვის, „პრივიჩკებზე" არაყოლის ნიჭი... კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის უნარი დასაფასებელია, მით უმეტეს, ქალისთვის. თუ ის იტყვის: „აი, ესეც კრიზისი"... – და მშვიდად შეხვდება მას, ცივი გონებით და გააზრებულად, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება და თქვენი ზღაპარიც დასრულდება ფრაზით: „და ცხოვრობდნენ ერთად დიდხანს და ბედნიერად"...

## მართე მრისხანება!

ყველა ადამიანი ბრაზობს – ეს აბსოლუტურად ბუნებრივია და არავის უკვირს. მაგრამ, ძალიან ცოტამ თუ იცის, როგორ მართოს მრისხანება. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ, ის, ვინც მრისხანებას მასზე ბატონობის უფლებას აძლევს, სუსტი ადამიანია.

ჯენტლმენმა ყოველთვის იცის, სად გადის ზომიერების ზღვარი და როდის უნდა გაჩერდეს.

უცნაურია, მაგრამ, ფაქტია, რომ მამაკაცები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს მრისხანებაში, ქალები კი საგრძნობლად განსხვავდებიან. თუ არ გჯერათ, დააკვირდით: მამაკაცების უმრავლესობა მრისხანების ნელ ცეცხლზე იწვის. თანაც, რაც უფრო მკაცრად ეპყრობა მათ ცხოვრება, მით მეტად „მრისხანებენ". ამბობენ, რომ (და ეს ფსიქოლოგების მოსაზრება გახლავთ) მამაკაცების მრისხანების ჩახშობა-ჩაცხრობის სპეციალისტები სტიუარდესები და ქალი-ოფიციანტები არიან. თუკი შეეკითხებით, მეტად საინტერესო ფაქტებსაც მოგიყვებიან მამაკაცთა მრისხანების შესახებ.

მრისხანება ისევე სდევს თან ადამიანებს, როგორც სიკვდილი ან ბანკის ვალი (ეს უკვე თანამედროვეობის მონაპოვარია). თუმცა, გონიერნი ხვდებიან, რომ ვერანაირი მრისხანება ვერ შეცვლის სამყაროს უკეთესობისკენ.

***P.S. პრინციპში, მრისხანების განცდა კარგია. ეს სრულიად ბუნებრივი რეაქციაა და, შესაბამისად, აუცილებელიც, ფსიქოლოგიურად ჯანსაღი ემოციის მოსამწიფებლად. მიუხედავად ამისა, მამაკაცის მრისხანება საკმაოდ მძიმე საყურებელია და მას თავად მამაკაცებიც კი უფრთხიან. ხომ წარმოგიდგენიათ, რას გრძნობს ქალი, როცა კაცი მრისხანებს. საშინელებაა, მაგრამ, მაინც ნუ გაუწყრებით მას, თუკი თქვენს მრისხანებას გაგებით ვერ მოეკიდება. ის ხომ არც სტიუარდია და არც პროფესიონალი ოფიციანტი – სპეციალური, საგანგებო მდგომარეობისთვის წინასწარ მომზადებული...***



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რომელ ფილმშია გამოყენებული ბრუს ლის დაკრძალვის რეალური კადრები და რა სახელი დაარქვეს მას მშობლებმა დაბადებისას



***„დრაკონის დაბადება" – ასეთი სახელი ექნება ლეგენდარულ ბრიუს ლიზე გადაღებულ ახალ ჰოლივუდურ ბლოკბასტერს. აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატისა და მსახიობის, ბრიუს ლის შესახებ არაერთი ბიოგრაფიული ფილმია გადაღებული, თუმცა, პროექტში ჩართული პროდიუსერები ირწმუნებიან, რომ ახალი ფილმი განსხვავებული იქნება. ბრიუს ლის ხანმოკლე სიცოცხლე უამრავ საინტერესო დეტალს შეიცავს, რომელთა შესახებ ფაქტებით მოგახსენებთ.***

* მშობლები ლეგენდარულ მსახიობს ბრიუსს არ ეძახდნენ. მათთვის იგი იყო საი ფონი – „პატარა სასწაული". რეალურად, ბრიუსს ქალის სახელს უწოდებდნენ, რადგან, ცრურწმენის თანახმად, ბოროტ სულებს არ სურდათ, რომ მათ ოჯახში ბიჭი დაბადებულიყო (პირველი შვილი ჩინური ოპერის მსახიობს, ლი ხოი ჩენსა და გრეის ლის, ჩვილობაში გარდაეცვალათ). მათ სჯეროდათ, რომ, თუკი ვაჟს ქალის სახელს დაარქმევდნენ, ამით მოატყუებდნენ დემონებს და სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ შვილს. სახელი ბრიუსი კი მას სან-ფრანცისკოს სამშობიარო სახლის მედდებმა დაარქვეს. მედდების აზრით, ბიჭისთვის ამერიკული სახელით გაცილებით მარტივი იქნებოდა მოქალაქეობის მიღება. ბრიუს ლი დაბადებიდან ამერიკის მოქალაქე იყო და არასდროს მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

* ბრიუსი არ იყო წმინდა სისხლის ჩინელი, მას გერმანული ფესვები ჰქონდა – დედის ბაბუა ნახევრად გერმანელი ჰყავდა.

* ბრიუს ლიმ მხოლოდ ერთხელ განიცადა მარცხი ორთაბრძოლის დროს – 13 წლის ასაკში იგი იმავე სკოლის მოსწავლემ დაამარცხა, სადაც ორთაბრძოლებს სწავლობდა. აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატი ვინ ჩუნი, მეტსახელად – იიპ მენი, ბრიუს ლის ხელმძღვანელი და მასწავლებელი იყო. იგი მასთან ინდივიდუალურად მუშაობდა, რადგან სხვა მოწაფეებს არ სურდათ მასთან ერთად ევარჯიშათ, რადგან ის არ იყო წმინდა სისხლის ჩინელი.

* ბავშვობაში ბრიუსს არ აინტერესებდა სწავლა. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ იგი „ლა სალეს" კოლეჯში მოეწყო ჰონკონგში, სადაც ინგლისურენოვანი ბავშვები სწავლობდნენ. ცუდი ქცევების გამო ბრიუსი რამდენჯერმე გარიცხეს კოლეჯიდან, თუმცა, მშობლები მას უკან აბრუნებდნენ. იგი ხშირად ერეოდა ქუჩურ ჩხუბებში ან თავად იყო ჩხუბის ინიციატორი.

* აღმოსავლური ორთაბრძოლების პარალელურად, ბრიუს ლი ცეკვით იყო გატაცებული და 1958 წელს, 18 წლის ასაკში, ჰონკონგის ჩემპიონატში გაიმარჯვა „ჩა-ჩა-ჩაში." გარდა ამისა, ის კრივშიც ვარჯიშობდა და იმ წელს მსუბუქ წონაში ჰონკონგის ჩემპიონი გახდა – ფინალში ნოკაუტით გაიმარჯვა.

* ბრიუს ლი ვაშინგტონის უნივერსიტეტში ფილოსოფიას, კერძოდ, აღმოსავლური ორთაბრძოლების ფილოსოფიურ პრინციპებს სწავლობდა. სწავლის პარალელურად, ბრიუსს ორთაბრძოლების კურსები ჰქონდა გახსნილი, სადაც სტუდენტებს ავარჯიშებდა. მოგვიანებით მან საბოლოოდ მიატოვა სწავლა და საკუთარი სკოლა გახსნა.

* ბრიუს ლის სიმაღლე 171 სმ იყო, ხოლო სიკვდილის მომენტში ის 53 კილოგრამს იწონიდა.

* ბრიუს ლის ყვავილებიდან განსაკუთრებით უყვარდა ქრიზანთემები.

* ბრიუს ლის ერთ-ერთი მოსწავლე კუნგფუს სკოლაში, ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი, ბრიტანელი მსახიობი ჯორჯ ლაზენბი იყო.

* ბრიუს ლის რამდენიმე წამის განმავლობაში გაშლილი ხელით შეეძლო 32-კილოგრამიანი გირის დაჭერა.

* ბრიუს ლი თავისუფლად საუბრობდა ოთხ ენაზე: ინგლისურად, კანტონურად, პუტუნხუაზე და იაპონურად.

* ბრიუს ლის ნამდვილი სახელია ლი იუნ ფაი. ოჯახის წევრები მას ხშირად „პატარა ფენიქსს" ეძახდნენ.

* პოპულარული კომპიუტერული თამაშისა და კინოფილმის – „მორტალ კომბატის" პერსონაჟი ლიუ კენგი, ბრიუს ლის პროტოტიპია.

* ბრიუს ლის აქვს საკუთარი ვარსკვლავი ჰოლივუდის დიდების ხეივანში, კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის.

* ბრიუს ლი ვაშინგტონის შტატში, ქალაქ სიეტლშია დაკრძალული.

* ბრიუს ლის უკანასკნელი ფილმი – „სიკვდილის თამაში" კინოეკრანებზე მსახიობის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ გამოვიდა. ფილმი იმით არის საინტერესო, რომ ლი გადაღებების დასრულებამდე გარდაიცვალა და ფილმის დასრულება მხოლოდ ორეულების გამოყენებით გახდა შესაძლებელი. ფილმის სცენარი რამდენჯერმე გადაკეთდა და, საბოლოო ვარიანტში ბრიუს ლის დაკრძალვის დოკუმენტური კადრებიც კი იქნა გამოყენებული.

* ყვითელი სპორტული კოსტიუმი, რომლითაც ბრიუს ლი მონაწილეობდა ფილმში „სიკვდილის თამაში," კვენტინ ტარანტინომ თავის ბლოკბასტერში – „მოკალი ბილი" – უმა თურმანს ჩააცვა.

* ბრიუს ლის პარტნიორი ფილმში „დრაკონის გამოსვლა" – ჯიმ კელი, 1968-71 წლებში მსოფლიოს ჩემპიონის შავ ქამარს ფლობდა კარატეში.

* ჩაკ ნორისისა და ბრიუს ლის ცნობილი ჩხუბის სცენა, ფილმიდან „დრაკონის გზა," რომის კოლიზეუმის ნაცვლად, კინოსტუდია „გოლდენ ჰარვესტის" პავილიონში იყო გადაღებული.

* ბრიუს ლის მოძრაობა და დარტყმა იმდენად სწრაფი იყო, რომ გადაღების ჩვეულებრივი რეჟიმი – წამში 24 კადრი – ვერ ასწრებდა დაფიქსირებას და ამიტომაც ფილმების გადაღებების დროს გამოიყენებოდა გადაღების სპეციალური რეჟიმი – 32 კადრი წამში.

* ბრიუს ლის მეუღლე – ლინდა იხსენებდა, რომ მის ქმარს კვების სპეციალური რეჟიმი ჰქონდა. ლი უპირატესობას ცილებითა და ვიტამინ-მინერალებით მდიდარ საკვებს ანიჭებდა. არ უყვარდა ცომეული, რძის პროდუქტი, თუმცა, კუნთოვანი მასის შესანარჩუნებლად ის ყოველდღიურად მიირთმევდა რძესა და კვერცხს. ბრიუს ლი უპირატესობას ჩინურ, აზიურ სამზარეულოს ანიჭებდა, უყვარდა საქონლის ხორცი, შემწვარი ღვიძლი. სასმელებიდან ნატურალურ ხილის წვენს გამოარჩევდა, ასევე უყვარდა სტაფილოს წვენი.

* ნუნჩაკების არსებობის შესახებ ბრიუს ლიმ პირველად 1960-იანი წლების შუა პერიოდში შეიტყო კარატეს ოსტატ ხიდეხიკო ოტიასგან. ამ იარაღს ლი მოგვიანებით ხშირად გამოიყენებდა თავის ფილმებში.

* ბრიუს ლის ცხოვრება ჩვილობიდან იყო დაკავშირებული კინოინდუსტრიასთან. თავისი პირველი როლი მან 1 წლის ასაკში ითამაშა. საერთო ჯამში, მის ფილმოგრაფიაში 36 ფილმია, ხოლო თავად ბრიუს ლის ცხოვრებაზე გადაღებულია 30 ფილმი.

* მამის მსგავსად, ფილმის გადასაღებ მოედანზე გარდაიცვალა ბრიუს ლის ვაჟი, ბრენდონ ლი. 28 წლის მსახიობი საკულტო ფილმ „ყვავის" გადასაღებ მოედანზე ტრაგიკულად დაიღუპა. ფილმი მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა ეკრანებზე.

* ბრიუს ლის თითებით შეეძლო „კოკაკოლის" რკინის ქილის გახვრეტა ერთი დარტყმით (იმ პერიოდში რკინის ქილები გაცილებით მსხვილი ლითონისგან მზადდებოდა).

* ბრიუს ლის დაკრძალვას სიეტლში ესწრებოდნენ ამერიკელი კინოვარსკვლავები – ჯეიმს კობერნი და სტივ მაკკუინი. მსახიობები მეგობრობდნენ და საერთო პროექტებზე მუშაობდნენ.

* ფილმი „დრაკონის გამოსვლა" ეკრანებზე ბრიუსის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში გავიდა და არნახული მოგება მოუტანა პროდიუსერებს. ამჟამინდელი მონაცემებით, ფილმმა კინოგაქირავებიდან და დივიდი დისკების გაყიდვიდან 300 მილიონი დოლარის მოგება მოიტანა, მაშინ როცა წარმოებაზე სულ 300 ათასი დოლარი იყო დახარჯული.

* ბრიუს ლიმ 32 წელი იცოცხლა – ის გარდაიცვალა ჰონკონგში. ოფიციალური ცნობით, ტვინში სისხლის ჩაქცევით. თუმცა, არსებობს რამდენიმე არაოფიციალური ვერსია, რომელთა შორის არის ჩინური მაფიის – „ტრიადას" შურისძიება და ნარკოტიკულ საშუალებებზე, კერძოდ, კოკაინზე დამოკიდებულება.

**უშანგი რუხაძე**

**თემურ რცხილაძის ქალიშვილი, თამუნა, უკვე ექვსი წელია, უცხოეთში, კერძოდ, ესპანეთში ცხოვრობს. მართალია, აქედან წასული მხოლოდ საჩოგბურთო კარიერაზე ფიქრობდა, მაგრამ ბედმა პოდიუმზე დააყენა და დღეს წარმატებულ მოდელთან ერთად, ერთ-ერთი წარმატებული ვიზაჟისტია ბარსელონაში. როგორც თავად ამბობს, ნამდვილად გაუღიმა ბედმა – არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს, სამსახურშიც დაკავებულია და მიუხედავად დროის სიმცირისა, ფორმაში ყოფნასაც სულ ახერხებს.**

# რამ გააგიჟა თამუნა რცხილაძის უცხოელი ქმარი და რა სახით გადაწყვიტა მან ესპანურ კინოში ძალების მოსინჯვა



აუცილებელია, მუდამ ფორმაში იყო და გარშემო მყოფებზე ახდენდე გავლენას

**თამუნა რცხილაძე**: უკვე ექვსი წელია, რაც ესპანეთში ვცხოვრობ და შევეჩვიე, შევიყვარე აქაურობა. თავიდან კი ძალიან გამიჭირდა – არც ენა ვიცოდი, არც მეგობრები მყავდა. დღეს ეს ორივე ბარიერი დავძლიე და ბედნიერი ვარ. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ არ წამოვსულიყავი უცხოეთში, საქართველოში, ნეტავ, რას გავაკეთებდი, ვინ ვიქნებოდი-მეთქი. ესპანეთში სხვანაირი ცხოვრების რიტმია, უფრო სწრაფი და მობილიზებული. სულ დაკავებული ხარ, აუცილებელია მუდამ ფორმაში იყო და გარშემო მყოფებზე გავლენას ახდენდე. 28 წლის ვარ და თუ განვლილ წლებს გადავხედავ, ნამდვილად იღბლიანი ვარ. გამიმართლა და უცხოეთში ყველა მიზანს სირთულეების გარეშე მივაღწიე.

**– თამუნა, ესპანეთში, როგორც ჩოგბურთელი ისე ჩახვედი, ბავშვებს ავარჯიშებდი. შემდეგ, საკმაოდ ცნობილი მოდელი გახდი, თუმცა პროფილი შეიცვალე და ვიზაჟის სპეციალობა აითვისე. ამ მხრივ რა სიახლეებია შენკენ?**

– მართალია, ესპანეთში რომ ჩამოვედი არც მოდელობაზე მიფიქრია. მხოლოდ ჩოგბურთის თამაშზე ვიყავი „ჩაციკლული". შემდეგ, მოდის სამყაროში აღმოვჩნდი და არაერთი ცნობილი მოდელიერის ჩვენებაზე გამოვსულვარ. დაახლოებით ორი წლის წინ დავინტერესდი ვიზაჟით და აქ ვიზაჟის აკადემია დავამთავრე. დღეს, პროფესიონალი ვიზაჟისტი ვარ და ამ განხრით ვმუშაობ. სულ რამდენიმე დღეა, რაც მადრიდიდან ბარსელონაში დავბრუნდი. ხომ იცით, ესპანური სერიალები როგორი პოპულარულია, ჰოდა, ერთ-ერთ სერიალს იღებენ და მე ვუკეთებ მსახიობებს ვიზაჟს. სხვათა შორის, არაერთ სერიალში მიმიწვიეს როგორც ვიზაჟისტი და მეც არ ვამბობ უარს. სწორედ ახლა გადის ტელევიზიით სერიალი „ბაროკო" და მსახიობებზე ჩემს გაკეთებულ ვიჟაზს რომ ვუყურებ, ძალიან ამაყი ვარ. მადრიდში, „ფეშენ-ვიქზე" და ჩვენებებზე არა მხოლოდ როგორც მოდელს, არამედ, როგორც ვიზაჟისტს ისეც მიწვევენ. ასე რომ, სპორტიდან ჯერ პოდიუმზე აღმოვჩნდი, ახლა კი კინოს სამყაროში გადავინაცვლე ***(იცინის).*** თუმცა, დღეს კონტრაქტი მაქვს დადებული სამოდელო სააგენტო „აიკონ მოდელსთან" და ჩვენებებსა და გადაღებებზე მიწვევენ. არ დამავიწყდება „პრონოვიას" ჩვენება. ულამაზესი საქორწინო კაბები მოვირგე და ძალიან ვისიამოვნე პოდიუმზე. ასეთი ულამაზესი საქორწინო კაბების მორგება ყველა ქალის ოცნებაა. ასევე, სალონ „ტონ ვანგარდის" სახე ვარ, რომლის ფილიალები ლოს-ანჯელესში და ბარსელონაშია.

**– უცხოეთში თამუნას გეძახიან თუ ფსევდონიმი გაქვს?**

– აქ ტამარა და ტამი ძალიან ცნობილი სახელია. მეგობრები ტამარას მეძახიან, ჩვენებებზე კი ტამით მაცხადებენ.

**– თამუნა, შენი მეუღლე არ ეჭვიანობს, სულ საქმით რომ ხარ დაკავებული და სახლში არ ხარ?**

– ***(იცინის).*** ჩემი ქმარი – ენრიკე, ანუ კიკე, როგორც მას ვეძახი, ესპანეთის რალის ჩემპიონია. ვხუმრობ ხოლმე, ჩემზე არანაკლებად უყვარს მანქანები და „გონკები"-მეთქი ***(იცინის).*** საერთოდ არ არის ეჭვიანი, ძალიან მანებივრებს საჩუქრებითა და სიურპრიზებით. სულ გვერდით მიდგას და მეხმარება. რომ ამბობენ, ქართველი და ესპანელი მამაკაცები ერთმანეთს გვანანო, არ ვეთანხმები, ძალიან განსხვავდებიან. სტუმართმოყვარეობასა და ტრადიციების დაცვაში კი გვანან, მაგრამ, სხვა მხრივ, ვერ ვამსგავსებ. ანუ, ქართველი და ესპანელი მამაკაცის ტიპი, რადიკალურად განსხვავებულია. ახალ წელს, მე მადრიდში ვიყავი გადაღებებზე, კიკე კი – ბარსელონაში. დამირეკა და მელაპარაკა. ღამის სამი საათი იყო და ვუთხარი, სასტუმროში მივდივარ, ძალიან დაღლილი ვარ, უნდა დავიძინო-მეთქი. დამემშვიდობა, მშვიდი ღამე და ბედნიერი ახალი წელი მისურვა. მივედი სასტუმროში, გავაღე კარი და რას ვხედავ? ოთახი სავსეა საჩუქრებით, საახალწლო სათამაშოებითა და სანთლებით და მაგიდაზე დევს ტკბილეული და შამპანური. წარმოიდგინეთ რა დამემართებოდა, როცა არ ველოდებოდი, ის კი ნომერში დამხვდა თან, ძვირად ღირებული მანქანაც მაჩუქა, „პეჟოს" „კაბრიოლეტი". ასე რომ, ქმარი მანებივრებს. ხშირად ვამბობ, ყველა ოცნება ამიხდა-მეთქი და არ ვიტყუები. რაზეც მიფიქრია და მომდომებია ცხოვრებაში, ყველაფრისთვის მიმიღწევია და ყველაფერი მაქვს. თუმცა, რასაც მივაღწიე, ჩემი შრომის შედეგია.

**რაზეც მიფიქრია და მომდომებია ცხოვრებაში, ყველაფერს მივაღწიე და ყველაფერი მაქვს**

**– მამა, ბიძა და დეიდა ცნობილი მომღერლები არიან. თავად რატომ არ სცადე ბედი სასიმღერო კარიერაში? თუ აპირებ მომავალში ამღერებას?**

– ეჭვი მეპარება ავმღერდე ***(იცინის).*** მამა – თემურ რცხილაძე, გარდა იმისა რომ მღერის, კარგად ხატავს და ეს ნიჭი უფრო გამომყვა. სიმღერის ნიჭი კი, ნაკლებად. სმენა და ხმა მაქვს, მაგრამ დიდ სცენაზე ვერ დავდგები ***(იცინის).*** ამის ამბიცია არც მქონია, მომღერალი მამა, ბიძები და დეიდაც მეყოფა ***(იცინის).*** მირჩევნია, მათ იმღერონ და მე ვუსმინო.

**– როგორი დიასახლისი ხარ და ესპანელ მეუღლეს ქართული კერძებით თუ ანებივრებ?**

– დროის უქონლობის გამო, წინსაფარაფარებულს ვერ მნახავთ ***(იცინის).*** თუმცა, რასაც ვაკეთებ, გემრიელი გამომდის. აი, მამაჩემი, თემო რომ ჩამოდის ჩვენთან სტუმრად, ისეთ ხინკალს აკეთებს, კიკე გიჟდება. მოსკოვში რომ ვცხოვრობდით, თემოს ხინკლის საჭმელად ჯგუფი „ა სტუდიო" ხშირად მოდიოდა. ეს მაგრად გამოსდის. მართალია, მე ჯერ არ მიცდია ხინკლის გაკეთება, მაგრამ ფაქტია, ჩემი ქმარი გადარია თემომ ***(იცინის).*** ძალიან მიყვარს მჭადი და ყველი. თბილისიდან ხშირად მიგზავნიან ქართულ მჭადის ფქვილს, ყველს და თურქულ ყავას. დიეტას საერთოდ არ ვიცავ. ყველაფერს ვჭამ, მაგრამ ისეთი გადარბენები მაქვს, წონას მაინც ვინარჩუნებ. ამაში, ცოტა გენეტიკაც მეხმარება.

**ნონა დათეშიძე**


**ა ქ ც ი ა**

**www.erudit.ge -ზე**

www.erudit.ge-ზე განათლების მიღება ინტერნეტის საშუალებით, სახლიდან გაუსვლელად, დაწყებითი კლასის ყველა საგანი. მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-10 კლასის მოსწავლეებს მათემატიკას შევასწავლი კვალიფიციური პედაგოგი იაფად (თვეში 10 ლარად), საინტერესოდ და ხარისხიანად.

# ინტიმური საუბრები

## ჩემი შვილები ბეკინას მეძახიან

ვარ 70 წელს გადაშორებული კაცი. ჯერ კიდევ ჭარმაგად ვგრძნობ თავს, არც ფიზიკურად მაწუხებს რამე – ჩემზე ოცი წლით უმცროსებსაც ბევრ რამეში ვაჯობებ. მართალია, პენსიაზე ვარ, მაგრამ, ჩვენი კორპუსის პირველ სართულზე პატარა მარკეტი მაქვს გახსნილი და იმდენი კი მრჩება, რომ თავი ვირჩინო და შვილებს არ შევაჩერდე ხელებში. ჩემი ხუთოთახიანი ბინა ვაკეში, რომელშიც ყველა ერთად ვცხოვრობდით, რამდენიმე წლის წინ გავყიდე, ორივე ბიჭი ცალ-ცალკე დავასახლე და ჩემთვის ოთახნახევრიანი ბინა შევიძინე სანზონაში – მე მეტი არ მჭირდება.

შვიდი წელია, ცოლი გარდამეცვალა. მართალია, ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და დღემდე პატივს ვცემ მის ხსოვნას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცალკე დავსახლდი, ძალიან გამიჭირდა, რადგან, მარტო ცხოვრებას ვერ ვეგუები. ბევრი ვიფიქრე, როგორ მეშველა თავისთვის და ერთადერთ გამოსავალს მივაგენი – ცოლი უნდა შევირთო. ჯერ ერთი, ხმის გამცემი მეყოლება, გარდა ამისა, ძალიან რომ მოვხუცდები და მოსავლელი გავხდები, არ მინდა, შვილები შევაწუხო. ისედაც ორივეს დიდი ოჯახი აქვს (სამ-სამი შვილი) და თავზეც არ გადასდით, რომ მოხუც მამას უარონ და არჩინონ. ერთი სიტყვით, ცოლი მინდა. ყველაფერი რომ ავწონ-დავწონე, დავიბარე ჩემთან ორივე, თავიანთი ცოლებით და ყველაფერი დაწვრილებით ავუხსენი. ჯერ სიცილი აუტყდათ, მერე გაბრაზდნენ, ბოლოს კი ჩემი დატუქსვა და ჭკუის დარიგება დაიწყეს. უმცროსმა ისიც კი მითხრა, შვილი რომ გეყოლოს, სირცხვილით სად გამოვყოთ თავიო. მე ვუთხარი: შე კაცო, მეც ბეკინა სამანიშვილი ხომ არ ვარ, თანაც, რომც მეყოლოს, თქვენ მაინც არ გაგიყიდით ქონებას-მეთქი. იმის მერე ბეკინას მეძახიან, თუმცა თანხმობას მაინც არ მაძლევენ. კიდევ ცოტა ხანს მოვიცდი (ამასობაში სასურველ ქალს შევათვალიერებ), მერე კი, თუ მაინც ვერ დავითანხმებ, ავდგები და მათ უკითხავად ვითხოვ ქალს – რა, უწლოვანი ვარ თუ რაშია საქმე, რაში მჭირდება ვინმეს ნებართვა? ამდენი თუ არ ესმით, მე გავაგებინებ, როგორ უნდა მამის პატივისცემა და ანგარიშის გაწევა. ჭკვიანად იყვნენ, თორემ, შევირთავ ახალგაზრდა ქალს, მართლა გავაჩენინებ შვილს და მერე მიყარონ კაკალი!

**მიხეილი, 72 წლის.**

## ვერ გავიგე, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა

ბებიამ გამზარდა, რომელსაც სოფელში „ოთარაანთ ქვრივს“ ეძახდნენ, რადგან, ძალიან მშრომელი, მკაცრი და სამართლიანი ქალი იყო. როგორც თავისი, ისე სხვისი სიმართლის დასამტკიცებლად დათვს შეებმებოდა. ვერ იტანდა, როცა სუსტს ჩაგრავდნენ და, იყო თუ არ იყო მისი საქმე, ჩაერეოდა და იმ დაჩაგრულს გამოესარჩლებოდა. მთელი ჩემი ბავშვობის განმავლობაში ამას ვუყურებდი და, ცხადია, ბებოს თვისებები მეც გადმომედო. სოფელში მეც მასავით ვიქცეოდი და ამიტომ ბევრი მეგობარი არ მყოლია, თუმცა, ვინც მყავდა, ისინიც დაახლოებით ჩემნაირები იყვნენ, ან, ყოველ შემთხვევაში, არ მაკრიტიკებდნენ და მე მათთან ურთიერთობაც მყოფნიდა. სკოლა რომ დავამთავრე, თბილისში წამოვედი, უმაღლესში ჩავაბარე და ჯერ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი ერთი წელი, მერე კი ბებომ ოთახი მიქირავა და იქ გადავედი. ცხადია, ჩემი ხასიათი „თან წამომყვა“ და აქაც განვაგრძე „არსენობა“, მაგრამ, ქალაქმა არ მიმიღო ასეთი – ყველა თანატოლი გამირბოდა, ისინიც კი, ვისაც ვესარჩლებოდი და ვის გამოც ხშირად, რბილად რომ ვთქვა, უხერხულ მდგომარეობაში ვიყენებდი თავს. ერთი-ორის გამონაკლისით, ვერც ლექტორები მიტანდნენ, რადგან, ეშინოდათ ჩემი პირდაპირობის, უფრო სწორად, მხილების ეშინოდათ, რადგან, ბევრი მათგანი უცოდინარი და მექრთამე იყო და აქეთ გვიკითხავდა ნატაციებს. არც ბიჭებს მოვწონდი. ერთმა ბიჭმა პირდაპირ მითხრა: შენ ხომ დაუფარავად, პირში ეუბნები ყველას ყველაფერს, ჰოდა, მეც ასევე მოვიქცევი და პირდაპირ გეტყვი: მიუხედავად იმისა, რომ ლამაზი, ჭკვიანი და წესიერი გოგო ხარ, არც ერთი ბიჭი არასდროს არ გაგეკარება, რადგან, შეყვარებულად ჟანა დარკი არავის სჭირდება. თუ ხასიათი და საქციელი არ შეიცვალე, იცოდე, მთელი ცხოვრება მარტო დარჩებიო. მე ეს სიტყვები გულზე ეკალივით მომხვდა, რადგან ის ბიჭი ძალიან მომწონდა (ერთადერთი, რისი პირდაპირ თქმაც ვერ გავბედე, ეს იყო), ამიტომ, მართლა შევეცადე, შევცვლილიყავი, მაგრამ, არაფერი გამომივიდა. ვაიძულებდი თავს, არანაირ უსამართლობაში არ ჩავრეულიყავი, ხმა არ ამომეღო არაფერზე, რაც პირადად მე არ მეხებოდა, არავინ დამეცვა, არავინ მემხილებინა, და, სხვათა შორის, ასეთმა პერიოდმა კარგა ხანს გასტანა, მაგრამ, ერთ დღეს მივხვდი, რომ მე – მე აღარ ვიყავი, ვიღაც სხვა გოგო გავხდი – ჩვეულებრივი, რიგითი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული, მასის ნაწილი, რაღაც რუხი ლაქა, მოკლებული ყოველგვარ ინდივიდუალურობას. შეიძლება, ძალიან გაგიკვირდეთ (მაშინ მეც საოცრად მიკვირდა), მაგრამ, ჩემი ასეთი შეცვლით ჩემ გარშემო არსებული ადამიანების კეთილგანწყობა არ დამიმსახურებია, ანუ, არც მეგობრების რიცხვი გაიზარდა, არც ჩემ მიმართ დადებითი დამოკიდებულება არ გამოუხატავს არავის. პირიქით, ყველა ისე მიყურებდა, როგორც უცხოპლანეტელს (თვით ლექტორებიც კი). მე კი ამ ყველაფერს იმიტომ ჩავდიოდი, რომ იმ ბიჭს მოვწონებოდი, რომელიც, რატომღაც, ძალიან შემიყვარდა (აი, იმას, ჟანა დარკი არავის უნდაო, რომ მითხრა). არადა, პირიქით მოხდა – სულ გაოცებული მიყურებდა და გამირბოდა, აღარ მელაპარაკებოდა არანაირ „ნეიტრალურ“ თემაზე. ამ ყველაფერმა ისე დამაკომპლექსა, რომ საერთოდ ხმას აღარ ვიღებდი არაფერზე – ვიჯექი ჩემთვის, ვუსმენდი ლექტორებს, ვიწერდი ლექციებს და მერე ჩუმად, ხმის ამოუღებლად მივდიოდი სახლში. ერთ დღეს კი ერთმა ლექტორმა (რომელსაც ყველაზე მეტად „ვერჩოდი“ ხოლმე, თუმცა, არც ისე ცუდი კაცი იყო) პირდაპირ მკითხა: რა ხდება შენს თავს, ხომ მშვიდობაა, რამე პრობლემა ხომ არ გაქვს. თუ ასეა, მითხარი და დაგეხმარებიო. ეს ისე გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ გული ამიჩუყდა და კინაღამ ტირილი დავიწყე. მეორე ლექტორმა, ასევე, ლექციაზე გამოაცხადა – რაც მარიკა გამოსწორდა, ჩვენი ცხოვრება უინტერესო და რუხი გახდაო. იმავე საღამოს კი სახლში სწორედ ის ბიჭი მომადგა, რომელიც მიყვარდა და მითხრა: ვიცი, ჩემ გამო იქცევი ასე, მაგრამ, ახლა მივხვდი, რომ მე ისეთი უფრო მომწონხარ, როგორიც იყავი – აქტიური, ცოცხალი, მებრძოლი, ბობოქარი და სამართლიანი. მაშინ ყველასგან განსხვავდებოდი, ახლა კი ერთი ჩვეულებრივი ლამაზი გოგო ხარ, ბევრისგან არაფრით გამორჩეული. მარტო მე კი არა, ყველას გვაკლია ჩვენი ჟანა დარკი და დაგვიბრუნდიო. ვის ვჭირდები, ვის უნდა დავუბრუნდე-მეთქი, – გულნატკენმა ჩავილაპარაკე. მე მჭირდები და მე უნდა დამიბრუნდეო, – მითხრა და გულში ჩამიკრა. მას მერე ერთად ვართ, მალე ქორწილიც გვექნება. ძველებური „ჟანა დარკი“ ვეღარ ვარ, მაგრამ, ჩემს გარშემო არსებული საზოგადოებისთვის ჩემი აზრი და პოზიცია ისევ აქტუალური და ანგარიშგასაწევია. ჩემი პირდაპირობა ისევ იწვევს ზოგიერთის მხრიდან წარბის აწევას და პროტესტს, მაგრამ მეც ვცდილობ, რომ ნამეტანი არ მომივიდეს და ხანდახან „ვატორმუზებ“ ხოლმე.

ისე კი, ალბათ, ჯობია, ბევრს არ მოსწონდე, გყავდეს ძალიან ცოტა ნამდვილი მეგობარი და ერთგული შეყვარებული, რომელიც გიცნობს და გაფასებს, ვიდრე ის, რომ არავის ახსოვდე, არავინ გამჩნევდეს – არც მტერი და არც მოყვარე; არავის აინტერესებდე და, საერთოდ, არავისთვის არაფერს წარმოადგენდე, მათ შორის – საკუთარი თავისთვისაც. თუმცა, საბოლოოდ, მაინც ვერ გავიგე, როგორ უნდა იცხოვრო. ალბათ, ისე, რომ საკუთარი სახე არ დაკარგო.

**მარიკა, 24 წლის.**







**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ადამიანის წინაპრებმა ალკოჰოლის გამოყენება 10 მილიონი წლის წინათ დაიწყეს

ფლორიდის შტატში, გერსვილში, გამოყენებითი მოლეკულური ევოლუციის ფონდის სპეციალისტებმა, რომლებიც ადამიანის ალკოჰოლის მეტაბოლიზმზე პასუხისმგებელი ფერმენტის ევოლუციას აკვირდებოდნენ, გააკეთეს დასკვნა, რომ ეს ფერმენტი – ალკოჰოლდეჰიდროგენაზ-4 – 10 მილიონი წლის წინათ წარმოიქმნა ადამიანის, გორილისა და შიმპანზეს საერთო წინაპრის ორგანიზმში.



კვლევა რომ ჩაეტარებინათ, მეცნიერებმა აღადგინეს პრიმატების გადაშენებული სახეობების ალკოჰოლდეჰიდროგენაზ-4. დასაწყისისთვის მათ შეისწავლეს თანამედროვე პრიმატების 27 სახეობის დნმ-ის თანმიმდევრობა, შემდეგ კი „უკანა მიმართულებით წავიდნენ". შედეგად მათ მოახერხეს, დაახლოებით გამოეთვალათ გადაშენებული პრიმატების გენეტიკური კოდი და ლაბორატორიულად შექმნეს ფერმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ალკოჰოლის დაშლას საჭმლის გადამამუშავებელ სისტემაში. თუმცა, მიღებული შედეგი არ ნიშნავს, რომ ჩვენი წინაპრები პირდაპირ ალკოჰოლს იღებდნენ; ეს, უბრალოდ, აჩვენებს, რომ ზოგიერთ მათგანს ჩამოუყალიბდა ფერმენტის ახალი სახეობა, რაც შემდგომში ბუნებრივი გადარჩევის გზით ჩვენ გადმოგვეცა. ეს ფერმენტი კი მაშინ წარმოიშვა, როდესაც პრიმატები ხეებიდან ჩამოვიდნენ და საკვების მოპოვება მიწაზე დაიწყეს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ზოგჯერ ისინი კარგა ხნის წინ ჩამოყრილ, სიმჟავეშეპარულ ხილს ჭამდნენ, რომელშიც გარკვეული რაოდენობით იყო სპირტი. სწორედ ეს თეორია ხსნის, რატომ არ შეუძლიათ ალკოჰოლის გადამუშავება ორანგუტანგებს, რომლებიც ხეებზე ცხოვრობენ; ადამიანთა უმრავლესობა, შიმპანზეები და გორილები კი ალკოჰოლს მშვენივრად ითვისებენ.

# ცივილიზაციას ემალებიან

დღეს უკვე დადასტურდა 10 წლის განმავლობაში მოარული ხმები იმის შესახებ, რომ კოლუმბიაში, ამაზონის ცენტრალურ ჯუნგლებში, ეგრეთ წოდებული „არაკონტაქტური" ინდიელები ბინადრობენ. მკვლევართა ჯგუფმა, რომელიც მათ საძებრად წავიდა, ინდიელთა ტომები ტროპიკულ ტყეში, მდინარეების – კაკუტასა და პატუამაიოს შორის, რიო-პურის ნაციონალური პარკის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს.



სპეციალისტებმა პარკის ტერიტორია რეთმოტორიანი თვითმფრინავიდან, ანუ, ზემოდან დაათვალიერეს. თავდაპირველად მათ ხეებს შორის პალმისგან აგებული ინდიელთა ქოხი – მალოკა შეამჩნიეს და რამდენიმე ფოტოც გადაუღეს, გადიდებულ ფოტოზე კი აღმოაჩინეს, რომ ქოხებთან ცისკენ თვალაპყრობილი ინდიელი ქალები და ბავშვები იდგნენ, რომლებსაც „სამოსი" მხოლოდ თეძოზე ჰქონდათ შემოხვეული, სხეულის ზედა ნაწილები და სახე კი საღებავებით ჰქონდათ მოხატული. მეორე დღეს მეცნიერებმა კიდევ ოთხი ასეთივე ქოხი აღმოაჩინეს. ისინი ადგილობრივი ორი ტომის – იურისა და პასეს ხალხს ეკუთვნის, რომლებიც, შეიძლება, უკანასკნელნიც კი იყვნენ კოლუმბიური ამაზონის ჯუნგლებში.

1900 წელს, როდესაც კოლუმბიაში კაუჩუკის ბუმი გაჩაღდა, მისკენ მეწარმეები დაიძრნენ. ისინი ათასობით ინდიელს აიძულებდნენ, შეეგროვებინათ კაუჩუკი, სცემდნენ, აშიმშილებდნენ და კლავდნენ კიდეც. სწორედ მაშინ შემცირდა ზოგიერთი ტომის რაოდენობა ათჯერ და ასჯერ, ზოგი კი საერთოდ ამოწყდა, გადარჩენილებმა კი თვითიზოლაცია აირჩიეს.

იურისა და პასეს ტომელები ჯუნგლებში შეიმალნენ და დიდი ხნის განმავლობაში გადაშენებულად ითვლებოდნენ, სანამ ისინი 1969 წელს შემთხვევით არ აღმოაჩინეს დაკარგული მონადირის ბეწვით მოვაჭრის და მისი თანამგზავრის საძებნელად წასულმა მაშველებმა. ინდიელთა დასახლებაში მათ 100-მდე ქალი და ბავშვი დახვდათ. ზოგს კისერზე მონადირის პიჯაკის ღილებისგან აცმული მძივები ეკეთათ, ფოთლებში კი მისი ცული ეგდო. თვით მონადირესა და მის თანამგზავრს რა ბედი ეწია, მათ ვერ გაიგეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თავად მაშველებმა ძლივს უშველეს თავს.

რიო-პური კოლუმბიის ხელისუფლებამ 2002 წელს 2,47 მილიონი ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზე დააარსა – ნაწილობრივ, როგორც ინდიელების გადარჩენის საშუალება. აქამდე ინდიელთა ადგილსამყოფელი უცნობი რჩებოდა. მეცნიერთა აზრით, ხელისუფლებამ ახლა უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს ინდიელთა დასაცავად მათგან, ვისაც მათთვის ვნების მიყენება შეუძლია. თავისდაუნებურად, ეს ტომები „გარემოს ბუნებრივი დამცველები არიან, რადგან სჯერათ, რომ ტყის დაზიანება ან სხვა ტომების განადგურება ცუდ შედეგს გამოიღებს, რომლის გამოსწორება შეუძლებელი იქნება".

# „ნასას" ახალი ნიმუში მარსიდან

„ნასას" მარსმავალმა Curiozity-მ წითელი პლანეტის შესწავლის ისტორიაში პირველად მიიღო ქვის ნაბურღი. რამდენიმე დღეში ქვის მტვერი აპარატის კორპუსში განლაგებულ ქიმიურ ლაბორატორიაში მოთავსდება. მარსის ზედაპირზე ის 2012 წლიდან მუშაობს და მასზე მოთავსებული მინიატურული ბურღით ორი ღრუ გააკეთა ბრტყელ ქვაში, რომელსაც „კონ კლეინი" დაარქვეს მარსმავლის ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელის პატივსაცემად, რომელიც 2011 წელს გარდაიცვალა.



მეცნიერთა ჯგუფი გაოცებულია, რომ ახალაღებული ნიმუში სულაც არ იყო მარსისთვის დამახასიათებელი ჟანგისფერ-წითელი ფერის, რაც რკინის დაჟანგვასთან არის დაკავშირებული. როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა განაცხადა: „ბევრი ჩვენგანი წლების განმავლობაში სწორედ ამ დღისთვის მუშაობდა. ახალი ნიმუშის განსხვავებული ფერი, ანუ ნაცრისფერი, მიუთითებს იმაზე, რომ მას შეუძლია, ინფორმაცია მოგვცეს არა მხოლოდ მარსზე არსებული რკინის, არამედ, წითელ პლანეტაზე მილიარდი წლის წინ არსებული პირობების შესახებ".

Curiozity მარსის ზედაპირზე 2012 წლის 6 აგვისტოს დაეშვა კრატერ გეილაში, პლანეტის სამხრეთ ნახევარსფეროში. მის ბორტზე დაყენებულია 10 სამეცნიერო ინსტრუმენტი 75 კილოგრამი საერთო მასით, რომლებიც განკუთვნილია გეოლოგიური, გეოქიმიური დეტალების, პლანეტის ატმოსფეროსა და კლიმატის კვლევისთვის, წყლის ან მისი კვალის ან, სულაც, ორგანულ ნივთიერებათა მოსაძებნად.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

**საზოგადოებამ ნიკა კაკაბაძე „კომედი შოუში“ პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის პაროდიით გაიცნო, რომელსაც გარეგნობითაც ჰგავს, ოღონდ ტელეეკრანზე უფრო მეტად, ვიდრე ცხოვრებაში. ნიკა ამჟამად ირაკლი ღარიბაშვილის პაროდიაზე მუშაობს, როგორც თავად ამბობს: მუშაობა, ცოტა არ იყოს, გაეწელა.**

# რა სიურპრიზი მოუწყო ნიკა კაკაბაძემ მშობლებს ბიძინა ივანიშვილის დახმარებით და როგორ ცდილობს ის ირაკლი ღარიბაშვილისთვის მიბაძვას

**ნიკა კაკაბაძე**: ამჟამად მხოლოდ „კომედი შოუში“ ვმუშაობ და ვსწავლობ ჯავახიშვილში, იურიდიულ ფაკულტეტზე, მეოთხე კურსზე. ალბათ, სისხლის სამართლის კუთხით წავალ, ეს უფრო მაინტერესებს, სამოქალაქო – ნაკლებად. თან, სამხედრო კარიერით ვარ დაინტერესებული და ეს ფაკულტეტი ამაში დამეხმარება. ვნახოთ, რა იქნება ამ კუთხით. ოფისში ჯდომა და ასე მუშაობა არ არის ჩემი საქმე, აქტიური საქმეები უფრო მიტაცებს. მაგრამ ახლა ძალიან დამაინტერესა არქეოლოგიამ, ისტორიამ. ასევე, მაინტერესებს დოკუმენტალისტიკა – ისტორიული, დოკუმენტური ფილმების გადაღება. ჯერჯერობით ექსპედიციაში არ ვყოფილვარ, მაგრამ ამ ზაფხულს ვგეგმავ.



**არ ვიცი, მოსწონს თუ არა ბიძინა ივანიშვილს ჩემი გაკეთებული პაროდია. ელიტურ წრეებში არ ვტრიალებ და ასეთი ინფრომაციები არ მომდის. პირადადაც არ ვიცნობ**

**– ბავშვობაში იყავი აქტიური, ცელქი?**

– უფრო სიმშვიდე მიყვარს, სიჩუმე. რა თქმა უნდა, გართობაც მიყვარს, მაგრამ, როცა ვიღლები, ჩემთვის კარგი დასვენების საშუალება წიგნების კითხვა და მარტო ყოფნაა. სოფელში, ბუნებაში უფრო მიყვარს დასვენება, ვიდრე ზღვაზე, ხმაურიან ადგილებში. კონფლიქტურიც არ ვყოფილვარ. თან, ვვარჯიშობდი და არავის ჰქონია დიდი ლტოლვა, ჩემთვის რამე დაეშავებინა. როცა, შენ არ ხარ კონფლიქტური, არ იწვევ აგრესიას, სხვების მხრიდანაც ნაკლებად მოდის აგრესია.

**– რა სპორტით იყავი დაკავებული?**

– ჩემთვის ვვარჯიშობდი. ცეკვაზე დავდიოდი, მომატყუეს – სპორტიაო და შემიყვანეს. ძალიან გვიან მივხვდი, რომ ცეკვა სპორტი არ იყო. საერთოდ, სერიოზულად მინდოდა სპორტს გავყოლოდი, მაგრამ ნაკლებად გამომდიოდა და თან, უფრო სწავლაზე ვიყავი ორიენტირებული, ისევე, როგორც ჩემი მშობლები. ამიტომ მთელი ოჯახი სწავლაზე ვიყავით გადართული.

**– უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ, საცხოვრებლად თბილისში გადმოხვედი. დამოუკიდებელ ცხოვრებასთან დაკავშირებით გქონდა გარკვეული სირთულეები?**

– თბილისში ბინა ვიქირავე და უკვე სამი წელია, მეგობართან ერთად ვცხოვრობ ნაქირავებში. თავიდან არ მომწონდა თბილისი, ძალიან ხმაური იყო. ხმაურზე კი გართულება მაქვს. მერე მეგობრებმაც ჩააბარეს თბილისში და მივეჩვიე. ახლა ქუთაისი აღარ მომწონს, ზედმეტად წყნარი მეჩვენება.

**– ამბიციური ხარ?**

– ზომიერად ამბიციური ვარ. რაც ვიცი, რომ გამომივა ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე, იმის ფარგლებში ვარ ამბიციური – ვაკეთებ იმას, რაც გამომივა. მიზნად არ დავისახავ ისეთ რამეს, რასაც ვერ გავაკეთებ. საკუთარი თავის მიმართ საკმაოდ მომთხოვნი ვარ.

**– ალბათ, გაქვს ისეთი თვისება, რომელიც სხვადასხვა საქმეში, ცხოვრებაში ხელს გიშლის?**

– ძირითადად, სიზარმაცე. მაგრამ, სამაგიეროდ, ბოლო წუთზე ვიცი ყველაფრის გაკეთება.

**– დიდი ხანია, აკეთებ პაროდიებს?**

– ბავშვობიდან ვისწავლე პაროდიის კეთება, როცა „იუმორინას“ ვუყურებდი – ანუ, პაროდიის პაროდიებს ვაკეთებდი. მშობლებმა არ იცოდნენ და ივანიშვილის პაროდიაც ტელევიზიით ნახეს. უფრო სწორად, შემთხვევით გაიგეს. მერე მირეკავდნენ: ეს მართლა შენ ხარ, თუ თვალი გვატყუებსო. რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდათ, გაკვირვებულები იყვნენ. მეგობრებმა უფრო იცოდნენ, ისიც ვიწრო წრეში, „კავეენის“ მეგობრებმა. „კავეენში“ ჩემი ფეხით მივედი, ალექს ძაგნიძე იყო ჩვენი გუნდის კაპიტანი, ძალიან დამეხმარა. საბოლოოდ, საუკეთესო გუნდი შეიკრა, ბევრს მიაღწია. მე და ჩემი მეგობარი, თორნიკე, რომელიც ასევე „კომედი შოუშია,“ პაროდიებს ვაკეთებდით. შარშან მივედი „თსუ-ის“ გუნდში. რომ ვთქვი, შემიძლია, ბიძინა ივანიშვილის პაროდია გავაკეთო-მეთქი, არ დამიჯერეს: ვერ გააკეთებო. მერე, რომ გავაკეთე, მითხრეს: უი, თურმე, შესაძლებელი ყოფილა მისი პაროდიაო.

**– დიდხანს მუშაობდი ბიძინა ივანიშვილის პაროდიაზე?**

– სანდრო ცნობილაძის პაროდიას, უხეშად რომ ვთქვათ, „ვამუღამებდი“ რამდენიმე თვის განმავლობაში და ერთ დღესაც ისე გავაკეთე, მეც ვერ მივხვდი. ივანიშვილის პაროდიის გაკეთებას სამი დღე დასჭირდა, ადვილი იყო. თუ გინდა, რომ პაროდია გამოგივიდეს, იმ ადამიანის ადგილას საკუთარი თავი უნდა წარმოიდგინო, როგორ მოიქცევა, რას იტყვის. ყველაფერში მის ნაცვლად უნდა წარმოიდგინო თავი. მაგალითად, ბრიფინგზე როგორ იჯდა, რას აკეთებდა, იმის მიხედვით წარმოვიდგენდი საკუთარ თავს და მერე ვაკეთებდი პაროდიას.

**ცეკვაზე დავდიოდი, მომატყუეს – სპორტიაო და შემიყვანეს. ძალიან გვიან მივხვდი, რომ ცეკვა სპორტი არ იყო**

რაც შეეხება ჩემს მოხვედრას „კომედი შოუში“, ფესტივალზე უყურეს ჩვენს გამოსვლას და როგორც ჩანს, მოეწონათ. დაგვიბარეს მე და ჩემი მეგობარი, თორნიკე. ჩვენი მომზადებული ნომერი წარვუდგინეთ, აგვიყვანეს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში სტაჟირებაზე ვიყავი, ახლაც ჯერ არ მაქვს კონტრაქტი გაფორმებული, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან მოსწონთ მათაც და ხალხსაც.

**– როგორია შეფასებები?**

– მშობლებისგან, სახლობლოსგან და რაიონისგან შეფასებები კარგი იყო. აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, არის. ყველაფერს აპოლიტიკურად ვაკეთებ. ამიტომ, არ მიმაჩნია სწორად, ვინმემ თქვას: რატომ აკეთებსო. თუმცა, ჩემთვის ეს კრიტიკაც მისაღებია, მაგრამ ამაში არაფერია პოლიტიკური, მხოლოდ და მხოლოდ იუმორია. ჩემი საქმეა, ამ ყველაფრის იუმორისტულად აღქმა და გადმოცემა, მეტი არაფერი. როდესაც ვიდეო იდება, წერენ: რატომ აკეთებსო, მაგრამ ჩემთვის ორივე აზრი მისაღებია. ზომიერ კრიტიკასაც ვიღებ, ეს პაროდიის დახვეწაში კიდევ უფრო მეხმარება. რა თქმა უნდა, მიფიქრია იმაზეც, რომ შეიძლება, ბიძინა ივანიშვილს არ მოეწონოს პაროდია, მაგრამ ამაში ცუდი არაფერია, მხოლოდ და მხოლოდ იუმორია. ყველა ქვეყანაში აკეთებენ პირველი პირების პაროდიებს და ამ მხრივ, საქართველოში განსაკუთრებული არაფერი ხდება.

**– არ იცი, მოსწონს თუ არა პრემიერ-მინისტრს შენი გაკეთებული პაროდიები?**

– არ ვიცი, ელიტურ წრეებში არ ვტრიალებ და ასეთი ინფორმაციები არ მომდის. პირადადაც არ ვიცნობ.

**– კიდევ ვისი პაროდიის გაკეთებას აპირებ?**

– ირაკლი ღარიბაშვილის პაროდიაზე ვმუშაობ, მაგრამ იოლი არ არის, რთული მიმიკები აქვს. ერთ დღეს, შეიძლება, მისი პაროდიაც გავაკეთო, რა თქმა უნდა, თუ იმდენად კარგი არ გამოვიდა, რომ ბიძინა ივანიშვილის პაროდია დაჩრდილოს. მისი მეტყველება ყურში მოსახვედრი და პაროდისტისთვის კარგი „სატოპკეა“. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის პაროდიას, თავიდან ვერ მივხვდი, რა იყო მასში „სატოპკე“. მაგრამ, მერე, რომ დავაკვირდი, ყველაზე დამახასიათებელია წარბების აწევა. როდესაც უკვე აკეთებ პაროდიას, მერე ხვდები, რა არის მასში განსაკუთრებული და რა გამოგადგება. ღარიბაშვილის პაროდიაზე დაახლოებით ერთი თვეა ვმუშაობ, საკმაოდ გაგრძელდა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ დიდ დროს ვუთმობ. აუცილებლად მივხედავ ამ საქმეს.

**– ახლა მითხარი, რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– ცოლი არ მყავს, შეყვარებული... მაქვს ერთ გოგონასთან ურთიერთობა, მაგრამ ჯერჯერობით შეყვარებულები არ ვართ. ჩვენი ურთიერთობა რამდენიმე ხნის წინ დაიწყო, მაგრამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეწყდა. ახლა ისევ სტაბილურად მიდის. არ მოსწონს ჩემი პაროდისტობა, მეუბნება: ჯერ ეკრანზე რომ მენახე, არ მომეწონებოდი, კიდევ კარგი, მანამდე გიცნობდიო. საერთოდ არ უყურებს ჩემს გამოსვლას, შენი ვარცხნილობა და საერთოდ, პაროდია ნერვებს მიშლისო.

**– რით მოგაწონა თავი?**

– რა თქმა უნდა, ხასიათის თვისებებით – ეს ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია. თუმცა, გარეგნობითაც კარგია. ახლა ურთიერთობაში უკვე მარტივად ვუყურებ ყველაფერს. როცა რთულად ვუყურებდი, რთული შედეგი გამოიღო, ამიტომ ორივე მარტივზე გადავედით.

**ნათია უტიაშვილი**

**30 იანვარს ჩემთვის გამორჩეულად საყვარელი და პატივსაცემი რესპონდენტის, გოგი ჭიჭინაძისა და მანონი მაჭავარიანის ოჯახს ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი წევრი – პატარა ალექსანდრე შეემატა. „თბილისელების" სახელით კიდევ ერთხელ ვულოცავ მათ ალექსანდრეს დაბადებას და, ვფიქრობ, რომ ის თავის მშობლებივით გამორჩეული, ღირსეული და კარგი ადამიანი იქნება.**

# რა შემოთავაზებაზე თქვა უარი გოგი ჭიჭინაძემ და ვინ შეზღუდა მისი ცხოვრება

**გოგი ჭიჭინაძე**: მამობა მრავალფეროვანი განცდაა. რა თქმა უნდა, ვხვდები და ვგრძნობ, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ, ახლა სიყვარულის ჩამოყალიბების პერიოდია, იმის გათავისების, რომ ახალი ადამიანი შემოვიდა შენს ცხოვრებაში, რომელსაც თავისი ცხოვრება აქვს და დიდი ყურადღება სჭირდება. ეს აბსოლუტურად განსხვავებული შეგრძნებაა. მე მზად ვიყავი შინაგანად მამობისთვის, თან, უკვე მრავალი წელია და, ამიტომ, რომ გითხრათ, ჩემს ცხოვრებაში რაღაც წარმოუდგენელი მოხდა, ყველაფერი გადაიკეტა – ცაც და დედამიწაც-მეთქი, არ იქნება სიმართლე. ის, რაც ახლა ჩემს ცხოვრებაში ხდება, არის საოცარი, უმნიშვნელოვანესი, მაგრამ შეიძლება, ვინმესთვის უცნაურად ჟღერდეს, თუმცა, მეორე, ანუ ჩემი შემოქმედება ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთს ჰარმონიულად შეერწყმება და არაფერი არაფერს არ შეუშლის ხელს.

**– როდის დაიბადა?**

– 30 იანვარს დაიბადა და ალექსანდრე, სანდრო დავარქვით. ძალიან ბევრს ეგონა, რომ, თუ ბიჭი გაჩნდებოდა, დავარქმევდი მამაჩემის ან ჩემი ძმების სახელს, რადგან, არც ერთი არ არის დღეს ცოცხალი. მაგრამ, მე არ მინდოდა. ბავშვი ისედაც ისეთ ოჯახში გაიზრდება, რომ, ის მნიშვნელოვანი წარსული, რომელიც მის ოჯახში იყო, ისედაც ეცოდინება. ამიტომ, სახელით დამძიმება, დატვირთვა აღარ მინდოდა. ჰქონდეს თავისი სახელი, თავისი ცხოვრება.

**– იმედია, ბავშვის დაბადებისას თბილისში იყავით?**

– ახალი ჩამოსული ვიყავი. მოვასწარი ვარშავაში კონცერტის ჩატარება, 27 იანვარს ჩამოვედი და 30 იანვარს დაიბადა. ჩემი ერთ-ერთი ძმის გარდაცვალების თარიღი შემდეგი დღეა. სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა, რომ მაინცდამაინც ეს დღე ყოფილიყო. მოკლედ, ყველაფერი ლამაზად მოხდა და ყველა დღეს თავისი დატვირთვა ექნება.

**– ასეთ დროს მამები განსაკუთრებულად ნერვიულობენ ხოლმე, ხანდახან აქეთ უწევთ მეუღლეებს მათი დამშვიდება.**

– ვერ ვიტყვი, რომ იმ მომენტში ბავშვზე ვფიქრობდი. ძალიან აღელვებული ვიყავი იმით, რომ ჩემს მეუღლეს სტკიოდა. არაფერი არ მინდოდა იმის გარდა, რომ მას არ სტკენოდა და, რომ ვკითხულობდი, რატომ სტკივა, რატომ სტკივა-მეთქი, მეუბნებოდნენ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ნუ წევ პანიკასო. მერე იყო ეიფორიის მომენტი: ბავშვის დაბადებიდან სამი წუთის შემდეგ, ჩემმა მეგობარმა ყავა მომაწოდა მანქანაში, ვსვამდი და ვამბობდი: ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა ეს უშაქრო ყავა-მეთქი და მაინც ვსვამდი. რა დროს ყავაა, შვილი გეყოლა, თან – ბიჭიო.

**– ახლა, როცა უყურებთ ბავშვს, ალბათ უკვე დაახლოებით წარმოგიდგენიათ, როგორ გაზრდით.**

– არ ვიქნები მკაცრი, თუმცა, რაღაც მომენტში სიმკაცრეც საჭიროა, მაგრამ, ეს მხოლოდ მაშინ ჭრის, როცა პარალელურად ხდება დიდი სიყვარულისა და სითბოს გამოხატვა. თუ ბავშვი გრძნობს იმას, რომ უყვარს მშობელს, ოღონდ, თავისთვის კი არა, მისთვის უყვარს, მისი პიროვნული თავისუფლება არ იზღუდება და, ასეთ დროს, დარწმუნებული ვარ, ბავშვის მიმართ სიმკაცრის გამოხატვა არ იქნება მტკივნეული. ბავშვს სულ უნდა ესაუბრო, ეკონტაქტო, რაღაც ასწავლო. მთავარი ის კი არ არის, მას რას ესაუბრები, არამედ ის, თუ რა ესმის მას თავის ოთახში ღია კარიდან – რას საუბრობენ, როგორ ტონში საუბრობენ მისი მშობლები... ეს არის სწორედ ის ატმოსფერო, რომელშიც ბავშვი იზრდება. რაც მთავარია, „არ შეიძლებას" ყოველთვის უნდა მოჰყვებოდეს ახსნა, თუ რატომ არ შეიძლება და, სამაგიეროდ რა შეიძლება.

**– გარკვეულწილად, ალბათ, უკვე პატარა ალექსანდრეს წესებით გიწევთ ცხოვრება, ბევრი რამის გათვალისწინება.**

– მილიონი რაღაც არის გასათვალისწინებელი, ბევრი კომპრომისია. გასაგებია, რომ რაღაცით იზღუდება შენი თავისუფლება; როგორც ადრე ცხოვრობდი, ისე ველარ ცხოვრობ, რაც შეიძლება, რაღაც მომენტში გამაღიზიანებელიც იყოს, მაგრამ, ტრაგიკული არ არის. შეიძლება ყველაფრის მისადაგება, დარეგულირება, ერთმანეთთან ჰარმონიაში მოყვანა. თუ გინდა შვილი და, შვილი, რა თქმა უნდა, მინდა, მას ყურადღება და ბევრი სხვა რამ სჭირდება.



**რაც მთავარია, „არ შეიძლებას" ყოველთვის უნდა მოჰყვებოდეს ახსნა – რატომ არ შეიძლება და, სამაგიეროდ რა შეიძლება**

**– ბოლოს რომ გვესაუბრეთ, საქმესთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი გეგმა გქონდათ, იაპონიაშიც აპირებდით გამგზავრებას.**

– იაპონიაში ნოემბერში მაქვს პირველი კონცერტი. კუნძულ ოკინავაზე შეიქმნა დიდი, ახალი ფილარმონიული ორკესტრი, რომლის მთავარი დირიჟორიც ვარ მე. 24 იანვარს მქონდა ვარშავის ეროვნულ ახალგაზრდულ ორკესტრთან კონცერტი, დისკზეც ჩაწერეს. ასევე, კონცერტი მქონდა ამსტერდამის რადიო-ფილარმონიულ ორკესტრთან (რომელიც მთელ ევროპაში ძალიან ცნობილი ორკესტრია) და ძალიან კარგად ჩაიარა. ეს წელი შედარებით უფრო თავისუფალი მაქვს. შარშან და შარშანწინ, ორი სეზონის განმავლობაში, ისე ხდებოდა, რომ ჩამოვდიოდი საქართველოში და რამდენიმე დღეში ისევ მივდიოდი. ახლა შედარებით თავისუფალი ვარ, კარგად დაემთხვა ბავშვთან და ახალ ცხოვრებასთან დაკავშირებით, რადგან, სხვა შემთხვევაში, რთული იქნებოდა. შემოდგომიდან ისევ ბევრი გეგმა მაქვს. არტისტის ცხოვრება ასეთია – დატვირთული და ამას უკვე მიჩვეული ვარ. ბევრი არ უნდა იწუწუნო, რადგან, შეიძლება, ბევრისთვის სანატრელი იყოს ისეთი ცხოვრება, როგორიც მე მაქვს. არასდროს ვზოგავ თავს, რაც მეტია საქმე, მით უკეთესი. იმაზე, რაც შემოქმედებითად საინტერესოა, არასდროს ვამბობ უარს. თუმცა, თუ იმ მომენტში შენთვის რაღაც არ არის საინტერესო და უარს ამბობ, ამაში ცუდი არაფერია, ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია და, ისიც ბედნიერებაა, რომ არჩევნის გაკეთებისა და რაღაცაზე უარის თქმის საშუალება გაქვს. მთელი ჩემი ცხოვრება შემოქმედებითი პროცესიდან გამომდინარეობს, სადაც შემოქმედებითად ვარ ბედნიერი, იქ იქნება ჩემი ადგილი. შარშან შემომთავაზეს ერთ-ერთ ცნობილ და კარგ თეატრში მუშაობა. საუბარი იყო იმაზე, რომ ძირითადად იქ უნდა ვყოფილიყავი. დავილაპარაკეთ ჩემს აგენტთან, მაგრამ, იყო რაღაც, რაც არ აღმოჩნდა ჩემთვის საინტერესო. ამით ცუდი არაფერი მომხდარა, იმ თეატრთან ახლაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს, ისინი შენს უარს თუ თანხმობას დიდ პატივს სცემენ და სწორად იგებენ. კონტრაქტის თანახმად, იაპონიაში მომიწევს რაღაც პერიოდის გატარება. თანამედროვე კონტრაქტების მიხედვით, არ ხარ ერთ ადგილზე დაბმული.

**თუ ბავშვი გრძნობს იმას, რომ მშობელს უყვარს, ოღონდ, თავისთვის კი არა, მისთვის უყვარს, მისი პიროვნული თავისუფლება არ იზღუდება. მაშინ, დარწმუნებული ვარ, ბავშვის მიმართ სიმკაცრის გამოხატვა არ იქნება მტკივნეული**

**– როდესაც თქვენთან, კონსერვატორიაში მოვდივარ, ყოველთვის ვგრძნობ და ვხედავ, როგორი სიყვარულით და პატივისცემით არიან სტუდენტები თქვენ მიმართ განწყობილი.**

– ჩემი პედაგოგიური საქმიანობა ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, არ მეგონა, ასე თუ მოხდებოდა. ყოველთვის დიდი მადლობელი ვიქნები კონსერვატორიის ყოფილი რექტორის, მანანა დოიჯაშვილის. 2001 წლის დასაწყისი იყო და პირდაპირ ყურებით მომათრია – არასგზით არ მინდოდა კონსერვატორიაში მოსვლა, რადგან, ვფიქრობდი, რომ ვერ მოვასწრებდი, რადგან, მაშინ იწყებოდა ჩემი აქტიური საქმიანობის პერიოდი. ახლა კი ეს ისეთი დიდი სიხარულია. თან, არ ვიცი, ვინ ასწავლის უფრო მეტს, მგონი, ისინი მე უფრო ბევრს მასწავლიან, ვიდრე მე – მათ. არ ვიცი, თუ შეიძლება, ამდენი რამ ისწავლო კიდევ სადმე ან ვინმესგან, გარდა შენი მოსწავლისა, რაღაც, არ მგონია. ძალიან საყვარლები არიან. პედაგოგობა ისეთი მადლიანი პროფესიაა, მთელ სულს რომ ჩადებ და მერე შედეგს ხედავ: ის, როგორც შემოქმედი, ბედნიერი რომ არის და ამაში შენი წვლილიცაა ჩადებული, ამ დროს საოცარი სიამაყის გრძნობაც გეუფლება და ამას არაფერი ჯობია. არ ვიცი, რითი დავიმსახურე, მაგრამ, არის ასეთი დამოკიდებულება, არადა, ითვლება (და ვხვდები კიდეც), რომ ძალიან მკაცრი ვარ, ერთი მხრივ, სითბო და მეგობრული დამოკიდებულებაც უნდა იყოს და, ასევე, უნდა არსებობდეს რაღაც ბარიერი პროფესორსა და სტუდენტს შორის, რაც აუცილებლად უნდა იყოს დაცული. საერთოდ, ნებისმიერი ურთიერთობის გაუბრალოება, გატუტუცება არსად არ ვარგა, არავისთან, უახლოესთანაც კი. არ ვგულისხმობ, რომ ცივი ურთიერთობა უნდა იყოს, მაგრამ, საზღვარი, ზონა უნდა არსებობდეს, რომელიც მისი პირადულია და შენ მას ვერ შეეხები, თუნდაც ის შენი შვილი იყოს.

**– ისურვებდით, რომ თქვენი შვილიც დირიჟორი გამოვიდეს?**

– ჩემთვის მთავარია, ვამაყობდე, რომ მე გავზარდე ღირსეული ადამიანი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გარშემო მყოფ ადამიანებზე ფიქრობს. უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა სხვების წინაშე, რადგან შენ მუდმივად პასუხისმგებელი ხარ შენი ღიმილით, სალმით, სიტყვით ნებისმიერი ადამიანის წინაშე. მე მინდა, ჩემი შვილი ასეთი იყოს; მინდა, იყოს ბედნიერი, თავისუფალი, ოღონდ, არა სხვის ხარჯზე თავისუფალი, არამედ, თავისთავად თავისუფალი. ნიჭის დიდი მოტრფიალე ვარ, მაგრამ, თუ არჩევანივით იქნება, მირჩევნია, იყოს მოკრძალებული ნიჭის პატრონი და ღირსეული ადამიანი, ვიდრე წარმოუდგენლად ნიჭიერი, მაგრამ, გადათელოს ყველა და ყველაფერი იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიოს. იმედი მაქვს, ჩემი შვილი ღირსეული პიროვნება იქნება.

**ნათია უტიაშვილი**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

7 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სტუმარი"** (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. დრამა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

8 მარტი, **პარასკევი** 19.45 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ტრაგიკომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

9 მარტი, **შაბათი** 19.45 - **„წელიწადის ოთხი დრო"** - (ჩრდილების თეატრი), (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), ავტორი და რეჟისორი გელა კანდელაკი. მონაწილეობენ: ვადიმ შუბითიძე, ელენე მურჯიკნელი, პაატა შენგელია, ანჟელა აბშილავა, გიორგი ჭანტურია, ელენე ზურაბაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

9 მარტი, **შაბათი** 19.45 - **„პრინცი ჰომბურგი",** (დიდი დარბაზი) – (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ღალანიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი; ***დრამა*** ხანგრძლივობა 2სთ.;

10 მარტი, **კვირა** 19.45 - **„მაგრიტის შემდეგ"** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, გელა თავბერიძე, ნინო კასრაძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურცია; კომიკური დეტექტივი. ***ხანგრძლივობა 2სთ.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

5 მარტი, **სამშაბათი** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ..;***

6 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ერთმოქმედებიანი პიესა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 მარტი, **ხუთშაბათი** 20.00 (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი, ნუგზარ ჩიქოვანი, მარიამ ჩუხრუკიძე, რუსუდან მელაძე, მარინა სოლომონია, დავით ველიჯანაშვილი. „პრემიერა". ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

8 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„უფროსი ვაჟი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი ჯაბა პაპუაშვილი. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, ნათია გუბენკო, თამარ ბუხნიკაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, ჯაბა კილაძე, პაატა პაპუაშვილი, გიორგი კიკნაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8-9 მარტი, **პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„მემუარები"** (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ირაკლი გოგია. მონაწილეობენ: გურანდა გაბუნია, ოთარ მეღვინეთუხუცესი; პრემიერა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9-10 მარტი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„სიზმარი (შვიდი სიზმარი)"** (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი ნინო მაღლაკელიძე; პრემიერა.

10 მარტი, **კვირა** 12.00 - **„თოვლის დედოფალი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 8 - 14 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ზაზა გოგუაძე, გიორგი კიკნაძე, მარლენ ეგუტია, თამარ სხირტლაძე, ანი გუჯეჯიანი, ნიკა გუჯეჯიანი, ლელა მებურიშვილი, ნინო დუმბაძე, ეკა მჟავანაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

10 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

5 მარტი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

6 მარტი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სისხლის ამბოხი"** (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი გიორგი სავანელი. მონაწილეობენ: ზურაბ ცინცქილაძე, თამარ ჯოხაძე, ზურაბ ინგოროყვა, ალეკო ალავიძე, კახა გაბელაია, ქეთევან შერვაშიძე, მერაბ ყოლბაია; პრემიერა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

8 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

9 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

10 მარტი, **კვირა** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა 2სთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

7 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ლალი კეკელიძე. მონაწილეობენ: მარინა ხარჩილავა, ლამზირა ჩხეიძე, ეკა დემეტრაძე, ქეთი ასათიანი, გიორგი კალანდარიშვილი, გიორგი ბოჭორიშვილი, ზაზა ვაშაყმაძე, მაია გელოვანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

8 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„შავი კეტები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ ტყემალაძე, ანა მატუაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, სალომე წურწუმია, მამუკა მაზავრიშვილი, იმედა ნატროშვილი, კოტე მჟავია, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

9 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„წარღვნა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ნუგზარ გაჩავა. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ვასილ შიხაშვილი, ანდრო სარიშვილი, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

10 მარტი, **კვირა** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

7-8 მარტი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„ანტიგონე"** - (ბილეთის ფასი - 5, 10 ლარი), რეჟისორი პაატა ციკოლია. მონაწილეობენ: ალეკო ბეგალიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, ანა ზამბახიძე, ეკა დემეტრაძე, ანდრო ბარათაშვილი; ***ხანგრძლივობა 3სთ.;***

9-10 მარტი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„რომეო და ჯულიეტა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დავით მღებრიშვილი. მონაწილეობენ: ანა გრიგოლია, სანდრო დავითაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, ტატო ჩახუნაშვილი, ნინო მითაიშვილი, ალეკო ბეგალიშვილი, ბუბა გოგორიშვილი, ნანკა კალატოზიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ..***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

8-9 მარტი, **პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„ოპერა მაფიოზო"** (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი გაბრიელ გოშაძე. მონაწილეობენ: დავით გიგოლაშვილი, მამუკა ლორია, ზაზა ასანიშვილი, ვასილ ოდიშვილი, მაკა ძაგანია, თამთა ცინცაძე, სოსო მჭედლიშვილი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

10 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ხარმსი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: დავით გოცირიძე, დავით გიგოლაშვილი, დავით ველიჯანაშვილი, თამთა ცინცაძე, თათია ბუაძე, მაია გელოვანი, მაკა ძაგანია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

10 მარტი, **კვირა** 12.00 - **„ალისფერი იალქნები"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: მიხეილ ამბროსოვი, კარინა ყენია, მედეა მუმლაძე, ვასილი გაბაშვილი, ლერი გურგენიძე, არჩილ ბარათაშვილი, ირაკლი აფაქიძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი ბზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 4 მარტი

**06.30** დ/ფ "ჩემი პატარა საწარმო — მიკროკრედიტი ევროპაში" **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" — მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ადამიანი — პლანეტა" **17.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარულის კოცნა**" **21.00** ტ/სერ "**პური და თავისუფლება**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **00.00** "საფარი" **00.30** მხ/ფ "**ბენჯამინ ბატონის იდუმალი საქმე**" (ბ.პიტი) (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** სერ. "**24 – 5**" **14.40** კონცერტი: "ივერია" **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ/სერ "**ცხელი ძაღლი**" 7 სერ. **23.00** მხ/ფ "**პროფესიონალი მკვლელი**" (კ.ოუენი) **01.25** სერ. "**ღვინის გზა**" **02.00** მხ/ფ "**ბრილიანტის ამბავი**" (კ.ევანსი) (ტიტ.) **03.40** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** ქ.მხ/ფ "**ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი**" **00.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**07.00, 05.35, 06.00, 07.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **07.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 06.35** უცხოეთის ამბები **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55** უკომენტაროდ+ამინდი **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00** ახალი ამბები **08.10, 09.10, 10.15** მაღვიძარა(დილის პროგრამა) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 04.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 00.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 01.40** თოქ–შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 01.20** "ყოველდღიური აბები" **22.20, 02.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** მხ/ფ "**ბაში-აჩუკი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" V ნაწ. **13.25** კონცერტი-საოპერო მუსიკის საღამო **14.50, 18.35** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** სპექტაკლი "**ეზოში ავი ძაღლია**" **17.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" VI ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** საქართველოს ისტორია **22.55** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "კაკ ენისელი" **00.35** განთიადის სტუმრები **01.00** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

## სამშაბათი 5 მარტი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **17.00** "საფარი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარულის კოცნა**" **21.00** ტ/სერ "**პური და თავისუფლება**" **22.00** "აქცენტები" **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **მანჩესტერი – რეალი** (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" **01.30** მხ/ფ "**წმინდა ვალენტინის დღე**" (ალბა) (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**იღბლიანი მოახლე**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** სერ. "**24 – 5**" **14.40** დოკ/ფ "ფუფუნების სამყარო" **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ "**ავიატორი**" (კ. ბლანშეტი) **01.15** სერ. "**ღვინის გზა**" **01.50** მხ/ფ "**ძაღლური ცხოვრება**" (ბ.ჰოსკინსი) (ტიტ.) **03.30** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**07.00, 05.35, 06.00, 07.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **07.30, 12.30, 15.30** უცხოეთის ამბები **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55** უკომენტაროდ+ამინდი **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00** ახალი ამბები **08.10, 09.10, 10.15** მაღვიძარა(დილის პროგრამა) **11.30** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 04.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **17.10, 18.45, 05.55, 06.35** უცხოეთის ამბები **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 00.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30, 01.20** თოქ–შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 00.55** "ყოველდღიური აბები" **22.20, 02.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** სპექტაკლი "**ეზოში ავი ძაღლია**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** მოკ/ფ "**პეპელა**" **10.50** საქართველოს ისტორია **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" VI ნაწ. **13.25** კონცერტი-პლაჩიდო დომინგო **14.50, 18.35, 23.50** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ინესა მერაბიშვილი" პორტრეტი **16.05** აქტუალური თემა **16.30** მხ/ფ "**მეტიჩარა**" **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.02** პატრიარქის ქადაგება **21.05** დოკ/ფ "წინაპართა ნაკვალევზე" **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **23.20** დოკ/ფ "გურული ფირალები" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი.

გაგრძელება 48-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**4 – 10 მარტი**

*დარბაზი 1*

12.00, 13.50, 15.50, 17.50 - **„დედამიწიდან გაქცევა" 3D**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
19.30 - **„მთავარი სამიზნე"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*
22.30 - **„პის ცხოვრება" 3D**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
18.00, 20.00, 22.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 15.15 - **„მთავარი სამიზნე"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*
18.00, 20.15 - **„სიყვარულის თავშესაფარი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*
22.30 - **„კერკეტი კაკალი 5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.15 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
14.00, 16.30, 22.30 - **„განგსტერები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
19.45 - **„ჯანგო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

13.00 - **„პის ცხოვრება" 3D**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
15.45, 18.45, 20.00 - **„კერკეტი კაკალი 5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
22.15 - **„მთავარი სამიზნე"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

13.15, 15.00 - **„დედამიწიდან გაქცევა" 3D**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
17.30, 20.00, 22.30 - **„პის ცხოვრება" 3D**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.30 - **„პის ცხოვრება" 3D**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
17.00, 19.45, 22.30 - **„ლინკოლნი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო"**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 14.00, 16.00 - **„დედამიწიდან გაქცევა" 3D**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
18.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
20.00, 22.00 - **„მთავარი სამიზნე"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

**ოფროუდი სპორტის სახეობაა, რომელიც ინგლისურიდან ითარგმნება როგორც, „გზის იქით“. ანუ, იქ, სადაც გზა მთავრდება იწყება ოფროუდერების საყვარელი ადგილი. საქართველოში არსებულ მათ კლუბში, ამჟამად 30-ზე მეტი წევრია გაერთიანებული, მათ რიგებში არიან დედა-შვილი – მაია გოშაძე და მარიამ ნანობაშვილი. „ძნელია, ოფროუდზე იყო ქალი. ეს მხოლოდ მაშინ მახსენდება, როდესაც შეჯიბრების ბოლოს სუფრა გაიშლება ხოლმე,“ – გვითხრა მაიამ. დედა-შვილი ოფროუდერები ძალიან საინტერესო და მხიარული რესპონდენტები აღმოჩნდნენ.**

# სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლებს ახარებს ტალახის დანახვა და ვინ არის მათი კლუბის წევრი ორი ქალბატონი

**– ვინ ხართ ოფროუდერები და რა საქმიანობას ეწევით?**

**მაია**: ოფროუდერები ჩვეულებრივი ხალხი ვართ. ცოტა ექსტრემის, ცოტა ადრენელინის, ცოტა ბუნებისა და ბევრი ურთიერთობის მოყვარულები.

**– და, რა თქმა უნდა, ავტომობილის მოყვარულებიც...**

– რა თქმა უნდა, ავტომობილების გარეშე ჩვენ ვერაფერს ვერ ვიზამთ.

**– როდის შეიტყვეთ სპორტის ამ სახეობის შესახებ და როგორ მოხვდით თქვენნაირი მისწრაფებების მქონე ადამიანთა გაერთიანებაში, ანუ ოფროუდ კლუბში?**

– მე ვერ ვიტყვი, რომ ოფროუდი, ჩემთვის, პირადად, საქმეა. ის ჩემი ჰობი უფროა. ყველა ადამიანი თავის ჰობის სიამოვნებით მისდევს, რადგან, ეს არ არის მისთვის რაღაც ვალდებულება. მალე 6 წელი გახდება, რაც ამ კლუბში მოვედი, თუმცა გაცილებით ადრე შევიტყვე ოფროუდ კლუბის არსებობის შესახებ, მაგრამ მაშინ უფრო მეტად სხვა ჰობით ვიყავი გატაცებული.



**– რა იყო ეს ჰობი?**

– მთაში სიარული, რომელიც ახლაც არსებობს, უბრალოდ პრიორიტეტები შეიცვალა ცოტა *(იცინის)*.

**– თქვენს შემდეგ მოვიდა თქვენი ქალიშვილი ამ სპორტში?**

– მარიამი, ჩემს შემდეგ, ოდნავ მოგვიანებით მოხვდა ოფროუდერთა სამყაროში.

**მარიამი**: დედას წყალობით, მათი გაცნობის სურვილი და ინტერესი გამიჩნდა. მიყვებოდა, როგორი გიჟები და გადარეულები არიან, რა ადგილებში დადიან. რადგან მანამდეც ძალიან ხშირად დავდიოდი დედასთან ერთად ლაშქრობებში, აქაც გავყევი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. იმ დღიდან მოყოლებული, ერთად დავბოდიალობთ აქეთ-იქით.

**– კმაყოფილი ხართ?**

– ფრიად. ხანდახან ხდება ისე, რომ ოფროუდერებთან ერთად შესაძლებელია ძალიან მოკლე დროში, ნახო საკმაოდ ბევრი ტერიტორიები, უმშვენიერესი ბუნება და ლამაზი ადგილები, რომლებიც შეიძლება, ძალიან რთული იყოს, სხვისთვის და სხვა დროს მისასვლელად.

**მაია**: რაღაც მომენტებში, ამ სპორტის საშუალებით, შესაძლებელი ხდება, შეიცნო შენი თავი. ყველა ადამიანი ითავსებს და ინახავს საკუთარ თავში რაღაც თვისებებს, ცუდსაც და კარგსაც. ექსტრემალურ პირობებში უფრო მეტად ხდება ამა თუ იმ თვისებების გამოვლენა.

**– ალბათ იმიტომ, რომ ადამიანი, ასეთ პირობებში უფრო ნაკლებად აკონტროლებს თავს.**

– შეიძლება.

**– თვითონ ოფროუდერთა კლუბში რა საქმიანობით ხართ დაკავებული, კონკრეტულად, რა მისია გაკისრიათ?**

– მე ვარ ამ კლუბის წევრი, ამასთანავე, სხვადასხვა შეჯიბრების ერთ-ერთი ორგანიზატორი, რაც ძალიან საინტერესო და კარგია. თუმცა, მეორე მხრივ ცოტა საწყენია, რადგან აღარ მაქვს უფლება შეჯიბრებებში მივიღო მონაწილეობა ორგანიზატორობის გამო. მე ვიცი ბევრი ისეთი რამ, რაც არ უნდა იცოდეს შეჯიბრის მონაწილემ.

**მარიამი**: მეც ვარ ოფროუდ კლუბის წევრი. ძირითადად, მსაჯი ვარ ხოლმე შეჯიბრებზე. ძალიან მკაცრი და საძაგელიო, – ასე ამბობენ *(იცინის)*.

**მაია**: რომელიც სულ დედას აჯარიმებდა, სანამ შეჯიბრებებში ვმონაწილეობდი *(იცინის)*.

**– მერე ოჯახში ხომ არ მიგყვებოდათ ხოლმე მსაჯის მიმართ დაგროვილი უარყოფითი ემოციები?**

– არა, რადგან სამართლიანი მსაჯია. მარიამს ძალიან ხშირად საყვედურობდნენ ხოლმე გულშემატკივრები, რომ ერთადერთი ქალი გვყავს შეჯიბრში და მასაც აჯარიმებო. თუმცა, რომ ეტყოდა, ეგ დაჯარიმებული დედაჩემიაო, იმწამსვე სრულდებოდა კონფლიქტი.

**– თვითონ, ოფროუდის, როგორც სპორტის სახეობის შესახებ რას გვეტყვით?**

**მარიამი**: საქართველოში ამ სპორტის მიმდევრები გაჩნდნენ დაახლოებით 6-7 წლის წინათ. მანამდე, ძალიან ბევრი ადამიანი დაბოდიალობდა თავისით. მათ ეს მოსწონდათ და იმიტომ. ასეთები დღესაც არ არიან ცოტა.

**მარიამი: „მე და ჩვენი კლუბის ერთ-ერთი წევრი წელამდე ლაფში ჩავედით და ცოტა ნავიწუწავეთ“**

**– ძირითადად, რომელ ტერიტორიებზე ტარდება შეჯიბრებები?**

– გააჩნია რომელ სახეობაშია შეჯიბრება. ძირითადად ტარდება ორიენტირება და ეგრეთ წოდებული თვრაიალი, ანუ დროის გარკვეულ მონაკვეთში წინაღობებიანი წრის შემოვლა ავტომანქანით, რომელიც უფრო მაყურებლებზეა სანახაობრივად გათვლილი. ორიენტირება გაცილებით სახალისო და საინტერესოა მონაწილეებისთვის. მათგან მოითხოვს გარკვეული წერტილების პოვნას გზის გასაგრძელებლად. ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა, როგორც „შტურმანისთვის“, რომელიც რუკას კითხულობს, ასევე მძღოლისთვისაც.

შეჯიბრები გვქონდა დიდ დიღომში, ჭილის ტბის ტერიტორიაზე, დიდგორში, ორბეთში, უჯარმაში...

**– ანუ, ძირითადად, საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება ეს შეჯიბრებები?**

**მაია**: კი ბატონო. ამ შეჯიბრებაზე სტუმრად გვყავდნენ აზერბაიჯანელი სტუმრები. სპორტის ამ სახეობის მიმდევრები ყველა ქვეყანაში არიან. ჩვენს კლუბს ყველაზე ახლო ურთიერთობა აქვს თურქ, სომეხ და აზერბაიჯანელ ოფროუდერებთან.

**– კურიოზულ სიტუაციაში ხშირად ჩავარდნილხართ შეჯიბრებისას?**

– ყველა ჩვენი გასვლა კურიოზთანაა დაკავშირებული *(იცინის)*.

**მარიამი**: დავინახავთ დიდ გუბეს და ველური სული ყველაში ერთდროულად იღვიძებს. წარმოიდგინეთ, თუ სხვა დროს, ადამიანი კილომეტრზე აუქცევდა წუმპეს გვერდს, ჩვენს შემთხვევებში, ყველა მანქანა გაექანება და იმდენჯერ გაივლის ერთ ადგილზე, სანამ სული არ ამოაშრობს *(იცინის)*.

**მაია**: პირადად ჩემთვის, ყველაზე სასაცილოა, როცა ისეთ ადგილებში, სადაც მარტო სამხიდიანი მანქანა დადის და შეშას დაატარებს, ხანდახან მათაც კი ტრაქტორი მოათრევს. დავინახავთ „არაჩვეულებრივ“ გუბეს და წარმოიდგინეთ, ყველანი გადმოვდივართ მანქანებიდან და გახარებული ვყვირივართ: რა მაგარია, რა კარგიაო. უცებ ამდენი ბედნიერი სახის მილმა შეშისმჭრელებისკენ თუ გაგექცა მზერა, ისეთი გაოგნებულები მოგვჩერებიან, რომ ვერ აღვწერ *(იცინის)*.

**მარიამი**: ერთხელ ერთი მათგანი მოვიდა და გვკითხა: ალბათ, ეს მანქანები თქვენი არ არისო. არა, ყველა კერძო საკუთრებაა-მეთქი, ვუთხარი და შეწუხდა, რას ერჩითო?!

**– ძირითადად, რა მანქანებით მოძრაობთ?**

**მაია**: ოთხი-ოთხზე „ჯიპებით“.

**– რა არის საჭირო იმისთვის, რომ თქვენი კლუბის წევრები გავხდეთ?**

– სურვილი.

**– წეღან ახსენეთ, რომ ამ შეჯიბრების დროს ბევრი ისეთი თვისება აღმოაჩინე საკუთარ თავში, რაც აქამდე გაცნობიერებული ამ მქონდაო, რას გულისხმობდით?**



**მაია: „ექსტრემალურ პირობებში უფრო მეტად ხდება ამა თუ იმ თვისების გამოვლენა“**

**მარიამი**: ტალახის უდიდესი სიყვარული *(იცინის)*. ერთ გასვლაზე მე და ჩვენი კლუბის ერთ-ერთი წევრი წელამდე ლაფში ჩავედით და ცოტა ნავიწუწავეთ.

**ეკა სალაღაია**

# სადღესასწაულო კერძი – ინდაური ფარშით








**საჭირო ინგრედიენტები:** (ეს კერძი მზადდება ქათმითაც, ოღონდ, მოზრდილი ქათამი უნდა იყოს). 4,5 კილოგრამი ინდაური ან ქათამი, 1,5 ჩაის ჭიქა ბულიონი, 1 ჩაის ჭიქა კუსკუსი (ბურღულია, იყიდება მარკეტებში), 1 ცალი ვაშლი, 70 გრამი მიწის თხილი (დანაყილი), 2 სადილის კოვზი მშრალი ქონდარი, 1/2 კონა ოხრახუში, 300 გრამი მაიონეზი (სანელებლებით), 1/4 ჭიქა თხელი თაფლი, მარილი, ცოტა მწარე წიწაკა, პილპილი.

**მომზადების წესი:** ჯერ მოამზადეთ სატენი: კუსკუსს დაასხით მდუღარე ბულიონი (შეგიძლიათ, კუბიკისაც), დაახურეთ თავსახური და გააჩერეთ 5 წუთი. ამოურიეთ ჩანგლით და აცალეთ, გაცივდეს. მიწის თხილი (მოხალული) დანაყეთ. ვაშლი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე, ქონდარი დაფხვენით, ოხრახუში კი ძალიან წვრილად დაჭერით. ეს ყველაფერი შეურიეთ კუსკუსს, ჩაუმატეთ მაიონეზი, წიწაკა, მარილი და კარგად აურიეთ.

გასუფთავებულ და მშრალ ინდაურს კარგად წაუსვით მარილი და პილპილი, მუცელი ამოუვსეთ სატენით, დადეთ გამოსაცხობ ტაფაზე და მოათავსეთ 160 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში 2 საათით და 50 წუთით. სრულ მომზადებამდე ოცი წუთით ადრე ინდაურს (ქათამს) წაუსვით „მინანქარი“: 1/4 ჩაის ჭიქა თხელ თაფლს შეურიეთ მაიონეზი. არაჩვეულებრივად დაბრაწული და უგემრიელესია.

*გურმანთა მეგზური*

# ქათმის სალათა










**საჭირო ინგრედიენტები:** 300-400 გრამი ქათმის ფილე (მოხარშული), 1 ქილა სოკოს კონსერვი, ნახევარი ქილა კიტრის მწნილი („პიკული“), 400 გრამი ბროკოლი (პატარა თავი), ცოტა მწვანე ხახვი, ცოტა მაიონეზი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბროკოლი მოათავსეთ ქვაბში და მაშინვე დაასხით მდუღარე. მიიყვანეთ ადუღებამდე და ამოიღეთ (შეეცადეთ, ფერი არ შეიცვალოს), კარგად დაწურეთ და დაჭერით. სოკო და ქათმის ფილე დაჭერით წვრილად, მწვანე ხახვი – რგოლებად. ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ სასალათეში. შეაზავეთ მარილით, მოასხით ცოტა მაიონეზი და აურიეთ.

გააჩერეთ მაცივარში ორი საათი და მიირთვით.

# ღვეზელი ლორითა და კარტოფილით












**საჭირო ინგრედიენტები:** 1,5 ჭიქა ფქვილი (ცომისთვის), 100 მილილიტრი კეფირი (ან ცოტა მჟავე მაწონი – ცომისთვის), 4,5 სადილის კოვზი კარაქი (2 კოვზი – ცომში, 2 კოვზზე ცოტა მეტი – ზემოდან წასასმელად), 1 ჩაის კოვზი საფუარი, 800 გრამი კარტოფილი, 150 გრამი ბეკონი (ან შებოლილი ლორი), 270 გრამი ყველი, 4 ცალი მოხარშული კვერცხი, მარილი, შავი პილპილი, ცოტა მუსკატის კაკალი.

**მომზადების წესი:** ფქვილი ჩაყარეთ თასში, შეურიეთ საფუარი. ჩაუმატეთ დარბილებული კარაქი, კეფირი და აურიეთ ერთმანეთში, მოათავსეთ ფქვილმოყრილ ტაფაზე და მოზილეთ რბილი ელასტიკური ცომი. შემდეგ ჩააბრუნეთ თასში და ზემოდან დააფარეთ.

კარტოფილი ხარშეთ მარილიან წყალში 25 წუთის განმავლობაში, გაფცქვენით და კარაქთან ერთად ჩანგლით კარგად ჩასრისეთ. უყავით გახეხილი მუსკატის კაკალი და შავი პილპილი.

ყველი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე, დაუმატეთ პიურეს და კარგად ამოურიეთ. ლორი და კვერცხი დაჭერით მომცრო კუბიკებად და აურიეთ ერთმანეთში. შეგიძლიათ, სულ ცოტა წვრილად დაჭრილი კიტრის მწნილიც დაუმატეთ.

ცომი გააბრტყელეთ თხელ ფირფიტად და მოათავსეთ ცხიმწასმულ ტაფაზე. თანაბრად წაუსვით ზედაპირზე პიურე და კარგად შემოუსწორეთ ნაპირები.

ზემოდან მოაყარეთ ლორის, კვერცხისა და კიტრის მწნილის ნარევი.

ცომის კიდეები ფაქიზად ამოუწიეთ და წვრილი ნაკეცები გაუკეთეთ.

გამოაცხვეთ 190 გრადუსზე, 30-40 წუთის განმავლობაში.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# სალათა „პეპელა“

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი თეთრი კომბოსტო, ნახევარი გრეიპფრუტის წვენი, 2-3 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 ცალი სტაფილო, 1 კონა ოხრახუში, 1 ცალი ჭარხალი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბოსტნეული გაასუფთავეთ. კომბოსტო თხლად დაკეპეთ. ჭარხალი და სტაფილო მსხვილად გახეხეთ, შეურიეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, შეაზავეთ მარილით, მოასხით ზეთი და გრეიპფრუტის წვენი, კარგად ამოურიეთ და სალათაც მზადაა.





# ქათმის სალათა ბროწეულით

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი ბროწეული, 4 ნაჭერი შებოლილი ქათამი, ნახევარი კონა ოხრახუში, 6 სადილის კოვზი მაიონეზი.

**მომზადების წესი:** დამარცვლეთ ბროწეული, წვრილად დაჭერით მოხარშული ქათმის ხორცი, დაკეპეთ მწვანილი, მოასხით მაიონეზი და ერთად კარგად ამოურიეთ. საკმაოდ ადვილად მოსამზადებელი სალათაა, თანაც, ძალიან გემრიელი.

# ხორცის გუფთები მოშუშული კომბოსტოთი

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ნაჭერი თეთრი პური, 10 გრამი ღორის ქონი, 250 გრამი საქონლისა და ღორის ხორცის ფარშის ნარევი, 1 კვერცხი, 1 კონა ოხრახუში, მარილი და წიწაკა – გემოვნებით, საფანელი და 2 ლიტრი ხორცის ბულიონი.

**მომზადების წესი:** პური პატარა ნაჭრებად დაჭერით და ტაფაზე გაცხელებულ ღორის ქონში შებრაწეთ. შეგრილებული პურის ნაჭრები ხორცის ფარშთან ერთად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. ფარშს შეურიეთ ათქვეფილი კვერცხი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში, მარილი, წიწაკა და 1-2 საათი გრილად გააჩერეთ, შემდეგ შეურიეთ საფანელი. თიხის ქოთანში ჩაასხით ხორცის ბულიონი და წამოადუღეთ, შიგ ჩააწყვეთ ფარშისგან მომზადებული ბურთულები, ხარშეთ 10-15 წუთის განმავლობაში. გუფთები მიირთვით მოშუშულ კომბოსტოსთან და მოხარშულ კარტოფილთან ერთად.



**მუსიკოსი გოჩა იაშაღაშვილი უკვე 17 წელია გერმანიაში ცხოვრობს და მას იქ ფსევდონიმ „ბავარიელით“ იცნობენ. მიუხედავად სამშობლოდან შორს ყოფნისა, ის საკმაოდ პოპულარულია ქართულ ბაზარზე და მისი სიმღერები რადიოს ჰიტ-ათეულების ლიდერ პოზიციას იკავებს. ამჯერად, ცხრათვიანი განშორების შემდეგ, ჩვენი რესპონდენტი სამშობლოს ეწვია და, რა თქმა უნდა, არც ჩვენი მკითხველისთვის დაიშურა ინტერვიუ. მის შემოქმედებაში ბევრი სიახლეა, რომელზეც ბატონი გოჩა თავად მოგითხრობთ.**

# რატომ აიტაცა ინტერნეტის მომხმარებელმა „ბავარიელის“ სიმღერები და რომელ ქვეყანაშია მისი შემოქმედებითი ბუმი

**გოჩა იაშაღაშვილი**: ბევრი სიახლეა ჩემს შემოქმედებაში. იმასაც გეტყვით, რომ აღარ ვარ სახელად „ბავარიელი“, უკვე ფირმა „ბავარიელი“ გავხდი, რომელიც ოფიციალურად წარმოადგენს საკონცერტო სააგენტოს. მაგალითად, ევროპაში ჩემს კონცერტს რომ ჩავატარებ, იქიდან ნახევარ დროს მოწვეულ სტუმარს დავუთმობ; ასევე, ქართული დიასპორისთვის საქართველოდან ჩვენს მომღერლებს წავიყვან გერმანიაში.

**– ცხრათვიანი განშორების შემდეგ დაბრუნდით საქართველოში. ალბათ, ძალიან გენატრებოდათ აქაურობა.**

– ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვიდოდი და მიხარია, რომ აქ ვარ. რომ ჩამოვდივარ, მომენტალურად ვბედნიერდები. ქართველი კაცის თვალებში მაინც სხვა სითბოა.

**– თქვენს შემოქმედებაში თუ გამოჩნდა ახალი სიმღერები?**

– ახალი სიმღერები მაქვს, რომლებიც ჯერ არავის გაუგია, თუმცა, სიმართლე გითხრა, ამ ცხრა თვეში ბევრი არ მიმუშავია საკუთარ სიმღერებზე, რადგან, ფირმის ჩამოყალიბებამ ძალიან დიდი დრო წაიღო. არ მეგონა, ასეთი რთული თუ იქნებოდა. გერმანია საკმაოდ ბიუროკრატიული ქვეყანაა, ქაღალდომანია იქ ძალიან მაღალ დონეზეა – ყველაფერი ქაღალდზე უნდა იყოს დაფიქსირებული, რაც ძალიან დამღლელი და შრომატევადია. თუმცა, გერმანელებს ის პლუსიც აქვთ, რომ ყველანაირად გიწყობენ ხელს საქმის გასაკეთებლად. მაგალითად, თუ რაიმე პროექტს შესთავაზებ, სახელმწიფო გეხმარება, რაც ყველაზე მთავარია, გაზღვევს და ორი წლის განმავლობაში გვერდში გიდგას. მერე კი უკვე გეუბნება, რომ იმუშაო და ისიც შეინახო. ეს კი ძალიან კარგი პირობაა, რასაც აუცილებლად გამოვიყენებ.

**– რამდენი წელია გერმანიაში ცხოვრობთ?**

– ჩვიდმეტი. 31 წლის წავედი აქედან. ამ დროის განმავლობაში, მართალია, ქართულ სულს ვინარჩუნებ, მაგრამ, ბევრი რამ ვისწავლე გერმანელებისგან. ელემენტარულად, ძალიან პუნქტუალური გავხდი და არასდროს არსად არ მივდივარ დაგვიანებით. თან, ვცდილობ, ქართული კულტურა მაქსიმალურად ყველგან წარმოვაჩინო. ამის გამო ჩემი პირადი პრინციპებიც კი დავარღვიე: ადრე ვამბობდი, რესტორანში არასდროს ვიმღერებ-მეთქი, მაგრამ, როცა შენს ქალაქში ქართული რესტორანი იხსნება, სადაც იქ მუშაობის მსურველი რუსი მუსიკოსების რიგი დგება, უფლება არ მქონდა, იქ არ მემღერა. არ მინდოდა, ვიღაც ვანიას წარმოეჩინა ერთი „სულიკოთი“ ქართული კულტურა, რომლის შემდეგ რუსულ რეპერტუარს შესთავაზებდა სტუმრებს. პირადი პრინციპის მიზეზით, გულმა არ გამიძლო, სახლში ვმჯდარიყავი, თან, თითქოს, სინდისის ქენჯნის ფაქტორიც იყო. როცა შემომთავაზეს იქ სიმღერა, ვუთხარი, ხშირად ვერა, მაგრამ, კვირაში ერთი დღე ვიმღერებ-მეთქი.

**– ქართველებმა გახსნეს?**

– ქართველმა ებრაელებმა. რესტორანს „ტიფლისი“ ჰქვია და უკვე ძალიან პოპულარული გახდა.

**– თქვენს სიმღერაზე მსმენელის გამოხმაურება როგორია?**

– ძალიან კარგი, რადგან, ადგილი წინასწარ თუ არ დაჯავშნა, ისე ვერ მოხვდება იქ ვერავინ.

**– მხოლოდ ქართულად მღერით?**

– ქართულად, რუსულად, გერმანულად და იტალიურად. ინგლისური არ ვიცი და არც ვსწავლობ შეგნებულად. თუმცა, ყოველთვის მაინც ვერ ვახერხებ კვირაში ერთხელ სიმღერას, რადგან ვაიმარში მიწვევენ კონცერტებზე, სადაც ჩემი პროდიუსერი ცხოვრობს. ჰო, ისიც სიახლეა, რომ პროდიუსერი მყავს, რომელსაც პეტერ გეზანგი ჰქვია. ის ჩემი გერმანული მოღვაწეობით არის ძალიან დაინტერესებული და ორივე ხელით ჩამეჭიდა. უნდა, რომ ჩემი ალბომი თვითონ გამოუშვას. ძალიან აქტიური კაცია, რომელიც, ასევე, მუსიკოსია. ჩემ გარდა კიდევ ორი ხელოვანი ჰყავს – ერთი ბერლინიდან არის, მეორე, მგონი ვაიმარიდან. ვაიმარი პატარა ქალაქია, სადაც მოსახლეობის ნახევარი მუსიკოსია. ამის მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ამ პატარა ქალაქში არის კონსერვატორია. შილერისა და გოეთეს ქალაქი რომ არის, ეს ყველამ იცის. როცა ვაიმარში მაქვს კონცერტი, შიშით გამოვდივარ – როგორია ამდენი მუსიკოსის წინაშე სიმღერა, სადაც უამრავი კრიტიკოსია?! შემდეგ კონცერტზე თუ ნაკლები ხალხი მოვიდა, ესე იგი, მათი მოწონება ვერ დაიმსახურე. მიხარია, რომ ეს ჩემს შემთხვევაში არ მომხდარა, პირიქით, 30 კაცი დარჩათ გარეთ. ისინი მაინც შემოუშვეს და კიბეზე ისხდნენ, რაც ძალიან გამიკვირდა, რადგან, დარბაზი როცა ივსება, ზედმეტი ხალხის შემოშვება მიღებული არ არის. მოკლედ, ჩვენებური წესით შემოუშვეს, მგონი. ძალიან თბილი მიღება იციან, ძალიან კარგი ხალხია. მას მერე თვეში ერთხელ მიწვევენ იქ. ამას წინათ მიუნჰენში ჩატარდა კონცერტი, სადაც გამოვდიოდით: ანსამბლი „შინი“, ლიანა ისაკაძის კამერული ორკესტრი, მგალობელთა ჯგუფი და მე. ასეთი ქართული ღონისძიებაც შედგა, რომელმაც ძალიან კარგად ჩაიარა და უამრავი მაყურებელი ესწრებოდა.



**გამიგულებენ თუ არა გერმანიაში, „იუთუბიზე“ ჩნდება ჩემი ახალი სიმღერა, თან – კლიპით. ეს საქმე ევროპულ დონეზე რომ გაირჩეს, დააჯარიმებენ, რადგან, საავტორო უფლებების დარღვევაა**

**ძალიან კარგი გამოხმაურება მქონდა. მას მერე, ადგილი წინასწარ თუ არ დაჯავშნა, ისე ვერ მოხვდება კონცერტზე ვერავინ**

სხვათა შორის, ქალაქ ნიურნბერგში, ბერძნულ ეკლესიაში, ქართულ ენაზე გვაქვს წირვა, სადაც მამა თამაზი ჩამოდის თვეში ერთხელ. მე ვგალობ იქ; უფრო სწორად, გოგონებს, რომლებიც იქ გალობენ, ვეხმარები, რადგან გულით მინდა, რომ იქ ვიდგე. ხშირად შენიშვნას მაძლევენ ხოლმე, ესტრადულად ნუ მღერიო.

**– გერმანელებს თუ ესმით თქვენი იუმორი?**

– იუმორის გარეშე მართლა არ შემიძლია, რასაც გერმანელებიც შევაჩვიე. ბოლო დროს მივხვდი, როგორ გავაცინო გერმანელები. რაზეც შენ გეცინება, შეიძლება, მათ არ გაეცინოთ და პირიქით. ამიტომ, შუალედური მოვძებნე, რომელზეც მეც ვხალისობ და ისინიც. როგორც ჩვენ გვყავს პერსონაჟები, მაგალითად, კახელები, სვანები და ასე შემდეგ, ისე ჰყავთ გერმანელებს ავსტრიელები. უკვე იმდენი ვიხუმრე, რომ ხშირად რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში რომ შევდივარ, ჩემს დანახვაზე ეღიმებათ.

**– ანეკდოტების დიდი მარაგი გაქვთ?**

– ყველამ იცის, რომ ანეკდოტების კოლექციონერი ვარ და, ამიტომ, ყველა მიყვება ხოლმე.

**– მკითხველის გასახალისებლად რომელიმეს ხომ არ მოგვიყვებით?**

– მარო სუფრა გაშალეო, – უთხრა მიხომ. გაშალა. გადახედა და, – პამიდორი არ გვაქვს, გოო? – გასძახა ცოლს. მე რას მეკითხები, ასწი ერთი ადგილი და ბოსტანში ჩადიო. ჩავიდა მიხო ბოსტანში, ბევრი პამიდორი რომ დაინახა, დაუძახა – მაროო, თასი გამაიტაო. რომელიო? რომელი და, ფიგურულ სრიალში რომ აიღე, შენი...

სვანმა შეყვარებულს მიწერა ესემესი: მობილური ჩემთან დაგრჩა და არ ინერვიულოო.

**– ახლა ოჯახზე მინდა გკითხოთ. ვიცი, რომ სამი შვილის მამა ხართ. რომელიმე თუ მღერის?**

– ხომ გაგიგიათ, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო. ჩემი უმცროსი ქალიშვილი მაია დათუნაშვილთან დამყავდა ოთხი წელი. მაიას მიმართ დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო, მან ჩადო ჩემს შვილში ის მარცვალი, რომელიც დღეს ვითარდება. დღეს ჩემი შვილი 16 წლის არის და თავისი ასაკისთვის დიდ სიმღერებს შეეჭიდა. გასულ წელს ჰიუსტონის სიმღერების შესრულება კატეგორიულად ავუკრძალე, რადგან, ეს სახუმარო თემა არ იყო, მაგრამ, ახლა რომ მოვუსმინე, გავოცდი. უიტნისეული ისეთი ნიუანსები გააკეთა, რომ გავსკდე, მე ვერ გავაკეთებ. ამჟამად მას ევროპული ბაზრისთვის ვამზადებ. ადრე სტამბულის ბაზარი იყო მოდაში, ახლა ევროპულია *(იცინის)*. ვხედავ, რომ დიდი პოტენციალი აქვს. ასე რომ, ორ წელიწადში კიდევ ერთი იაშაღაშვილი გამოჩნდება ევროპულ შოუ-ბიზნესში.

**– ხშირად თქვენს სიმღერებს, რომლებიც, შეიძლება, ინტერნეტში მოიძიო, თქვენს უკითხავად ადევს უცნაური კადრები და კლიპის სახით არის წარმოდგენილი. ამაზე პროტესტი არ გიჩნდებათ?**

– გასაგებია, რომ სიმღერა მოსწონთ, მაგრამ, პატარა ნიუანსი უნდა გაითვალისწინონ. გამიგულებენ თუ არა გერმანიაში, „იუთუბიზე“ ჩნდება ჩემი ახალი სიმღერა, თან – კლიპით, რომელიც, შეიძლება, არ მომეწონოს. ეს საქმე ევროპულ დონეზე რომ გაირჩეს, დააჯარიმებენ, რადგან, საავტორო უფლებების დარღვევაა. ისრაელის საესტრადო ხელოვნებაში ხომ, საერთოდ, ძალიან მოდაში ვყოფილვარ, ჩემი სიმღერების ბუმია და, ვისაც არ ეზარება, ყველა მღერის. ერთხელ ისიც ვნახე, ჩემს სიმღერაზე ფონად მწვადებისა და რაღაცეების ფოტოები ჰქონდათ დადებული. ვიღაცა მღერის, თან, უსმენოდ და, ჩემი და ხვიჩა მაღლაკელიძის ხმა ბექებში ისმის უკან. „გუგლში“ რომ შევდივარ, ვისაც არ ეზარება – რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ისრაელი – მოდებულია ჩემი სიმღერებით... ალბათ, უკვე იყიდება კიდეც.

**– თქვენს გულშემატკივარს რას ეტყვით?**

– ყველა სიმღერით მათ ვეფერები. ჩემს საიტზე www.bavarieli.de კომენტარებს რომ ვკითხულობ, მათ სიყვარულს ვგრძნობ და მიხარია, რომ ჩემი შრომა მათთვის მისაღებია. მინდა, რომ ჩემს ყველა მსმენელს სულში შევუძვრე და ჩემი სიმღერებით ვესაუბრო. ჩემი მიზანია, სიმღერა, რომელსაც ვმღერი, ყველამ საკუთარ თავზე მიიღოს.

**მარიკა ხიდურელი**

41-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 6 მარტი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" 17.00 "გურმანია" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** 21.00 ტ/სერ **"პური და თავისუფლება"** 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 "წართული დოკუმენტალისტიკა" 23.40 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **იუვენტუსი – სელტიკი** (პ/რ) ესვენებისას: "ვიქტორინა" 01.30 მხ/ფ **"სისხლიანი ალმასი"** (ლ.დიკაპრიო).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 5" 14.40 დოკ/ფ "გასაქირავებელი კუნძულები - კუს კუნძული" 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ქ/სერ **"ცხელი ძაღლი"** 8 სერ. 23.00 მხ/ფ **"ძარცვა ფრანგულად"** (ჯ.კეიტელი) 01.00 სერ. **"ლვინის გზა"** 01.35 მხ/ფ **"დამალული სიმართლე"** (ჰ.ფორდი) (ტიტ.) 03.40 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ.**"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ**"ერთგულების ძალა"** 22.00 ნანუკას შოუ. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი

07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.00, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტა-როდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ–შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 "ყოველდღიური აბები" 22.20, 02.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ **"მეტიჩარა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "წინაპართა ნაკვალევზე" 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-თამარ ივერი 14.50, 22.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** VII ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.55 კალმის წვერი, ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ **"ჩამავალი მზე"** 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"კილიმანჯაროს თოვლიანი მთა"**.

## ხუთშაბათი 7 მარტი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.50 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ " როგორ შევქმნა დედამიწამ" 17.00 "ჩვენი ფერმა" 17.30 "AGVA - GEORGIA" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** 21.00 ტ/სერ **"პური და თავისუფლება"** 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 თოქ-შოუ: "არენა" 00.00 მხ/ფ **"თოვლის ანგელოზები"** (კ.ბეკინსეილი) 02.10 მხ/ფ **"ავინიონის წინასწარმეტყველება"**.

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 5" 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.35 რომ გადახვალ, გაიჩერე 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მხ/ფ **"ტრანსპორტერი – 3"** (ნ.რუდაკოვა) 01.15 სერ. **"ლვინის გზა"** 00.50 მხ/ფ **"მფუემსი კეთილი"** (ა.ჯოლი) 03.05 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

07.00, 05.35, 6.00, 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 6.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ–შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 "ყოველდღიური აბები" 22.20, 02.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.45 დოკ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" 06.35 მოკ/ფ **"ჩამავალი მზე"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 მოკ/ფ **"წითელი ბუშტი"** 11.15 ჩვენი ტრაპეზი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** VII ნაწ. 13.25 კონცერტი-გიზი ამირეჯიბის საიუბილეო საღამო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 მხ/ფ **"აურზაური სალხინეთში"**. 17.10 დოკ/ფ ლელოს შემობრუნება" 18.10 მრავალჟამიერი 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"ხევისბერი გოჩა"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.20, 23.15 პერსპექტივა 22.55 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"**.

## პარასკევი 8 მარტი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ან/ფ "ოთხი ლოთხენი" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 "მოამბე" 09.30 დ/ფ "შსოფლიო ოდისეები" 10.30 საბ. მხ/ფ **"კიტი კიტრიჯი: ამერიკელი გოგონას ოცნება"** 12.45 ქართ. ტ/ფ "მზე შემოდგომისა" 14.20 მხ/ფ **"მუსიკა და ლირიკა"** 17.00 დ/ფ "ამერიკის საიდუმლო" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** 21.00 ტ/სერ **"პური და თავისუფლება"** 22.00 "აქცენტები" 23.30 "წითელი ზონა" 00.30 მხ/ფ **"გრაგავიცა"** 02.20 მხ/ფ **"ავინიონის წინასწარმეტყველება"**.

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 5" 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 სერ. **"ლვინის გზა"** 00.50 მხ/ფ **"გამოსასყიდი"** (მ.ბელო) 02.25 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

07.00, 05.35, 6.00, 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა (დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 00.55 "ყოველდღიური აბები" 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15,

**04.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 00.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30, 01.20** თოქ–შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 02.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** მხ/ფ "**რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** პერსპექტივა **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ "**ხევისბერი გოჩა**" **13.30** კონცერტი - კამერული მუსიკის ფესტივალის დასკვნითი კონცერტი **14.50, 18.35, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დეკორატიული ფლორა **16.10** კონცერტი-თემურ წიკლაური **18.05** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**უდიპლომო სასიძო**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** ჩვენი ფონდი **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **22.20** დიდი მარხვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.15** ირაო.

## შაბათი 9 მარტი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **09.30** საბ. ან/ფ "განძთა კუნძული" **11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" **11.30** საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" **12.00, 14.00, 16.00, 20.00, 03.20** "მოამბე" **12.30** "AGVA-GEORGIA" **13.00** მხ/ფ "**თემო**" **14.55 რაგბი**: ერთა თასის გათამაშება. **საქართველო – ესპანეთი** (პ/რ) **16.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.00** "აღმოაჩინე საქართველო" **17.30** დ/ფ "წიგნის მშვენება" **18.00** "ეტალონი" **19.00** "გურმანია" **21.00** "ევროვიზიის დღიური" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია: "განწირული ჩეხოსლოვაკია" **23.00** "ახალი ქართული კინო" **23.30** მხ/ფ "**უშენოდ მგონი მოვკვდები**" **01.10** მხ/ფ "V **ნიშნავს ვენდეტას**" (ნ. პორტმანი) **03.40** მხ/ფ "**ავინიონის წინასწარმეტყველება**".

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **08.30** ან/ფ "სალადინი" **1** სერია **09.00** მხ/ფ "**ასტერიქსი და ობელიქსი: მისია კლეოპატრა**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან.ფ. "ავატარი" **12.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** სერ. "**აიქარლი**" **14.20** მხ/ფ "**რამდენად მნიშვნელოვანია იყო სერიოზული**" **16.00** სერ. "**გმირები – 4**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ "**სისხლიანი განაჩენი**" (უ.დეფო) **01.50** მხ/ფ "**ღვთის გამოგზავნილი**" (რ.დე ნირო) **03.55** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია **10.00** MTV TEEN CRIBS **11.00** სერ. "**კლუბი**" (ს1) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **15.30** სერ. "LOVERS AND SECRETS" **16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ. "**ეროვნულების ქალა**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** რა? სად? როდის? - გ/ჩ **00.00** პოკერის ტურნირი **00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00** "Latin Angels" **02.00, 04.30** მხ/ფ.

**07.00, 00.00, 01.00, 03.00, 05.00, 05.55** ახალი ამბების კოლაჟი **07.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 16.35, 17.25, 18.45, 19.10, 21.40, 00.30, 04.30, 05.25, 06.20** უცხოეთის ამბები **08.30** კვირის არგუმენტები (გამ) **10.00** დილა (კოლაჟი) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30, 13.05, 14.05, 16.05, 17.05** ყოველდღიური აბები (გამ) **12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 06.55** უკომენტაროდ+ამინდი **13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00** ამბები მოკლედ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **20.10, 01.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 02.00** "პრეს-პრესი" **23.00, 03.30** "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ "**უდიპლომო სასიძო**" **13.30** პერსპექტივა **15.10** ოპერა-"**ტოსკა**" **17.25** დოკ/ფ "9 მარტი-**1956** წელი" **18.10** ფოტოგალერეა **18.15** აქტუალური თემა **18.35** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** დოკ/ფ "ცხრა კოლაელი ყრმა" **21.30** "კარაბადინი" **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.30** მხ/ფ "**დები ბრონტეები**".

## კვირა 10 მარტი

**08.00** საბ/ფ "**ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა**" **10.00** "ეტალონი" **11.00** "ჩვენი ექსპრესი" **11.30** საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" **12.00, 14.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სპექტაკლის დრო" – სატელევიზიო სპექტაკლი: "ეს არ უნდა მომხდარიყო" **15.00** დ/ფ "მონტესუმა" **16.30** "ჩვენი ეზო" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** დ/ფ "დიდი საბჭოთა ტერორი: ადამიანური ისტორიები" **18.40** ბიძინა კვერნაძის საიუბილეო საღამო **20.00** მხ/ფ "**თუ დედამთილი ურჩხულია**" (ჯ.ლოპესი) **22.00** დ/ფ "ერთი ოჯახის ისტორია" **23.00** "აღმოაჩინე საქართველო" **23.30** "უცნობი მუსიკა" **00.30** კონცერტი **01.30** მხ/ფ "**გრან ტორინო**" **03.30** მხ/ფ "**ავინიონის წინასწარმეტყველება**".

**08.00** ან/ფ "სალადინი" **2-3** სერ. **09.00** მხ/ფ "**ასტერიქსი და ობელიქსი ცეზარის წინააღმდეგ**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** "Victoria's Secret-ის ფეშენ შოუ **2012** **14.20** მხ/ფ "**ტაქსი 4**" **16.00** სერ. "**გმირები – 4**" **17.40** იმედის გმირები **18.00** კონცერტი: "შინი" **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** რომ გადახვალ, გააჩერე **23.25** მხ/ფ "**მფრინავი ხანჯლების სახლი**" (ტ.კანეშირო) **01.30** მხ/ფ "**მუხლუხას რჩევა**" (ე.დიკი) **03.00** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია **11.00** სერ. "**კლუბი**" (ს2) **12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **15.30** სერ. "LOVERS AND SECRETS" **16.30** პროფილი (გ/ჩ) **19.00** ეკი ვოკი დაწყება **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი (ს2) **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **02.00, 04.30** მხ/ფ.

**07.00, 23.00, 00.00, 01.00, 03.00, 04.00, 05.00, 06.00** ახალი ამბების კოლაჟი **07.30, 12.30, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 00.25, 02.30, 03.30, 04.30, 06.30** უცხოეთის ამბები **10.00** დილა (კოლაჟი) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 06.55** უკომენტაროდ+ამინდი **13.00** პრეს-პრესი (გამ.) **14.00, 16.00, 17.00, 20.00** ამბები მოკლედ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) **17.05** მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00, 01.30** დისკუსია - სტუდია "რე" **20.10, 23.25** ღია კარის დღე **21.00** ახალი ამბები **9** საათზე.

**08.30, 01.30** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **09.30** "ფერისცვალება" (გან.) **10.00** "დილის ტალღა" **12.00** სერ. "**საიდუმლო აგენტები**" **12.30** სერ. "**დრაკონის ბეჭედი**" **13.30** საცირკო წარმოდგენა **14.00** "ერთი ცეკვის ისტორია" **14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **15.00** დ/ფ "ექსტრემალური ამბები" **16.00** სერ. "**დინოტოპია**" **17.00** დოკ/ფილმი "იდუმალი ადგილები" **18.00** მხ/ფ "**პოლიციის აკადემია 6**" **19.30** "ერთი დღე სოფელში" **20.10** მუსიკა **21.15** სერ. "**ვნებიანი შურისძიება**" **23.00** "გალერეა" **23.30** მხ/ფ "**კოკაინი**".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.45, 21.35** ლექსით ქებათა ქება **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** ერთსულოვნების სალონი **13.00** ძველი აფიშა **13.30** "ჩვენი ტრაპეზი" **13.40** ქართული მულტფილმი **13.55** დიდი მარხვა **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** მგზავრები წუთისოფლისა **15.40** ეპოქის სახელები **16.05** კონცერტი - ჯანო ბაგრატიონი **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.40** მხ/ფ "**მაცი ხვიტია**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **21.40** "კვირიაკე" **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.10** პატრიარქის ქადაგება **00.35** მხ/ფ "**400 დარტყმა**".

**თბილისის კოლოტირი გია კორკოტაშვილი, იგივე კორკოტა, დიდი ხანია, აღარ გამოჩენილა საზოგადოებაში. არც რადიოდან ისმის მისი ხმა და მისი გადაცემაც ბევრს მოენატრა. ეს წელი კი მისთვის არცთუ სასიამოვნოდ დაიწყო – ძველით ახალ წელს ავარიაში მოყვა, მაგრამ ღმერთის წყალობით, გადარჩა და უკვე გამოჯანმრთელდა კიდეც. მას არც სამსახური აქვს და ცდილობს, ამ ეტაპზე შორიდან ადევნოს თვალი მის საყვარელ ქალაქში მიმდინარე მოვლენებს. თუ როდის აპირებს თავის სათქმელის ხმამაღლა თქმას, რატომ აღარ ჩანს საზოგადოებაში და რაზე წყდება გული, ამაზე თავად მოგვიყვება.**

# ვინ „უჭყუნავდა" „საგულაო" ფულებს ჯიბეში კორკოტას და რატომ დარჩა ის უმუშევარი



**სიამოვნებით ჩამოვაყალიბებდი „ფულების დარიგების სამინისტროს" და ფულს დავურიგებდი ხალხს**

**კორკოტა**: ბევრი მეკითხება – სად ხარ, რატომ არ ჩანხარო. რა ვიცი, ვფიქრობ, ჩემი ინიციატივები, როცა გამოსაჩენი მქონდა, გამოვიჩინე. დღეს, სახლში ვზივარ და შორიდან ვაკვირდები მოვლენებს. „ზალატოი ზაპასივით" ვარ ***(იცინის).*** ყოველ დილას ვდგები, მივდივარ მეგობრებთან ერთად კუს ტბაზე, დავდივარ, ვსეირნობ და ვიგებ ათასგვარ ქალაქურ ჭორს. ასე რომ, კუს ტბის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ვარ ***(იცინის).*** ვხუმრობ ხოლმე, დღეს კორკოტა „ადგილზე ნაბიჯით იარის" რეჟიმშია-მეთქი. მინდა, ნაგავზე გადაყრილი ადამიანები გავერთიანდეთ და რამე საზოგადოება ჩამოვაყალიბოთ. იქნებ, ჩვენი სათქმელი, ასე მაინც ვთქვათ-მეთქი.

**– კი მაგრამ, ნაგავზე გადაგდებულ ადამიანად რატომ მიიჩნევთ თავს?**

– პირადად მე, ასე ვთვლი ჩემს თავს. აბა, 53 წლის ადამიანი რომ ვერაფერში იხარჯები, ნაგავში არ ხარ გადაგდებული? რა ჰქვია სხვანაირად ამას? იცით, რა მწყინს? ნუთუ ისეთი ადგილი ვერ მოინახა გია კორკოტაშვილის ან მისნაირი ადამიანებისთვის, რომ დაასაქმონ. ნუთუ აღარავის ვჭირდებით? მე ამით კმაყოფილებით მუცლის მოფხანა კი არ მინდა, უბრალოდ, მინდა მეც შევიტანო წვლილი ჩემი ქვეყნის შენებაში. მე ბევრი სათქმელი დამრჩა და მალე ვიტყვი. თბილისს ზუსტად ვიცი, გამოვადგები და ჩემს სათქმელს აუცილებლად ვიტყვი, გპირდებით. ახლა დაკვირვების პროცესში ვარ, შორიდან ვუყურებ ფაქტებს და მერე ამოვიღებ ხმას. ამბიციური არ ვარ, მაგრამ კარგი პოლიტიკოსი ვიქნებოდი, მინისტრობამდე ვერ ვქაჩავ ***(იცინის).*** ისე, ნება რომ მომცეთ, ჩემს სამინისტროსაც ჩამოვაყალიბებდი.

**– და, რა ერქმეოდა ამ სამინისტროს?**

– ფულების დარიგების სამინისტრო. ფულს დავურიგებდი ხალხს.

**– მერე, ფულს სად იშოვიდით?**

– სახელმწიფო მომცემდა, აბა, მე სად მაქვს.

**– ამბობდნენ, კორკოტას თავისი წილები აქვს და ამით საკმაოდ კარგი შემოსავლის პატრონიაო. ამაზე რას იტყვით?**

– ასეთი ჭორები მეც გამიგია და დამიჯერეთ, რა ქონებაც მაქვს, ყველაფერი ბანკში მაქვს დაყადაღებული ***(იცინის).*** ერთხელ გავიგე ჩემზე ჭორი, თითქოს რესტორან „ნაცნობის" მეწილე ვიყავი. კარგი რესტორანი იყო, მაგრამ ჩემი წილისა რა მოგახსენოთ.

**– ხშირად ამბობთ, რომ ადრე თბილისში სულ სხვანაირი ურთიერთობები იყო, ხალხს საჭორაოდ არ ეცალა, ყველას თავისი ფუნქცია ჰქონდა და უფრო მეტი სიყვარული და სითბო იგრძნობოდაო.**

– მართლაც ასე იყო. კომუნისტების დრო ეძახეთ თქვენ და ადრე, თბილისში სულ სხვა ურთიერთობები იყო. არ გეგონოთ, იმ დროს მივტირი, უბრალოდ, მენანება ის ურთიერთობა, რაც იყო და ახლა რაც გაუფასურდა. მამა დამსახურებული იურისტი იყო, დედა კი ტექნოლოგი. ოჯახში არასდროს გვიჭირდა, მაგრამ სულ ვცდილობდი ჩემი ფული ჩემივე შრომით გამომემუშავებინა. ამით, საზოგადოებაში ჩემს ადგილს ვიმკვიდრებდი, მუშაობას ვეჩვეოდი და ხალხთან ურთიერთობას ვსწავლობდი. კომუნისტების დროს მუშაობა სავალდებულო იყო, რადგან კანონში პირდაპირ ეწერა – უმუშევრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი სამუშაოთი. მეცხრე-მეათე კლასში უკვე დამოუკიდებელი ვიყავი. ძმაკაცებთან ერთად მარტო დავდიოდი დასასვენებლად. მშობლები კი მაფინანსებდნენ, მაგრამ გასართობად რას გვეყოფოდა ის ფული. ამიტომ, ერთი თვით ქარხანაში ვმუშაობდი და იმ ფულით მერე, „ჯიგრულად" „ვგულაობდი". თუმცა, ბიძებიც „მიჭყუნავდნენ" ხშირად ფულებს ჯიბეში ***(იცინის).*** ახალგაზრდობაში, ხშირად მიწევდა რაგბიდან საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ჩასვლა. ქართველ კაცს ისეთ პატივს სცემდნენ, ისე ეშინოდათ და ისეთი რიდით ექცეოდნენ რუსეთში, უნდა გენახათ. ვერ გეტყვით, ეს საიდან „მოკოტრიალებდა", მაგრამ ფაქტი იყო, ზედმეტს ვერავინ გაგვიბედავდა. ფაქტია, რუსეთში სიტყვა „გრუზინი" ჭრიდა. ახლა, სამწუხაროდ, პირიქით, „გრუზინობა" დასაცინი გახდა. მაშინ, ქართველი მამაკაცი რუს მამაკაცს ან ქალის გამო უწყებდა ჩხუბს, ან „ნიტაკოი" გამოხედვის გამო. სხვა რა გვქონდა საჩხუბარი? არაერთხელ მოგვსვლია ბიჭებს ჩხუბი. მაშინ, ჩხუბზე თუ დაგიჭერდა მილიცია 15-დღიანი „მორჭობილი" გქონდა. მაგრამ, თუ „ჩაუკუჭავდი" ფულს მილიციელს, რა პრობლემა იყო? ასე ვყიდულობდით საკუთარ თავისუფლებას, 150-200 მანეთით ***(იცინის).*** იმდენჯერ მაქვს ასეთი თანხები გადახდილი წვრილმანი ხულიგნობისა და ანცობისთვის, მაგას ვინ მოთვლის. დიდი მაკვარანცხი და აქტიური ახალგაზრდები ვიყავით, უშიშარი და ამაყი, მაგრამ არა უზრდელი და თავხედი. სხვათა შორის, ქალის გამო გვიქურდია კიდეც ***(იცინის).***

**მე კმაყოფილებით მუცლის მოფხანა კი არ მინდა, უბრალოდ, მეც მინდა შევიტანო წვლილი ჩემი ქვეყნის შენებაში**

**– იმ დროსაც ფულით გამოისყიდეთ საკუთარი თავისუფლება?**

– არა, ამ დროს ბედმა გაგვიღიმა და არ დაგვჭირდა ფულის გადახდა ***(იცინის).*** ადრე, საყვარელი ქალისთვის მიხაკების მირთმევა მოდაში იყო. სამი მიხაკით გასვენებაში მიდიოდნენ, აი, 20 მიხაკით კი ქალს სიყვარულს უხსნიდი ***(იცინის).*** მოკლედ, შეყვარებული გოგონასთვის მინდოდა ყვავილების მირთმევა. გვიანი იყო და ვერსად ვიშოვე თბილისში. ტაბახმელაში იყო ყვავილების სათბური და მე და ჩემმა ძმაკაცმა, გია კვაშალმა, იქ წასვლა გადავწყვიტეთ. წავედით, ვნახეთ, მაგრამ ფული არ გვყოფნიდა. ერთი ცალი სამი მანეთი ღირდა, ჩვენ კი სულ 15 მანეთი გვედო ჯიბეში. გადავწყვიტეთ მოპარვა. შევიპარეთ სათბურში, დავგლიჯეთ ბევრი მიხაკი და გამოვიპარეთ. ჩემს საყვარელ გოგონას რომ მივართვი მოპარული ყვავილები, მახსოვს, უხერხულობისგან გავწითლდი და მალევე წამოვედი. ეტყობა, მაინც სინდისი მქენჯნიდა ***(იცინის).***

**– იმასაც ამბობენ, კორკოტას, თავის დროზე ბევრი მოხვედრია და სულ დალურჯებული დადიოდაო. ასეა?**

– მართალია, ადრე ჩხუბებიც ხდებოდა სიმართლის დასამტკიცებლად – ერთი-ერთზე მიდიოდა რაინდული ჩხუბი. ვიჩხუბებდით, კარგად დავალილავებდით ერთმანეთს და მერე ვიშლებოდით. ჩხუბები სულ ხდებოდა და არც დალურჯება მაკლდა. იარაღის ხმარება სირცხვილიც იყო. არ დამავიწყდება, დანით მოკლეს ერთი უფროსკლასელი ბიჭი და კარგა ხანს, ყველა ამ ფაქტზე ლაპარაკობდა. ეს ძალიან იშვიათობა იყო და ბევრისთვის უცხო. ის ბიჭი გმირად მიგვაჩნდა. ახლა კი ამ მხრივ დაუნდობლობაა. ადამიანებში მრწამსი გაუფასურდა, პატივისცემა და ვაჟკაცობა აღარ ფასობს. ვფიქრობ, საკუთარ სულიერებასა და საქციელზე თავად უნდა აგოს ადამიანმა პასუხი. ადრე, მართლა კოლორიტები დადიოდნენ თბილისის ქუჩებში და ამ ქალაქს მათი სიარული უხდებოდა და სჭირდებოდა. დღეს, ამას ველარ შეიგრძნობთ. არ მიყვარს ძალით ტყლარჭია და სინთეტიკური ადამიანები და რა ვქნა. მადლობა ღმერთს, ადამიანებს კიდევ ვუყვარვარ. უნდა ნახოთ, ქუჩაში რომ მივდივარ, როგორი „ხუტე-ხუტე" მაქვს და როგორ ვგრძნობ, უბრალო გამვლელების სიყვარულსა და სითბოს. სამწუხაროდ, ვისაც დღეს ფული აქვს, ის სიყვარულის დეფიციტს განიცდის. ვინც სიყვარულის პიკზეა, ის უფულოა. დიდი შანსი მქონდა, ბევრი ფული მეშოვა, შემოთავაზებებიც მქონდა. რა დასამალია და სიჩუმეშიც კი მთავაზობდნენ თანხას. მაგრამ, მე გამაჩუმებენ? ***(იცინის)*** რა ვქნა, მე ადამიანობას ვერ გადავაბიჯებ და „სიცრუის მინისტრობას" არ დავთანხმდები.

**ნონა დათეშიძე**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ

**ნინო ჯანელიძე**

**ტელეფონები: 252-79-57; 555-33-91-66.**

**დიზაინერ ფატუნა ბუშიჰედის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში ბევრი სიახლეა. ფატუნა ორი თვის წინ მესამე შვილის, ანდრიანას დედა გახდა. მას ასევე, ჰყავს 16 წლის სანდრო და 6 წლის ქელი. რაც შეეხება მის დიზაინერულ მოღვაწეობას, ამერიკის გარდა, მისით ბრიტანეთშიც დაინტერესდნენ, ხოლო საფრანგეთიდან მალე ახალ სტატუსს ელოდება. მოკლედ, ყველა ამ სიახლის შესახებ, ჩვენი რესპონდენტის საუბრიდან შეიტყობთ.**

# ვინ აკეთებს დიდ ფულს ფატუნა ბუშიჰედის შრომით და ვინ არიან მისი ექსკლუზიური მოდელების მომხმარებლები

**– ძალიან ბევრი სიახლე გაქვს. მოდი, დავიწყოთ იმ წარმატებული ჩვენებით, რომელიც ფატუნა ბუშიჰედისა და „კარტიეს“ ერთობლივი პროექტი იყო.**

– ძვირფასი სამკაულების კომპანია „კარტიე“, რომელიც უკვე ასობით წელს ითვლის, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ბრენდია. მას შესთავაზეს ჩემი კოლექცია, ანუ „კარტიეს“ სამკაულები და ჩემი სამოსი. გაკეთდა სარეკლამო რგოლი, რომელიც „სი-ენ-ენმა“ გადაიღო. ეს ძალიან დიდი სიამოვნება, სიურპრიზი და ყველაფერი ერთად იყო ჩემთვის. სანამ რეალურად, საკუთარი თვალით არ დავინახე, ეს ყველაფერი, მართლა არ მჯეროდა. გადაღება ბრიტანეთში, ლონდონში ჩატარდა. „კარტიეს“ ბრენდ-მენეჯერმა, მარკოს პაულეტიმ, თავისივე სურვილით ჩემი მენეჯმენტიც საკუთარ თავზე აიღო. მოკლედ ბრიტანელები ძალიან დაინტერესებული არიან და ახალი კოლექციაც იქ შეიქმნება.

**– ამერიკელები რომ არიან ფატუნა ბუშიჰედით დაინტერესებული, უკვე ვიცით, მაგრამ ბრიტანელებთან კონტაქტი როგორ შედგა?**

– სანამ ლოს-ანჟელესში ჩვენებას გავმართავდი, მოწვევა მქონდა კანის ფესტივალზე და ლონდონის „ფეშენ-ვიქზე“, რაზეც უარი ვთქვი.

**– ამ წინადადებაზე, ალბათ, ბევრი დიზაინერი არ იტყოდა უარს და რა იყო ამის მიზეზი?**

– ლოს-ანჟელესში კონტრაქტი მქონდა გაფორმებული, მივფრინავდი და ახალი კოლექციის გაკეთების დრო, ფაქტობრივად, აღარ მქონდა, თან ფეხმძიმედ ვიყავი. ამიტომ, ორივეს კატეგორიული უარი ვუთხარი. იქიდან კი წერილი მივიღე, სადაც ეწერა, კარგი იქნებოდა, ჩვენი ურთიერთობა გაგვეგრძელებინა, როცა თავისუფალი იქნებითო. შემდეგ თვითონ შევედი მათთან უფრო ღრმა კონტაქტში, რადგან დამაინტერესა, კონკრეტულად რა სურდათ ჩემგან. როგორც აღმოჩნდა, მათ ჩემი ბრენდის მენეჯმენტის გაკეთება უნდოდათ, რის შემდეგაც, ფატუნა ბუშიჰედის ნაცვლად, ბრენდს მხოლოდ „ფატუნა“ ერქმეოდა. მოკლედ, ჩემი დიზაინით უნდა გაკეთებულიყო კოლექცია, ხოლო შესრულებას ბრიტანელები აიღებდნენ საკუთარ თავზე. ასევე, ზუსტად ვიცი, რომ ექსკლუზიური კაბების გარდა, ძალიან მალე ბერლინის ერთ-ერთ ძალიან ცნობილ მოლში შევა ჩემი სამოსი. ამ ეტაპზე ყველა დეტალი გვარდება, რომელიც უკვე ფინალისკენ მიდის. მაისის ბოლოს კი, ლონდონიდან, ჩემი კოლექციის ნაწილი ბერლინში გადავა. ძალიან ბევრი სიახლე ხდება ერთად. ბრიტანეთში შეიქმნება კოლექცია, რომელიც პრეტაპორტული ხაზის იქნება და სერიულ სახეს მიიღებს. ძალიან მალე საფრანგეთი მომანიჭებს ოტ კუტიურიეს სახელს, რომელიც მაღალი მოდის შემქმნელს ნიშნა-

**ექსკლუზიური კაბების გარდა, ძალიან მალე, ბერლინის ერთ-ერთ ცნობილ მოლში ჩამოიკიდება ჩემი სამოსი**

ვს, ერთადერთია მსოფლიოში და ხელით იქმნება. მოდელი ექსკლუზიურია და საკმაოდ რთული შესაქმნელია. ასე რომ, ვემზადები, მალე მომანიჭონ ეს სტატუსი. თუმცა, სტატუსის დარღვევაც ძალიან მალე შეიძლება მოხდეს, თუ თვითონ დიზაინერმა კონტრაქტში არსებული რომელიმე პირობა არ შეცვალა. ამიტომ, ძალიან ფრთხილად უნდა მოექცე ყველას, ყველაფერს და უპირველესად, საკუთარ თავს. როცა მართლა გულით მუშაობ და ბევრს შრომობ, ყველაფერი გიფასდება. არანაირი თანხები არ გეყოფა იმისთვის, ვინმეს თავი მოაწონო. თავის მოწონება მხოლოდ შრომით არის შესაძლებელი და საკუთარი ხაზით, რომელიც მხოლოდ შენია და არა სხვისი. ცხოვრებაში თავს არასდროს ვაკადრებ, რომ ჩემს კოლექციაში სხვა დიზაინერის რაღაც დეტალი გამოვიყენო, ეს ჩემთვის ძალიან დიდი სირცხვილია.

**– ძირითადად, რაზეა მოთხოვნა შენი კოლექციიდან?**

– ძირითადად, საღამოს კაბებზე იყო მოთხოვნა, რადგან ნიუ-იორკში, მაიამიში და სხვა შტატებში ძალიან ბევრი მსახიობია, ასევე, მათი პროდიუსერები, მწერლები, მხატვრები და ბევრი ცნობილი ადამიანია დაინტერესებული ჩემი ექსკლუზიური მოდელებით. ძალიან მიხარია, რომ ბევრს მოსწონს ჩემი სამოსი, რომელსაც, რაც მთავარია, ბევრი ირგებს. ყველა, ვინც შეხედავს, ფიქრობს, რომ სპეციალურად მისთვისაა შექმნილი, რაც ძალიან დიდი კომპლიმენტია. თუმცა, რეალურად, ყველა კაბა ჩემზეა მორგებული, ანუ ყველაში საკუთარ თავს ვხედავ.



ჩემი ერთ-ერთი საქორწინო კაბა 18 000 დოლარად გაიყიდა. მე კაბებს იმ ქალბატონებისთვის ვქმნი, ტელევიზიით რომ ჩანან, გამოდიან პოდიუმებზე და ასე შემდეგ. ანუ ეს არ არის ყველასთვის

**– შენი შრომა ორმაგად დასაფასებელია იმ მხრივაც, რომ, როცა ახალ კოლექციას ქმნიდი ფეხმძიმედ იყავი და მესამე შვილს ელოდებოდი.**

– ორსულად ვიყავი, მაგრამ წამით არ მოვდუნებულვარ. ვაკეთებდი აქსესუარებს, ვქმნიდი ახალ მოდელებს. 7 თვის ორსული ვიყავი 5 დღით ლოს-ანჟელესში გავფრინდი და კოლექცია წავიღე. მიუხედავად იმისა, რომ 17-მდე დამხმარე მყავს, როგორც წესი, ჩემი კოლექციის დაუთოებას მაინც ვერავის ვანდობ. 7 თვის ფეხმძიმემ, აბსოლუტურად ყველა კაბა, სანამ გავფრინდებოდი, ჩავალაგე და რომ ჩავედით, 25-ივე კაბა მე დავაუთოე. ამერიკიდან რომ ჩამოვფრინდი, 4 დღეში, დღე-ნახევრით ლონდონში გავფრინდი. გეფიცები, იმ დაღლილობას ახლაც ვგრძნობ. როცა სრულყოფილი ადამიანი ხარ და იცი, რას ნიშნავს საქმისადმი დამოკიდებულება, არც ფეხმძიმობა შეგიშლის ხელს და არც სხვა რამ. არ მესმის, რომ ამბობენ, ორსულად არის და არ შეუძლიაო. რას ნიშნავს, არ შეუძლია! ფეხმძიმედ ვარ თუ არა, ყოველთვის მაქვს ჩემი მეუღლისთვის დილით – საუზმე, შუა დღეს – სადილი და საღამოს – ვახშამი. ყოველთვის მოწესრიგებული მაქვს სახლი. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მაგარი გოგო ვარ, არამედ ყველა ქალს შეუძლია ეს და განსაკუთრებული არაფერია ამაში.

**– საქართველოში რატომ არ ჩანს ფატუნა ბუშიჰედი?**

– ლოს-ანჟელესში რომ ვიყავი, ჩემი კაბები ბილბორდებზე, ჟურნალის ყდებზე იყო დაბეჭდილი. იქ შრომა გიფასდება, საქართველოში კი არა. ამიტომაც, აქ არასდროს არაფერს ვაკეთებ. გული მწყდება, რომ ჩვენ ერთმანეთის გატანა და დაფასება არ ვიცით. ძალიან ბევრი დრო გვჭირდება, რომ საქართველოში მოდა ჩამოყალიბდეს და ჩვენებებზე იმის გამო არ მიდიოდნენ, საკუთარი თავი რომ წარმოაჩინონ. ეს ბიზნესი უნდა იყოს, რისი წყალობითაც შემოსავალიც ექნებათ ახალი კოლექციის გასაკეთებლად. დღეს რა ხდება? აკეთებენ კოლექციებს და შემდეგ რა? მიაქვთ სახლში. რეალიზაცია უნდა მოხდეს, მარტო „ფეშენ-ვიქის“ ჩატარება არ არის საკმარისი. უცხოეთში სულ სხვაგვარად არის ყველაფერი. როცა ამერიკაში ჩვენებაზე მივდივარ არც ტრანსპორტირებაში ვიხდი ფულს, არც სასტუმროში, არც კვებაში. მათ ურჩევნიათ 35-40 ათასი დოლარი დახარჯონ ჩემზე და სამაგიეროდ გაცილებით მეტი თანხა გააკეთონ ამით. ანუ უხეშად რომ ვთქვათ, მათ იციან, ჩემით უფრო მეტ ფულს აკეთებენ. ბოლოს და ბოლოს ჩემი ერთი კაბა 18 000 დოლარად გაყიდეს. სტიმულს გაძლევს მათი შენდამი დამოკიდებულება, უზრუნველყოფილი ხარ ყველაფრით და თავს ნამდვილ ვარსკვლავად გრძნობ.

**– ყველაზე ძვირად რამდენად გაიყიდა შენი კაბა?**

– ჩემი ერთ-ერთი საქორწინო კაბა 18 000 დოლარად გაიყიდა, ხოლო მთლიანი კოლექცია გალერიამ შეისყიდა. მართალია, 18 000 დოლარი მთლიანად ჩემი არ იყო, თუმცა როცა შენი მოდელი ამ ფასად იყიდება, ძალიან მაგარი შეგრძნებაა. ისინი ფულს ხარისხსა და ექსკლუზიურობაში იხდიან. მე კაბებს იმ ქალბატონებისთვის ვქმნი, ტელევიზიით რომ ჩანან, გამოდიან პოდიუმებზე და ასე შემდეგ. ანუ, ეს ყველასთვის არის. ყველასთვის ალბათ ის ხაზი იქნება, რომელიც პრეტაპორტულია. თუმცა, ისიც არ იქნება იაფიანი. მე არასდროს არ დავაგდებ ჩემი შრომის ფასს. იაფად გაყიდვას, მირჩევნია, საერთოდ არ გაიყიდოს. დიზაინერმა ხაზი ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს. ძალიან დიდი შრომაა, მაგრამ, როცა პრეტენზია გაქვს, მაღალი დონის დიზაინერი იყო, თავი არ უნდა დაზოგო.

**– მაისში კანში მიემგზავრები. რა ხდება იქ?**

– 16-ში ჩემი ჩვენება იქნება, მერე კი კანის ფესტივალი იხსნება. ჩვენება ჩატარდება ლაზურულ სანაპიროზე, სადაც სერიოზული პოდიუმი მოეწყობა. ჩვენებას მე გავხსნი და დავხურავ. წარდგენილი ვიქნებით სამი დიზაინერი – ერთი საფრანგეთიდან, მეორე ამერიკიდან და მე.

**– ქელი (ფატუნას ქალიშვილი) შენი სიმბოლო გახდა.**

– სხვათა შორის, ქელი უკვე სამჯერ გამოვიდა ლოს-ანჟელესში ჩემი კოლექციის ჩვენებაზე, ახლა კი ემზადება კანისთვის. ანდრიანას წაყვანაც მინდოდა, მაგრამ ჯერ, მაინც პატარაა იმისთვის, რომ პოდიუმზე გამოვიდეს.

**– ანდრიანა ჯერ მხოლოდ 2 თვისაა, რომელმაც მუცლადყოფნის პერიოდში შენთან ერთად, როგორც უკვე აღნიშნე, ბევრი იშრომა ახალ კოლექციაზე.**

– ჩემს პატარას, მგონი, უფრო სიკეთე ჰქვია, სახელი გადავარქვი და ანდრიანა დავარქვით. ძალიან კეთილი გოგოა და ოჯახის ყველა წევრს გვაგიჟებს.

**მარიკა ხიდურელი**

**„დღეს, ამ მძიმე ჟამს, ადამიანებს ბევრი სირთულის გადატანა გვიწევს. მე ვფიქრობ, რომ ის, რაც ამ ძნელბედობის ჟამს გვანუგეშებს, დაგვეხმარება, სასუფევლის კარამდე მიგვიყვანს – სიყვარულია. ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ, ვისთანაც მიმიწვდება ხმა, ვუთხრა: გიყვარდეთ ღმერთი და გიყვარდეთ ერთმანეთი. შეუძლებელია, ღმერთის სიყვარული მაშინ, როდესაც მოყვასი არ გიყვარს... უფალი ყველა ადამიანისთვის განკაცდა და თითოეულში უფლის ხატება უნდა დავინახოთ. ერთადერთი, რაც უფალთან მიგვიყვანს, ეს არის სიყვარული. ამიტომ, გიყვარდეთ ერთმანეთი, ხშირად მოეფერეთ, გაუღიმეთ ერთმანეთს და უთხარით, რომ გიყვართ. სხვანაირად ამ რთული ცხოვრების გაძლება ძალიან გაგვიჭირდება. ნიუ-ჯერსი, გრიგოლ ხანძთელის სამრევლოდან...“ – ეს სიტყვები ამონარიდია იეროდიაკონის, მამა დიონისეს, ერისკაცობაში ლაშა ბორძიკულის, ინტერვიუდან, რომელიც ბერად აღკვეცის შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკასა და კანადაში ემსახურება ქართველ ემიგრანტებს. ის სხვა სასულიერო პირებთან ერთად ყინვაში, შტორმში ათასობით მილს გადის ქართველ მრევლთან შესახვედრად, რომელთათვის სასულიერო პირებთან ურთიერთობა ამ ქვეყანად ყველაზე დიდი ნუგეშია.**

# რამ მიაღებინა მოდელ ლაშა ბორძიკულს ბერად აღკვეცის გადაწყვეტილება და როგორ უწევს დღეს მას ქართველი ემიგრანტების სამსახურში ათასობით მილის გავლა

**მამა დიონისე:** მახსოვს, ჩემი ბავშვობის თითოეული დეტალი, თან, პატარა ასაკიდან. ვერ ვიტყვი, რომ ბრწყინვალე, მაგრამ ერთ-ერთი კარგი მოსწავლე ვიყავი სკოლაში, დისციპლინირებული. ერთადერთი, რაც დღევანდელ დღემდე ჩემი პრობლემაა, ეს არის დაგვიანება: ყოველთვის, ყველგან მაგვიანდებოდა. ერთხელ უცხოეთში შეხვედრაზე 8 წუთი დავაგვიანე. საქართველოში 8 წუთით დაგვიანება არაფერს ნიშნავს, მაგრამ იქ რომ მივედი, დამხვდა შეტყობინება: თქვენ დაგაგვიანდათ შეხვედრაზე, სამწუხაროდ, მე ვერ დაგელოდებით. ვიცი, ევროპაში ახალი ჩამოსული ხართ, ამიტომ ჩემი რჩევაა: არსად დააგვიანოთ, რადგან ამის გამო თქვენს კარიერას საფრთხე დაემუქრებაო. ეს იყო ჩემთვის ძალიან მწარე, მაგრამ კარგი გაკვეთილი. სკოლის დამთავრების შემდეგ მინდოდა, სამხატვრო აკადემიაში ჩამებარებინა, არქიტექტურულ ფაკულტეტზე. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, მოსამზადებელი კურსი გავიარე ხატვაში. ნორმალური მონაცემები აღმომაჩნდა. მაგრამ მალე გეგმები შევცვალე, გადავწყვიტე, ევროპაში წავსულიყავი სასწავლებლად. საბუთები გავგზავნე არისტოტელეს უნივერსიტეტში, კინემატოგრაფიის ფაკულტეტზე. იქიდან გამომდინარე, რომ კარგი ქულები მქონდა, მოვხვდი სასურველ ფაკულტეტზე. მაგრამ მთელი რიგი გარემოებების გამო, ერთი წელიც არ დამიხურავს. შემეცვალა აზრები და მივხვდი, რომ საერო ცხოვრება მაინცდამაინც არ მიტაცებდა. ამიტომ, მოძღვრის რჩევით, ჩემი გადაწყვეტილებით, სწავლის ორიენტირი შევცვალე და თეოლოგიურ ფაკულტეტზე გადავედი. ამჟამად ვარ არისტოტელეს უნივერსიტეტში თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. ძალიან მიყვარს ექსპერიმენტები, არასდროს მეშინია ყველაფრის ნულიდან დაწყების. ბავშვობიდან დამოუკიდებლად ცხოვრებას ვარ მიჩვეული. 16 წლის ვიყავი, ჩემი მშობლები საქართველოდან რომ წავიდნენ და მარტო დარჩენა მომიწია. ვუძღვებოდი საოჯახო საქმეებს, პარალელურ რეჟიმში ვმუშაობდი. თუმცა, ეს ჩემი სურვილიდან მომდინარეობდა. მშობლების მხრიდან დიდი ნდობით ვსარგებლობდი, ამიტომ დამოუკიდებლად ცხოვრებაში ხელს მიწყობდნენ. თითქმის არასდროს მქონია აკრძალვები, არასდროს დავუსჯივარ... მყავს ერთი ძმა, რომელიც ჩემზე უმცროსია, 18 წლის და 10 წლის და, რომელიც თითქმის ჩემი გაზრდილია. თუ დამჭირდება იმაზე დაფიქრება რა არის ჩემი სუსტი წერტილი – ეს ჩემი დაა, რომელიც ძალიან მიყვარს.



**ერთი წლის შემდეგ საქართველოში პირველად ჩატარდა კონკურსი „ნიუ ფეის მოდელს სერჩ“, რომელიც „მისტერ საქართველოს“ სახელით არის ცნობილი. საკმაოდ დიდ ქასტინგში მივიღე მონაწილეობა და მოვხვდი 15 მოდელს შორის**

## სამოდელო საქმიანობა – ცხოვრებისეული გამოცდილება და ერთი გაკვეთილი

ჩვენი საუბარი ამ თემის გარეშე, ალბათ, ვერ შედგებოდა, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი მიცნობდა, როგორც მოდელს, რომლის სივი საკმაოდ ნაყოფიერი იყო. ჩემი სამოდელო კარიერა ერთ ფოტოგრაფთან შეხვედრით დაიწყო. გავაკეთეთ ფოტოსესია, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა და საზოგადოების მხრიდან გამოხმაურება მოჰყვა. ჩემ მიმართაც გაჩნდა დიდი ინტერესი. რამდენიმე თვეში ქასთინგი გამოცხადდა „მისტერ ვალენტინის“ კონკურსზე. ერთ-ერთი კარგი მეგობრის ინიციატივით, რომელმაც ჩემგან დამოუკიდებლად შეავსო ჩემი სივი, გადაგზავნა, მოვხვდი მონაწილეთა შორის. კონკურსის შემდეგ კი გავხდი ერთ-ერთი სილამაზის სახლის სიმპათია. ერთი წლის მერე საქართველოში პირველად ჩატარდა კონკურსი „ნიუ ფეის მოდელს სერჩ“, რომელიც „მისტერ საქართველოს“ სახელით არის ცნობილი. საკმაოდ დიდ ქასთინგში მივიღე მონაწილეობა და მოვხვდი 15 მოდელს შორის. ამის შემდეგ ვაპირებდი, როგორც მოდელს მადრიდში გამეგრძელებინა კარიერა, ერთ-ერთ კომპანიასთან მოლაპარაკება იყო დაწყებული, ტესტ-ფოტოსესიაც შედგა, მაგრამ მალევე შევცვალე ჩემი ცხოვრების ორიენტირი და ყველაფერი იქ დავამთავრე... ადამიანი, რასაც უნდა აკეთებდეს, ეს მისთვის ცხოვრებაში ერთი კარგი გაკვეთილია. ახლა მეღიმება, როცა მახსენდება რით ვიყავი დაკავებული. ამ ყველაფერმა ცხოვრებაში დიდი გამოცდილება მომიტანა. ეს არის მოგონება, რომელიც, ვერ ვიტყვი, რომ ჩემში უსიამოვნო შეგრძნებებს აღძრავს. პირიქით, ღიმილით მახსენდება, რადგან ახლა, ჩემი მხრიდან ამ ყველაფრის სერიოზულად აღქმა აღარ არის მიზანშეწონილი.

## ადამიანი, რომელმაც მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა

6 წლიდან დავიწყე ეკლესიაში სიარული, ძალიან კარგ მოძღვართან დავდიოდი: აღსარებას ვამბობდი, ვიყავი აქტიური მაზიარებელი. სამების საკათედრო ტაძრის გახსნის შემდეგ, გავხდი სტიქაროსანი და მსახურებებში აქტიურად ჩავერთე. შემდეგ ჩემმა თინეიჯერობამ, სამოდელო კარიერამ შეცვალა ბევრი რაღაც: ხანდახან ვიმიზეზებდი, საკუთარ თავს ვაჯერებდი, რომ გადაღება მქონდა, არ მქონდა დრო, ეკლესიაში წავსულიყავი. მოკლედ, ამისთვის მიზეზს ყოველთვის ვპოულობდი. ამის გამო დისტანცია გაჩნდა ჩემსა და ეკლესიას შორის. ორწლიანი სერიოზული ჩავარდნა მქონდა საეკლესიო ცხოვრებაში, მხოლოდ დღესასწაულებზე თუ მივიდოდი ტაძარში და ისიც სანთლის დანთებით შემოვიფარგლებოდი. ჩემი ეკლესიაში დაბრუნება საბერძნეთში მოხდა, როდესაც საცხოვრებლად იქ გადავედი. 5-6 წლის წინ, როდესაც ჩემი ახლანდელი მოძღვარი, ბერძენი არქიმანდრიტი, დელეგაციით საქართველოში იმყოფებოდა, სამებაში ყოფნისას მე მომცეს დავალება: ის ავტომობილამდე მიმეცილებინა. მაშინ გავიცანი იმ დონეზე, როგორც შემეძლო. უფლის განგებით, რამდენიმე წელიწადში მას ისევ შევხვდი. მისი დახმარებითა და უფლის შეწევნით, საბერძნეთში გავაგრძელე ცხოვრება. ის დღეს ჩემი სულიერი მოძღვარია, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა ღმერთს. რომ არა ეს ადამიანი, არ ვიცი, დღეს რა მდგომარეობაში ვიქნებოდი... ასეთ ახალგაზრდა ასაკში ძნელია, დამოუკიდებლად წარმართო შენი ცხოვრება, მაგრამ ღმერთმა, ამ ადამიანის სახით, დიდი საჩუქარი გამომიგზავნა. მან რადიკალურად შეცვალა ჩემი ინტერესთა სფერო, ცხოვრება და დღეს მე მისი დიდი ლოცვისა და ღვაწლის შედეგად, მონასტრის წევრი და სასულიერო პირი ვარ.

## ბერად აღკვეცა

ჩემი მორჩილება და ბერად აღკვეცა შუაგულ საბერძნეთში, მთებში, ერთ-ერთ მონასტერში მოხდა. მორჩილების პერიოდში ერთი რამ ვისწავლე: ადამიანებმა ნებისმიერი სირთულე სახალისოდ უნდა ვაქციოთ, რომ მისი გადალახვა შევძლოთ. მანამდე არასდროს მქონია შინაურ ცხოველებთან შეხება. არ მქონია იმის საშუალება, ფიზიკურად მემუშავა. მონასტერში კი, როდესაც მშენებლობა დაიწყო, მასში მონაწილეობის მიღება მომიწია. ზამთარში შეშაზე ტყეში მივდიოდი. ანუ მორჩილების დროს ვაკეთებდი ბევრ ახალ და საინტერესო საქმეს. ამიტომ, ეს ყველაფერი ჩემთვის გარკვეული ექსპერიმენტი იყო და ნებისმიერ მორჩილებას დიდი ენთუზიაზმით ვხვდებოდი. ბრძოლები არასდროს მთავრდება და სიკვდილამდე მიჰყვება ბერს. მორჩილების პერიოდში საკუთარი თავისთვის დამისვამს კითხვა: იქნებ დაგეცადა, იქნებ სხვა რამ გეცადა? მაგრამ თითოეული ბრძოლის გადალახვის შემდეგ, თავს ბედნიერად ვგრძნობდი იმის გამო, რომ ეს არჩევანი გავაკეთე. ყველა განსაცდელის გადალახვა და დაძლევა შესაძლებელია მოძღვრის დახმარებით, ლოცვითა და სისტემატური აღსარებით... დღეს ჩემი ყოველი დილა იწყება ღიმილით და უფლისადმი მადლობით: იმის გამო, რომ მე მონასტერში მიმიყვანა და ბერი მქვია...



**შემეცვალა აზრები და მივხვდი, რომ საერო ცხოვრება მაინცდამაინც არ მიტაცებდა. ამიტომ მოძღვრის რჩევით, ჩემი გადაწყვეტილებით, სწავლის ორიენტირი შევცვალე და თეოლოგიურ ფაკულტეტზე გადავედი**

სანამ ბერად აღვიკვეცებოდი, ვიცოდი, რომ ჩემს ნაბიჯს დიდი გამოხმაურება მოჰყვებოდა. ამიტომ, ყველაფერი მაქსიმალურად გასაიდუმლოებულად მოხდა. ისე გავიარე მორჩილების პერიოდი, ოჯახშიც არ იცოდნენ, ზუსტად რას ვაკეთებდი. ბერობა, ეს არის ადამიანსა და ღმერთს შორის ურთიერთობა, მათი დიალოგი. ამიტომ, ხმაურს თავს ვარიდებდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მეგობრების უმეტესობა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი იქნებოდა, რადგ-



**მორჩილების დროს ვაკეთებდი ბევრ ახალ და საინტერესო საქმეს. ამიტომ, ეს ყველაფერი ჩემთვის გარკვეული ექსპერიმენტი იყო და ნებისმიერ მორჩილებას დიდი ენთუზიაზმით ვხვდებოდი**

ან დიდი ნაწილი სხვა ამპლუაში მიცნობდა: წარმატებულ, მეტ-ნაკლებად ცნობილ, კარგ მოდელად. მაგრამ, ყველა ადამიანში არსებობს ერთი, დაფარული მხარე, რომელსაც არავინ იცნობს. დღემდე ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ ცოტა ადამიანთან თუ ვყოფილვარ გახსნილი, ცოტასთვის გამიზიარებია ჩემი ფიქრები. ვიცოდი, რომ ბევრი მოწინააღმდეგე გამოჩნდებოდა, ჩემი გადაწყვეტილება საჯარო განხილვის თემა გახდებოდა, ამიტომ საკუთარი თავის დაცვის მიზნით, გადავწყვიტე, ეს ყველაფერი გასაიდუმლოებული ყოფილიყო. ხმაურს ჩემთვის ემოციის დონეზე შეიძლება ბევრი უსიამოვნება მოეტანა. დედამ ჩემი გადაწყვეტილების შესახებ აღკვეცამდე 3-4 საათით ადრე გაიგო, მამამ – ცოტა ადრე. როცა მორჩილად ვეკურთხე, ტელეფონზე დავურეკე და რჩევა ვკითხე. მას ჩემი გადაწყვეტილება ძალიან არ გაჰკვირვებია, ისევე, როგორც ახლო მეგობრებს, რომლებიც მე ყოველთვის ამ ადგილას წარმომიდგენდნენ. რთული იყო, მაგრამ დღეს ბევრი ადამიანი მიესალმება ჩემს გადაწყვეტილებას. თუ ამპარტავნებაში არ ჩამეთვლება, ბევრისთვის ჩემი ნაბიჯი მაგალითი გახდა. დედისთვის რთულია დღემდე ამ ყველაფრის გააზრება. მისი ყოველი ფიქრი ჩემზე ცრემლით მთავრდება. ჩვენ ყოველთვის უახლოესი მეგობრები ვიყავით, დღეს მისთვის ჩემი ნაბიჯი, ცხოვრება გარკვეული ნუგეშია. მას უხარია ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ ხანდახან ძალიან განიცდის – ფიქრობს, რომ დამკარგა, რადგან მისთვის ჩემი ნაბიჯი მაინც გამაოგნებელი იყო.

ბერად აღკვეციდან რამდენიმე თვეში საქართველოში დელეგაციით ჩამოსვლა მომიწია. ერთ-ერთ ღონისძიებაზე ფოტოგრაფის ობიექტივში მოვხვდი, ისე, რომ არც კი ვიცოდი. საღამოს შევიტყვე, რომ ფოტო ინტერნეტში დაიდო და დიდი ხმაური მოჰყვა – ყველამ ყველაფერი გაიგო და ინტერესი დღემდე არ ჩამცხრალა. იმეილზე თუ „ფეისბუქზე“ ძალიან ბევრი შეკითხვა მხვდება. თავიდან ვცდილობდი, სიჩუმე შემენარჩუნებინა, რადგან იმის დრო არ იყო, მელაპარაკა. არც ახლა ვილაპარაკებ იმ მიზეზებზე, თუ რატომ აღვიკვეცე ბერად. მაგრამ, უნდა გამოვრიცხოთ ერთი რამ, რომ, თითქოს, მე რამე სერიოზული შემემთხვა. ბევრი ადამიანის მხრიდან წარმატებული პიროვნების ბერად აღკვეცა გარკვეულ ტრაგედიასთან ასოცირდება. ჩემს შემთხვევაში, დიდება უფალს, არანაირი ტრაგედია არ ყოფილა... უბრალოდ, მე ერთ დღეს გავაცნობიერე – რა იყო ჩემთვის ფასეული, რა უნდა მეკეთებინა. მოხდა შეხვედრა ჩემსა და ღმერთს შორის, დავინახე, რა მდგომარეობაში ვიყავი, დავფიქრდი: ვაკეთებდი თუ არა რამე ღირებულს. ამ ყველაფერმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ საუკეთესო გზა, რომელიც ჩემს სულს ცხონების გზაზე წაიყვანდა, მონასტერში წასვლა და ცხოვრების უფლისთვის მიძღვნა იქნებოდა. ეს ნაბიჯი გადამადგმევინა მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულმა იმ ცხოვრებისადმი, რასაც ახლა ვეწევი, სხვა მიზეზი არ არსებობს.

რაც შეეხება ჩემს ბერულ სახელს – დიონისეს, ბავშვობიდან განსაკუთრებული პატივისცემა მქონდა წმიდა დიონისე არეოპაგელის მიმართ, რომელიც ათენის პირველი ეპისკოპოსი, საოცარი ადამიანი იყო და დიდი ნაშრომები დაუტოვა ეკლესიას. 15 წლის ვიყავი, როცა ჩატარდა კონკურსი ძველი ბერძნული ლიტერატურის ცოდნაში. ორთვიანი კურსი გავიარე და გამოცდის შედეგად პირველობა დავიმსახურე. დაჯილდოების ცერემონიალზე საბერძნეთში გამგზავნეს, 40 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას, საუკეთესო ექვსეულში მოვხვდი. როდესაც მონაწილეები აკროპოლს ვესტუმრეთ, ჩავიარეთ არეოპაგთან, სადაც ძველ საბერძნეთში სასამართლო იმართებოდა, იქ, სადაც პავლე მოციქულმა იქადაგა ქრისტეს შესახებ და სადაც დიონისე არეოპაგელი მოექცა, მაშინვე გამოვეყავი ჯგუფს, კლდეზე ავირბინე. სიხარულის საოცარი შეგრძნება დამეუფლა. საბერძნეთში ბერად აღკვეცის წინ აღსაკვეც ადამიანს ეკითხებიან: რომელიმე წმიდანის მიმართ თუ აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება. ჩემი მოძღვრისთვის ამ ყველაფრის შესახებ მქონდა ნათქვამი და მისი გადაწყვეტილებით, ეს სახელი მებოძა, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ.



**საოცარი ადგილია: გარშემო ფრინველები დაფრინავენ, გარეული ღორები, ირმები დადიან, დათვები ჩამოდიან მონასტერთან. აქ დიდი სიმშვიდის პოვნაა შესაძლებელი**

## ქართველი ემიგრანტების სამსახურში... გზა, რომელიც მუდმივად გრძელდება და სიყვარულით მთავრდება

როდესაც ჩემი ამერიკაში გადმოყვანის შესახებ შევიტყვე, მაშინვე დავმორჩილდი. 9 თებერვალს ამერიკის შეერთებულ შტატებში, დავით აღმაშენებლის მამათა მონასტერში მოხდა ჩემი იეროდიაკვნად ხელდასხმა. მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, ბათუმის, ლაზეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ მაკურთხა იეროდიაკვნად. ამჟამად ვემსახურები ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ეპარქიას. ვეკუთვნი ჩრდილოეთ კაროლინაში სულიწმიდის მამათა მონასტერს, რომელიც უღრან ტყეში მდებარეობს, მოწყვეტილია იმ ხმაურს, რაც გარშემო მუდმივად იგრძნობა. საოცარი ადგილია: გარშემო ფრინველები დაფრინავენ, გარეული ღორები, ირმები დადიან, დათვები ჩამოდიან მონასტერთან. აქ დიდი სიმშვიდის პოვნაა შესაძლებელი. ბერისთვის აუცილებელია, ჰქონდეს ადგილი, სადაც განმარტოვდება, ილოცებს, საკუთარ თავთან დარჩება, იფიქრებს საკუთარ შეცოდებებზე. ამიტომაც დიდი საჩუქარია, რომ ასეთ ხმაურიან ქვეყანაში, არის ადგილი, სადაც შეუძლია თითოეულ ბერს განმარტოვდეს და დარჩეს საკუთარ თავთან. ჩემი აზრით, თითოეული სასულიერო პირი, რომელიც აქ მოღვაწეობს, არის გმირი და მე ბედნიერი ვარ, რომ მაქვს უფლება, ამ გმირების გვერდით ვიმოღვაწეო. მამები სამი წელია, ათასობით მილს გადიან იმისთვის, რომ ტაძარში მივიდნენ, ჩაატარონ წირვა, შეხვდნენ ქართველ სულიერ შვილებს, ანუგეშონ. დღეს ***(ინტერვიუ ჩაწერილია 24 თებერვალს – ავტორი)*** ნიუ-ჯერსიში რომ ჩაგვეტარებინა წირვა, რამდენიმე ათასეული მილის გავლა მოგვიწია, 37 საათი ვიყავით გზაში. მაგრამ ეს ყველაფერი არაფერია იმ სიხარულთან შედარებით, რაც ჩვენ ამ ადამიანებთან შეხვედრისას გვეუფლება. მათ დიდი ნუგეში სჭირდებათ, რადგან შორს ცხოვრობენ სამშობლოსგან, საყვარელი ადამიანებისგან. როცა ვუფიქრდები, რის გაკეთება უწევთ აქ სასულიერო პირებს, ვხვდები, რომ ეს ადამიანის ძალებს აღემატება. მაგრამ, მათ უფლის დიდი შემწეობა აქვთ, რითაც ყველა სირთულეს ლახავენ. ჩვენს ეპარქიას სულ სამი დიაკვანი ჰყავს, ამიტომ მორიგეობით გვიწევს სხვადასხვა სამრევლოში ჩასვლა, მღვდლებისთვის დახმარება. დღეს, როცა საკურთხევლიდან გამოვდიოდი კვერექსის წასაკითხად, ეკლესია სავსე იყო ჩვენი ძმებით, დებით. თვალები ცრემლებით ამევსო. დიდი განსაცდელის, დაშორების მიუხედავად, ჩვენ გვაქვს იმის საშუალება, ერთად ვადიდოთ უფალი და მუხლჩაუხრელად ვემსახუროთ მათ და დედაეკლესიას... უცხოეთში მყოფი ახალგაზრდებისთვის დიდ სირთულეა ახალგაზრდული ცხოვრების ეკლესიურ ცხოვრებასთან შეთავსება. წმიდა მამათა გადმოცემებით, რჯულის კანონით, მართლმადიდებლობა ერთ-ერთი მკაცრი, ფუნდამენტური რელიგიაა, რომლის დაცვა არ არის იოლი. აქ ბევრი ახალგაზრდა გავიცანი და ბედნიერი ვარ მათი ეკლესიის წიაღში მოსვლით, რადგან ახალგაზრდობა, ეს არის ძალა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ფეხზე დააყენებს. ამიტომ, მათზე ზრუნვა, მათ გვერდში დგომა, ჩემთვის დიდი პატივი და სიხარულია.

**ნათია უტიაშვილი**

# რატომ ითვლებოდა იაპონიაში ყოფილი გეიშა სასურველ საცოლედ და როგორ ანიჭებდნენ მამაკაცებს უმაღლესი დონის სიამოვნებას ისინი

(მეთხუთმეტე გვერდიდან)

ძვირია და ამიტომ. კიმონოები, სამკაულები მისი საკუთრება ხდება და ხელშეუხებელია; რა თქმა უნდა, გასამრჯელოც თავად მათ რჩებათ. თუმცა იაპონელის გარეშე იქ მისვლას აზრი არ აქვს, რადგან, ისინი ყველა ჟესტით, მოძრაობით, ცეკვით თუ იკებანათი, სიყვარულზე საუბრობენ და, თუ ეს არ გესმის, უმაღლესი სიამოვნების მიღებაც შეუძლებელია. სხვათა შორის, ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც მფარველსა და გეიშას ერთმანეთი უყვარდებოდათ და ამის გამო იაპონიაში გავრცელებული იყო ორმაგი თვითმკვლელობები – ორივემ იცოდა, რომ მათი ერთად ყოფნა შეუძლებელი იყო.

**– მხიარულ კვარტალში გატარებული თორმეტი წლის შემდეგ გეიშა სად მიდიოდა?**

– მას შეეძლო იქ დარჩენა, მაგრამ, უკვე ასაკში მყოფ გეიშაზე დიდი მოთხოვნა აღარ იყო, თუ, რა თქმა უნდა, რამდენიმე ერთგული მფარველი არ ეყოლებოდა. ისინი, ძირითადად, სახლში ბრუნდებოდნენ და შემდეგ ძალიან სასურველ საცოლეებად ითვლებოდნენ, რადგან, იყვნენ ყოველმხრივ განათლებულები, ჭკვიანები, მორჩილები, დამყოლი ხასიათის და ასეთი ქალის ცოლად შერთვა საკმაოდ პრესტიჟულად მიიჩნეოდა.

**– მამაკაცები მათ განსხვავებულად ექცეოდნენ და არა ისე როგორც მეძავს კლასიკური გაგებით?**

– რა თქმა უნდა, ერთგვარი მოწიწება, სინატიფე და სინაზე იყო გეიშებთან ურთიერთობაში. შეიძლება, მამაკაცთან საუბარში, მისთვის ცეკვაში ან დაკვრაში გაეტარებინა გეიშას მთელი საღამო. რა თქმა უნდა, სექსის ხელოვნებასაც ძალიან მაღალ დონეზე ფლობდნენ. იგივე „კამასუტრა“ და სხვა წიგნები მიუთითებს იმაზე, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ სექსუალურ ურთიერთობას. იაპონელს ძალიან ბევრი აკრძალვა, დოგმა ჰქონდა; ბევრი რამის უფლება არ ჰქონდა ცხოვრებაში და მას ამ აკრძალვებს უწესებდა როგორც რელიგია, ისე სიუგუნი – მმართველი. კონფუციანიზმის შემდეგ კი მათ თავისუფლება მიენიჭათ სიყვარულში.

**სალომე გველესიანი**

**„შავფაროსნების" წევრი ბაქარ ნათენაძე ქართულ საბრძოლო ხელოვნებას ადრეული ასაკიდან ეზიარა – მას შინ რამდენიმე მამაპაპეული, ძველი და ძვირფასი სატევარი აქვს, სახელოსნოში კი საბრძოლო საჭურველს ამზადებს, რომელთა შორის მუზარადი და „ფარეშიანი", ანუ, მოქლონიანი ჯაჭვის პერანგიც არის, რომლის დამზადებაც ცნობილი ქართველი ხელოვანისა და რესტავრატორის, ბატონი გოჩა ლაღიძისგან ისწავლა.**

# რა სასჯელი იყო დაწესებული ხევსურეთში კაცის მოკვლისთვის და რით გააოცეს „შავფაროსნებმა" რომაელები

**– ბაქარ, ცოტა ხნის წინ თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები რომში იყვნენ. როგორ მიიღო ქართული საბრძოლო ხელოვნება იქაურმა საზოგადოებამ?**

– სხვათა შორის, ახლაც მიმდინარეობს მოლაპარაკება – მიწვევა გვაქვს რომიდან და, ვფიქრობთ, რომ წელს უფრო მასშტაბური სანახაობა გავაკეთოთ. ყველა ქვეყნიდან იყო ხალხი ჩასული – რუსები, გერმანელები... ყველას, ჩვენ გარდა, რომაელი ლეგიონერის ალკაზმულობა ემოსა, ჩვენ კი ხევსურული სამოსი, ჯაჭვის პერანგები ჩავიცვით, თან, წინასწარ კი არ გვქონდა დადგმული, ექსპრომტად ვაკეთებდით ყველაფერს, რამაც უცხოელებში დიდი მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია. ღია ცის ქვეშ გაიმართა წარმოდგენა – წაღებული ჰქონდათ ჩემი გაკეთებული პერანგები, ჩაბალახები, მშვილდები... რომის ცენტრალურ პიაცაზე გავმართეთ სანახაობა. ამ ფესტივალს „ნატალი რომა" ჰქვია.

**– შესყიდვითაც თუ დაინტერესდა ვინმე?**

– უცხოელებს ძალიან აინტერესებდათ ქართული იარაღი, მაგრამ, ჩვენ ამ კუთხით არ შეგვითავაზებია – რეკლამა სჭირდება ამ ყველაფერს... ჯერჯერობით ექსპონატებს ნაკლებად ვამზადებთ. რაც გვჭირდება საფარიკაოდ ან ორთაბრძოლებისთვის, იმას ვაკეთებთ; მაგალითად, ფარიკაობისას მუდმივად ვიღებთ ტრავმებს – ხელები სულ დაჩეხილი და დასისხლიანებული მქონდა, ძვალი – დაზიანებული... ავდექი და გავაკეთე ჯაჭვის ხელთათმანები, რომელსაც „საბუხრეები" ეწოდება.



**ვაჟა-ფშაველა და მისი ძმა იყვნენ შესანიშნავი მოკრივეები, თბილისის კრივშიც („სალდატსკი" კრივს უწოდებდნენ) იღებდნენ მონაწილეობას. გორის სემინარიაში შიო მღვიმელთან ერთად სწავლობდნენ და შიო იგონებს, ყოველთვის ქვედა უბნის მხარეს იყვნენ რაზიკაშვილები და, ვაჟა ვის მხარეზეც იყო, ის იმარჯვებდაო**

**– ესე იგი, ორთაბრძოლების დროს ნამდვილად ზიანდებით?**

– დიახ, ტრავმებსაც ვიღებთ ხოლმე. ერთხელ თავში მომხვდა ხმალი, ავდექი და გავაკეთე მუზარადი: ახლა, სატევარს მართლა ხომ არ გაუყრი მოწინააღმდეგეს! ერთმა სვანმა მოხუცმა გვითხრა: სატევარი ისე უნდა გაუყარო მტერს, უკანა მხარეს მამალი ჩამოჯდესო *(იცინის)*. სვანეთში ვიყავით ექსპედიციაში და იქ შევხვდით მოხუცებს, რომლებიც ბრძოლის ნამდვილი ოსტატები იყვნენ. ჩემი მასწავლებელი ეკითხება ერთ-ერთს, როგორ უნდა გამოვიყენოთ პირველი სწრაფი შეტევისთვის სატევარიო და, სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, ხანჯალი მუცელზე ჰქონდა მიბჯენილი. მესტიის მუზეუმში დაცულია მთელ მსოფლიოში უნიკალური – სამკაპა და ორკაპა მშვილდები, რომელსაც მთელ დედამიწაზე არ აქვს ანალოგი. სვანეთში არბალეტებსაც ხმარობდნენ მას შემდეგ, რაც კოშკების შენება დაიწყეს. სვანურად ამას „ცხემადი" ჰქვია – ისეთი ფორმისაა, სამი მშვილდი გაქვს ერთის მაგივრად. სამწუხაროდ, არც მფლობელის ვინაობა, არც საგვარეულო არ არის ცნობილი, თუმცა, სავარაუდოდ, სათავადო იარაღია და საკმაოდ რთული ტექნოლოგიით მზადდება: ორთქლზე მოხარშვით, ბიოლოგიური დამუშავებით. გამოიყენება ხე, რქა და მყესი. ბატონ გოჩა ლაღიძეს მივაწოდე ფოტოები და შემპირდა ასლის დამზადებას. ისე, მე ვაკეთებ შედგენილ, რამდენიმეფენიან მშვილდებს – ძალიან მინდა, აღდგეს ტრადიციული, ქართული მშვილდოსნობა. ქართველები ნადირობისას ცეცხლსასროლ იარაღს არ იყენებდნენ, მშვილდით ჩაუქობა იყო ვაჟკაცობა. „გმირთა ვარამშია" ასეთი მომენტი – ალექსანდრე, კახთა მეფე ამბობს: ვინც ნადირობისას თოფი იხმაროს, ლაჩარი იყოს, მშვილდშუბი უნდა გვიჭრიდესო. ახლა „არჩერის" ისეთი მაგარი იარაღია შემოსული, მშვილდს აღარავინ ხმარობს, მაგრამ, არანაკლები სისწრაფე და ეფექტი აქვს.

**– საქართველოში ამჟამად ვინ არის იარაღის ყველაზე ცნობილი ოსტატი?**

– არნოლდ თეთრუაშვილი იყო, რომელიც, სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. ის ამზადებდა იარაღს ცნობილი და მდიდარი უცხოელების შეკვეთით. მისი ნამუშევრების უმრავლესობა კერძო კოლექციებშია დაცული. ანტიკვარული იარაღიც ბევრია საქართველოდან გაზიდული, განსაკუთრებით, 90-იან წლებში – მშრალი ხიდი სულ დააცარიელეს. ყველაზე მეტად ხანჯლები გადიოდა, საჭურველიც... მეც მაქვს შინ მამაპაპეული ხანჯლები, ერთ-ერთი მათგანი ამას წინათ გათხრებისას აღმოვაჩინეთ – ორ მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა ადამიანის ძვლები და საკმაოდ კარგად შენახული სატევარი – დაახლოებით მეთვრამეტე საუკუნის იარაღია. ლითონი დაჟანგული და კოროზირებული არ იყო, მარტო ტარი ჰქონდა დამპალი. მინდა, რესტავრაცია გავუკეთო.

**– თქვენ თვითონ როდის დაინტერესდით ამ საქმით?**

– ძალიან ადრეული ასაკიდან – მამა მყავს ხელოსანი და მან მაზიარა. 12 წლიდან ხეზე, ბზაზე ვმუშაობდი. დანებს ვაკეთებდი და მეგობრების ვჩუქნიდი – სანადიროს, საბრძოლოს... 16 წლის ასაკში „შავფაროსნებში" მივედი. სხვათა შორის, წინათ იარაღის გარდა, მუშტი-კრივიც ძალიან პოპულარული იყო საქართველოში. ვაჟა-ფშაველა და მისი ძმა იყვნენ შესანიშნავი მოკრივეები, თბილისის კრივშიც („სალდატსკი" კრივს უწოდებდნენ) იღებდნენ მონაწილეობას. გორის სემინარიაში შიო მღვიმელთან ერთად სწავლობდნენ და შიო იგონებს: ყოველთვის ქვედა უბნის მხარეს იყვნენ რაზიკაშვილები და, ვაჟა ვის მხარეზეც იყო, ის ყოველთვის იმარჯვებდა ხოლმეო. მთაში უფრო გოროზი და ხისტი ხალხია – ქალებიც, სხვათა შორის, უფრო მკაცრები არიან. წელს ყაზბეგში წავედით – არსის ციხეზე ვიყავით. იქ ჩანჩქერებია და ძლივს ავედით – გული ხელით გვეჭირა და, წარმოიდგინე, იქაურ ქალებს ყოველდღე საქონელი აჰყავთ იქ წყლის დასალევად *(იცინის)*. ქალებიც იბრძოდნენ და კაცებიც – კოშკიდან კაცი რომ თოფს ისროდა, ქალი იარაღს ტენიდა მანამდე. იარაღიც ჰქონდათ ქალებს, თან, საკმაოდ მძიმე...

**– რომელ ქვეყნებში ყოფილხართ „შავფაროსნები," გარდა იტალიისა?**

– თურქეთში, გერმანიაში...

**– თურქეთში არ გკითხეს, ამით გვებრძოდითო?**

– კი, მკითხეს *(იცინის)*. არ მიწყინონ, მაგრამ, განსაკუთრებული კულტურა ამ მხრივ არ აქვთ თურქებს – სავსეა სტამბულის მუზეუმი ქართული ხმლებით. ბოლო პერიოდში – მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში, ქართულმა ხმალმა ფორმა შეიცვალა – გამსუბუქდა და ბოლოში გაიღუნა ცოტა, ვითომ სპარსული და თურქული კულტურის გავლენით, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. აღმოსავლური ხმალი ტარიდანვე გახრილია – ნახევარმთვარის ფორმისაა. ვახტანგ გორგასლისა და ალმაშენებლის ხმლები, მაგალითად, დაახლოებით, 36-40 კილოგრამს იწონიდა. მაშინ რკინა უფრო უხარისხო იყო, ტექნოლოგია კი – ნაკლებად განვითარებული. შემდეგ ფოლადის წრთობა დაიწყო და რკინის დაგრეხაც ისწავლეს. საქართველოს მუზეუმებში, ასევე დაცულია აღმოსავლური ხმლები, ასევე, ჩრდილო-კავკასიური, დაღესტნური... რომლებსაც მოოქრული ტარი აქვს და ზედ ყურანის სურებია ამოკვეთილი. არის ევროპული იარაღი, რომელიც გადაკეთებული და გაქართულებულია, მაგალითად, იტალიური ხმლები. ცნობილი „დავითფერული" იტალიაშია ნაჭედი – „დავით ფერარა", რომელიც გაქართულებულია.

**– ეს მუზარადი თქვენი დამზადებულია?**

– დიახ, ჩემია. საქართველოში მთავარი, მასიური ლითონისგან დამზადებული ჩაჩქნები არ გვხვდება, ძირითადად ჯაჭვიანებია, თუმცა, ეროვნული მუზეუმის იარაღის საცავში შეაღწევა ძალიან რთულია, ამიტომ, რაც იქ ინახება, აზიური ფოტოებიდან ვიცი, რქებიანი ჩაჩქანიც მინახავს. ზოგადად, კავკასიაში ჯაჭვიანი მუზარადი იყო გავრცელებული, საცხვირითა და აუცილებლად სამაგრით, რომ მეომარს თავიდან არ მოსძრობოდა. ვამზადებ, ასევე, მათრახებს; ეს საცხენოსნო მათრახია, რომელიც, შეიძლება, გამოიყენო ბრძოლაშიც – საბრძოლო მათრახის სიგრძე 7 მხარია. წმიდა გიორგის მათრახი, ქართული თქმულების მიხედვით, 63 მხრის სიგრძეა.

**– ჯაჭვის პერანგებსაც ამზადებთ?**

– დიახ, ვამზადებ. ბატონმა გოჩა ლაღიძემ ფარეშანი, ანუ, მოქლონიანი ჯაჭვის პერანგის დამზადება მასწავლა. ძალიან შრომატევადი და რთული საქმეა – ეს არის რგოლებიანი ჯაჭვი, რომლის რგოლები ერთმანეთთან სამაგრებით არის დაკავშირებული. ვცდილობ, ეს ყველაფერი პრაქტიკაში გამოვიყენო – მინდა, სამომავლოდ საგამოფენო ექსპონატები დავამზადო. ჯაჭვის პერანგს თვე-ნახევარი ვაკეთებდი.

**– კასტეტებს ანუ „ღაჯიებსაც" ამზადებთ, მგონი.**

– დიახ, მეც და ჩემი მოწაფეც. ერთ, ორ, სამთითიანს, ბეჭდადაც მიკეთია ხანდახან. საკმაოდ დიდ დაზიანებას აყენებდა მტერს. მაკალათია წერს: თუ მთის მცხოვრებს ღაჯიათი სახეზე ჭრილობა არ

**ვახტანგ გორგასლისა და ალმაშენებლის ხმლები, დაახლოებით, 36-40 კილოგრამს იწონიდა. მაშინ რკინა უფრო უხარისხო იყო, ტექნოლოგია – ნაკლებად განვითარებული**

ჰქონდა მიყენებული, ის კარგ ვაჟკაცად არ ითვლებოდა და, შესაბამისად, დაცინვისა და მასხრად აგდების ობიექტიც ხშირად ხდებოდაო. ქორწილებსა და ნიშნობებშიც ძალიან პოპულარული იყო ამ იარაღით ჭრა – „კეჭნაობა", ორთაბრძოლები, თუმცა, ბოლოს რიგდებოდნენ ხოლმე. იშვიათად, იქ კაცი დაღუპულიყო. კაცის მოკვლა ძალიან დიდ ცოდვად ითვლებოდა და მკვლელის ოჯახს მოკლულისთვის 60 ძროხა უნდა გადაეხადა, 60 ძროხა კი ხანდახან მთელ თემშიც არ ჰყავდათ ხოლმე.

**ქეთი დიდებულიძე**

# სამკვირიანი დიეტა

ამ დიეტის დასაწყებად თავიდან მოსამზადებელი პერიოდის გავლაა საჭირო, უშუალოდ დიეტის დასრულების შემდეგ კი – ეგრეთ წოდებული „რეაბილიტაციის პერიოდის“. ამიტომ, მთლიანობაში, ეს სამკვირიანი დიეტა საკმაოდ ხანგრძლივი გამოდის – 3 კვირას მოიცავს: პირველი კვირა – „მოთელვა“, მეორე კვირა – უშუალოდ დიეტა, მესამე კვირა – რეაბილიტაცია. მაგრამ, სამაგიეროდ, ეფექტი აქვს არაჩვეულებრივი იმ თვალსაზრისით, რომ შედეგიც შეუქცევადია (თუ, რა თქმა უნდა, დიეტის დასრულების შემდეგ გაძლიერებულ კვებაზე არ გადახვედით და ჭამით არ მოიკალით თავი) და, თანაც, არ გაგიჭირდებათ იმ ძირითადი შუა კვირის დაცვა, რადგან თქვენი ორგანიზმი უკვე მზად იქნება მინიმალური რაოდენობის პროდუქტით დაკმაყოფილებისთვის.



„მოთელვის“ დღეებში თანდათან უნდა შეამციროთ საკვების რაოდენობა; ნელ-ნელა მინიმუმამდე დაიყვანოთ პურის მიღება (იგულისხმება შავი ცხვილი პური; სხვა სახის პური გეკრძალებათ) – დღეში 2 პატარა ნაჭრამდე; რაციონიდან თანდათანობით ამოიღოთ ტკბილეული, ცომეული, ცხიმიანი და მწარე-ცხარე კერძები; შეაჩვიოთ ორგანიზმი, რომ საღამოს 6 საათის შემდეგ არანაირი საკვები აღარ მიიღოთ.

სასურველია, თუ „რეაბილიტაციის“ დღეებს ერთ კვირას კი არა, მთელ თვეს გააგრძელებთ (უფრო მეტ ხანსაც შეიძლება), რადგან, ამ რეჟიმით ორგანიზმი ახალ „პროგრამაში“ ჩაჯდება და დაკლებული კილოგრამები არათუ აღარ დაგიბრუნდებათ, არამედ, კიდევ უფრო მოაკლდება.

„რეაბილიტაცია“ გულისხმობს იმას, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში (ვთქვათ, წვეულებაზე ხართ), შეგიძლიათ, ერთი ნაჭერი ხაჭაპური და ერთი ნაჭერი ნამცხვარიც კი მიირთვათ, ოღონდ, სამაგიეროდ, მეორე დღეს უარი უნდა თქვათ ვახშამზე, ან, მხოლოდ ერთი ცალი ვაშლით ან ერთი ჭიქა უცხიმო მაწვნით ივახშმოთ. ხანდახან უფლება გეძლევათ, შემწვარ-მოხრაკულებიც მიირთვათ, ოღონდ, ძალიან მცირე რაოდენობით. ჭამის შემდეგ კი სასურველია, 10 წუთი მაინც იაროთ.

რაც შეეხება უშუალო დიეტას, აქაც არაფერია განსაკუთრებული. კვირის 7 დღიდან თითოეული დღე უნდა გამოყოთ მხოლოდ ერთი სახის პროდუქტისთვის, მაგალითად:

**პირველი დღე** – 500 გრამი უცხიმო ხაჭო – 5-ჯერად;

**მეორე დღე** – 1 ლიტრი უცხიმო მაწონი (ან იოგურტი) – 5-ჯერად;

**მესამე დღე** – 500 გრამი მოხარშული საქონლის მჭლე ხორცი – 5-ჯერად;

**მეოთხე დღე** – 500 გრამი კომბოსტოსა და 500 გრამი სტაფილოს უმი სალათა მწვანილებითა და 1 სადილის კოვზი ზეთით (შეგიძლიათ, ეს ყველაფერი ოდნავ ჩაშუშოთ) – 5-ჯერად;

**მეხუთე დღე** – 1 კილოგრამი მოხარშული უცხიმო თევზი (ხეკი) – 5-ჯერად;

**მეექვსე დღე** – 300 გრამი უცხიმოდ მოხარშული წიწიბურა (ცოტა მარილით) ან, ამდენივე „ჰერკულესის“ ფაფა – 5-ჯერად;

**მეშვიდე დღე** – 1 კილოგრამი ვაშლი – 5-ჯერად.

ტრადიციისამებრ, დღეში უნდა მიიღოთ 2 ლიტრი სითხე, ოღონდ, ან ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ან ჭამიდან ნახევარი საათის შემდეგ, თითო ჩაის ჭიქა. ნებადართულია: უშაქრო მწვანე ჩაი, გაზგასული მინერალური წყალი, ჩვეულებრივი სასმელი წყალი ან ახალგამოწურული ხილისა და ბოსტნეულის წვენები.

წარმატებას გისურვებთ!

# როგორ შევახამოთ ფერები მაკიაჟის გაკეთების დროს

### ყავისფერი + ბორდო

ბორდოსფერი პომადა ითხოვს მსუბუქ რუჟს. ძალიან თეთრი კანის ფონზე ასეთი ფერის ტუჩის საცხი სახეს ვამპირის იერს სძენს. თუ თვალების ქვეშ მუქი წრეები გაქვთ, ყავისფერი „ჩრდილი“ მხოლოდ ზედა ქუთუთოებზე წაისვით. თვალებზე გაიკეთეთ წვრილი კონტურები (ორივე ქუთუთოზე, შიდა კუთხეებიდან გარეთა კუთხეებისკენ, „ისრების“ გარეშე). წამწამები მსუბუქად დატუშეთ. ღაწვებზე მსუბუქად გადაისვით ბაცი კაკაოსფერი რუჟი.



### ყავისფერი + ბეჟი

შეარჩიეთ ერთი ტონალობის პომადა და თვალების „ჩრდილი“, ოღონდ, არა მუქ ფერებში. სასურველია, თუ ორივეს ტექსტურა შეიცავს სადაფის ბზინვარებას. ტუჩებზე საცხის ზემოდან გადაისვით „ბლესკი“ და თქვენი სტილი ზომიერად სადა და საოცრად დახვეწილი იქნება. არ დაგავიწყდეთ ღაწვებზე ბეჟი ფერის რუჟის გადასმა.

### შავი + ვარდისფერი

თვალების გარე კუთხეებიდან საფეთქლებისკენ მიმართული შავი ფანქრით ან „ლაინერით“ დახატული ისრები, ზედა ქუთუთოებზე ითხოვს ღია ფერის ჩრდილებს: ბაც კაკაოსფერს ან ბეჟს, სადაფისფერს კი იმ შემთხვევაში, თუ მაკიაჟს საღამოს წვეულებაზე წასასვლელად იკეთებთ. სახეზე უნდა წაისვათ თქვენი კანის ფერთან შედარებით ნახევარი ტონით მუქი ტონალური, ტუჩებზე – მუქი ვარდისფერი ტუჩის საცხი, ღაწვებზე კი, ოდნავ შესამჩნევად – ეგრეთ წოდებული „ჭუჭყიანი ვარდისფერი“ რუჟი.

### ოქროსფერი + ნარინჯისფერი

ნარინჯისფერი ტუჩის საცხი აქცენტს აკეთებს კანის ფერზე. თუ თქვენ სახეს სიწითლე გადაჰკრავს, წაისვით ბაცი ხორბლისფერი ტონალური და ჩაის ვარდის ფერის მქრქალი პომადა – ის სინაზეს მიანიჭებს თქვენს სახეს. ზედა ქუთუთოებზე ფართოდ გადაისვით მუქი ოქროსფერი „ჩრდილი“, ქვედა ქუთუთოებზე კი – ვიწრო ზოლად. ზედა წამწამები დაიტუშეთ, ქვედა წამწამების ქვეშ, ქუთუთოს შიდა მხრიდან, გაიკეთეთ წვრილი შავი კონტური, ღაწვებზე კი გადაისვით დაბინდული ნარინჯისფერი რუჟი.

### ოქროსფერი + ტერაკოტი

თუ მუქი ქერა ან ღია წაბლისფერი თმა გაქვთ, მოგიხდებათ მაკიაჟი შემდეგ ფერებში: სახეზე – თქვენი კანის ფერი ტონალური; ზედა ქუთუთოებზე – ოქროსფერი „ჩრდილი“; ღაწვებზე – ამავე ტონალობის რუჟი; ტუჩებზე – ტერაკოტისფერი პომადა. ასეთი მაკიაჟი ძალიან მოუხდებათ მათაც, ვისაც მონაცრისფრო-მოცისფრო თვალები აქვთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: წლის რომელ დროს არის რეკომენდებული პილინგის გაკეთება და რა სახის პილინგის გაკეთებას მირჩევთ სახლის პირობებში?**

**პასუხი:** პილინგის საშუალებით ხდება კანის ტონის (ფერის) გათანაბრება. უმჯობესია, ამ მეთოდს ზამთარში იშვიათად მიმართოთ, რადგან, კანი დაკარგავს დამცავი ბარიერის აღდგენის უნარს. ნებადართულია კვირაში მხოლოდ ერთი პროცედურა რბილი საშუალებებით, მაგალითად: ენზიმური პილინგი ფერმენტების ფუძეზე – ის ჩვეულებრივ სკრაბებზე გაცილებით უფრო დელიკატურია, არ აზიანებს კანს პატარა ფხაჭნია ნაწილაკებით. მაგრამ, მათი ძირითადი ღირსება ისაა, რომ აუმჯობესებს კანში პროცესების ცვლას, ახალი უჯრედების წარმოქმნას და გლუვსა და თანაბარს ხდის კანის რელიეფს.

**კითხვა: გთხოვთ, მირჩიოთ, როგორი ვარცხნილობა, მაკიაჟი და სამკაული უნდა გავიკეთო დეკოლტირებულ კაბაზე (სადღესასწაულო წვეულებაზე)?**

**პასუხი:** მთავარია, სწორად განათავსოთ აქცენტები. თუ ღრმად დეკოლტირებულ კაბას იცვამთ, უარი თქვით რთულ, გადატვირთულ ვარცხნილობაზე. თუ მოკლე თმა გაქვთ, დაივარცხნეთ სალონში ისე, რომ თმის მოცულობა მოგემატოთ; გრძელი თმის



შემთხვევაში კი მოგიხდებათ სადად გადავარცხნილი და კეფაზე დახვეული ვარცხნილობა – ეს უფრო მაღალს აჩენს ყელს და ხაზს უსვამს თვალების განსაკუთრებულ სხივს.

მაკიაჟის გაკეთებისას დაიცავით ზომიერება. თუ აქცენტის გაკეთებას თვალებზე აპირებთ, უნდა წაისვათ ძალიან ბაცი რუჟი და მკრთალი ვარდისფერი ტუჩის საცხი.

რაც შეეხება სამკაულს, აქაც მაქსიმალური სისადავე უნდა დაიცვათ: მოკლე საყურეები და ძეწკვზე ჩამოკიდებული პატარა კულონიც კი ასეთ შემთხვევაში ძვირფას კოლიედ „გადაიქცევა“. ბეჭედი უნდა შეუხამოთ საყურეს, ოღონდ, ცხადია, ეს სამკაული არ უნდა იყოს იაფფასიანი ბიჟუტერია.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რატომ დახვრიტეს ცნობილი საბჭოთა მეცნიერ-ფიზიკოსი

## თათბირი „მურში“

მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს („მური“) უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ვიქტორ მატვეევი ოპერატიულ თათბირს ატარებდა, რომელსაც ყველა განყოფილების უფროსი ესწრებოდა. თათბირზე ერთადერთი განსახილველი საკითხი იდგა და ის ბოლო ოთხი თვის განმავლობაში მოსკოვში ჩადენილ ბინის ქურდობებს ეხებოდა. მსგავსი დანაშაული მოსკოვში ყოველდღე ხდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა საყოველთაოდ ცნობილ, მდიდარ პიროვნებებს. სწორედ მათ ბინებს ქურდავდა ჯერჯერობით უცნობი ბოროტმოქმედი და თან, ისეთი ოსტატობით აკეთებდა ამას, რომ ოპერმუშაკებმა მოუხელთებელი უწოდეს. ქურდი არც არავის ენახა და არც რაიმე მნიშვნელოვან კვალს ტოვებდა დანაშაულის ადგილზე. თუმცა, მილიციამ დანამდვილებით იცოდა, რომ მოუხელთებელი მარტოხელა კრიმინალი იყო და მის მიერ ჩადენილი 12 ქურდობის შედეგად, მოქალაქეებმა 240 ათასი მანეთით იზარალეს. დაზარალებულთა შორის სხვადასხვა კატეგორიის ხალხი აღმოჩნდა. საერთო ჰქონდათ ის, რომ ცნობილები და შეძლებულები იყვნენ. სწორედ ამის გამო შეკრიბა მატვეევმა თითქმის მთელი „მური“ და განაცხადა:

– ამის ატანა აღარ შეიძლება. დანაშაულის ხარისხსა და სიხშირეზე რომ არაფერი ვთქვათ, საქმე მუნდირის ღირსებას ეხება და ამ საქმით პირადად ჩვენი მინისტრია დაინტერესებული. მას ყოველდღე ურეკავენ და ქურდის შეპყრობას სთხოვენ. აქ კი იმიტომ მოგიწვიეთ, რომ თითოეულმა თქვენგანმა გააძლიეროს მუშაობა და ის მოუხელთებელი ერთობლივი ძალებით შევიპყროთ.

მატვეევმა კიდევ ათიოდე წუთი ილაპარაკა და თათბირი დახურულად გამოაცხადა. სამუშაოს დაუბრუნდა 34 წლის მაიორი ავთანდილ ჭელიძე, რომელიც ქურდობების განყოფილების უფროსის მოადგილე იყო და თათბირს შვებულებაში მყოფი უფროსის მაგივრად ესწრებოდა.



## მკვლელობა

უზარმაზარი მუხის კარი უხმაუროდ გაიღო და საშუალოზე ოდნავ მაღალი ახალგაზრდა ბინაში ფეხაკრეფით შევიდა. ამ დროს კედლის საათმა ორჯერ დარეკა, რაც ნიშნავდა, რომ ღამის 2 საათი შესრულდა. ახალმოსულს სპეციალური, ჯიბეებიანი ჟილეტი ეცვა, რომელსაც შავი სპორტული მოსაცმლის ქვეშ მალავდა. მან მწვანე ფანარი აანთო და

**ქურდმა ნაძარცვი ნივთები სპეციალურ ჟილეტში ჩაილაგა და ბინიდან უნდა გასულიყო, რომ სახლში ვიღაც შემოვიდა**

ჩაბნელებული ბინის თვალიერებას შეუდგა. მერე ძველებურ კარადას მიუახლოვდა, ფანარი მიანათა, რეზინის ხელთათმანები ჩაიცვა, კარი გამოაღო და ძვირფასეულობა და ფული ჟილეტის ჯიბეებში ჩაილაგა. ბოლოს ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული, მეთვრამეტე საუკუნის ჯიბის საათიც ჩაიდო, ქურქი შეიკრა, ფანარი ჩააქრო და ფეხაკრეფით გაემართა კარისკენ. მაგრამ, უცებ შედგა, მიაყურადა და უკან დაიხია. მერე კი ორადგილიანი საწოლის ქვეშ შეძვრა, რადგან ბინაში ვიღაც შემოვიდა. საწოლის ქვეშ გასუსულ ქურდს ჯერ ბუნდოვნად ესმოდა ხმები, მერე კი მკაფიოდ გაარკვია, რომ ბინაში ორი ადამიანი – ქალი და მამაკაცი შემოვიდა. წყვილმა ხვევნა-კოცნა დაიწყო და იმ საწოლზე მიეცნენ ვნებას, რომლის ქვეშაც ქურდი იმალებოდა. გული რომ იჯერეს, მამაკაცმა ქალს რაღაც საბანკო ანგარიშზე დაუწყო ლაპარაკი და ნომრის დასახელებას სთხოვდა. ქალი უარზე იყო. ბოლოს ჩხუბი მოუვიდათ და მამაკაცმა ქალს ცემა დაუწყო, თან, დაჟინებით სთხოვდა საბანკო ანგარიშის ნომრის დასახელებას... ყველაფერი ქალის მკვლელობით დასრულდა. მართალია, ქურდი, ვერ ხედავდა ჩხუბს, მაგრამ ყველაფერი მშვენივრად ესმოდა და იმასაც მიხვდა, თუ როგორ შემოაკვდა კაცს ქალი. მკვლელმა პარტნიორს ჩხუბის დროს საფეთქელი საწოლის კუთხეზე ჩამოარტყმევინა.

– მოკვდა ეს ძუკნა, მაგრამ საბანკო ანგარიშის ნომერი მაინც ვერ დავაცდენინე... – კბილებში გამოსცრა მამაკაცმა და ფეხაკრეფით გავიდა ბინიდან.

ათიოდე წუთის შემდეგ, საწოლის ქვეშიდან ქურდიც გამოძვრა და მოკლულ ქალს დახედა. გვამი პირქვე ეგდო. შემდეგ მანაც ფეხაკრეფით დატოვა იქაურობა. კაცი სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა ღამის მოსკოვის გაჩახჩახებულ ქუჩებში. ერთი კილომეტრი რომ გაიარა, ტელეფონ-ავტომატთან შეჩერდა, მილიციის ნომერი აკრიფა და შეცვლილი ბოხი ხმით უთხრა:

– გაცნობებთ, რომ სანაპიროს სახლის №10 ბინაში მოკლული ქალის გვამია. მე ის ბინა გავქურდე და დანაშაულს შემთხვევით შევესწარი.

ქურდმა ყურმილი დაკიდა. შემდეგ კიდევ ორასიოდე მეტრი გაიარა და სიბნელეში გაუჩინარდა.

## მოუხელთებელი ქურდი

მატვეევის თათბირიდან გამოსულმა ავთანდილ ჭელიძემ მოუხელთებელი ქურდის შეპყრობის გეგმა შეიმუშავა. აღნიშნული საქმეების ანალიზმა ცხადყო, რომ ქურდი ზეინკალი იყო. ამის დასკვნის საფუძველს ექსპერტიზა იძლეოდა, რომელმაც დაადგინა, რომ ყველა გაქურდული ბინა არა „ატმიჩკით“, არამედ გასაღებით იყო გაღებული. გასაღები კი, სავარაუდოთ, საკეტის ანაბეჭდით დამზადდა. მსგავსი რამის გაკეთება მხოლოდ ზეინკალს შეეძლო. გასაღებების ყველა ხელოსანი სპეციალურ აღრიცხვაზე იყო აყვანილი. ჭელიძემ შემოწმება დაიწყო, რაც ურთულესი საქმე იყო. მოსკოვში ათასობით ზეინკალი ცხოვრობდა და მათი შემოწმება დიდ დროს მოითხოვდა. გარდა ამისა, ქურდი ზეინკალი შეიძლება, სულაც, ჩამოსული ყოფილიყო, რაც მისი აღმოჩენის შანსს ამცირებდა. მიუხედავად ამისა, ჭელიძის ოპერჯგუფმა ბოლო ქურდობიდან სულ რაღაც სამი დღის შემდეგ, მოსკოვის 132-ე სასწავლებლის სტუდენტი, 18 წლის ტანწერწეტა გოგონა, რიტა მალცევა დააპატიმრა. მალცევა „საზეინკლოზე“ სწავლობდა და როგორც მასწავლებლები ახასიათებდნენ, ოქროს ხელები ჰქონდა. გოგონაზე გასვლა ოპერმუშაკებმა ჭელიძის ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით შეძლეს. ჭელიძე ვარაუდობდა, რომ ქურდი, შესაძლოა, ქალი ყოფილიყო. რიტა მალცევა კი მოსკოვში ერთადერთი ზეინკალი ქალი აღმოჩნდა, მილიციელებს გაუმართლათ. გოგონამ აღიარა, რომ სწორედ მან დარეკა ქუჩიდან მილიციაში დაბოხებული ხმით და მორიგეს მკვლელობის ამბავი შეატყობინა. მკვლელობა პროფესორ ლეონიდ ლენსკის ბინაში მოხდა. მოკლული მისი 30 წლის მეუღლე გახლდათ. თავად ლენსკი ამ დროს სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა კანადაში. 41 წლის ლენსკი ფიზიკოსი იყო და ხელი მიუწვდებოდა საიდუმლო პროექტებზე თავდაცვის სფეროში. ამ საქმეს თავიდანვე „კაგებე“ იძიებდა, თუმცა ვერ გაეგოთ მკვლელობის მოტივი. მაგრამ, რიტას დაკავებამ და მისმა ჩვენებამ, თითქმის ნათ-

ელი მოჰფინა ყველაფერს და უშიშროებას ეჭვი გაუჩნდა, რომ ლენსკი სამხედრო საიდუმლოებებს ჰყიდდა უცხოეთში. ამისთვის კი მას ფულს საიდუმლო ანგარიშზე ურიცხავდნენ. რის შესახებაც პროფესორის ცოლმა იცოდა და საყვარელსაც ამიტომ შემოაკვდა.

„კაგებემ“ ამ ვერსიაზე მუშაობა გააძლიერა და მოკლული ქალის საყვარლის ძებნას შეუდგნენ.

**მკვლელი**

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორი ლენსკის მეუღლის, ანა ზორმანის მკვლელობას „კაგებე“ იძიებდა, მათ ჭელიძის დახმარებაზე უარი არ თქვეს და ქართველი მაიორიც ჩართეს ამ საქმეში. გამოძიებას კონტრდაზვერვაც აწარმოებდა და „ჩეკისტებმა“ ლენსკის ფარული თვალთვალი დაუწესეს. ის კანადიდან დროზე ადრე დაბრუნდა, რომ მეუღლის დაკრძალვაში მიეღო მონაწილეობა. ჭელიძემ და მისმა კოლეგებმა ტოტალური სამუშაო ჩაატარეს. მათ ერთ კვირაში 30 წლის ვიტალი ზორმანი დააპატიმრეს და მას ანა ზორმანის მკვლელობაში დასდეს ბრალი. ვიტალი ზორმანი მოკლული ანა ზორმანის შორეული ნათესავი და საყვარელი იყო. მისი ბრალეულობის დამტკიცება კი მოკლულის საშოდან აღებული სპერმისა და ვიტალი ზორმანის სპერმის იდენტიფიკაციის შედეგად მოხდა. ამის შემდეგ თავად ვიტალი ზორმანმაც აღიარა ბრალი და ჭელიძეს უთხრა:

– ანას ძალიან ვუყვარდი და ყველაფერს მიყვებოდა. სწორედ მისგან შევიტყვე, რომ მის ქმარს, თურმე, შვეიცარიის ბანკში საიდუმლო ანგარიში ჰქონია. ანას ეს ქმარმა უამბო, რაც იმით ახსნა, რომ თითქოს მას ნათესავებმა მემკვიდრეობა დაუტოვეს. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ლენსკი სახელმწიფო საიდუმლოებებს ყიდის და ფულს სწორედ ამაში უხდიან.

– ქალი რატომ მოკალი?

– შემომაკვდა. მე იმ საბანკო ანგარიშის გაგება მინდოდა და ჩხუბის დროს საფეთქელი საწოლის კუთხეს დაარტყა, – თქვა ზორმანმა და ქვითინი განაგრძო, – მე ეს არ მინდოდა, ანა მიყვარდა. ყველაფერი შემთხვევით მოხდა და ნუთუ დამხვრეტენ?

– გააჩნია, როგორ მოიქცევით.

ზორმანს თვალები გაუბრწყინდა და ჭელიძეს მიუგო:

– რასაც დამავალებთ, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ სიცოცხლე შემინარჩუნეთ.

– კეთილი, თავი დააქნია ჭელიძემ, – არ დაგხვრეტთ და დროებით გაგიშვებთ კიდეც, მაგრამ ლენსკისგან საბანკო ანგარიშის ნომერი უნდა შეიტყოთ. თუმცა, ფრთხილად იყავით, რადგან ლენსკის ცოლი მოუკალით და რა იცით, რა ჭკუაზე დადგება, ამას რომ შეიტყობს.

ვიტალი ზორმანი გაათავისუფლეს და ფარული თვალთვალი დაუწესეს, რომ არ მიმალულიყო. ამით „კაგებემ“ ოპერაცია „ვაბანკი“ დაიწყო...

**მოკლულ ქალს საფეთქელი საწოლის კუთხეზე ჰქონდა ჩამორტყმული და სისხლში ცურავდა**

**ოპერაცია „ვა-ბანკი“**

ჩეკისტებს ლენსკის პირდაპირ დაპატიმრებაც შეეძლოთ, მაგრამ ეს იმიტომ არ გააკეთეს, რომ ლენსკი საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი იყო და დანაშაული რომ ელიარებინა, ყველაფერი ჩაიშლებოდა. ასეთ შემთხვევაში „კაგებე“ და სახელმწიფო წაგებული დარჩებოდა. ამიტომ, ჩეკისტებმა ზორმანის გამოყენება ამჯობინეს, თუმცა არც ეს იყო სრულყოფილი ვარიანტი და სწორედ ამიტომ ეწოდა ამ ოპერაციას „ვა-ბანკი“.

ზორმანი მეორე დღესვე ეწვია პროფესორს და ანასთან მისი ურთიერთობის შესახებ გაუმხილა. ბოლოს კი უთხრა:

– ანამ მითხრა, რომ უცხოეთში დიდძალი ქონება დაგიტოვეს ნათესავებმა, რომელსაც შვეიცარიის ბანკში ინახავ. მე კი ვფიქრობ, რომ ეს ფული შენ საბჭოთა კავშირის ღალატისთვის მიიღე.

ამ სიტყვების გაგონებაზე ლენსკიმ საოცარი სიმშვიდით მიუგო ზორმანს:

– ყველაფერი ნათელია. ანა შენ მოკალი და ალბათ, იმიტომ, რომ საბანკო ანგარიში შეგეტყო.

– მართალი ხარ, – თქვა ზორმანმა.

– კეთილი. მე შენ თანხის მეათედს მოგცემ. ეს კი 180 ათასი დოლარია, გაწყობს? – ჰკითხა ლენსკიმ ზორმანს და სანამ ის რამეს ეტყოდა, თავზე კონიაკის ბოთლი გადაამტვრია და გათიშა. თუმცა, ამით არ დაკმაყოფილდა და ყელიც გამოჭრა.

მთელ ამ სცენას „კაგებეს“ ოპერჯგუფი ისმენდა, რომელიც ქუჩაში იყო განლაგებული. ყველანი ზორმანის მისაშველებლად გაიქცნენ, მაგრამ, ბინაში რომ შეიჭრნენ, ზორმანი უკვე მკვდარი იყო, ლენსკი კი – გაქცეული.

მოღალატე პროფესორი, რომელიც საბჭოთა სამხედრო საიდუმლოებებს ჰყიდდა, ორი დღის შემდეგ ლენინგრადში დააპატიმრეს. ლენსკი პირადად ჭელიძემ იმ დროს აიყვანა, როცა საწამლავის დალევას და თავის მოკვლას აპირებდა. ლენსკი გაასამართლეს და დახვრიტეს. მანამდე კი, შვეიცარიის ბანკიდან მილიონ 800 ათასი დოლარი „კაგებემ“ წამოიღო.

რიტა მალცევას ქურდობისთვის 5 წელი მიუსაჯეს, თუმცა 6 თვეში გამოუშვეს. ავთო ჭელიძეს კი პოდპოლკოვნიკის რიგგარეშე ჩინი და წითელი დროშის ორდენი მისცეს.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**4 მარტი**

1589 – ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი გახდა ჯორჯ ვაშინგტონი.

1877 – შედგა პრემიერა პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტისა „გედების ტბა“.

1878 – ამერიკელმა ემილ ბერლინერმა გამოიგონა მიკროფონი.

**5 მარტი**

1558 – ევროპის კონტინენტზე პირველად გამოჩნდა თამბაქო.

1940 – კატინში საბჭოთა ჯალათებმა დახვრიტეს 5 000 პოლონელი.

1966 – ბრიტანული თვითმფრინავი „ბოინგ-707“ იაპონიაში შეეჯახა ფუძიამას მთას. დაიღუპა 130 ადამიანი.

**6 მარტი**

1853 – ვენეციაში შედგა ჯუზეპე ვერდის ოპერა „ტრავიატას“ პრემიერა.

1899 – გერმანელმა ქიმიკოსმა ფელიქს ჰოფმანმა მიიღო პატენტი ასპირინზე.

1902 – დაარსდა საფეხბურთო კლუბი „რეალ მადრიდი“.

1997 – გაიხსნა ინგლისის დედოფლის – ელიზაბეთ მეორის ოფიციალური ვებ-გვერდი.

**7 მარტი**

1876 – ალექსანდრ ბელმა დააპატენტა ტელეფონი.

1933 – ატლანტიკ-სიტიში (ამერიკის შეერთებული შტატები) ჩარლზ დაროუმ გამოიგონა სამაგიდო თამაში „მონოპოლია“.

**8 მარტი**

1618 – იოჰან კეპლერმა ჩამოაყალიბა პლანეტების მოძრაობის კანონები.

1920 – გამოცხადდა სირიის დამოუკიდებლობა.

1940 – რუსეთში ქალაქ პერმს სახელი გადაარქვეს და დაარქვეს მოლოტოვი.

1971 – მუჰამედ ალი პირველად დამარცხდა რინგზე.

1976 – ჩინეთში ჩამოვარდა მეოცე საუკუნეში ყველაზე დიდი მეტეორიტი, წონით – 1 774 კილოგრამი.

**9 მარტი**

1796 – ნაპოლეონისა და ჟოზეფინა ბოჰარნეს ქორწილი.

1822 – ჩარლზ გრემმა ნიუ-იორკიდან მიიღო პატენტი ხელოვნურ კბილებზე.

1831 – დაარსდა საფრანგეთის „უცხოური ლეგიონი“.

1959 – გასაყიდად გამოვიდა პირველი თოჯინა „ბარბი“.

**10 მარტი**

1797 – ამერიკის შეერთებულ შტატებში შტატ ნიუ-იორკის დედაქალაქი ქალაქ ნიუ-იორკიდან ოლბანიში გადაიტანეს.

1910 – ჩინეთი გახდა უკანასკნელი სახელმწიფო მსოფლიოში, სადაც აიკრძალა მონობა.

1952 – კუბის დიქტატორი გახდა რუბენ ფულხენსიო მატისტა.

1967 – მეხიკოში დაიბადა რვა ტყუპი და ეს მოვლენა პირველად დარეგისტრირდა ოფიციალურად.

# როგორ გაუსწორდა ქმარი ცოლს ძველი სიყვარულის გამო და რატომ დაჭრა მან საკუთარ ბინაში ორი მამაკაცი



წარსულში ორჯერ ნასამართლევმა 41 წლის ვახტანგ მ-შვილმა პირველი სასჯელი არასრულწლოვანმა, ქურდობის გამო მოიხადა; მეორედ რამდენიმე წლის შემდეგ მძიმე დანაშაულის – პოლიციელის დაჭრისთვის გაასამართლეს და ციხეში 8 წელი გაატარა, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ორი წელი უზბეკეთში ცხოვრობდა, მერე კი თბილისში დაბრუნდა და შეურიგდა ცოლს, რომელსაც პატიმრობის პერიოდში გაშორდა.

ოპერატიული ინფორმაცია ინციდენტის შესახებ, რომელიც ვახტანგ მ-შვილის ბინაში მოხდა, სამართალდამცველებს მეზობლებმა შეატყობინეს. მათ განაცხადეს, რომ ბინიდან ხმაური და ქალების განწირული კივილი ისმოდა. შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ვახტანგ მ-შვილის ბინაში, სადაც ორი მცირეწლოვანი ბავშვიც იმყოფებოდა, სამი დაზარალებული დახვდათ – ორი მამაკაციდან ერთ-ერთს ბლაგვი საგნის დარტყმით თავი ჰქონდა გახეთქილი, მეორეს კი ზურგის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნებოდა. ბინაში, ასევე, იყო ორი ქალბატონი, რომელთაგან ერთ-ერთი, ვახტანგ მ-შვილის მეუღლე, ელზა მ-ძე, ქმრის მიერ იყო ნაცემი. დაზიანებების გარეშე გადარჩენილი იყო მხოლოდ ელზა მ-ძის მეგობარი – ხათუნა ლ-ია შვილებთან ერთად. მამაკაცი, ვინც, სავარაუდოდ, სამ ადამიანს მიაყენა სხეულის დაზიანებები, ინციდენტიდან რამდენიმე წუთში გაუჩინარებულიყო ბინიდან, თუმცა, სამართალდამცველებმა მისი დაკავება რამდენიმე საათში შეძლეს. დაზარალებულები საავადმყოფოში მოათავსეს. ქალს ტვინის შერყევა და სხვადასხვა ხარისხის დაჟეჟილობა აღმოაჩნდა; საშუალო სიმძიმის დაზიანებები აღმოაჩნდა თავგატეხილ მამაკაცსაც, 38 წლის გოჩა კ-შვილს კი აღენიშნებოდა შემავალი ჭრილობა ფილტვის არეში და მას ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. ვახტანგ მ-შვილმა განაცხადა, რომ ის სტუმრებმა გაძარცვეს და დანაშაულიც ამ ფაქტით შეურაცხყოფილმა ჩაიდინა. პირველი ჩვენების დროს ეჭვმიტანილმა აღნიშნა, რომ საკუთარი თვალით დაინახა, როგორ მოიპარა მისმა სტუმარმა კარადის თაროზე დაწყობილი სამკაულები, რაც მათი დაპირისპირებისა და კონფლიქტის მიზეზი გახდა. მოგვიანებით ეს სამკაულები სამართალდამცველებმა მართლაც აღმოაჩინეს დაჭრილი მამაკაცის – გოჩა კ-შვილის ქურთუკის ჯიბეში, თუმცა, საიდან გაჩნდა ოჯახის დიასახლისის კუთვნილი სამკაულები, გოჩა კ-შვილის ქურთუკში, ამაზე პასუხი ინციდენტში მონაწილე არც ერთ პირს არ ჰქონდა; უფრო მეტიც, მათი განცხადებით, გოჩა კ-შვილი ოთახიდან, სადაც სუფრა იყო გაშლილი საერთოდ არ გასულა. მოგვიანებით იგივე დაადასტურა თავად გოჩა კ-შვილმაც – და განაცხადა, რომ ოქროს სამკაულების მოპარვასთან კავშირი არ ჰქონდა. იმავეს ამტკიცებდა თავად ელზა მ-ძეც. კითხვაზე, თუ რატომ დაუწყო ცემა ვახტანგ მ-შვილმა მეუღლეს, პასუხი საკმაოდ უცნაური აღმოჩნდა: სტუმარს ძალიან გაუშინაურდა და, როცა ის ქურდობის ფაქტზე ვამხილე, ჩხუბში მისი მხარე დაიჭირა, ამაზე ძალიან გავბრაზდი და ჯავრი ჩემს ცოლზე ვიყარე, ბიჭები ხომ მისი ახლობლები იყვნენო.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ვახტანგ მ-შვილს დაზარალებულ მამაკაცებთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა. კობა ქ-ური ელზა მ-ძის თანასოფლელი იყო, ის ქალს ნათესავადაც ეკუთვნოდა, შესაბამისად, მათ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. რაც შეეხება ვახტანგ მ-შვილის ოჯახის მეორე სტუმარს, გოჩა კ-შვილს, ის ელზას თანაკლასელი იყო, ოჯახში კობა ქ-ურმა მიიყვანა და ვახტანგ მ-შვილი ახლოს არ იცნობდა. ინციდენტის ერთ-ერთმა თვითმხილველმა და მონაწილემ, ელზა მ-ძის მეგობარმა, ხათუნა ლ-იამ, დაკითხვის დროს განაცხადა, რომ კონფლიქტი მეგობრის ბინაში თავად მისმა მეუღლემ, ვახტანგ მ-შვილმა წამოიწყო.

ამონაწერი ხათუნა ლ-იას ჩვენებიდან: „ვახტანგს ძალიან ცუდი ხასიათი აქვს, მით უმეტეს – სიმთვრალეში. ელზას სულ ეშინოდა ხოლმე როცა ვახტანგი სვამდა. ჰალუცინაციები ეწყებოდა, ეჭვიანობდა და ცოლსაც ხშირად სცემდა. იმ დღეს ელზამ დამირეკა და მითხრა: ვახტანგმა კობა დაპატიჟა სტუმრად და, იქნებ, შენც მოხვიდეო. ორი ბავშვი მყავს, ვერავის დავუტოვე და სტუმრად მათთან ერთად წავედი. კობას თან გოჩაც მოჰყვა, რომელსაც მეც კარგად ვიცნობდი. კობა ვახტანგის პატიმრობის წლებში ელზას ხშირად ეხმარებოდა ფინანსურად და ამის მომსწრე მეც ბევრჯერ გავმხდარვარ. როცა სუფრასთან დავსხედით, ვახტანგმა თავიდანვე აითვალწუნა სტუმრები, გადაკვრით ხან რა უთხრა, ხან – რა. სიტუაცია რამდენჯერმე დაიძაბა, მაგრამ, კობა ცდილობდა, ვახტანგს არ აჰყოლოდა, რადგან, მიხვდა, რომ მასპინძელი ნასვამი იყო და აშკარად შარს ეძებდა. ორი საათიც არ იყო გასული, ვახტანგი სასმლის მოსატანად წავიდა. ბიჭებმა უთხრეს, უნდა წავიდეთ და აღარ არის საჭიროო, მაგრამ, ვახტანგი რამეს რომ აიჩემებს, ვერ გადაათქმევინებ. სახლში რომ დაბრუნდა, უფრო მეტად აგრესიული იყო. ცოტა ხანში ოთახიდან გავიდა, არ ვიცი, სად და რა გააკეთა. იმ დროს ელზა სამზარეულოში იყო გასული, გოჩაც იქვე მასთან ახლოს იდგა და ხუმრობდნენ. უცებ ვახტანგის ყვირილი გავიგე, გოჩას უთხრა, შენ სახლში შემოსაშვები კაცი არ ხარო და სახეში დაარტყა. ჩვენ ოთახში შევცვივდით. მახსოვს, ვახტანგი იგინებოდა და ყვიროდა: ქურდებო, ქურდებოო, მაგრამ, მე ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა მისი ნათქვამი. ჯერ კობას დაარტყა თავში რაღაც რკინა და ოთახიდან გავარდა. როცა შემობრუნდა ხელში იარაღი დავუნახე და კივილი ავტეხე, მერე გასროლაც გავიგონე. რა ხდებოდა იმ პატარა ოთახში, ვერც კი აღვწერ. მერე ელზას მივარდა, ჯერ იარაღის ტარი ჩაარტყა თავში, შემდეგ კი ძირს დავარდნილ ქალს წიხლებით ცემა დაუწყო. უმოწყალოდ ურტყამდა. ხმაურზე მეზობლები შემოცვივდნენ. ამ არეულობაში ვახტანგი ბინიდან გაიქცა. მალე პოლიციაც მოვიდა და სასწრაფოც. ორივე მეზობლებს ჰყავდათ გამოძახებული."

> **ეჭვიანობამ გონება დამიბნელა, წარმოვიდგინე, რომ ჩემს ცოლს ორივე სტუმართან ჰქონდა ინტიმური კავშირი**

დაკავებულმა ვახტანგ მ-შვილმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ დანაშაული აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა. მოგვიანებით მან აღიარა, რომ ოქროს სამკაულები თავად ჩაუწყო ქურთუკში სტუმარს, რათა ისინი ძარცვასა და ქურდობაში დაედანაშაულებინა, სტუმრებზე თავდასხმის რეალური მიზეზი კი ეჭვიანობა იყო.

ამონაწერი დაკავებულის ჩვენებიდან: „კობა ქ-ურს დიდი ხანია ვიცნობ, ჩემი ცოლის თანასოფლელი და შორეული ნათესავია. ჩვენს ოჯახში ბევრჯერ არის ნამყოფი და ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. წლები იყო, რაც არ მენახა. დამირეკა, თბილისში ვარო და მეც სახლში დავპატიჟე. მარტო არ მოსულა, მას ახლდა გოჩა კ-შვილი, რომელიც, ასევე, ჩემი მეუღლის სოფლიდანაა და ადრე რამდენჯერმე მყავდა ნანახი. როდესაც სტუმრები მოვიდნენ, ჩვენს სახლში იმყოფებოდა ჩემი მეუღლის მეგობარი ორ ბავშვთან ერთად. სუფრა გავშალეთ, კობას თანმხლები მამაკაცი ძალიან დათვრა და მისი საქციელი არ მომეწონა. ცოტა ხანში სასმელი შემოგველია და მაღაზიაში ჩავედი, ქუჩაში მეზობელი შემხვდა და ცოტა ხანს მასთან შევყოვნდი. სახლში დაახლოებით 15 წუთი დამაგვიანდა შესვლა. მაგიდასთან კობა და ჩემი ცოლის მეგობარი ისხდნენ, ელზა კი სტუმარს სამზარეულოში ელაპარაკებოდა. ეს არ მომეწონა, მეც ნასვამი ვიყავი, გოჩას ვუთხარი, სუფრასთან დაჯექი-მეთქი. მიპასუხა: დალევა აღარ მინდა და ცოტა ხანს აქ ვიქნებიო. გამახსენდა წლების წინ გაგონილი ამბავი, რომ ელზა თავის თანაკლასელს უყვარდა. მთვრალმა ვიეჭვე, რომ გოჩა სწორედ ის მამაკაცი იყო, თუმცა, ხმამაღლა არაფერი მითქვამს. ეჭვიანობამ გონება დამიბნელა, წარმოვიდგინე, რომ ჩემს ცოლს ორივე სტუმართან ჰქონდა ინტიმური კავშირი, რაზეც ადრეც მიეჭვიანია. ოთახიდან გავედი. ვიცოდი, სადაც ეწყო ჩემი ცოლის სამკაულები, ავიღე და გოჩას ქურთუკში ჩავუწყვე – ამით ქურდობის ინსცენირება მინდოდა, სინამდვილეში კი ეჭვიანობამ დამიბნელა გონება, მაგრამ, არ მინდოდა, რომ ეს შემმჩნეოდა. ოთახში შებრუნებულმა გოჩას ვუთხარი: შენ ოჯახში შემოსაშვები კაცი არ ხარ, ქურდობა როგორ იკადრემეთქი და ხელი დავარტყი. ჩემი ცოლი შუაში ჩაგვიდგა. ჩხუბზე კობაც გამოვიდა და ჩვენს გაშველებას შეეცადა. იქვე მაგიდაზე ხორცის დასაბეგვი რკინის ჩაქუჩი დავინახე, ხელი წამოვავლე და კობას თავში ჩავარტყი. კობა ძირს დავარდა, მეგობარი მიეშველა. მე გავედი მეორე ოთახში, სადაც იარაღი მქონდა დამალული – გადაჭრილი თოფი იყო, გამოვიტანე და ჩვენს სტუმარს, რომელიც კობას წამოდგომაში ეხმარებოდა, ვესროლე. სროლას ქალების კივილი მოჰყვა, მერე ქალები მომცვივდნენ და იარაღის წართმევა სცადეს, რა დროსაც ჩემს ცოლს რამდენჯერმე იარაღის ტარი ჩავარტი, ძირს დავარდნილს კი ფეხით დავუწყე ცემა. აღელვებული ვიყავი, არ ვიცოდი რას ვაკეთებდი. გონზე ბავშვების ტირილმა და ქალების კივილმა მომიყვანა. უცებ მეზობლების ხმაური გავიგე – ისინი ჩემს სახლშიც შემოსულიყვნენ. მივხვდი, რომ პოლიციას გამოუძახებდნენ და ბინიდან გავიქეცი".

სასამართლო პროცესზე, ისევე, როგორც პირველი დაკითხვისას, ელზა მ-ძემ ქმრის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა, ის ფიზიკურ ძალადობაში დაადანაშაულა და განაცხდა, რომ მისი სტუმრები უდანაშაულონი იყვნენ.

„ვახტანგი ციხიდან გამოსვლის შემდეგ უფრო ეჭვიანი გახდა, ხშირად მცემდა და ყველა მამაკაცზე ეჭვიანობდა, ვისაც კი ჩემს სიახლოვეს დაინახავდა". – განაცხადა მან ჩვენების დროს – „კობა ჩემი ნათესავი იყო და მასზეც კი ეჭვიანობდა. ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის: რატომ გეხმარება, თუ მასთან არაფერი გაკავშირებსო? ვახტანგთან გაშორება მინდოდა, მაგრამ, მის სახლში ვცხოვრობდი, სხვა ბინა არ მქონდა, ვერსად წავიდოდი და ამიტომაც ვიტანდი მის ცუდ ხასიათს. იმ დღეს, რატომღაც, გოჩა ამოიჩემა. მე მეორე ოთახში გამიყვანა და მასთან ინტიმურ კავშირში დამდო ბრალი. არაფრის მტკიცება არ დამიწყია, ისევ სტუმრებთან დავბრუნდი. ნასვამს ჰალუცინაციები ხშირად ემართებოდა, მაგრამ, არ ვიცი, რატომ მოიფიქრა, რომ გოჩასთვის ქურდობაც დაებრალებინა. გოჩას, რომც სდომებოდა, ვერ მიაგნებდა ჩემს სამკაულს, რომლებიც მე საძინებელ ოთახში მქონდა შენახული..." ცოლის მიერ მიცემულ ჩვენებას ბრალდებულის მხრიდან კიდევ უფრო მეტი აგრესია მოჰყვა: არაფერი არ მომჩვენებია, მართლა მღალატობო – განუცხადა ცოლს სასამართლო პროცესზე. სასამართლომ არ გაითვალისწინა სამი ადამინის სხეულის დაზიანებაში ბრალდებული მამაკაცის ეჭვიანობა, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება და, ჩადენილი დანაშაულისთვის, ასევე, იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარების ბრალდებით, რასაც კიდევ ერთი – ადრე ჩადენილი დანაშაულებრივი ეპიზოდის გახსნა მოჰყვა, მას სასამართლომ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მიცუბიში აირტეკი”, 2.4-ლიტრიანი, ეგრეთ წოდებული, „გედეი” ძრავათი, 2002 წლის. მაინტერესებს, როგორ დამიხასიათებთ ამ ავტომობილს – რა აქვს სუსტი და რა უპირატესობებით სარგებლობს?**

**პასუხი:** ეს არის საკმაოდ კარგი ავტომობილი ყოველდღიური მოხმარებისთვის. კარგი იქნებოდა, მცოდნოდა მხოლოდ წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილ ავტომობილზეა საუბარი, თუ – ოთხივე წამყვანი თვლით აღჭურვილზე. მათ განსხვავებული მახასიათებლები აქვს, მაგრამ რადგან ეს არ ვიცი, ზოგადი ახსნით შემოვიფარგლები. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის „ჯიპი” არ არის და შესაბამისად, არ უნდა გადავტვირთოთ უგზოობის პირობებში მოძრაობით. ეს არის მოდიფიცირებული მსუბუქი ავტომობილი, რომელსაც შეუძლია მცირე უგზოობაზეც და გზის მოულოდნელ უსწორობებზე დაუზიანებლად გადაადგილება. საკმაოდ ხარისხიანი მასალითაა დამზადებული, თუმცა პერიოდულად მაინც გამოაჩენს რაღაც სისუსტეებს. მაგალითად, იოლად ზიანდება სავალი ნაწილის მცირე დეტალები, საჭის მექანიზმი და სიჩქარეების კოლოფი. გადაადგილებისას კარგი სამართავია, მაგრამ უფრო სპორტული ხასიათისაა და ამიტომ უხეშია. ეს თვისება კომფორტს არ ქმნის, მაგრამ მოსახვევებში სისწრაფეს უწყობს ხელს. რაც შეეხება „გედეი” სისტემით აღჭურვილ ძრავას, ის კარგია იაპონიაში, მაგრამ ჩვენთან, ცოტა არ იყოს, ჭირს მასთან ურთიერთობა. ძირითადად, მაინც დაბინძურებული საწვავის ეშინია და არ უყვარს, როცა საწვავი თავდება ან ცოტაა დარჩენილი. პრინციპში, თუ ასეთ პირობებს არ შეუქმნით, დიდხანს, უპრობლემოდ მოგემსახურებათ, თანაც, მეორადებში უკვე საკმაოდ მოიპოვება სათადარიგო ნაწილები.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მაინტერესებს, რა სხვაობაა მეოთხე და მეხუთე თაობის გაზის აპარატურებში? შეიძლება თუ არა, 1999 წლის „ე“ კლასის „240 – მერსედესზე” მეხუთე თაობის გაზის სისტემის დამონტაჟება?**

**პასუხი:** დავიწყებ იმით, რომ დაყენება რა თქმა უნდა, შეიძლება და პირიქით, კარგიცაა თუ მეხუთე თაობას დააყენებთ. გაზის თაობების ცვლაში რომ კარგად გაერკვეთ, დავიწყებ თავიდან: პირველი თაობა გამოიგონეს იტალიელებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მოსახლეობას შეზღუდულად მიეწოდებოდა სხვა საწვავი და ის შემდეგი პრინციპით მუშაობდა: გაზი ჩაედინებოდა მიმღებ კოლექტორში ერთი ცენტრალური მილით, ხოლო დოზირებას აკონტროლებდა ვაკუუმზე მიერთებული მექანიკური მოწყობილობა. მეორე თაობა: გაზი ჩაედინება ისევ ცენტრალური მილით, ოღონდ დოზირება კონტროლდება ელექტრონულად – ლამდა სენსორიდან, გაზის პედალის სენსორიდან და ძრავას ბრუნების ამთვლელიდან მიღებული სიგნალით. მესამე თაობა: გაზი ჩაედინება უკვე დანაწევრებული მილებით თითოეულ ცილინდრთან ცალ-ცალკე ჩამავალ კოლექტორში, ხოლო დოზირება განისაზღვრება ელექტრონულად, როგორც მეორე თაობაში. მეოთხე თაობა: გაზი ჩაედინება თითოეული ცილინდრთან ცალ-ცალკე ჩამავალ კოლექტორში სპეციალური ინჟექტორის მეშვეობით, ხოლო დოზირება განისაზღვრება უკვე სპეციალური კომპიუტერით, რომელიც მიერთებულია ავტომობილის კომპიუტერს. მეხუთე თაობა: გაზი ჩაედინება თითოეულ ცილინდრთან ცალ-ცალკე ჩამავალ კოლექტორში, სპეციალური ინჟექტორის მეშვეობით. აგრეთვე, ხდება ცენტრალურ კოლექტორში მისი მიწოდება აორთქლებული ნაზავის სახით უკეთესი სიმძლავრის მისაღებად. დოზირება განისაზღვრება სპეციალური კომპიუტერით, რომელიც მიერთებულია ავტომობილის კომპიუტერს და თითქმის აღარ ჩამოუვარდება მხოლოდ ბენზინზე მომუშავე ძრავას.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ბეემვე” 325I, ეგრეთ წოდებული, „ხულიგანკა”. ამ ავტომობილზე ძალიან ხშირად მიწყდება კარდანის ელასტიკური და ხომ ვერ მეტყვით, რა ვუშველო. რა თქმა უნდა, ეს მაშინ ხდება, როცა „ვაბუქსავებ”, დიდი გაზით ვიღებ სტარტს.**

**პასუხი:** მთავარია, ავტომობილით ისე იაროთ, რომ მას რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს. მკვეთრად არ უნდა მოწყვიტოთ ადგილიდან, ანუ ცივად ნუ დაძრავთ. შემყვანი მოძრაობით, თხლად აუშვით მოდებას ფეხი. ამასთან ერთად, კარგი, ხარისხიანი ელასტიკური იყიდეთ. შეიძლება, მთელი ცხოვრება ავტომობილს „ბუქსაობით” ძრავდე და ელასტიკური არ გაიხეს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ბეემვე 316i” M43, 1996 წლის. რაც ვიყიდე მას შემდეგ რადიატორის პრობლემა ჰქონდა. ამის გამო შევცვალე რადიატორიც და თერმოსტატიც. ახლა ორი თვეა, წყლის დონეს ვაკვირდები, სითბოში ნორმალურად არის. წყლის დონე ნორმას მიჩვენებს, მაგრამ აცივდება თუ არა, რადიატორის დონე ერთი დანაყოფით იკლებს. კონდესანტის ბრალი ხომ არ არის? მილიგრამებზეა საუბარი. სითბოში გრამ წყალს არ იკლებს და ამ რამდენიმე დღის წინ, როგორც კი აცივდა, მაშინვე დაიკლო. ახლა ისევ შევავსე და ისევ ხაზზე დავაყენე. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს? არც წყალს მიდუღებს, არც არასდროს აუდუღებია და ყველაფერი გამართულად მუშაობს. ზეთიც კარგი ფერისაა. როდესაც ვიკითხე, მითხრეს, არაფერია, ღუმლიდან კონდესანტის გამოყოფა ხდება და იმიტომ იკლებსო. იქნებ მითხრათ, რა პრობლემაა და გააფუჭებს თუ არა ეს რამეს?**

**პასუხი:** პრობლემა ისაა, რომ სადღაც, უკანა მხრიდან სისტემას წყალი გასდის. კონკრეტულად, ეს ღუმლის უკანა ონკანთან ხდება, უკანა მხარეს განთავსებულ წვრილ მილებს ან ღუმლის რადიატორს გასდის. იქიდან გამომდინარე, რომ წყლის დონე უმნიშვნელოდ იკლებს, შეიძლება, ვერც ნახოთ გამოჟონილი წვეთები. ის ისე აორთქლდება, რომ არც ჩამოიწვეთება. თუ კარგად დააკვირდებით და მილებს დეტალურად გაყვებით, აუცილებლად იპოვით კვალს და მიაგნებთ პრობლემის ადგილს. ყველაზე ცუდია, თუ სალონში გასდის, მაშინ ტორპედოს მოხსნა მოგიწევთ, რათა კვალს მიაგნოთ. დააკვირდით ღუმლის ჩართვისას, წინა საქარე მინა უჩვეულოდ თუ ორთქლდება, ეს მიანიშნებს, რომ გაჟონვა ხდება ღუმლის რადიატორის ზონაში. ზონაში იმიტომ, რომ შესაძლოა, წყალი უშუალოდ ღუმლის რადიატორთან გადაბმაში ჟონავდეს. ზოგადად, ასეთი რამ არცთუ ისე იშვიათია და ზამთრის პერიოდში იჩენს ხოლმე თავს, როცა ღუმელს ინტენსიურად ვრთავთ.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*



მხიარული (.......)
სტ.ლემის ფანტასტიური რომანი
სანინააღმდეგო
ბილიარდის ჯოხი
პოპულარული ესპანური გვარი
ქედელს ათეთრებს
ფოთლებში მიმდინარეობს
პოლონელი ქალი
ძიუდოს თანრიგი
შესაძლებლობა, შნო
მჭრელი იარაღი
პო, დიახ
თამარის შვილიშვილი დავითი
ხარის სახელი
ხალხი
ექალი
სახლი ქართულად
(......) მინელი
მსახიობი
მესამე პირის მრავლობითი
მესამე ნოტი
სასიამოვნო
გადაჭრილი ხე
ცირკის მოედანი
მატარებელი
ფანტომასის როლშია
ნოეს შვილი
ისე რა ბევრი
დამუხტული ნაწილაკი
სასხობი
დიდი პაბლო
სალექი რეზინი
ოპერის სიმღერა
ძველად ერქვათ ჩვენს კაცებს
გაზი
N
(.......) კაპრიო
რუსი მსახიობი ქალი ია
კანადის ქალაქი
აგენტი 007
ცუდი კბილი ასეთია
პარფიუმერიული სითხე
ხორცის ნახარში
ჩვენი ტაძარი
ქადრაკის დედოფალი
დაიფარე როგორც გაგნებება
ლომის კიდური
დენის ძალა
მოახლე ბიჭი
აშშ-ის შტატი
მანჯგალაძე
პატარა ხალიჩა
გამოსახულება
აგულის მამა
პატივი არგუნა ანუ?
ბევრი ცხვარი
(...) ჟუანი
ფუჭი, ამაო
მწევრალი
თანამოსაქმე
კენედის ცოლს ერქვა
ჩანთა
მურმანის მცენარე
იტალიელი მწვრთნელი
ფორტეს პარტნიორი
ყორღანიანი ყაენი
ტაბლეტი
თავისებურება
მოცეკვავე კაცი
სასხორებელი
ებრაელი
ფრანგი მხატვარი
ზემოთ
მხედრის ინვენტარი
იალქანი
სახელმწიფოებრივი კავშირი
ძვ.გერმანელი ფეხბურთელი
სპარსეთი ახლა
ძველი შოტლანდიელი ფეხბურთელი
“კონკია“ ისევ გვპირდება
(.....) მეტრეველი
არის ასეთი ხე
„ბედის ირონიის“ პერსონაჟი
კბილი უნდა დავაჭიროთ
ასეთი კოვზი ყველგან ეჩრება
მგალობელი
ეიზენჰაუერის მეტსახელი
ცივი იარაღი
ხრიკი, ფანდი
აფრიკის ქვეყანა
ანტილოპა
ტალღების დამჭერი
ბოსტნეული
კროსვორდის დასასრული

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 1 | 1 | 1 | | | | | | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 1 | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 1 | 1 | 7 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 1 | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | |
| | | 1 | 1 | 7 | 7 | 4 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 6 | 5 | 3 | 5 | 8 | 1 | 1 | 3 | 3 | 4 | 5 | 5 | 5 | 1 | | | | | |
| | 2 | 3 | 5 | 6 | 5 | 3 | 3 | 4 | 3 | 4 | 4 | 5 | 3 | 5 | 4 | 3 | 3 | 3 | 4 | 5 | 14 | 12 | 8 | 3 | 4 | 4 | 5 | 3 | 4 | 1 | 1 | 1 | 2 | |
| 28 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 11 | 12 | 13 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 28 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 33 |
| | | | | | 2 | 2 |
| | | | 1 | 3 | 4 | 1 |
| | | 1 | 5 | 6 | 2 | 1 |
| | | 1 | 7 | 7 | 4 | 1 |
| | | 1 | 7 | 3 | 6 | 1 |
| | | 1 | 7 | 5 | 9 | 1 |
| | 1 | 5 | 8 | 4 | 4 | 1 |
| | | 1 | 3 | 13 | 3 | 1 |
| | | 1 | 4 | 10 | 2 | 1 |
| | 1 | 3 | 4 | 8 | 1 | 1 |
| | 1 | 2 | 5 | 2 | 7 | 1 |
| 1 | 1 | 4 | 3 | 3 | 4 | 1 |
| | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 1 |
| 1 | 2 | 2 | 3 | 4 | 2 | 1 |
| 1 | 4 | 2 | 3 | 4 | 1 | 1 |
| | 1 | 5 | 1 | 2 | 5 | 1 |
| | | 1 | 6 | 3 | 4 | 1 |
| | 1 | 2 | 3 | 3 | 4 | 1 |
| | | 1 | 1 | 8 | 2 | 1 |
| | 1 | 1 | 2 | 4 | 1 | 1 |
| | | | 1 | 2 | 4 | 1 |
| | | | 1 | 1 | 3 | 1 |
| | | | | 1 | 3 | 1 |
| | | | | 1 | 3 | 1 |
| | | | | 1 | 3 | 1 |
| | | | | 1 | 3 | 1 |
| | | | | 1 | 7 | 1 |
| | | | | 2 | 19 | 2 |
| | | | | | | 33 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | 2 | 6 | 5 | 1 | | 7 |
| 9 | | 6 | 7 | | 4 | 3 | 2 | |
| | 7 | | 8 | | 3 | | 4 | 6 |
| 5 | | 3 | 1 | | 6 | | 7 | |
| | | 8 | | 3 | 7 | 2 | 6 | 1 |
| 7 | 6 | 1 | 9 | 4 | | | 3 | |
| | 4 | 5 | 3 | 7 | | 6 | | 9 |
| 6 | 1 | | | 2 | | 7 | 5 | 3 |
| 3 | | 7 | | | 9 | 4 | | 2 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 4 | | | | | 3 | 2 |
| | 3 | | | 7 | | 6 | | |
| | 7 | | | | | | 4 | 9 |
| 1 | 4 | | 8 | | | | | |
| | | 2 | | | 1 | | | 8 |
| | 8 | | | 3 | | 4 | 2 | |
| | | | 6 | | 8 | | | 3 |
| 8 | | 7 | | 5 | 9 | 2 | | 4 |
| | | 1 | | | 2 | | 5 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ღოქის ფორმით დაიწყეთ კაცის თავის ხატვა

2. მიახატეთ თმა და ცხვირი

3. კაცს მიახატეთ თვალ-წარბი და ულვაშები

4. მიახატეთ კოსტიუმის საყელო

5. მიახატეთ ტანი

6. დაასრულეთ კაცის ტანის ხატვა, მიახატეთ ხელები, ფეხები და ხელჯოხი

7. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება



# იპოვე ორი ერთნაირი სპილო



# რა გზით მივლენ ბიჭი და მაიმუნი სასახლეში



# ვირი და ლომი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ ვირი ბალახს ძოვდა, იქვე მამალი იკენკებოდა. ანაზდად ვირს ლომი წამოეპარა. მამალმა ეს რომ დაინახა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყივლა. ლომი მამლის ყივილზე დაფრთხა და გაიქცა.

ვირმა იფიქრა, ლომს ჩემი შეეშინდაო და გამოუდგა. კარგა შორს მისდია. მამლის ყივილი უკვე აღარ ისმოდა. მაშინ ლომმა უკან მოიხედა, ვირი რომ დაინახა, მივარდა და იქვე დაგლიჯა. სანამ უბედური დიდყურა ფეხებს გაჭიმავდა წამოიყროყინა:

– ვაი, ჩემს უბედურ და ჩერჩეტ თავს! ჩემი ჯილაგიდან არავის უომია და ნეტავ მე რაღა მეომებოდაო?

ასეა: ხშირად პატარა რამეს გაურბის კაცი და დიდ ჭირს კი გადაეყრება.

# რიცხვრებუსი

,6,,, 10, 10,, ,,3

| | | | |
|---|---|---|---|
| | ხილი | | საოჯახო ინვენტარი / წყლის ჭურჭელი |
| | | | |
| | | | |
| | ფერი | | ... პური |
| | | | |

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, თუ შეიძლება ძაღლი ჩემთან ერთად ვავარჯიშო და დილაობით ერთად ვირბინოთ? ფიზიკური დატვირთვა მის ჯანმრთელობას საფრთხეს ხომ არ შეუქმნის?**

**პასუხი:** გააჩნია, რომელი ჯიშის ძაღლზეა საუბარი. ფიზიკური დატვირთვა პატარა ტანის ჯიშის ძაღლებისთვის არ შეიძლება, მოზრდილი ჯიშებისთვის კი ფიზიკური დატვირთვა ძალიან კარგია, ისევე როგორც ადამიანისთვის. არის შემთხვევები, როცა ძაღლს მანქანას გამოაბამენ და ისე არბენინებენ, რაც არაფრით არ შეიძლება. ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვისაც ასეთი ვარჯიში ცხოველისთვის კარგი ჰგონია.

**კითხვა: ოჯახის წევრებს შორის ყველაზე მეტად ვის შეიძლება ემორჩილებოდეს ძაღლი?**

**პასუხი:** ოჯახის წევრებს შორის ძაღლი გამორჩეულად იმას ემორჩილება, ვინც ყველაზე მეტად უყვარს, ვინც აჭმევს, ასეირნებს, ვინც უფრო მეტ დროს ატარებს მასთან. ძაღლი ვისგანაც მეტ სითბოს გრძნობს, ყოველთვის იმასთან იქნება ახლოს. ანუ, ეს ყველაფერი თვითონ ოჯახის წევრებზეა დამოკიდებული.

**კითხვა: მაინტერესებს, რა ასაკში ამთავრებს ზრდას ქართული მთის ძაღლი და რამდენი აქვს მას ნაყარი?**

**პასუხი:** ეს ინდივიდუალურია. როგორც ადამიანებში ხდება ადრეულ ასაკში მომწიფება და დავაჟკაცება ან დაქალება, ისევეა ძაღლებშიც. ინდივიდუალურია თვითონ ნაყოფიერებაც. ზოგი 6-7 ლეკვს ყრის, ზოგი – 8-9-ს, ზოგიც – 12-ს ან 14 ლეკვს. ზრდის დასრულებას რაც შეეხება, შეიძლება, წლინახევრის ასაკში დაასრულოს ზრდა, ან 2 წლის ასაკში – ესეც ინდივიდუალურია.

**კითხვა: საჭიროა თუ არა პატარა ტანის ძაღლების პროფესიონალური გაწვრთნა?**

**პასუხი:** პატრონს როგორც მოუხერხდება ისე უნდა გააკეთოს. არიან ძაღლები, რომლებიც წვრთნას ექვემდებარებიან, ან, პირიქით – არ ექვემდებარებიან. ზოგადად კი, ისეთი ძაღლები უნდა მიიყვანოთ მწვრთნელთან, რომელთა გაწვრთნაც აუცილებელია, მაგალითად, მომსახურე ძაღლები.

**კითხვა: მყავს 6 წლის მინიატურული პუდელი, რომელმაც ბოლო დროს ხასიათი მკვეთრად შეიცვალა – გაუხეშდა და გაავდა. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** თუ დედალია, შეიძლება, „გათხოვება" უნდა; ერთი სიტყვით, ეს ინდივიდუალურია. შესაძლოა, გარემო პირობები ან სახლის აურა არ მოსწონს – ხასიათის შეცვლა ბევრ მიზეზთან არის დაკავშირებული.

**კითხვა: აუცილებელია, რომ ძაღლის აცრა ერთი თვის ასაკიდან დავიწყოთ?**

**პასუხი:** ძაღლის აცრა თვე-ნახევრის ასაკიდან არის აუცილებელი; ერთი თვიდან პარაზიტებზე დამუშავება იწყება.

**კითხვა: მაინტერესებს, ციკლის დროს რომელ დღეებშია შესაძლებელი ძაღლის დართვა?**

**პასუხი:** ციკლის დროს რეალური შესაჯვარებელი დღეებია მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 დღეები. ზოგადად კი ეს ინდივიდუალურია, რადგან, ზოგიერთი ძაღლი ადრეულ დღეებში მწიფდება და მზად არის შესაჯვარებლად, მაგალითად, მე-9 დღეს, ზოგი – მე-12 დღეს.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.

**ჯეიმს დუგლასი**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: ჩემმა ექევერიამ თავისი ფორმა დაკარგა და თითქოს მოიწყინა. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** სინათლის ნაკლებობამ, შესაძლოა, როზეტების გადახსნა და დეფორმაცია გამოიწვიოს. თუ ფოთლები დაურბილდა და მოუჭკნა, ეს იმის ნიშანია, რომ ექევერიას წყალი სჭირდება. მორწყვისას ქოთანი რამდენიმე წუთით წყალში ჩადგით და შემდეგ დაწრიტეთ – ასე ფოთლები მშრალი დარჩება და აღარ დაულპება. ზოგ სახეობას ფოთლებზე მოცისფრო-მორუხო ცვილისებრი ფენა აქვს, რომელიც ფოთოლზე ხელის გადასმისთანავე მოსცილდება, ამიტომ, ფრთხილად გაწმინდეთ.

**კითხვა: როგორ პირობებში გავახარო ალოე და არის თუ არა ის პრეტენზიული მცენარე?**

**პასუხი:** ალოეს მრავალი სახეობა არსებობს და ყველა იოლი მოსავლელია. მას სინათლე მუდმივად სჭირდება. მზეს იტანს, თუმცა, ზაფხულობით შუადღის მწველ მზეს მოარიდეთ. იდეალურია 18-24 გრადუსი. ყვავილობისთვის ზამთარში რამდენიმე კვირით დაახლოებით 10 გრადუსზე დადგით. ზაფხულში მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს. ორ კვირაში ერთხელ მიაწოდეთ გაზავებული, ბალანსირებული თხევადი სასუქი, ზამთარში კი შედარებით იშვიათად მორწყეთ, ოღონდ, მიწას ძალიან ნუ გამოაშრობთ. ამ დროს არც დამატებითი კვება სჭირდება. თუ ალოეს სინათლეს არ მოაკლებთ და ზედმეტ წყალს არ დაუსხამთ, არანაირ პრეტენზიას არ გამოხატავს. ეცადეთ, დადგათ მზიანი ფანჯრის რაფაზე.

**კითხვა: რა ზომის იზრდება ანანასი და ხშირად მოვრწყა თუ არა?**

**პასუხი:** ეს ეფექტური მცენარე იმხელა იზრდება, რომ შეიძლება თქვენი ბინა მისთვის ვიწრო აღმოჩნდეს. თუმცა, თუ დიდი ჰოლი გაქვთ, ინტერიერს კარგა ხნით გაგილამაზებთ. ანანასი მთელი წლის განმავლობაში იზრდება, ამიტომ, ზაფხულობით ხშირად მორწყეთ, ზამთრობითაც მიწა ტენიანი უნდა იყოს. რაც უფრო გრილია ზამთარი, ანანასს მით ნაკლები ტენი სჭირდება. ამ მცენარეს დასვენების პერიოდი არ აქვს, ამიტომ, განათებაც მთელი წლის განმავლობაში სჭირდება. მისთვის საუკეთესო პირობებია სითბო, კარგი განათება, საშუალო ტენიანობა და კარგი დრენაჟის მქონე მიწა.

**კითხვა: ჩემს ბეგონიას ფოთლები მოულპა. ხომ ვერ ამიხსნით, რამ გამოიწვია?**

**პასუხი:** ალბათ, წყალს ფოთლებზე ასხამდით და ამის შედეგად დაიწყო ლპობა. გახსოვდეთ, თუ მცენარე ქოთანს მთლიანად იკავებს ან ბუსუსებიანი ღეროები აქვს, წყალი პირდაპირ მიწაზე ან ლამბაქზე დაუსხით.

**კითხვა: როგორ ან როდის გადავრგო ოთახის მცენარეები?**

**პასუხი:** საერთოდ, მცენარეები ირგვება ადრე გაზაფხულზე: თებერვლიდან მარტის შუა რიცხვებამდე. თუ ადრე გაზაფხულზე რგავთ, საჭიროა მისი ფესვების შეთხელება და ქვედა ფესვების გადაჭრა, რომ მცენარემ ახალი ცხოვრება დაიწყოს; ასევე, გადარგვის შემდეგ საჭიროა სასუქის მიცემა და მიკროელემენტების მიწოდება. აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ სასუქები უნდა მიეცეს რაც შეიძლება მცირე რაოდენობით, რომ მცენარემ არ განიცადოს უცაბედი სტრესი და არ დაავადდეს. როდესაც მას გადარგავთ, ეცადეთ, ნიადაგში ჩააყოლოთ ნაცარი ან ნახშირი, რომ გადაჭრილი ფესვებიდან არ დაიწყოს კვდომა.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

**თბილისის მთავარ მოედანს – თავისუფლების მოედანს, ხშირად დღესაც მოიხსენიებენ, როგორ ყოფილ „ერევნის მოედანს“. სინამდვილეში დღევანდელ თავისუფლების მოედანს ერევნის მოედანი არასდროს რქმევია. დიდი ხნის განმავლობაში მას ეწოდებოდა არა ერევნის, არამედ – ერევანსკის მოედანი. გვესაუბრება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ გურული.**



**დამარცხებული ირანის მიერ რუსეთისთვის გადახდილი კონტრიბუციიდან იმპერატორმა პასკევიჩს ერთი მილიონი მანეთი უბოძა**

# რა განსხვავებაა ერევანსკის მოედანსა და ერევნის მოედანს შორის

**– ბატონო ვახტანგ, რატომ იხსენიებენ ხოლმე თავისუფლების მოედანს ერევნის მოედნის სახელწოდებით?**

– თბილისში არასდროს არსებულა ერევნის მოედანი. დღევანდელ თავისუფლების მოედანს დიდი ხნის განმავლობაში ეწოდებოდა არა ერევნის, არამედ – ერევანსკის მოედანი. დღევანდელი თავისუფლების მოედნისთვის ერევანსკის სახელწოდების მინიჭება დაკავშირებულია სრულიად კონკრეტულ და საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ მოვლენასთან და პიროვნებასთან.

**– უფრო კონკრეტულად, რომელ ისტორიულ მოვლენასა და პიროვნებას გულისხმობთ?**

– საუბარია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომსა და კავკასიის მთავარმართებელ (მთავარსარდალ) ინფანტერიის გენერალ ივანე თევდორეს ძე პასკევიჩზე (1782-1856 წლები).

**– ვინ იყო გრაფი ივანე პასკევიჩი და როდის გამოჩნდა ის კავკასიაში?**

– 1826-1828 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-ირანის ომი. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველო და შემდეგ შეუდგა სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ნაწილების (სომხეთი, აზერბაიჯანი) დაპყრობას. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას ვერ ეგუებოდა ირანი. მან სცადა რუსეთის სამხრეთ კავკასიიდან განდევნა, მაგრამ, 1804-1813 წლებში მიმდინარე ომში დამარცხდა, რის შემდეგაც რუსეთმა კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები. ირანი რევანშისთვის ემზადებოდა. 1826-1828 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-ირანის მეორე ომი. ამ დროისთვის კავკასიის მთავარმართებელი (მთავარსარდალი) იყო ცნობილი რუსი გენერალი ალექსი ერმოლოვი (მის სახელს უკავშირდება რუსეთის დაპყრობითი ომების დასაწყისი ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში). რუსეთის არმიამ ომში თავდაპირველად წარუმატებლობა განიცადა. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს ალექსი ერმოლოვი არ უყვარდა, ამიტომ, შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და იგი თანამდებობიდან გადააყენა. 1827 წლის 18 მარტს იმპერატორმა კავკასიის მთავარმართებლად (მთავარსარდლად) დანიშნა ივან პასკევიჩი და, უბოძა ინფანტერიის გენერლის წოდება. კავკასიის მთავარმართებელი იმავდროულად იყო კავკასიაში მოქმედი რუსეთის ჯარების (კავკასიის ცალკე კორპუსის) სარდალიც. გენერალმა ივან პასკევიჩმა სარდლობა იმ მომენტში ჩაიბარა, როდესაც რუსეთის ჯარები ირანის შემადგენლობაში შემავალ ერევნის სახანოს წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდნენ.

**– გვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ივან პასკევიჩი, როგორც რუსეთის ბევრი სხვა სამხედრო მოღვაწე, რუსი არ უნდა ყოფილიყო.**

– ივან პასკევიჩი რუსი არ ყოფილა. იგი ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნიდან ცნობილი უკრაინელი კაზაკური გვარის წარმომადგენელი იყო. მისი წინაპრები პოლტავაში ცხოვრობდნენ, იქვე დაიბადა ივან პასკევიჩიც. იგი იყო იმპერატორ ნიკოლოზ პირველის უახლოესი მეგობარი და ფავორიტი.

**– რით გამოიჩინა თავი ივან პასკევიჩმა რუსეთ-ირანის ომის დროს?**

– ივან პასკევიჩმა ომის ბედი რუსეთის სასარგებლოდ შეატრიალა. კონკრეტულად კი, 1827 წლის 5 ოქტომბერს დიდი ბრძოლების შემდეგ, მან ერევნის სახანოს ცენტრი – ერევნის ციხესიმაგრე აიღო. რუსეთის ჯარის ამ გამარჯვებამ დიდად აღაფრთოვანა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი და თავის ფავორიტ გენერალს მან გრაფის ტიტული და „ერევანსკის" საპატიო წოდება უბოძა. ხოლო როდესაც ირანთან ომი წარმატებით დასრულდა, დამარცხებული ირანის მიერ რუსეთისთვის გადახდილი კონტრიბუციიდან იმპერატორმა პასკევიჩს ერთი მილიონი მანეთი უბოძა.

**– გასაგებია, რომ გრაფმა ივან პასკევიჩმა მიიღო საპატიო წოდება – „ერევანსკი," მაგრამ, ყოველივე ამას რა კავშირი აქვს თბილისთან და მის მთავარ მოედანთან?**

– მოგახსენებთ. ირანთან ომში გრაფმა ივან პასკევიჩმა კიდევ ბევრი წარმატება მოიპოვა და ომის დამთავრების შემდეგ ჯართან ერთად ტრიუმფით შემოვიდა თბილისში. კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა სამხედრო და სამოქალაქო მმართველობამ, ასევე, სამღვდელოებამ თბილისის მოსახლეობასთან ერთად, შეხვედრა მოუწყვეს გამარჯვებულ სარდალს. შეხვედრა მოხდა ზუსტად იმ ადგილას, სადაც დღეს თავისუფლების მოედანია (რუსის ჯარი ოქროყანის მხრიდან შემოვიდა თბილისში). დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, პირველად ვის მოუვიდა თავში აზრად იმ ადგილისთვის, სადაც გამარჯვებულ სარდალს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს, მისი სახელი ეწოდებინათ. მალე დღევანდელ თავისუფლების მოედანს ეწოდა გრაფ ივან პასკევიჩ-ერევანსკის სახელი. ეს მოედანი შემდგომში იწოდებოდა „ერევანსკის მოედნად". ამრიგად, თავისუფლების მოედნის ძველი სახელწოდება „ერევანსკის მოედანი" წარმოდგა გრაფ ივან პასკევიჩისთვის იმპერატორის მიერ ბოძებული საპატიო წოდებიდან – „ერევანსკი". ასე რომ, ქალაქ ერევნის პატივცემად თბილისში მოედნისთვის სახელი არ უწოდებიათ. სახელწოდება „ერევანსკის" „ერევნით" შეცვლა შეცდომაა.

**ოსმალეთთან ომში გამარჯვების შემდეგ პასკევიჩ-ერევანსკიმ გურიის სამთავრო გააუქმა**

**– რამდენი ხანი დაყო თბილისში გრაფმა ივან პასკევიჩ-ერევანსკიმ და, გარდა მისი სახელობის მოედნისა, კიდევ რა აკავშირებდა ამ პიროვნებას საქართველოსთან?**

– ირანთან ომის დასრულების შემდეგ მალე დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1828-1829 წლებში მიმდინარეობდა. კავკასიაში ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედ რუსეთის ჯარებს კვლავ გრაფი ივან პასკევიჩ-ერევანსკი სარდლობდა. პასკევიჩმა ამ ომშიც გამოიჩინა თავი და მრავალი გამარჯვება მოიპოვა. რუსეთის ომში გამარჯვებას შეეწირა გურიის სამთავროს არსებობა. 1804 წლიდან გურიის მთავარი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი გახდა და სამთავრომ გარკვეული შინაგანი ავტონომია შეინარჩუნა. ამ დროს გურიას მართავდა მთავრის ქვრივი, დედოფალი სოფიო. სოფიო აშკარად ანტირუსული ორიენტაციის იყო და პასკევიჩმა და მისმა ხელქვეითებმა სოფიოს ბრალი დასდეს რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთთან ფარულ კავშირში. გურიის დედოფალმა საფრთხე იგრძნო და შვილებთან ერთად ოსმალეთში გაიქცა. ოსმალეთთან ომში გამარჯვების შემდეგ პასკევიჩ-ერევანსკიმ გურიის სამთავრო გააუქმა. 1830 წელს პასკევიჩი ჩეჩნეთში სალაშქროდ ემზადებოდა, თუმცა, არ დასცალდა – კავკასიის ჰავამ მის ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედა და ექიმებმა კავკასიის დატოვება ურჩიეს. 1830 წელს გრაფმა ივან პასკევიჩ-ერევანსკიმ იმპერატორს გადადგომის შესახებ თხოვნა მიართვა.

**– რა ბედი ეწია სოფიო გურიელისა და მისი შვილების სამშობლოდან განმდევნელ პასკევიჩს?**

– გრაფი პასკევიჩ-ერევანსკი კიდევ ერთ ძალიან სამარცხვინო საქმეში აღმოჩნდა გარეული. 1830 წელს რუსეთის წინააღმდეგ დიდმა აჯანყებამ იფეთქა პოლონეთში. რუსეთის ჯარებმა დაიწყეს ფართომასშტაბიანი სადამსჯელო ღონისძიებების გატარება. აჯანყებულები რამდენიმე ბრძოლაში დამარცხდნენ. იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ჩათვალა, რომ აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ენერგიულად და დიდი სისასტიკით უნდა წარმოებულიყო. 1831 წელს აჯანყებული პოლონელების წინააღმდეგ მოქმედი რუსეთის ჯარების სარდლად იმპერატორმა გრაფი ივან პასკევიჩ-ერევანსკი დანიშნა. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, 1831 წლის 26 აგვისტოს, პასკევიჩმა ვარშავა აიღო. გახარებულმა იმპერატორმა გრაფ ივან პასკევიჩ-ერევანსკის ამჯერად თავადის ტიტული და „ვარშავსკის" წოდება უბოძა და ამიერიდან იგი ასე იწოდებოდა: თავადი ივან თევდორეს ძე ვარშავსკი, გრაფი პასკევიჩ-ერევანსკი. 1832-1856 წლებში ივან პასკევიჩი იყო რუსეთის მეფისნაცვალი პოლონეთის სამეფოში. გარდაიცვალა იქვე.

**ეკა სალაღაია**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28(550)-9(635)

აგარაკზე ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. სვინინის მიერ გატაცებულ საგანძურში ისეთი უნიკალური თვლები იყო, რომლებიც კატალოგებშია შეტანილი. დღესდღეობით, ეს მილიარდ ორასი მილიონი დოლარის ღირებულების ქონება საიდუმლო საცავში ინახება.

სვინინების მსგავსი მოღალატეები დღესაც მრავლადაა მთელ მსოფლიოში და საკმაოდ კარგადაც გრძნობენ თავს. თუმცა, ბოროტება არავის შერჩენია და, ადრე თუ გვიან, თითოეული მათგანი საკადრის სასჯელს მიიღებს. ხალხისა და ქვეყნის ღალატისთვის ხანდაზმულობის ვადა არ არსებობს, მსგავსი ტიპის დამნაშავე, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, აუცილებლად უნდა დაისაჯოს.

ჩემი სიტყვების ნათელი დასტურია ებრაელი შურისმაძიებლების საქმიანობა. ეს ადამიანები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნადირობდნენ ებრაელი ხალხის, ებრაული სახელმწიფოს მტრებზე და, ან იქვე ანადგურებდნენ მათ, ან კი იტაცებდნენ, ისრაელში ჩაჰყავდათ, ასამართლებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ...

მავანმა ჩემი სიტყვები შეიძლება არაჰუმანურად ჩათვალოს, მაგრამ, სახელმწიფოს მტრის მიმართ გამოჩენილი ჰუმანურობა სახელმწიფოს, სამშობლოს მიმართ გამოჩენილი არაჰუმანურობაა. სახელმწიფოს, ქვეყნის უკან კი მილიონობით ადამიანი დგას და მათი მტერი პირდაპირ უნდა განადგურდეს.

ებრაელი შურისმაძიებლების მსგავს აქციებს „კაგებეც“ ახორციელებდა, ზოგჯერ მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და ისინიც და ჩვენც ერთსა და იმავე ობიექტზე ვნადირობდით.



ერთხელ შჩუკინმა ლუბიანკაზე მიხმო და მითხრა:

– ძალიან საპასუხისმგებლო დავალება უნდა შეასრულო და შენი დიდი იმედი მაქვს.

იმ პერიოდში შჩუკინთან უკვე ახლობლური დამოკიდებულება მქონდა და მივუგე:

– განა ოდესმე არასაპასუხისმგებლო რამ დაგივალებიათ?

ვიქტორ იაკოვლევიჩმა ხუთიოდე ფოტოსურათი მიჩვენა და მითხრა:

– ეს ობერგრუპენფიურერი ვალტერ როიტერია. ის ვერც ომის დროს მოვიხელთეთ და ვერც შემდეგ. ამას წინათ კი გვაცნობეს, რომ არგენტინაში იმალება. აუცილებლად უნდა ჩამოიყვანო, რათა გავასამართლოთ და დავსაჯოთ. ამ გენერალ როიტერს ათასობით მშვიდობიანი ადამიანის სისხლში აქვს ხელები გასვრილი და დამსახურებული სასჯელი უნდა მიიღოს. მარტო კიევში, 1942 წლის, 20 აპრილს, ჰიტლერის დაბადების დღეს, 530 ებრაელი საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს. იმ დღეს ჰიტლერი 53 წლის გახდა და ამ ნაძირალამ ათმაგი მსხვერპლშეწირვა განახორციელა. ბუენოს-აირესში დიეგო სოლანას სახელით ჩახვალ, ანუ, შენ ესპანელი კომერსანტი ხარ და საიუველირო ანტიკვარიატით ვაჭრობ.

– რატომ მაინცდამაინც საიუველირო ანტიკვარიატით? – ვკითხე ვიქტორ იაკოვლევიჩს.

– იმიტომ, ჩემო კარგო, რომ ვალტერ როიტერი იქ, სავარაუდოდ, მარიო მარკესის სახელითაა ჩასული, ის კი საიუველირო ანტიკვარიატის მაღაზიას ფლობს.

– ახლა გასაგებია.

– მთლად მასეც არაა, – მითხრა შჩუკინმა, – ეს ჯერჯერობით ვარაუდია. როიტერის იდენტურობა დასადგენია. ჩვენ მისი ხელის ანაბეჭდები გვაქვს. შენ მარკესის თითების ანაბეჭდები უნდა მოიპოვო და თუკი ის როიტერი აღმოჩნდა, უნდა წამოიყვანო.

– ყველაფერი გასაგებია. როდის მივემგზავრები?

– ამაღამ ლონდონში ჩაფრინდები. იქიდან კი – ბუენოს-აირესში.

არგენტინის დედაქალაქში გამთენიისას ჩავფრინდი და სასტუმრო ჰილტონის ლუქსში დავბინავდი. ძალიან დაღლილი ვიყავი და შუადღემდე კარგად გამოვიძინე. შემდეგ შხაპი მივიღე, ვისადილე და ეგრეთ წოდებულ „ძველ ქუჩაზე“ გავემართე, სადაც მთელ მსოფლიოში ცნობილი უამრავი ანტიკვარული მაღაზია მდებარეობს. მარიო მარკესის მაღაზიას ადვილად მივაგენი. შიგნით რომ შევედი, დახლთან ოცდაათიოდე წლის, ათლეტური აღნაგობის მამაკაცი დამხვდა. მან თავაზიანად გამიღიმა და მკითხა:

– რით გემსახუროთ, სენიორ?

– მე დიეგო სოლანა ვარ, კატალონიელი კომერსანტი და საიუველირო ანტიკვარიატით ვვაჭრობ. ასე შორიდან კი იმიტომ გეწვიეთ, რომ მსხვილი შეკვეთა მოგცეთ.

– ერთი წუთით, სენიორ სოლანა, მე მხოლოდ გუშინ დავიწყე აქ მუშაობა, თანაც, გამყიდველი ვარ და მსგავსი უფლებამოსილება არ გამაჩნია. ათ წუთს თუ მოიცდით, სენიორ მარიო მარკესი მოვა და მას დაელაპარაკეთ, მანამდე კი ყავას მოგართმევთ, თუ გნებავთ.

– დიდი სიამოვნებით, სენიორ, – ვუთხარი ათლეტ გამყიდველს, რომელმაც თავისი სახელი მითხრა:

– ხუანი.

– სენიორ ხუან, – მივმართე გამყიდველს, – მარიო მარკესი ვინ არის?

– ამ მაღაზიის მფლობელი, ცნობილი ანტიკვარიატით მოვაჭრეა.

– ძალიან კარგი.

– შაქარს რამდენს ინებებთ?

– თუ შეიძლება, უშაქროდ.

– აი, ინებეთ, – ხუანმა ყავა დაბალ მაგიდაზე დამიდგა და მკითხა – რისი შეკვეთა გნებავთ?

– ევროპაში ახლა ძალიან მოდაშია ძველი ინდიელების ტომების სამკაულები და სწორედ ეს მინდა შეგიკვეთოთ. რას იტყვით, შეძლებს სენიორ მარკესი ამ შეკვეთის შესრულებას და სამკაულების მსხვილი პარტიის შოვნას?

– როგორც გითხარით, მუშაობა მხოლოდ გუშინ დავიწყე და ჯერჯერობით ყველაფერში გარკვეული არ ვარ; თუმცა, ვფიქრობ, რომ სენიორ მარკესს არ უნდა გაუჭირდეს ამ შეკვეთის შესრულება.

ხუანი საკმაოდ ენაწყლიანი ახალგაზრდა აღმოჩნდა და ასეთი ადამიანები საყოველთაო მოწონებით სარგებლობენ მყიდველებში. მაგრამ მან ჩემში ეჭვი აღძრა და ინტუიცია მკარნახობდა, რომ მასთან საკმაოდ ფრთხილად და ფხიზლად უნდა ვყოფილიყავი.

ინტუიციას ჩემთვის არასდროს უღალატია და არც ხუანის შემთხვევაში შევმცდარვარ. ენაწყლიანი, სიმპათიური ახალგაზრდა გამყიდველი ხუანი ებრაელი შურისმაძიებელი აღმოჩნდა, ჩემსავით ვალტერ როიტერზე ნადირობდა და ისრაელის დაზვერვა „მოსადის“ საფარქვეშ მოქმედებდა.

ხუანს მარკესი, სინამდვილეში კი ობერგრუპენფიურერი ვალტერ როიტერი, უკვე გაკოჭილი ჰყავდა და დამხმარე ჯგუფს ელ-

ოდებოდა, რომ ისრაელში გაეტაცა და სწორედ იმ დროს წამოვადექი თავზე, მაყუჩიანი პისტოლეტი მივუშვირე და ვუთხარი:

– განზე გადექი და ზედმეტი მოძრაობა არ გაბედო, თორემ, გესვრი! გარწმუნებ, არ მინდა ამის გაკეთება და ნუ მაიძულებ!

ხუანი, ისევე, როგორც ყველა მოსადელი, მაღალ დონეზე იყო მომზადებული. მას წარბიც არ შეუხრია, განზე გადგა, გაეცინა და მომიგო:

– ალბათ, „კაგებედან“ ხართ.

– თქვენ მოსადელი ხართ? – შევუბრუნე კითხვა.

– დიახ, მოსადელი ვარ და უამრავი ებრაელისა და არა მხოლოდ ებრაელის მკვლელის მოტაცება მაქვს დავალებული.

– რას იზამ, ჩემო მეგობარო. ყველას თავისი საქმე აქვს. თქვენ – თქვენი, მე კი – ჩემი, – ვუთხარი ხუანს და პისტოლეტით ვანიშნე, რომ საწოლზე ჩამომჯდარიყო, – ასეთია ჩვენი პროფესია. დღეს მე გამიმართლა, ხვალ კი თქვენ გაგიმართლებთ. მშვიდად იჯექით და არ გაინძრეთ, ეს ნაძირალა უნდა წავიყვანო.

– სენიორ სოლანა, დამითმეთ ეს ნაძირალა და ჩემი ქვეყნის მთავრობისგან უამრავ ფულს მიიღებთ.

– ჩემს მოსყიდვას ცდილობთ? – სიცილით ვუთხარი მოსადელს და პისტოლეტი მივუშვირე, – განძრევაც კი არ სცადოთ!

როგორც ვთქვი, მოსადელი კარგად მომზადებული აგენტი იყო, თანაც, ძალიან იდეური და როიტერის მსგავს ნადავლს ასე ადვილად არ დათმობდა. ამიტომ, მან ვეფხვივით ისკუპა ჩემკენ, რომ პისტოლეტი წაერთმია, გავენეიტრალებინე და თავისი ნადავლი უკან დაებრუნებინა. მე სულ ადვილად შემეძლო მისი მოკვლა, მაგრამ, ეს იმიტომ არ გავაკეთე, რომ იმ მომენტში ის ჩემი ქვეყნის მტერი არ იყო, მხოლოდ და მხოლოდ მეტოქეობას მიწევდა საქმეში. ხუანს პისტოლეტის ტარი ვთხლიშე შუბლში, გავთიშე და რიკინის ძელზე მივაბი. როცა გამოფხიზლდა, ვუთხარი:

– მაპატიე, ძმობილო, მაგრამ, უნდა დაგტოვო. ეს ნაძირალა კი თან მიმყავს. გარწმუნებ, რომ დამსახურებულ სასჯელს მიიღებს და სამართლიანობა იზეიმებს.

ფაშისტი ჯალათი, ობერგრუპენფიურერი ვალტერ როიტერი, საბჭოთა სატვირთო გემით ჩავიყვანეთ ოდესაში, იქიდან კი მოსკოვში გადავაფრინეთ და ის ჯერ სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს, შემდეგ კი ჩამოახრჩვეს...

ისრაელის მთავრობამ საბჭოთა კავშირს როიტერის გადაცემა მოსთხოვა, თუმცა, რა თქმა უნდა, უარი მიიღო. ებრაული პრესა კი წერდა, რომ „კაგებეს“ სუპერაგენტმა, მოსადს ფაშისტი დამნაშავე ცხვირწინ ააცალა და გაიტაცა...

– აი, ნახე, რას წერენ ებრაული გაზეთები შენზე, – მითხრა შჩუკინმა როიტერის გატაცებიდან ერთი თვის შემდეგ, როცა ლუბიანკაზე სხვა საქმეზე ვიყავი მისული.

– კიდევ კარგი, ჩემი ფოტოები არ დაუბეჭდავთ და ჩემი ვინაობა არ გაუმხელიათ, – ვეხუმრე შჩუკინს, მან კი მითხრა:

– მოკლედ, ასეთი საქმეა. ჩვენს კუბელ მეგობრებს დახმარება სჭირდებათ და უნდა დავეხმაროთ. საქმე ისაა, რომ ფიდელ კასტროზე ტერორისტული აქტი მზადდება და კუბის ლიდერი უნდა დავიცვათ.



– დავიცვათ, – მივუგე შჩუკინს.

– ეს არც ისე ადვილი საქმეა. კასტრო ნიუ-იორკში „გაეროს“ გენერალური ასამბლეის სესიაზე სიტყვით უნდა გამოვიდეს და მის ლიკვიდაციას სწორედ ნიუ-იორკში აპირებენ, ჩვენ კი, ამას ხელი უნდა შევუშალოთ.

– მერედა, ნუ ჩავა ნიუ-იორკში და ტერაქტსაც აიცილებს...

– შეუძლებელია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მან უკვე ხმამაღლა განაცხადა, რომ სასიკვდილო საფრთხის წინაშეც კი არ დაიხევს უკან, ამერიკაში აუცილებლად ჩავა და „გაეროს“ ტრიბუნიდან ამხელს ამერიკელ იმპერიალისტებს. ფიდელი თავის სიტყვას არასდროს არღვევს და არც ამჯერად გააკეთებს ამას.

– ამერიკას ხომ უსაფრთხოების ვალდებულებები აქვს აღებული, ნუთუ კასტროს მკვლელობას დაუშვებს თავის ქვეყანაში და თავს შეირცხვენს?

– მათი ნდობა არ შეიძლება. საკუთარი პრეზიდენტი ვერ დაიცვეს, დღისით-მზისით გამოასალმეს სიცოცხლეს და ფიდელს გადაჰყვებიან?

– პრესტიჟი, ღირსება?

– ფიდელ კასტრო მათ მაგრად ჰყავთ ყელში გაჩხერილი და ამერიკისთვის მისი თავიდან მოშორება უფრო აუცილებელია, ვიდრე საერთაშორისო პრესტიჟი. ასე რომ, კასტრო საფრთხეშია.

– რა უნდა გავაკეთო?

– ჩვენ და ჩვენმა კუბელმა კოლეგებმა კასტროს დაცვის საიდუმლო გეგმა შევიმუშავეთ, რომლის შესახებაც თვით ფიდელმა არ იცის.

– ეგ როგორ?

– როგორ და, კასტრო, შესაძლოა, არ დათანხმებულიყო ჩვენს შემოთავაზებაზე და მაშინ მას უეჭველი სიკვდილი ელოდა. ჩვენი გეგმით კი კუბის ლიდერი უვნებელი გადარჩება.

– რა გეგმა შეიმუშავეთ და მე რა როლი მეკისრება?

– დავიწყოთ იმით, რომ, საყოველთაოდ ცნობილი პროტოკოლის მიხედვით, ფიდელ კასტრო ნიუ-იორკში დილის 9 საათზე უნდა ჩაფრინდეს და სპეციალურად მისთვის განკუთვნილ სასტუმროში უნდა დაბინავდეს. მისი გამოსვლა საღამოს 6 საათზეა დაგეგმილი, გამოსვლის მერე კი, რომელიღაც დარბაზში უნდა მივიდეს ლათინური ამერიკის ლიდერების შეხვედრაზე და იქაც სიტყვით გამოვიდეს. შემდეგ კვლავ თავის სასტუმროში დაბრუნდეს, იქ ღამე გაათიოს და დილის 9 საათზე კუბაში გაფრინდეს. როგორც ხედავ, ამ 24 საათის განმავლობაში ფიდელ კასტროს გრაფიკში




ერდო ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...

მაკლერი:

-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.

მარიკა 599 24 28 31

სამი დიდი ხვრელია. პირველი – ჩამოფრენა, სასტუმროში ყოფნა და სესიაზე გამგზავრება; მეორე – ლიდერებთან შეხვედრაზე წასვლა, სიტყვით გამოსვლა და სასტუმროში დაბრუნება; მესამე – ღამის გათენება სასტუმროში. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ყოფნის განმავლობაში, კასტროს სამი პოლიციელი ეყოლება მიჩენილი, მისი ლიკვიდაცია დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ამიტომ, ჩვენი გეგმის მიხედვით, კასტროს ამერიკაში ყოფნის დრო უნდა შეიზღუდოს და ისეთი დაცვა დავუყენოთ, რომ მისი ლიკვიდაცია შეუძლებელი გახდეს. ჩვენი გეგმა, რომელიც კუბელებთან ერთად შევიმუშავეთ, სამეტაპიანია და სულ ექვსმა ადამიანმა ვიცით. პირველ ეტაპზე კასტროს ამერიკაში ჩაფრენა უნდა მოხდეს არა დილის 9 საათზე, არამედ, საღამოს 5 საათზე. იქიდან კი ის არა სასტუმროში, არამედ, პირდაპირ გაეროს შენობაში წავა, რომ სიტყვით გამოვიდეს და ამით პირველ საფრთხეს ავიცილებთ თავიდან. გამორიცხულია, რომ კასტრო გაეროს შენობის სხდომათა დარბაზში მოკლან. იქ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის პირველი პირები იქნებიან და ეს შეუძლებელია. კუბელი პილოტი უკვე წინასწარაა დამუშავებული – ის თვითმფრინავს კუბის სხვადასხვა ქალაქში დასვამს და ეს ყველაფერი მეტეოპირობებს დაბრალდება, ნიუ-იორკში კი ზუსტად საღამოს 5 საათზე დაჯდება. მეორე ეტაპიდან საქმეში უკვე შენ ერთვები: როდესაც კასტრო ლიფტში შევა პირველ სართულზე დასაშვებად, შენ მას აეროზოლით აძინებ, სარდაფში, მანქანების სადგომზე ჩაგყავს და კონსპირაციულ ბინაში მიგყავს, ფიდელის ადგილს კი მისი ორეული იკავებს, რომელიც სასტუმროში წავა. ლათინოამერიკული ქვეყნების ლიდერების შეხვედრა კასტროს გარეშე ჩაივლის და ამით კასტროს მეორე საფრთხე ასცდება. კონსპირაციულ ბინაში, ზუსტად საღამოს 10 საათზე კასტრო იღვიძებს და შენ მას წარუდგები, როგორც „კაგებეს“ თანამშრომელი, მაგრამ, სხვა გვარით, ეუბნები, რომ მას პირადად ლეონიდ ბრეჟნევი ეპატიჟება თავის რეზიდენციაში და ის მოგყვება, რადგან ბრეჟნევი ძალიან უყვარს და მასთან შეხვედრაზე უარს არ იტყვის. ლეონიდ ილიჩი ნიუ-იორკში ზუსტად საღამოს 8 საათზე უნდა ჩაფრინდეს, 9 საათზე გამოსვლა აქვს, შემდეგ კი თავის რეზიდენციაში გაემგზავრება და ჩვენი თანამშრომელი, მისი დაცვის უფროსი, მას კასტროს ამბავს მოუყვება. ბრეჟნევს ფიდელი ძალიან უყვარს და მთელი ღამე თავისთან გააჩერებს, რაზეც ფიდელი უარს ვერ ეტყვის. დილით კი თავისსავე თვითმფრინავით ჩაიყვანს კუბაში და შემდეგ მოსკოვში დაბრუნდება. სწორედ ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევია ის ურყევი გარანტი და ფარი, რომლის თანდასწრებითაც გამორიცხულია კასტროზე ტერაქტის მოწყობა. რას იტყვი, როგორი გეგმაა?

– თითქმის უნაკლო, მაგრამ როდესაც კასტროს კონსპირაციულ ბინაში გამოეღვიძება და მეტყვის, რატომ მივაძინე ის აეროზოლით, რა ვუპასუხო?

– აეროზოლის შემადგენლობა ისეთია, რომ მას ეს მომენტი არ ემახსოვრება. შენ კი ეტყვი, რომ კონსპირაციულ ბინაში თავისი ნებით წამოგყვა, რადგან ტერაქტის საშიშროება არსებობდა და კასტროც დაიჯერებს ამას.

– გასაგებია, – მივუგე შჩუკინს, მერე დავფიქრდი და ვუთხარი – ხომ შეიძლება, ისე მოხდეს, რომ კასტროს ორეულზე თავდასხმა მოხდეს. მაშინ?

– ვფიქრობ, რომ ორეულზე თავდასხმა აუცილებლად მოხდება და შენ ამას კონსპირაციულ ბინაში შეგატყობინებენ. კასტროსთვის კი ეს ზედმეტი არგუმენტი იქნება ჩვენი ქმედებების სისწორის დასამტკიცებლად, თუკი ასეთი საკითხი საერთოდ წამოიჭრება.

– ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია. კითხვები აღარ მაქვს. იდეალური გეგმაა და აუცილებლად იმოქმედებს.

ყველაფერი კარგი ისე აგიხდეთ, როგორც „კაგებეში“ შემუშავებულმა გეგმამ გაამართლა. ნიუ-იორკში ერთი დღით ადრე ჩავედი და ყველაფერს ადგილზე გავეცანი. სამწუხარო ის იყო, რომ კასტროზე დაგეგმილი ტერაქტი მის ორეულზე განახორციელეს და, მართალია, არ დაღუპულა, მაგრამ მარჯვენა ფეხი დაკარგა. ასაფეთქებელი მოწყობილობა კასტროს სასტუმროს ნომერში, კედელში ყოფილა დამონტაჟებული. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, „ცეერუს“ ეს ხაფანგი წლების წინ ჰქონია დაგებული და ისე ოსტატურად შენიღბული, რომ ნიუ-იორკის პოლიციის განნაღმვის სამსახურმაც კი, სასტუმროს ნომერი რომ შეამოწმა, საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა.



ასე ჩაფლავდა ფიდელ კასტროს ლიკვიდაციის მორიგი მცდელობა და, მოხარული ვარ, რომ ამაში გარკვეული წვლილი მეც მიმიძღვის. მიხარია ისიც, რომ ფიდელ კასტრო დღესაც ცოცხალია და კვლავაც წარმოადგენს ლათინური ამერიკის თავისუფლებისა და შეუპოვრობის ურყევ სიმბოლოს.

მიუხედავად იმისა, რომ კუბის უშიშროების სამსახური საკმაოდ კარგად ორგანიზებული და მობილური ძალა იყო, მარტო მაინც ვერ შეძლებდა ასეთი რანგის ოპერაციის ჩატარებას თუნდაც იმის გამო, რომ ის საკუთარ თავზე ვერ აიღებდა იმ ტვირთს, რასაც კასტროს მოტყუება ეწოდება, თუნდაც ეს ტყუილი თავად კასტროსვე სასიკეთოთ ყოფილიყო. ასეთ აქციას „კაგებე“ სჭირდებოდა, სწორედ ამიტომაც ჩავერთეთ საქმეში და ყველაფერი იდეალურად დასრულდა.

„კაგებესთვის“ მსგავსი ერთობლივი აქციების ჩატარება უცხო ხილი არ იყო, მსგავს ოპერაციებში არაერთხელ მაქვს მიღებული მონაწილეობა, რომელშიც, რა თქმა უნდა, ყოველთვის ჩვენ ვიყავით წამყვანები და, რომ იტყვიან, ტონის მიმცემი.

ერთ ზაფხულს, ცოლ-შვილთან ერთად სოჭში ვისვენებდი, როდესაც ლუბიანკაზე გამომიძახეს. შჩუკინის კაბინეტში რომ შევდგი ფეხი, ვიქტორ იაკოვლევიჩმა მითხრა:

– საგანგებო საქმე რომ არ იყოს, ოჯახურ იდილიას ნამდვილად არ მოგწყვეტდი. მაგრამ, რას იზამ, ამ საქმეს შენ სჭირდები და ამიტომ გამოგიძახეთ.

– მზად ვარ, გემსახუროთ. გისმენთ, ამხანაგო გენერალო, – მივუგე შჩუკინს და სმენად ვიქეცი.

– „სეკურიტატე“ დახმარებას ითხოვს და ხელი უნდა გავუწოდოთ, – მითხრა შჩუკინმა, – მართალია, რუმინეთი დამოუკიდებელი თამაშის წარმოებას ცდილობს და იქ ჩვენი ჯარი არ დგას, მაგრამ, მაინც სოციალისტურ, ჩვენს მოძმე ქვეყნად ითვლება და უნდა დავეხმაროთ. თანაც, ამ საქმეში პირადი ინტერესიც გვაქვს.

„სეკურიტატე“ რუმინეთის უშიშროების სამსახური იყო და მათ ჩვენი დახმარება ერთი თავიანთი დიპლომატის ციხიდან გამოხსნის საქმეში სჭირდებოდათ, რომელიც ავღანეთში იყო დატყვევებული, გასამართლებული და სიკვდილით უნდა დაესაჯათ.

ვინმე, პირობითად მას კარლი ვუწოდოთ, ქაბულში სამთავრობო მილიციამ იმის გამო დააპატიმრა, რომ ერთ-ერთი ავღანელი მაღალჩინოსნის მეუღლეს ჩადრი მოხადა. ეს კი იქ უდიდეს, სასიკვდილო ცოდვად ითვლებოდა და დიპლომატსაც კი არ აპატიებდნენ. კარლი რანგით საშუალო დო-

ნის დიპლომატი იყო და ეს საქციელი არყით მთვრალმა ჩაიდინა, რაც ადგილობრივი კანონებით მკაცრად იკრძალებოდა.

კარლის გამო „სეკურიტატე“ თავს ნამდვილად არ შეიწუხებდა, ის რომ მათთვის საჭირო კაცი არ ყოფილიყო. კარლის გამოხსნით, სწორედ იმის გარკვევა გვინდოდა, თუ რა თამაშს თამაშობდა ის ავღანეთში.

„სეკურიტატეს“ ავღანეთში სამხედრო სპეცოპერაციის ჩატარების არანაირი შანსი არ ჰქონდა და დახმარებისთვის ჩვენ ამიტომ მოგვმართა.

– საოცარია, – ვუთხარი ვიქტორ იაკოვლევიჩს, – როგორც ჩანს, ეგ კარლი რუმინელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის გამოხსნაზე არ იჩალიჩებდნენ, მით უმეტეს, ჩვენ არ გვთხოვდნენ ამის გაკეთებას.

– აშკარაა, რომ იმ კრეტინს ეს სიმთვრალით მოუვიდა, ამ რქიან ავღანელებს კი ასეთ რამეებზე ტვინი ეკეტებათ და თხოვნა არ ჭრის, – მითხრა შჩუკინმა, – ჩვენ კი იმ კარლის პიროვნების გაშიფვრა აუცილებლად გვჭირდება. ეჭვი გვაქვს, რომ ეს სუბიექტი ორმაგ თამაშს ეწეოდა და ამ თამაშში ჩვენს ზურგს უკან ჩვენი რუმინელი მაღალჩინოსანი კოლეგებიც მონაწილეობენ. ვფიქრობ, კარლის გამოხსნა იმ მიზნით სურთ, რომ ამ თამაშიდან არ ამოვარდნენ.

– და, რა ჰქვია ამ თამაშს? – ვკითხე შჩუკინს.

– სწორედ ამის გარკვევა მოგიწევს შენ. ამის გამო გამოგიძახეთ სასწრაფოდ სოჭიდან. ერთ საათში ორ რუმინელთან ერთად უნდა გადაფრინდე ქაბულში და მათი სამთავრობო ციხის ჯურღმულიდან გამოიხსნა ის სუბიექტი.

– შემდეგ ამ ორ რუმინელს გავატანო, ხომ? – ღიმილით ვკითხე შჩუკინს, რომელმაც ღიმილითვე მიპასუხა:

– ოფიციალური შეთანხმებით, ასე უნდა მოიქცე, მაგრამ, იმ ორ რუმინელს მოჯაჰედების სამოსში გადაცმული საბჭოთა სპეცნაზი გაიტაცებს და, შემდეგ, რა თქმა უნდა, გამოუშვებენ. შენ კი იმ ვიღაც კარლს ჩვენს კონსპირაციულ ბინაში მიიყვან, კარგად დაამუშავებ, ყველაფერს ბოლომდე გამოწურავ, ამ პროცესს კამერაზე გადაიღებ და კარლს სარდაფში გამოამწყვდევ. შემდეგ კი მოპოვებულ ცნობებს შევაჯერებთ და მოქმედების შემდგომ გზასაც დავსახავთ.

– გასაგებია.

– აბა, შენ იცი, კოკი. ვფიქრობთ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი უნდა იყოს და შენი დიდი იმედი გვაქვს.

კარლის ციხიდან გამოხსნა მაინცდამაინც არ გაგვჭირვებია და ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. რუმინელები მოჯაჰედებმა „აჰყარეს“, მე კი ციხიდან გატაცებული კარლისგან შევიტყვე, რომ ის „სეკურიტატეს“ მეკავშირე იყო ავღანელ საველე მეთაურ ბათუ აბუ-ჰალილთან, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი ნარკოდილერი და საბჭოთა სამხედრო ძალების დაუძინებელი მტერი იყო.

ბათუ აბუ-ჰალილი და „სეკურიტატეს“ მაღალჩინოსნები საბჭოთა არმიის ხელმძღვანელობის ზურგსუკან ნარკოტიკების მსხვილ პარტიებს ეზიდებოდნენ და ამ საქმეში მათ ორმაგი აგენტი, საბჭოთა გენერალ-მაიორი ეხმარებოდა, რომლის ვინაობასაც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ ვასახელებთ, რომ მის ახლობლებს ის გმირი ჰგონიათ, სინამდვილეში კი აყვანის დროს შემოგვაკვდა. რაც შეეხება „სეკურიტატეს“, კარლის სიკვდილით დასჯა მათ ერთადერთ მეკავშირეს უკარგავდა და ამით მილიონობით დოლარს უშვებდნენ ხელიდან; ეს – ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი, მათ ეშინოდათ, რომ კარლი გუდას მოხსნიდა თავს, ყველა ინფორმაციას დაფქვავდა და რუმინული უშიშროების მაღალჩინოსნებს გაამჟღავნებდა, რაც დიდი დარტყმა იქნებოდა რუმინეთისთვის.



„სეკურიტატე“ ორ ცეცხლშუა იყო და, სხვა გამოსავალი რომ არ ჰქონდა, დახმარებისთვის მაინც ჩვენ მოგვმართა. ჩვენ კი, არ „ვჭამეთ“, ჩვენი თამაში ჩავატარეთ და, როდესაც კარლის აღიარების კადრები რუმინეთის პრეზიდენტ ნიკოლაუ ჩაუშესკუს მიუვიდა, იმავე ღამეს „სეკურიტატეს“ ოთხმა მაღალჩინოსანმა საკუთარ კაბინეტში მოიკლა თავი. კარლი კი ლუბიანკაზე მივიყვანეთ და მასზე უკვე სხვა პროფილის ჩეკისტები მუშაობდნენ. საბჭოთა სპეცრაზმმა ბათუ აბუ-ჰალილი და მისი დაცვის რვა წევრი ალყაში მოაქცია და ამოხოცა.

ასე დასრულდა რუმინული მხარის თხოვნით ჩატარებული „სეკურიტატესა“ და „კაგებეს“ ერთობლივი ოპერაცია. მოსკოვში რომ დავბრუნდი, შჩუკინმა მითხრა:

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  | | | | | | კ | უ | რ | ტ | ა | ნ | ი | ძ | ე |
| | | | | | | | ლ | | ა | | ი | | ი | |
| | | | | | | | ი | ა | მ | ა | ნ | ი | ძ | ე |
| | | | | | | პ | ა | პ | ა | | ო | მ | ა | რ |
| | | | | | | | ნ | უ | გ | ა | | ა | | ა |
| | | | | | | ს | ო | ლ | ო | | ა | რ | კ | ს |
| პ | | ა | | | | | ვ | | ჩ | ა | ნ | გ | ი | |
| რ | | ლ | | მ | უ | ჯ | ი | რ | ი | | ტ | | ჭ | |
| ა | ბ | ე | ს | ა | ძ | ე | | | | ნ | ი | ს | ი | ა |
| ღ | | პ | | ს | ი | ნ | ჯ | ა | რ | ა | | ვ | | ქ |
| ა | მ | ო | ნ | ა | ლ | ი | | ნ | | კ | ბ | ე | ნ | ა |
| | დ | | ი | | ო | ფ | ი | ც | ე | რ | ი | | ა | |
| კ | ა | რ | ა | მ | ბ | ე | | ი | | ძ | მ | ა | რ | ი |
| | რ | | ს | ტ | ა | რ | ი | | | ა | ი | ს | ი | |
| დ | ე | ს | ა | ი | | | ხ | ვ | ა | ლ | | კ | | რ |
| ა | | ა | | რ | უ | კ | ა | | მ | ი | მ | ი | ნ | ო |
| ს | ა | მ | ბ | ა | | ა | რ | ზ | ა | | ა | ლ | ა | გ |
| ტ | | ს | | ლ | ა | ლ | ე | | ო | | ნ | ი | მ | ი |
| ა | ლ | ა | ბ | ა | მ | ა | | თ | | დ | ი | | გ | |
| | ე | ლ | ა | | ე | ს | მ | ე | რ | ა | ლ | დ | ა | |
| ა | ლ | ა | ნ | ე | ბ | ი | | მ | | ჩ | ა | რ | ლ | ი |
| | ო | | ი | ბ | ა | | შ | ა | რ | ა | | ო | ი | ს |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 8 | 7 | 9 |
| 8 | 3 | 7 | 1 | 9 | 4 | 6 | 2 | 5 |
| 5 | 9 | 2 | 7 | 8 | 6 | 3 | 4 | 1 |
| 2 | 8 | 3 | 9 | 1 | 7 | 4 | 5 | 6 |
| 6 | 1 | 5 | 4 | 2 | 8 | 9 | 3 | 7 |
| 4 | 7 | 9 | 6 | 3 | 5 | 1 | 8 | 2 |
| 9 | 4 | 1 | 5 | 7 | 3 | 2 | 6 | 8 |
| 3 | 5 | 8 | 2 | 6 | 9 | 7 | 1 | 4 |
| 7 | 2 | 6 | 8 | 4 | 1 | 5 | 9 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 3 | 6 | 1 | 5 | 9 | 4 | 7 |
| 4 | 7 | 9 | 2 | 8 | 3 | 6 | 1 | 5 |
| 1 | 6 | 5 | 9 | 4 | 7 | 2 | 8 | 3 |
| 9 | 3 | 1 | 8 | 6 | 4 | 7 | 5 | 2 |
| 7 | 4 | 6 | 5 | 9 | 2 | 1 | 3 | 8 |
| 8 | 5 | 2 | 3 | 7 | 1 | 4 | 6 | 9 |
| 3 | 9 | 7 | 1 | 5 | 6 | 8 | 2 | 4 |
| 6 | 2 | 4 | 7 | 3 | 8 | 5 | 9 | 1 |
| 5 | 1 | 8 | 4 | 2 | 9 | 3 | 7 | 6 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** 1. ინკუბაცია. 2. კემბრიჯი. 3. ვერცხლისა და სპილენძის გარკვეული თანაფარდობით. 4. კომა. 5. სათადარიგოს. 6. ებრაელები ამ დროს იხსენებენ მონობის სიმწარეს, ქრისტიანები – მარადიული ცხოვრების პატივს. 7. ტაჯიკი – ტაჯმაჰალი. 8. თეთრი – „თეთრი მოძრაობა“, „თეთრგვარდიელები“. 9. პიონერი. 10. ბანგლადეში.

# რამდენი წელი დასჭირდა სტალინს ოპონენტების დასამარცხებლად



**სტალინი ექიმისაგან წამალს არ იღებდა. მისი პირადი დაცვის წევრები დანიშნულ მედიკამენტს ყიდულობდნენ მოსკოვის ოლქის მიყრუებული სოფლების აფთიაქებში. დაცვის წევრების მიერ მოტანილ ერთსა და იმავე წამალს ბელადი ერთად ყრიდა და შემდეგ ერთ-ერთს ამოირჩევდა დასალევად**

***დღემდე ვერ აუხსნიათ, თუ როგორ მოახერხა ქართველმა იოსებ ჯუღაშვილმა, გამხდარიყო უზარმაზარი იმპერიის ერთპიროვნული მმართველი. ამ საკითხზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.***

ლენინის გარდაცვალების შემდეგ (1924 წელი) სტალინი არ განიხილებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ლიდერად. ლიდერობისთვის მებრძოლთა რეიტინგი ასეთი იყო: ლევ ტროცკი, ლევ კამენევი, გრიგორი ზინოვიევი, იოსებ სტალინი და ნიკოლაი ბუხარინი. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ სტალინს ძალიან მცირე შანსი ჰქონდა. ამგვარ რთულ ვითარებაში სტალინმა პირდაპირ ტროცკის შეუტია, რაც იმას ნიშნავდა, რომ მან მეოთხიდან მესამე ადგილზე გადანაცვლებისთვის კი არ დაიწყო ბრძოლა და მოქმედება, არამედ პირდაპირ პირველობისთვის დაიწყო ზრუნვა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის უტევდა არა მარტო და ღიად, არამედ, კამენევთან და ზინოვიევთან ერთად. სტალინმა ორივე დაარწმუნა, რომ ტროცკი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ყველა პოლიტიკურ ლიდერს თავიდან მოიშორებდა. კამენევი და ზინოვიევი ენდნენ ჯუღაშვილს და ერთობლივი ძალებით დაამხეს კიდეც ტროცკი.

ამ გამარჯვების შემდეგ სტალინი დაუახლოვდა ბუხარინს და ახლა ის დაარწმუნა, რომ ზინოვიევი და კამენევი სტალინისა და ბუხარინის გზიდან ჩამოშორებას ლამობდნენ. ბუხარინმაც დაუჯერა ჯუღაშვილს და შედეგად ორივემ ერთად დაამხეს კამენევი და ზინოვიევი.

ამის შემდეგ, მარტოდ დარჩენილმა ბუხარინმა იგრძნო, რომ მისი აღსასრული მოახლოვდა. მართალიც იყო – სტალინმა ბუხარინი სრულიად უმტკივნეულოდ ჩამოიშორა გზიდან. იმისთვის, რომ იმპერიის ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო, სტალინს 20 წელი დასჭირდა.

პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ჩამოშორების შემდეგ სტალინი მშვიდად ცხოვრებას დაემშვიდობა, ვინაიდან, საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ის ადამიანები, რომელთაც რევოლუციას შესწირეს ყველაფერი; გამოიარეს ციხეები, გადასახლება და კატორღა. ისინი პრინციპულად წინააღმდეგნი იყვნენ ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმის დამყარებისა და ადვილად არ შეეგუებოდნენ იმას, რომ მათზე ვიღაცას ებატონა. ამ საშიშროებას სტალინი კარგად გრძნობდა. მისი მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო, გაცილებით მძიმე, ვიდრე ტროცკის, ზინოვიევისა და სხვათა გზიდან ჩამოშორება. ამჯერად რამდენიმე კაცის დაპატიმრება და რეპრესიები საქმეს ვერ უშველიდა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, სტალინმა ჩამოაყალიბა რეპრესიების მანამდე არნახული გეგმა.

1934 წელს იოსებ ჯუღაშვილმა, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, შექმნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (სამინისტრო), რომელსაც მიზნად დაუსახა მანამდე არნახული რეპრესიების განხორციელება. რეპრესიების მიზანი იყო არა იმდენად ცალკეული ადამიანების სიკვდილით დასჯა, რამდენადაც მთელ საბჭოთა კავშირში შიშის სინდრომის დანერგვა, ოპოზიციური აზრის ჩაკვლა. რეპრესიები შეეხო ყველა სოციალურ ფენას (მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას); ხელისუფლების ყველა რგოლს (სასოფლოს, საქალაქოს, რაიონულს, რესპუბლიკურს); ყველა უწყებას, განსაკუთრებით კი – სამხედროს. რეპრესიები შეეხო თვით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატსა და იმ პირებს, რომლებმაც დიდი როლი შესრულეს უამრავი ადამიანის სიკვდილით დასჯაში. საინტერესოა, რომ რეპრესიებს შეეწირა ორი ჯალათი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრები (მინისტრები): ჰენრიხ იაგოდა და ნიკოლაი ეჟოვი. საბოლოო ჯამში, 1937 წლისთვის საბჭოთა კავშირში ოპოზიციური აზრი ჩაკვდა. ბანაკებსა და სპეცგადასახლების ადგილებში სასჯელს იხდიდა მილიონობით ადამიანი. სტალინი აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობდა. საბჭოთა კავშირში ფიქცია იყო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო (საბჭოების ყრილობა), უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება (მთავრობა), ფიქცია იყო თვით კონსტიტუციაც – ქვეყანას განაგებდა ერთი კაცის ნება.

აბსოლუტური ძალაუფლების მფლობელი სტალინი მშვიდად მაინც არ იყო. ის მუდამ გრძნობდა, რომ რუსებს ის არ უყვარდათ და დადგებოდა დრო, როდესაც ძაღლივით ერთგული თანამებრძოლები მას გაწირავდნენ. იოსებ სტალინი არ ენდობოდა უახლოეს თანამებრძოლებსაც კი. ბელადს მოსკოვში სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც მას რუსებისგან მომდინარე საფრთხისგან დააზღვევდა. ასეთი ადამიანი აღმოჩნდა ლავრენტი ბერია, რომელმაც ბევრჯერ გამოიჩინა თავი როგორც გონიერმა, ალღოიანმა და შორსმჭვრეტელური ნიჭით დაჯილდოებულმა მოღვაწემ. საქმე ისაა, რომ სტალინს უცხოეთშიც და საბჭოთა კავშირშიც ოპონენტები მიიჩნევდნენ „ველური ხალხის შვილად,“ რომელსაც ზესახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველის პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა. ჯუღაშვილს ეს ბრალდება დიდი დამაჯერებლობით უნდა უარეყო, რაც სულაც არ იყო ადვილი საქმე. მეოცე საუკუნის 30-იან წლებში სტალინმა ჩაიფიქრა და განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: 1. საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობა (1934 წელი), 2. „ვეფხისტყაოსნის" დაწერიდან 750 წლის იუბილე; 3. ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში; 4. ილია ჭავჭავაძის 100 წლის იუბილე. ყველა ღონისძიება ბრწყინვალედ იყო მომზადებული. საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე ცხადად დადასტურდა, რომ ქართველებს ჰქონდათ უდიდესი და უძველესი მწერლობა. რამდენიმე ქართველი მწერალი შევიდა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. „ვეფხისტყაოსნის" იუბილეს პერიოდში მთელი სისრულით წარმოჩინდა შოთა რუსთაველისა და მისი პოემის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. ქართული ხელოვნების დეკადამ მოსკოვში არნახული წარმატებით ჩაიარა. მაყურებელი მოხიბლული დარჩა ქართული ბალეტით, კინოთი, ოპერით, ცეკვებით (საყოველთაოდ ცნობილი იყო მაყურებლის აღტაცება ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის გამოსვლით). ცილისმწამებელთა წინააღმდეგ ბრძოლა სტალინმა იმით დაასრულა, რომ ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილსა და სიმონ ჯანაშიას დაავალა საქართველოს ისტორიის დაწერა უძველესი დროიდან. წიგნი ცოტა მოგვიანებით, 1943 წელს გამოიცა. ეს იყო საქართველოს ისტორიის გაბმული მეცნიერული თხრობის შესანიშნავი ნიმუში. ყველა ამ ღონისძიებას დიდი რეზონანსი ჰქონდა, ასე რომ, სტალინის „ველური ერის შვილად" გამოცხადება უკვე არარეალური იყო.

1938 წელს ლავრენტი ბერია სტალინმა თბილისიდან მოსკოვში გადაიყვანა სამუშაოდ და საბჭოთა კავშირის შსს სახალხო კომისრად (მინისტრად) დანიშნა. ამ უკანასკნელმა, პირველ ყოვლისა დიდი წმენდა ჩაატარა სპეცსამსახურებში, უშიშროების სამსახურში, დაზვერვაში, კონტრდაზვერვაში. უამრავი თანამდებობის პირი გაუშვეს სისტემიდან და გაასამართლეს. ბერიამ ციხეებიდან და სპეცგადასახლების ადგილებიდან გაათავისუფლა უამრავი უკანონოდ მსჯავრდებული, რამაც სტალინის ავტორიტეტი საკმაოდ აამაღლა. ამასთან, ლავრენტი ბერიამ დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა, რომელიც მიზნად ისახავდა სტალინისთვის ძალაუფლების შენარჩუნებას. ყოველივე ეს კეთდებოდა ძალიან მოხერხებულად და სხვა საბაბით. საბოლოო ჯამში 1941 წლისთვის ბერიამ მიაღწია იმას, რომ სტალინის იდეური მოწინააღმდეგეები განდევნა ყველა სახელმწიფო უწყებიდან, განსაკუთრებით კი ეს შეეხო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (სპეცსამსახურებს) და სამხედრო უწყებას. ეს 2 უწყება უზრუნველყოფდა სტალინისთვის აბსოლუტური ძალაუფლების შენარჩუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ბერიამ დიდ წარმატებებს მიაღწია, ზიზღი სტალინისა და ბერიას მიმართ დღითი დღე იზრდებოდა. რუსები შურისგებისთვის ემზადებოდნენ. სტალინიც და ბერიაც გრძნობდნენ, რომ ქართველთა ბატონობა კრემლში უკვე ძალზე აღიზიანებდა რუსებს. დაიწყო ფარული ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ მათ წინააღმდეგ ჯერ ვერავინ ბედავდა ხმის ამაღლებას, ვითარება აშკარად იძაბებოდა. ყოველივე ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ სტალინს სიცოცხლის ბოლო წლებში რამდენჯერმე გაუუარესდა ჯანმრთელობა. ბელადი სიცოცხლის ბოლო წლებში კიდევ უფრო ეჭვიანი გახდა. მაგალითად, იგი ექიმისგან წამალს არ იღებდა. სტალინის პირადი დაცვის წევრები დანიშნულ მედიკამენტს ყიდულობდნენ მოსკოვის ოლქის მიყრუებული სოფლების აფთიაქებში. დაცვის წევრების მიერ მოტანილ ერთსა და იმავე წამალს ბელადი ერთად ყრიდა და შემდეგ ერთ-ერთს ირჩევდა დასალევად. სტალინი, ასევე, ძალზე ფრთხილობდა საკვების მიღებისას.

დღემდე არსებობს იოსებ სტალინის გარდაცვალების ორი ვერსია: ერთის მიხედვით ის მიიცვალა ბუნებრივი სიკვდილით, მეორის მიხედვით კი – მოწამლეს ნელი და ხანგრძლივი მოქმედების შხამით – თითქოსდა, შხამის მცირე დოზებს ეტაპობრივად აძლევდნენ მას საკვების საშუალებით და ამიტომაც ვერ დაადგინეს ექიმებმა შხამის მოქმედების ნიშნები. დღეს ძნელია, დადგინდეს, რით გარდაიცვალა სტალინი, ერთი რამ კი ცხადია: ბოლო წლებში გადაღებული ფოტოებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ჯუღაშვილი მძიმედ იყო ავად და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. დოკუმენტური კადრებიდანაც ნათელია, რომ ის მოძრაობს ძალიან ნელა და მძიმედ. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ სტალინს ჯანმრთელობა საწამლავის გარეშეც გაუარესებოდა.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძე**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## ზაზუნაშვილი

ბარათაშვილთა გვარიდანაა გაჩენილი შტოგვარი **ზაზუნაშვილი**. მისი ფუძეა სახელი **ზაზუნა.**

„**ზაზუნა** ბოქაულთუხუცესი, მოწმე საამ ბარათაშვილის მიერ ოთარ ბარათაშვილისთვის მიცემული მიწების გაცვლის წიგნისა“ (1670 წელი).

„**ზაზუნაშვილი** ზურაბ, მოწმე შიოშის მიერ ლუარსაბ ბარათაშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა“ (1696 წელი).

„**ზაზუნაშვილის** ხოდაბუნი ესაზღვრებოდა დოლმაზა ზურიკაშვილის მიერ ბერუა დიარაშვილისთვის მიყიდულ მიწას“ (1690 წელი).

ბარათაშვილი (**ზაზუნაშვილი**) ქაიხოსრო ედავებოდა ჭანდრის რუების გამო ბოქაულთუხუცესს საამ ბარათაშვილს და გუგუნა ქავთარაულს, 1690-იან წლებში.

გვარი წყაროებში გვხვდება ორი ფორმით: **ზაზუნაშვილი და ზაზუნიშვილი. ზაზუნიშვილი** იგივე ბარათაშვილთა გვარია.

საქართველოში 52 **ზაზუნაშვილი** ცხოვრობს: გარდაბანში – 43, თბილისში – 9.

## მაწკეპლაძე

წინაპრებს გვარის ფუძედ **წკეპლა** გამოუყენებიათ. **წკეპლა** წვრილი ჯოხია.

**მაწკეპლაძის** გვარში **მა** წინსართია (ართრონი).

ეს გვარი მეთერთმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების წყაროებში არ ჩანს.

**მაწკეპლაძე** იმერული გვარია.

საქართველოში 327 **მაწკეპლაძე** ცხოვრობს: ქუთაისში – 166, ტყიბულში –131, თბილისში – 30.

## მერაბაშვილი-მერებაშვილი

თანამდებობა-მოსაქმეობის ტერმინიდან **მერაბე** – სარწყავი წყლის გამნესრიგებელი; (**მერუე** – იგივეა, რაც **მერაბე**), გვხვდება სხვადასხვა ფორმით ნაწარმოები გვარები: **მერაბაშვილი, მერაბიშვილი, მერებაშვილი.**

აღნიშნული გვარებიდან ნაწილმა შეინარჩუნა თავისთავადობა, ქართველობა, მართლმადიდებელი სარწმუნოება, მათ ნაწილს კი გვარის ფორმა შეუცვალეს იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც ატარებდა რუსეთი, ეკლესიებში კი – სომეხი ტერტერები (ტერ – მღვდელი). მესხეთში უდელი **მერაბიშვილების** ნაწილმა კათოლიკობა მიიღო (მიაღებინეს). ბევრს გვარის ფორმა შეუცვალეს – სუფიქსი **შვილის** ნაცვლად მიაბეს ფორმანტი **ოვი** და ასეთნაირად გაჩნდნენ **მერაბოვები.**

ცალკე კვლევის ობიექტია **მერაბიანი**. მათი რიცხვი საქართველოში 237-ია.

გადმოცემით, **მერაბიშვილები** (უდედან) სათავეს იღებენ ფეოდალ ხურსისძე-ხურციძეებიდან.

ისტორიულ წყაროებში ჩანს: **მერაბაშვილი**- „სოფელ კრკონს მცხოვრები, ერთ წილად ერგო ხოსია ბარათაშვილს, 1640 წელს“.

„**მერაბაშვილები** არიან აზნაურ ყორღანაშვილების განაყოფები“.

**მერაბიშვილები** არიან თავად აბაშიშვილების შტო-გვარისანიც.

„**მერაბაშვილი** გიორგი – მოწმე გოგია ბოჭორიძის მიერ ივანე ვიგრიაშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა“ (1643 წელი).

საქართველოში 316 **მერაბაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 129, გორში – 82, კასპში – 71. არიან სხვაგანაც.

2 778 **მერაბიშვილი**: თბილისში – 1 224, ადიგენში – 529, გარდაბანში – 187. არიან სხვაგანაც.

1 997 **მერებაშვილი:** გორში – 654, კასპში – 586, მცხეთაში – 321. არიან სხვაგანაც.

251 **მერაბოვი**: თბილისში – 162, გარდაბანში – 42, დედოფლისწყაროში – 13. არიან სხვაგანაც.

## ხიზაძე

გვარის ფუძით – **ხიზანა, ხიზანი**, ნაწარმოებია ქართული გვარები: **ხიზანაიძე, ხიზანიშვილი, ხიზანაშვილი, ხიზანეიშვილი, ხიზაძე.**

**ხიზაძეთა** ადრინდელ საცხოვრებელ ადგილად იხსენიება სოფელი კუნცა, ასპინძის რაიონი. იმავე რაიონში დღეს სხვაგანაც ცხოვრობენ, კერძოდ, სოფელ აწყვიტაში.




საქართველოში 66 **ხიზაძე** ცხოვრობს: ასპინძაში – 32, თბილისში – 7, ახალციხეში – 6. არიან სხვაგანაც.

## ნათაძე-ნათიშვილი

წინაპრებს სახელებად გამოყენებული ჰქონდათ: **ნათაი, ნათადა, ნათან, ნათანაელ, ნათანელ, ნათანიელ, ნათელიზე, ნათელისძე, ნათელიძე, ნათილა.** ქალებში კი გვხვდება სახელები: **ნათა, ნათაი, ნათაილა, ნათელი, ნათელა, ნათი, ნათო, ნათუა.**

ამ სახელებიდანაა ნაწარმოები ქართული გვარები: **ნაათანიშვილი, ნათანლიშვილი, ნათანულიშვილი, ნათაძე** და ასე შემდეგ.

ნათაძე გვხვდება ქართლსა და იმერეთში. ამავე ძირისაა გვარი **ნათიშვილი, ნათიძე.**

საქართველოში 569 **ნათაძე** ცხოვრობს: თბილისში – 259, რუსთავში – 62, კასპში – 47. არიან სხვაგანაც.

## ზარხოშაშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **ზარხოშა**, რომელიც მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან – **ზარხოშიდან** და ქართულად „ნასვამს“ ნიშნავს.

1721 წელს მოიხსენიება ზურაბა **ზარხოშაშვილი.**

საქართველოში 186 **ზარხოშაშვილი** ცხოვრობს: გორში – 139, თბილისში – 17, ქარელში – 11. არიან სხვაგანაც.

## კოხოძე-კოხაძე

გვარის ფუძეა მეტსახელი **კოხი.**

სოფელ პატარა თიანეთის 1843 წლის აღწერაში მოიხსენიებიან სოსია და მურად **კოხაძეები.**

ამავე ძირისაა გვარები: **კოხია, კოხოძე, კოხიაშვილი.**

**კოხაძე-კოხოძეები** გვარამაძეთა განაყოფი გვარებია.

საქართველოში 661 **კოხოძე** ცხოვრობს: ბაღდადში – 383, ქუთაისში – 124, თბილისში – 48. 26 – **კოხაძე.**

## თანდარაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თანდილა**, რომელიც ავთანდილის კნინობითი ფორმაა. საკუთარ სახელად გვხვდება მხოლოდ საქართველოში. აქედან მომდინარეობს გვარი **თანდილავაც.**

1721 წელს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხსენიებულია ივანე **თანდილაშვილი.**

ვარდისუბანში ივანე **თანდილაშვილი** 1874 წელს ნათლავს შვილს – გიორგის. მიმრქმელი იყო ვარდისუბნელი ზაქარია ჩომახაშვილი.

ამავე ძირისაა გვარები: **თანდაშვილი, თანდელაშვილი, თანდილაური.**

საქართველოში 850 **თანდარაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 271, თბილისში – 204, სიღნაღში – 79. არიან სხვაგანაც.

## ზოსიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ზოსია**, რომელიც ბერძნული სახელიდან – **ზოსიმედანაა** ნაწარმოები და ცხოვრებისუნარიანს ნიშნავს.

1873 წლის აღწერის მიხედვით, სოფელ ლასტისციხეში ფილიპე **ზოსიაშვილი**-ქავთარაძე მოიხსენიება.

საქართველოში 330 **ზოსიაშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 138, ტყიბულში – 112, თბილისში – 16. არიან სხვაგანაც.

## თულაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თულა.**

სამწევრისის ტაძრის წარწერაში მოხსენიებულია მამასახლისი გიორგი **თულაისძე.**

**თულაშვილები** იყვნენ საბარათიანოს მებატონეები, რომლებსაც ყმები ეკუთვნოდათ ღვევში, ზზრითში, აწუფში, ბეგრეთში. 1696 წელს **თულაშვილებს** ჩამოართვეს ღვევის გლეხები, რომლებიც ომიანობის დროს მეფე ერეკლეს მეითრის შვილისთვის წაურთმევია და **თულაშვილებისთვის** მიუცია.

ამავე ძირისაა გვარები: **თულაძე, თულიანი, თულოშვილი.**

საქართველოში 135 **თულაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 51, გორში – 31, რუსთავში – 11. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# გჯერათ სასწაულების?!

*ამბობენ, ვისაც სასწაულების სჯერა, მისთვის ცხოვრება გაცილებით იოლიაო? შეამოწმეთ, რამდენად გეადვილებათ ცხოვრება.*

**1. პინოქიო არის...**
ა) სულელი ხის ბიჭუნა – 2 ქულა;
ბ) იღბლიანი – საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოჩნდა – 1 ქულა;
გ) გონიერი – მთავარია, გჯეროდეს შენი ოცნების და გაგიმართლებს – 0 ქულა.



**2. საყვარელ ადამიანს მნიშვნელოვან თარიღებზე უნდა აჩუქო:**
ა) ახალი ჰალსტუხი (ინტიმური თეთრეული) – 2 ქულა;
ბ) რომანტიკული ვახშამი (დესერტად – მე) – 1 ქულა;
გ) რამე ეგზოტიკურ-ექსტრემალური – 0 ქულა.

**3. გჯერათ წინასწარმეტყველური სიზმრებისა და მინიშნებების?**
ა) არა. სისულელეა – 2 ქულა;
ბ) თუ ძალიან პირადულია, კი – 1 ქულა;
გ) აუცილებლად – 0 ქულა.

**4. როგორია ყველაზე რომანტიკული სიყვარულის ახსნა?**
ა) „გამომყევი ცოლად“ და ხელისგულზე საქორწინო ბეჭედი – 2 ქულა;
ბ) „მე შენ მიყვარხარ“ – 1 ქულა;
გ) ფანჯრებთან სერენადა – 0 ქულა.

**5. როგორ ზღაპრებს მოუყვებით შვილებს?**
ა) არავითარი ზღაპრები. იცოდეს, რომ არც თოვლის ბაბუა არსებობს – 2 ქულა;
ბ) რომანტიკულ, კეთილ ზღაპრებს – 1 ქულა;
გ) ყველაზე ჯადოსნურ ზღაპრებს – 0 ქულა.

**6. სკოლაში მნიშვნელოვანი გამოცდის წინ, თქვენ...**
ა) მშვიდად მეძინა – 2 ქულა;
ბ) ვნერვიულობდი და „შპარგალკებს“ ვწერდი – 1 ქულა;
გ) მშვენიერ გუნებაზე ვიყავი – 0 ქულა.

**7. როდისმე, თქვენს თავს, რამე სასწაული მომხდარა?**
ა) არა. ლოგიკური ახსნა ყველაფერს ჰქონია – 2 ქულა;
ბ) მგონი, იყო ასეთი შემთხვევა – 1 ქულა;
გ) აბა, რა... სულაც ასეა – 0 ქულა.

**დაითვალეთ ქულები:**

***0-6 ქულა*** *– გულწრფელად გჯერათ სასწაულების. როგორც პატარა ბავშვი, ისე მოუთმენლად ელით ახალ წელს და კეთილ ფერიას. იქნებ სცადოთ და თავად „აკეთოთ“ სასწაულები?!*

***7-9 ქულა:*** *გჯერათ, რომ სასწაულები ხდება, მაგრამ მხოლოდ ადამიანების მონაწილეობით. სწორი პოზიციაა. ცხოვრება აუცილებლად შემოგთავაზებთ სასიამოვნო სიურპრიზებს.*

***10-14 ქულა:*** *მეტისმეტად პრაგმატულად აზროვნებთ. გეღიმებათ, როცა ვინმე „ჯადოსნურ ჯოხს“ ახსენებს. არ გიჭირთ ცხოვრება? დაკვირვებით წაიკითხეთ ზღაპრები და ნახავთ, რომ ყველა ზღაპარი ადრე თუ გვიან სრულდება.*

## ვარსკვლავური თერაპია

*სტატისტიკის მიხედვით, ადამიანების უმრავლესობა ბედნიერად გრძნობს თავს, როცა საყიდლებზე დადის. ცნობილ ვარსკვლავებში ეს თვისება ორმაგად გამძაფრებულია. შესაბამისად, „შოპთერაპიაში“ მათი დანახარჯებიც ვარსკვლავურია...*



**ვიქტორია ბექჰემი** – მისმა რეკორდმა საყიდლებში დანახარჯით ერთ დღეში 150 ათასი დოლარი შეადგინა. მას შეუძლია, მაღაზიებში ყოველდღე იაროს. ის განსაკუთრებით დიდ ფულს ხარჯავს „ბირკინ ჰერმესის“ ბრენდის ჩანთებში, რომელთა ფასიც 4 ათასი დოლარიდან იწყება. ვიქტორია აღიარებს, რომ, დიდი ხანია, „შოპოჰოლიკია“.

**პერის ჰილტონს** კვირაში 30 საათი მაღაზიებში „საწანწალოდ“ აქვს გამოყოფილი. რა ქნას, თუკი სხვანაირად ტანსაცმელი არ ჰყოფნის?! ის არასდროს იცვამს ერთსა და იმავე სამოსს ორჯერ. ბრილიანტებს კი, უბრალოდ, აღმერთებს. „შანელის“ თმის პატარა სამაგრში ვარსკვლავმა 15 000 დოლარი გადაიხადა.

**ბრედ პიტი**. ვინ თქვა, რომ მამაკაცებს მაღაზიებში სიარული არ უყვართ? ბრედ პიტი საპირისპიროს ამტკიცებს. მისი ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენია ხელოვნური კუნძული „ეთიოპია“, რომელშიც ვარსკვლავმა 50 მილიონი დოლარი გადაიხადა. ის ყველაზე დიდი ხალისით ინტერიერის დიზაინერულ მაღაზიებში დადის და ნივთებშიც საკმაოდ სოლიდურ თანხებს იხდის.

**ჯენიფერ ლოპესი** ისე ყიდულობს 372-ე წყვილ ფეხსაცმელს, რომ სინდისი აბსოლუტურად მშვიდად აქვს. თანაც, ეს ფეხსაცმელი აუცილებლად „ქრისტიან ლაბატენის“ უნდა იყოს, ანუ, მინიმუმ, 10 000 დოლარი ღირს. მერე რა, – ამბობს ვარსკვლავი, – სამაგიეროდ, მათში ძალიან ქალური ვარ და მამაკაცებს მოვწონვარ.

**ლონსო ლიოჰანს** 20 წუთში 20 000 დოლარიც დაუხარჯავს. სახლი ნაყიდი ნივთებით აქვს გადაძეძგილი. ზოგიერთის გახსნა საერთოდ ავიწყდება. შოპინგი მისთვის ანტიდეპრესანტია, რომელიც წელიწადში მინიმუმ 1 მილიონი დოლარი უჯდება. თუმცა, მიუხედავად ამისა, ლიოჰანი მეხუთედ აღმოჩნდა ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ ვარსკვლავთა სიაში.

## არავისთვის საჭირო

*ამქვეყნად არსებობს ისეთი ნივთები, რომლებიც რეალურად არავის სჭირდება, მაგრამ ბაზარზე გამოჩენისთანავე იყიდება... საჩუქრებად, რა თქმა უნდა. მერე რა, რომ ისინი არაფერში გამოგადგებათ.*

*მაგალითად:*

*** კოცნის სიმულატორი** – პრინციპში, მშვენიერი გამოგონებაა. თუ შენი შეყვარებული სადმე გაემგზავრება სიმულატორი განშორებას შეგიმსუბუქებს. მაგრამ საეჭვოა, ვინმეს მოეწონოს პლასტმას-სილიკონის ტუჩების კოცნა, რომელიც რაღაცნაირ ხმებსაც გამოსცემს.

*** ჯიბის „თარჯიმანი“ კატების ენიდან** – ანუ, თუ კატა გყავთ, ეს „თარჯიმანი“ აუცილებლად დაგჭირდებათ. გაიგებთ, რა სურს რეალურად თქვენს კატას. ვარდისფერი ხელსაწყო 200 ფრაზას მაინც ამბობს და კრუტუნებს. მაგალითად, ასე: ითამაშე ჩემთან, „მომეფერე“. ფიქრობთ, იაპონელები სულელები არიან?!

*** კეპი-კინოთეატრი** – ეს უკვე იყიდება ამერიკის მაღაზიებში. მაგრამ საინტერესოა, ვის მოეწონება ფილმის ყურება კეპში. თუმცა, მის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ ასეთი ბევრი მოიძებნება.

*** ოქროს ნაყინი** – ამაზე მეტი ფუფუნება აღარაფერია. მოოქრული ნაყინი შეგიძლიათ, ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში შეუკვეთოთ. ტკბილეული დამზადებულია ტაიტური ვანილის, შავი ხიზილალის, ნუშისა და ოქროსგან, რომელიც იჭმევა. გურმანებს ეს ნუგბარი სულ რაღაც 1 000 დოლარი დაუჯდებათ.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# ქვრივი შავბნელი ქალებით

## ფელიქს გრუბერი

დეპეშა ქორწინების წინა დღის საღამოს მიიღო. ვინმე ჯოან რემინგტონი წერდა: „არავითარ შემთხვევაში არ შეირთოთ ცოლად ჯოზეფინა კოლინზი. მე ხვალ საღამოს ჩამოვალ ნიუ-იორკში და ყველაფერს აგიხსნით“. სტივმა გაოცებით დახედა გამომგზავნის მისამართს – ოკლაჰომიდან იყო. მას იქ ნაცნობი საერთოდ არავინ ჰყავდა და გადაწყვიტა, რომ რაღაც შეცდომა მოხდა. დილით კი, როცა თავისი საცოლე დაინახა, დეპეშა საერთოდ დაავიწყდა. მერე რა, თუკი სინდისი ცოტათი აწუხებდა იმის გამო, რომ ყველაზე ახლობელი მეგობრის ქვრივი მოჰყავდა ცოლად და ქმრის სიკვდილიდან მხოლოდ შვიდი თვე იყო გასული. ულამაზესი ჯოზეფინა ყოველთვის ძალიან მოსწონდა და ცოტათი შურდა კიდეც მეგობრის. ჯვრისწერის შემდეგ ერთ საათში ახალდაქორწინებული წყვილი ნიაგარა-ფოლზში გაემგზავრა, სტივი იმ დღეს ყველაზე ბედნიერი ადამიანი იყო... დილით კი, როცა ჯოზეფინას ჯერ კიდევ ეძინა, ტელეფონმა დარეკა.

– თქვენ არ დამიჯერეთ და მაინც დაქორწინდით მაგ ქალზე, – გაიგონა ქალის ხმა და ლამის ყურმილი გაუვარდა ხელიდან.

– კი მაგრამ, ვინ ბრძანდებით?

– ჯოან რემინგტონი. აქ ვარ, სასტუმროში. სალაპარაკო მაქვს თქვენთან. ჩამობრძანდით ქვემოთ თუ მე ამოვიდე?!

– დამელოდეთ, ახლავე ჩამოვალ, – სტივმა მძინარე ცოლს გახედა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

ჯოან რემინგტონი ახალგაზრდა, ლამაზი ქალიშვილი აღმოჩნდა. მას ვიღაც კაცი ახლდა.

– რა გნებავთ? – წარბი შეიკრა სტივმა, – თქვენ რა, ავად ხართ?

– გაიცანით, დეტექტივი მორისონი, – პასუხად მიუგო ჯოანმა და თანმხლებ მამაკაცზე მიუთითა.

– ჩემგან რა გნებავთ, რატომ გამომიგზავნეთ ის დეპეშა?

– იმიტომ, რომ თქვენთვის სიკეთე მინდა. სერიოზული საფრთხე გემუქრებათ.

– მართლა? ჩემი ცოლისგან ხომ არა?

– დიახ. იცით, რომ ჟოზეფინა თქვენამდე გათხოვილი იყო?

– რა თქმა უნდა! ჩემს მეგობარზე, რომელიც შვიდი თვის წინ გულის შეტევით გარდაიცვალა. ახლა, არ მითხრათ, რომ არაეთიკურია მეგობრის ქვრივზე დაქორწინება.

– არა, ამ შემთხვევაში ეთიკაზე საუბარი უადგილოა. მისტერ სომერს, რალფ კოლინზი ჯოზეფინას მესამე ქმარი იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მეტს ჯერ ვერ მივაკვლიეთ.

სტივი დაბარბაცდა. მერე ხმამაღლა გაეცინა:

– რა სისულელეა! არ მჯერა.

– მისტერ სომერს, მე იმ კაცის და ვარ, რომელიც თქვენსავით მოიხიბლა ჯოზეფინას სილამაზით, დაქორწინდა მასზე და ექვს თვეში გულის შეტევით გარდაიცვალა. ჩემი ძმა აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო. სიკვდილამდე ერთი თვით ადრე სიცოცხლე ცოლის სასარგებლოდ დააზღვია. თქვენი მეგობარიც ხომ ჯანმრთელი იყო?

სტივი შეიჭმუხნა:

– მგონი, კი... არ მახსენდება, დაეწუწუნოს. თუმცა...

ჯოანამ მკვეთრად აიქნია ხელები:

– მომისმინეთ. ჩემს ძმამდე ფილ რემინგტონამდე, თქვენი ცოლი ვინმე ჰადსონის ცოლიც იყო და რვა თვეში ეს ადამიანიც გულის შეტევით, უფრო სწორად, ჰაერის უკმარისობით გარდაიცვალა.

– ფაქტები, მტკიცებულებები მჭირდება, – სტივმა იგრძნო, რომ ჰაერი არ ჰყოფნიდა, – მოითხოვეთ თქვენი ძმის გვამის ექსჰუმაცია? დაამტკიცეთ, რომ ის მოწამლეს? ეს ხომ მარტივია.

– მარტივია, როცა გვამი არსებობს. მაგრამ, თუ გვამებისგან აღარაფერია დარჩენილი? – პირქუშად ჩაილაპარაკა დეტექტივმა.

– როგორ თუ არ დარჩა? – ვერ მიხვდა სომერსი.

– ჯოზეფინამ ქმრის გვამების კრემაცია მოითხოვა. ვინ გაუწევდა წინააღმდეგობას უნუგეშო ქვრივს? მისი ყველა ქმარი ფერფლად არის ქცეული. ახლა მაინც მიხვდით, როგორი სერიოზული საფრთხე გემუქრებათ?

სომერსს უეცრად გაახსენდა, როგორ ეწყინა, როცა მეგობრის დაკრძალვაზე დაგვიანებით ჩასულმა, მისი ნეშტის კრემაციის შესახებ შეიტყო.

– მისტერ სომერს, თქვენ მკვლელი შეირთეთ ცოლად. რა გითხრათ, რამდენი წლის ვარო?

– ოცდაოთხისო, – ძლივს წარმოთქვა სომერსმა.

– გატყუებთ. ის 1963 წელს არის დაბადებული ოჰაიოს შტატში, ლომაში. თუმცა, ჩანაწერს ამ ფაქტზე ვერსად მივაკვლიეთ. პირველი ქორწინება 1987 წელს ჰქონდა ჰადსონთან, რომელმაც სიცოცხლე დიდ თანხად დააზღვია და მალე გულმაც დაარტყა... გთხოვთ, მისტერ სომერს, რამე იღონეთ. მას ფული უკვე აღარ სჭირდება, მაგრამ მაინც მოგკლავთ, იმიტომ, რომ მკვლელია...

– აღარაფრის მოსმენა აღარ მინდა... ჩემი ცოლი მკვლელი არ არის! ასეთი სილამაზე... შეუძლებელია მკვლელი იყოს...

სომერსი შეშლილივით გაიქცა და ნომრისკენ მიმავალი გრძნობდა, როგორ ღრმავდებოდა მასში ეჭვის მარცვალი. ჯოზეფინა ფანჯარასთან იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. ქმრის ფეხის ხმა რომ გაიგონა, შემობრუნდა. სომერსმა მის თვალებში ცრემლი შენიშნა.

– სტივ, მე ვიცი, ვის ელაპარაკებოდი ქვემოთ – ჩემი ყოფილი მული იყო თავის დაქირავებულ ადვოკატთან ერთად. მაგ შეშლილმა ქალმა ვერაფრით ვერ მოინელა ძმის სიკვდილი და, რატომღაც, მე მადანაშაულებს. ლამის მთელი თავისი ფული ამაზე დახარჯოს. დეტექტივიც იმას ეუბნება, რაც მას უნდა და ამაში დიდ გასამრჯელოს იღებს. ჩემი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ არ გითხარი, კიდევ ერთი ქმარი რომ მყავდა...

– რატომ არ მითხარი?

– იმიტომ, რომ შემიყვარდი და შემეშინდა, უარი არ გეთქვა ჩემზე. ო, სტივ, არ იცი, როგორი მძიმე ცხოვრება მქონდა, როგორ გამიმწარა ცხოვრება ჯოანმა. ის რალფსაც შეხვდა, მაგრამ, მას ძალიან ვუყვარდი...

– მეც მიყვარხარ, – ჯოზეფინა ისეთი ლამაზი იყო, რომ სომერსს გული აუჩუყდა, – ძალიან, ძალიან მიყვარხარ. ჯანდაბას ის ბოროტი ქალი და მისი ეჭვები!

იმ ღამეს ჯოზეფინას დიდხანს არ დაეძინა, შფოთავდა და დროდადრო ტიროდა. როცა, ბოლოს და ბოლოს, ჩაეძინა, სტივმა აბაზანაში სინათლე ანთებული დატოვა – ვინიცობაა, ჯოზეფინას გაღვიძებოდა, არ შეშინებოდა და თვითონაც დაწვა. თუმცა, ბოლომდე მაინც ვერ დამშვიდდა – ეტყობა, ეჭვი მის ქვეცნობიერში მაინც ჩარჩა. სწორედ ამან გადაარჩინა...

თვალები მოულოდნელად გაახილა. ოთახში ძალიან ცხელოდა. პირი ღია ჰქონდა და, ალბათ, ხვრინავდა კიდეც. ირგვლივ სრული სიბნელე იყო. ცოლი გვერდით არ ეწვა... უცებ შრიალის მაგვარი ხმა შემოესმა და იმ ბნელში თეთრ პენუარში გახვეული ცოლი დაინახა. ქალი კატასავით უხმაუროდ მოძრაობდა. თვალები ოდნავ მოეხუჭა. პირღია, აჩქარებული სუნთქავდა. დაინახა, როგორ გაიწოდა ხელი მისი პირისკენ ჯოზეფინამ – აშკარად რაღაც ცხელი ეჭირა, რადგან, სიმხურვალე იგრძნო. მყისიერი რეაქციით ცოლს მაჯაში სწვდა და უკან უბიძგა. ქალმა იკივლა. კოვზიდან რაღაც ძალიან ცხელი გადმოიღვარა და სტივს ხელისგული დაუწვა, მაგრამ, ამას ნაკლებად დარდობდა. ჯოზეფინა სააბაზანოსკენ გაიქცა. სომერსმა მაგიდის ნათურა აანთო და ქალს გამოეკიდა. ჯოზეფინამ აბაზანაში შეასწრო და კარი ჩაკეტა, რამდენიმე წუთში კი იქიდან იატაკზე მძიმე სხეულის დავარდნის ხმა შემოესმა.

...პოლიციის გამომძიებელმა პინცეტით ფრთხილად აიღო იატაკიდან პაწაწინა, ფოლადისფერი ბურთულა:

– ეს ვერცხლისწყალია, სერ. თქვენი ცოლი გამდნარი ვერცხლისწყლით გიპირებდათ მოკვლას. ნახევარი ჩაის კოვზიც კი საკმარისი იქნებოდა იმქვეყნად თქვენს გასასტუმრებლად. მერე უკვე გაციებულ ვერცხლისწყლის ბურთულებს თქვენი პირის ღრუდან ამოიღებდა და ვერც ერთი ექსპერტი ვერ მიხვდებოდა, რა იყო სიკვდილის მიზეზი. გენიალურად არის მოფიქრებული. დასკვნაში ჩაწერდნენ – გულის შეტევით გარდაიცვალაო და საქმე არც კი აღიძვრებოდა.

სომერსმა გაფითრებული სახე მოიწმინდა:

– ღმერთო, მას მართლა უნდოდა ჩემი მოკვლა...

– ... და, რადგან ეს არ გამოუვიდა, თავი მოიწამლა, – თქვა დეტექტივმა, – მისთვის ეს პირველი არ იქნებოდა. ასე ოსტატურად მხოლოდ გამოცდილი მკვლელები მოქმედებენ... ძალიან ლამაზი კი არის, სერ, მე მესმის თქვენი...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №7-9(635)

– რაც შეეხება ვერულიძის ბინის დათვალიერებისას აღმოჩენილ გარემოებებს, – დოკუმენტების გადათვალიერების შემდეგ განაგრძო გურამმა, – დავიწყოთ ანაბეჭდებით... ამ შემთხვევაში იმედი უნდა გაგიცრუოთ, ბიჭებო. შესასვლელი კარის სახელურზე რამდენიმე ანაბეჭდი აღმოჩნდა, მაგრამ, იმდენად ცუდ მდგომარეობაში, რომ მათით ვინმეს ანაბეჭდთან იდენტიფიცირება შეუძლებელია... სხვა დროს ცოტა ფრთხილად იმოქმედეთ, – გიას გახედა გურამმა, – რამე მაინც დატოვეთ სამუშაოდ.

– რა ვიცოდი, რა დაგვხვდებოდა სახლში? – შეუბღვირა მან, – ჩვენ მკვლელის ასაყვანად შევდიოდით, სად მქონდა სახელურების ფერების დრო?!

– დროა, ფსიქოანალიტიკოსზე იფიქრო, – ზურაბს მიუბრუნდა გურამი, – ხედავ, რა დღეში აქვთ ნერვები? პირველივე სიტყვაზე დენთივით ფეთქდებიან.

– საქმე! – სერიოზული გამომეტყველებით უპასუხა მან.

– ჰო, საქმე... როგორც უკვე ვთქვი, ანაბეჭდებმა ჩაილურის წყალი დალია, მაგრამ, ხელცარიელს მაინც არ დაგტოვებთ. მოკლედ, ვითარება ასეთია: შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, რომლითაც, ოფიციალური ვერსიით, ვერულიძემ თვითმკვლელობა ჩაიდინა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნით, გარდაცვლილს ჭრილობა თავში, მარჯვენა საფეთქლის მიდამოებში აქვს მიყენებული. გასროლისას ტყვიამ დიაგონალურად გაიარა თავში, დააზიანა ტვინის ქსოვილი და გამოვიდა მარცხენა ყბის ქვემოდან. ექსპერტის შეფასებით, ეს უდავოდ სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმაა, ასეთი ჭრილობით ვერულიძე ათ-თხუთმეტ წამზე მეტს ვერ იცოცხლებდა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ტყვია და მასრა. ორივე იდენტიფიცირებულია და დადგენილია, რომ ორივე ერთი ვაზნის ნაწილებია. ამ მხრივ ყველაფერი გასაგებია? – იკითხა გურამმა.

– გასაგებია, – ყველას მაგივრად უპასუხა ზურაბმა.

– ახლა გადავიდეთ იმ გარემოებებზე, რომლებიც პირადად მე უცნაურად მეჩვენება.



პირველი... გასროლა მიბჯენით არ მომხდარა. ექსპერტის დასკვნით, გასროლის მომენტში პისტოლეტის ლულა საფეთქლიდან ხუთი-შვიდი სანტიმეტრით იყო დაშორებული. ტყვიის ტრაექტორია კი იმაზე მიუთითებს, რომ პისტოლეტი თავის მიმართ დაახლოებით 27 გრადუსით იყო აწეული ზემოთ და 30 გრადუსით გადახრილი წინ, – თქვა გურამმა და მაგიდაზე პლასტმასის სახაზავი დააგდო.

ჯგუფის წევრებმა გაოცებული მზერა მიაპყრეს – ვერავინ მიხვდა, რას ნიშნავდა მაგიდაზე დაგდებული სახაზავი.

– ახლა თქვენ „გლოკებსა“ და „ჩეზეებზე“ ხართ გადასულები, მაგრამ, ძველებს მაინც გვახსოვს, დაახლოებით რა ზომებისაა „მაკაროვი“, – ჩვეული ირონიით წამოიწყო გურამმა, – სიგრძეში „მაკაროვი“ ასსამოცდაერთი მილიმეტრია, მაყუჩი – 145, ორივე ერთად კი 306 მილიმეტრი, ანუ, 30 სანტიმეტრი და 6 მილიმეტრი. ეს ოცდაათსანტიმეტრიანი სახაზავია. წარმოიდგინეთ, რომ ეს „მაკაროვის“ პისტოლეტია. ახლა რომელიმე თქვენგანმა სცადეთ ამ პისტოლეტის საფეთქელზე მიბჯენა, ოღონდ, ისე, რომ იარაღი წინ და მაღლა იყოს გადახრილი, ლულა კი ხუთი სანტიმეტრით იყოს დაშორებული საფეთქელს... მიდით!..

ექსპერიმენტში პირველი გია ჩაერთო. მან სახაზავი აიღო, პისტოლეტივით მოიმარჯვა და საფეთქელზე მიბჯენა სცადა, მაგრამ, ამაოდ. მისი მცდელობის მიუხედავად, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ბოლოს გიამ სახაზავი მაგიდაზე დააგდო და ჩაილაპარაკა:

– ვინმემ სხვამ სცადეთ. ეტყობა, ძალიან მოკლე ხელები მაქვს.

– ტყუილად ნუ დაკარგავთ დროს, – თქვა ზურაბმა, – ეს არ არის ასეთი ტიპის თვითმკვლელობის დროს იარაღის ბუნებრივი მდგომარეობა. როგორც წესი, თვითმკვლელი პისტოლეტს საფეთქელზე უკან და ქვემოთ დახრილს იბჯენს, მაყუჩიან იარაღზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთი საქმისთვის კი ოცდაათი სანტიმეტრი ძალიან ბევრია.

სათათბირო ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს ზურაბის მოადგილემ დაარღვია დუმილი:

– რა გამოდის? – იკითხა მან, – მაშინ, როგორ დაიღუპა ვერულიძე?

პასუხად გურამმა სახაზავი აიღო და ფიფიას გვერდიდან მიუახლოვდა.

– თავი გამანებე! – შეუღრინა მან.

– საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მიშლი ხელს? – გაიკვირვა გურამმა.

– მორჩით... მაგის დრო არ გვაქვს, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ზურაბმა.

გურამმა ნიშნის მოგებით გახედა ფიფიას, შემდეგ გვერდით ამოუდგა, სახაზავის ბოლო მის საფეთქელს გაუსწორა და თქვა:

– აი, ასე, ჩემო კარგებო: ოცდაშვიდი გრადუსი მაღლა, ოცდაათი გვერდზე და შვიდი სანტიმეტრი საფეთქლიდან – ეს ძველებურად, გლეხურად გიჩვენეთ. თქვენ შეგიძლიათ, „ეფბეერის“ სტილში, კომპიუტერული მოდელირებით გაიმეოროთ იგივე, მაგრამ, სიტყვაზე მენდეთ – სხვა შედეგს ვერ მიიღებთ. ვერულიძეს არ შეეძლო თავის მოკვლა, პისტოლეტის სასხლეტი სხვა პიროვნებამ დაუშვა. ამას, უბრალოდ, ადამიანის ანატომია ჰქვია – მეცნიერებაა ასეთი...

– არ დაგვჭირდება, – უპასუხა ზურაბმა, – სიტყვაზე გენდობით.

– შენ გინდა, თქვა, რომ ვერულიძე მოკლეს? – ჰკითხა ფიფიამ, როგორც კი გურამი სკამს დაუბრუნდა.

– არა, მე მსგავსი არაფერი მითქვამს. მე, როგორც კრიმინალისტმა, ჩემი შეხედულებები გაგიზიარეთ. ექსპერტების დასკვნები აქაა, – გურამმა საქაღალდე ხელის სწრაფი მოძრაობით მისი მიმართულებით გაასრიალა, – დანარჩენი თქვენი გადასაწყვეტია.

ჯგუფის წევრებმა ზურაბს მიაპყრეს მზერა – საბოლოო გადაწყვეტილება მას უნდა მიეღო.

– რას მიყურებთ? – მოიღრუბლა ის, – ჯერჯერობით ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის!

– ყველაფერი ისე თუ დარჩა, როგორც არის, საქმე უნდა დავხუროთ. ოფიციალური მონაცემებით, სირაძე ვერულიძემ მოკლა, მერე კი ტყვია დაიხალა შუბლში. ამ მიმართულებით თუ წავედით, კრწანისის საქმეც მას მიეწერება. რომელი პროკურორი შეგვედავება ასეთი საქმის დახურვაზე? – სამ დღეში გამოძიებული სამი მკვლელობა! – თქვა ზურაბის მოადგილემ.

– რეკორდული დროა. შეიძლება, გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდეთ, – შენიშნა გურამმა.

– თქვენ რა, ვერ გაიგეთ რა ვთქვი?! ჯერჯერობით ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის. სირაძის საქმე აღძრულია განზრახ მკვლელობის მუხლით და ასე დარჩება. ვერულიძის საქმე აღძრულია თვითმკვლელობის მუხლით და ისიც ასე დარჩება. ოპერატიული გეგმა შედგენილია. ყველამ იცით, რაც უნდა გააკეთოთ. რომელი საქმის დახურვაზეა ლაპარაკი?.. ნახევარი ვაკე-საბურთალო დასაკითხი გყავთ. მასალებს თავს მოვუყრით, ექსპერტების დასკვნებს კიდევ ერთხელ გადავხედავთ და შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას!.. გია, ყველა საქმე გვერდზე გადადე, კრწანისის სამმართველოში წადი და ნინუას მკვლელობის საქმე გამოითხოვე. მასალები შუადღეს სამუშაო მაგიდაზე უნდა მედოს! – თქვა ზურაბმა, შემდეგ გურამის მოტანილი საქაღალდე აიღო და კარს მიაშურა.

* * *

ალექსანდრე ნინუას მკვლელობის საქმის მასალები ერთ თხელ საქაღალდეში ინახებოდა. იქ იყო რამდენიმე ოფიციალური ოქმი, ექსპერტების დასკვნები, ნინუას ოჯახის წევრებისა და ნაცნობ-მეგობრების დაკითხვების ოქმები. ამ მონაცემების შეგროვების შემდეგ ძიება პრაქტიკულად შეჩერებული იყო.

– უფრო მეტს ველოდი შენგან, – ზურაბმა საქაღალდე უკმაყოფილოდ გადადო გვერდზე და მზერა თავის ძველ ნაცნობსა და

კოლეგას, კრწანისის კრიმინალური პოლიციის უფროსს, აკაკი ჩიქვინიძეს მიაპყრო, რომელიც გიასთან ერთად მივიდა სამმართველოში.

– მენდე, მკვდარი საქმეა. ამაზე შორს შენც ვერ წახვიდოდი, – უპასუხა მან.

– გიხარია, საქმე ჩემთან რომ მოდის? – ჰკითხა ზურაბმა.

– ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს? გახსნილი საქმე გინდ ჩემგან წავიდეს პროკურატურაში და გინდ შენგან! – გულწრფელად უპასუხა აკაკიმ, – მთავარი ისაა, რომ თაროზე არ შემორჩება.

– გახსნილია? – გაიკვირვა ზურაბმა.

– რა, ასე არ არის?.. გიამ მითხრა, რომ ის პისტოლეტი ამოიღეთ, რომლითაც ნინუა მოკლეს!

– მართალია, ამოვიღეთ, მაგრამ... – არ დაასრულა ზურაბმა.

– მაგრამ, რა?

– ვისგანაც ამოვიღეთ, მკვდარია – თავი მოიკლა.

– მერედა, რას ცვლის ეს? – ჰკითხა აკაკიმ, – ფაქტია, რომ მკვლელობის იარაღი მისი სახლიდან ამოიღეთ. თანაც, მან ამ იარაღით სხვა მკვლელობაც ჩაიდინა... მეტი რაღა გინდა? დახურე საქმე და გაუშვი პროკურატურაში.

– კარგი, კარგი, მაგის დროც მოვა, – გაეღიმა ზურაბს, – მაგრამ, მოდი, მანამდე ნინუას საქმეში გარკვევა ვცადოთ.

– ყველა მონაცემი საქაღალდეშია.

– შენ კარგად იცი, რომ არ მიყვარს ქაღალდი, ცოცხალი სიტყვა მირჩევნია. შენ ამ საქმეზე მუშაობდი და ბევრი ისეთი რამ გეცოდინება, რაც საქაღალდეში არ მოხვდა. ასე რომ, გისმენ. შემთხვევის ადგილით დავიწყოთ.

აკაკი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ალაპარაკდა:

– იმ შემთხვევაზე მე თვითონ ვიყავი გასული და ყველაფერი კარგად მახსოვს. საზიზღარი ღამე იყო, ქარიანი, თანაც, წვიმდა. ნინუას ცხედარი მეზობელმა აღმოაჩინა – მანქანაში იყო მოკლული. მანქანა მისი გარაჟის წინ იდგა. ჩანს, იქვე ელოდნენ. როგორც კი მანქანა გააჩერა და გადმოსვლა დააპირა, ორჯერ ესროლეს და ორივე ტყვია კეფაში მოხვდა.

– რა მდგომარეობაში იყო ცხედარი?

– საჭესთან თავჩახრილი იჯდა.

– მკვლელი მასთან ერთად ხომ არ იჯდა მანქანაში? – ჰკითხა ზურაბმა.

– არა... პისტოლეტის მასრები გარეთ, ასფალტზე ეყარა. მანქანაში ღენთის სუნიც არ იდგა.

– ფანჯრები აწეული ჰქონდა?

– თავისთავად, – უპასუხა აკაკიმ, – იმ ღამით წვიმდა.

– მანქანის ძრავა მუშაობდა? – განაგრძო ზურაბმა.

– არა.

– კარგი, განაგრძე.

– რა შუაშია ძრავა? – ჰკითხა აკაკიმ.

– ერთი დეტალის დაზუსტება მინდოდა.

– რა დეტალის?

– ის, ვინც მანქანის გარაჟში შეყვანას აპირებს, ძრავას არ თიშავს. შენ კარი დახურული დაგხვდა, მანქანის ფანჯრები – აწეული და მთელი, მასრები კი მიწაზე აღმოაჩინეთ. გამოდის, რომ მკვლელმა მაშინ ესროლა ნინუას, როდესაც მან კარი გააღო და გადმოსვლა დააპირა. – თქვა ზურაბმა.

– თავისთავად, – დაეთანხმა აკაკი.

– შემდეგ კი ძრავა ჩააქრო და კარიც მიხურა, რათა მანქანას ვინმეს ყურადღება არ მიექცია.

– გეთანხმები, – თავი დაუქნია აკაკიმ.

– ვერულიძე კი მკვლელობის შემდეგ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა შემთხვევის ადგილიდან. როგორ შეიძლება, რომ ერთი ადამიანი ასე განსხვავებულად მოქმედებდეს ორ შემთხვევაში? ეს სრულიად აუხსნელია. პირველ შემთხვევაში, ის ორი გასროლით კლავს ნინუას, თიშავს ძრავას, კეტავს მანქანის კარს და მხოლოდ ამის შემდეგ მიდის იქიდან; მეორე შემთხვევაში კი ის კლავს სირაძეს და სპრინტერის შესაშური სისწრაფით გარბის შემთხვევის ადგილიდან.



– სრული აბსურდია, – უპასუხა აკაკიმ.

– მეც ასე ვფიქრობ... კარგი, განაგრძე, – თქვა ზურაბმა.

– შემთხვევის ადგილზე „მაკაროვის" ორი მასრის მეტი არაფერი აღმოგვიჩენია, საერთოდ არაფერი. წვიმიანი ღამე იყო და ძაღლმაც ვერ იმუშავა. არც ერთი თვითმხილველი – არავინ, მხოლოდ ცხედარი და ორი მასრა!

– თავად ნინუას შესახებ რა მონაცემები გაქვს?.. საქმიანობა, სამეგობრო წრე, საყვარელი, კონფლიქტები... – მოკლედ, არ გესწავლება.

– საკმაოდ დიდი გაქანების ბიზნესმენი იყო. პირადად თავისი საქმე არ ჰქონია, კაპიტალი რამდენიმე კომპანიაში ჰქონდა განაწილებული. ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ბიზნესპარტნიორების ჩვენებებით, კონფლიქტი არავისთან ჰქონია, პირიქით, ყველა მშვიდ, უკონფლიქტო ადამიანად ახასიათებდა.

– მშვიდ და უკონფლიქტო ადამიანებსაც ჰყავთ მტრები. განურჩევლად მანიაკებიც კი არ კლავენ!.. – ჩაილაპარაკა ზურაბმა, – უფრო ღრმად არ ჩაგიხედია მის საქმიანობაში?

– ჩავიხედეთ. ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ნინუას საქმეს მისი ვაჟი განაგრძობს. ბიზნესის მხრივ არაფერი შეცვლილა – ის იმავე დივიდენდებს იღებს კომპანიებიდან, როგორსაც მამამისი იღებდა. საეჭვოდ მხოლოდ ერთი გარიგება მომეჩვენა, მაგრამ, იქაც ვერაფერს მივაკვლიეთ. იურიდიულად კომპანიას ყველა დოკუმენტი წესრიგში აქვს. ნინუას ვაჟიც რაიმე პრეტენზიას არ გამოთქვამს, მაგრამ იქ მაინც რაღაც არ არის წესრიგში, – თქვა აკაკიმ.

– რას გულისხმობ? – დაინტერესდა ზურაბი.

– ნინუას ნახევარ მილიონზე მეტი, უფრო ზუსტად კი – 650 ათასი ლარი, კომპანია „ინტელგრუპჯორჯიაში" ჰქონდა ჩადებული. ოფიციალური ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას დიღმის მოდამოებში საცხოვრებელი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი უნდა აეშენებინა. კომპანიაში პროექტიც მაჩვენეს, იქ გათვალისწინებული იყო: საცხოვრებელი კორპუსები, სახლები, კოტეჯები; სპორტული კომპლექსი საცურაო აუზითა და სპორტული მოედნებით... მოკლედ, პროექტი მართლაც იდეალური იყო. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ეს ყველაფერი პროექტს არ გასცდა. სამშენებლო ვადები ყველა მიმართულებითაა დარღვეული. მშენებლობა ერთი წლის წინ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, სამშენებლო მოედანზე ერთი შენობის საძირკველიც კი არაა გაჭრილი. მე მერიის ზედამხედველობით სამსახურს არ წარმოვადგენ და სამშენებლო ვადების დარღვევა არ მეხება, მაგრამ, ერთმა გარემოებამ მაინც გამაკვირვა: ბიზნესმენი ფულს, მით უმეტეს, ასეთ დიდ თანხას, უმოქმედოდ არასოდეს გააჩერებს. მიუხედავად ამისა, ნინუას ერთხელაც არ მოუთხოვია კომპანიისთვის აღებული ვალდებულებების შესრულება ან საქმეში ჩადებული ფულის უკან დაბრუნება.

– ქართულ ბიზნესში ხშირად ხდება ასეთი უცნაურობები – ჩვენ ხომ ყველაფერს ოფიციალურ შეხვედრებზე კი არა, შინაურულად ვწყვეტთ. იმავეს ვაკეთებთ მე და შენ: ოფიციალურად, შენ საქმე უნდა გადმოგეცა ჩემთვის და შენი საქმეებისთვის მიგეხედა. მაგრამ რას აკეთებ შენ?.. ზიხარ ჩემს კაბინეტში და ცდილობ, საქმეში გამარკვიო. ერთია, რაც ქაღალდზე წერია და მეორე, რაზეც პირადად შევთანხმდებით.

– საქმე 650 ათასს რომ ეხებოდეს, ასე წყნარად არ დაგელაპარაკებოდი, – გაეცინა აკაკის.

– გავითვალისწინებ... კარგი, კიდევ რა არ მოგწონს მაგ კომპანიის საქმიანობაში? – ჰკითხა ზურაბმა.

– ამჟამად კომპანია მიწის ნაკვეთს, რომელზეც უნდა აშენებულიყო კომპლექსი, გასაყიდად ამზადებს, – უპასუხა აკაკიმ.

– ესე იგი, კომპლექსი აღარ აშენდება?

– არა... კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა ამიხსნა, რომ მათ ვერ შეძლეს მშენებლობისთვის აუცილებელი სახსრების მობილიზება. მნიშვნელოვანწილად ამას აგვისტოს ომმაც შეუშალა ხელი. ამიტომ, მათ მიწის გაყიდვა და ამონაგები ფულით აქციონერების ვალის გასტუმრება გადაწყვიტეს, – თქვა აკაკიმ.

– გაქაჩავს ის მიწა?

– არა მგონია.

– პრინციპში, ეგეც ჩვეული ამბავია საქართველოსთვის. რამდენი „გადავარდნილი" ან „გადაგდებული" ბიზნესმენი გინახავს? – ჰკი-

თხა ზურაბმა.

– ძალიან ბევრი, მაგრამ, ისინი მშვიდად არ მსხდარან. როგორც წესი, ისინი ან სასამართლოებში ან იარაღით ხელში იბრძვიან ფულის უკან დასაბრუნებლად. ნინუას ოჯახის წევრები კი არაფრით გამოხატავენ უკმაყოფილებას! – შენიშნა აკაკიმ.

ზურაბი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ თქვა:

– იცი, რა არ მომწონს ყველაზე ძალიან? კავშირს ვერ ვხედავ. დავუშვათ, ვერულიძემ მართლაც მოკლა ნინუა, მაგრამ, რისთვის?.. ვერულიძე მანიაკი არ არის, მის ქილერობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ქალი? – გამორიცხულია... ბიზნესი? – ისინი სრულიად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან. რა შეხება უნდა ჰქონოდა ერთმანეთთან აბსოლუტურად განსხვავებულ ამ ორ ადამიანს?!

– აბა, რა გითხრა, ზურაბ, მე ვერაფერი გავარკვიე, მაგრამ, შენ უფრო მეტი მონაცემები გაქვს და, აქედან გამომდინარე, იზრდება შენი შანსიც, – უპასუხა აკაკიმ.

– მაგას შემდეგ ავწონ-დავწონი, – უპასუხა ზურაბმა, – ახლა ის მითხარი, კონკრეტულად ვინ დგას იმ კომპანიის უკან. ალმასრულებელი დირექტორი და სხვა ეჟვნებიანი მასხარები არ მაინტერესებს, კომპანიის რეალურ მფლობელზე თუ იცი რამე?..

* * *

ზურაბი ჩაფიქრებული ფურცლავდა ნინუას მკვლელობის საქმეს, როდესაც კაბინეტში რეზო ფიფია შემოვიდა. ის კმაყოფილი სახით დაეშვა სკამზე და მაგიდაზე დიქტოფონი დადო.

– რა არის ეს? – ზურაბმა გვერდზე გადადო საქაღალდე.

– მორჩა, ყველაფერი გაირკვა, – უპასუხა ფიფიამ.

– რა გაირკვა?

– ნანა სირაძემ ჩვენება მომცა! – მოზეიმე ხმით თქვა ფიფიამ.

– შენ რა, სირაძის ბინაში იყავი?! – გაუკვირდა ზურაბს.

– ვიყავი.

– ორი დღის წინ თავგამოდებული მეწინააღმდეგებოდი: არ გვინდა ამის გაკეთება, უხერხულიაო და ახლა შენ თვითონ გადაწყვიტე იქ მისვლა?!

– შენგან ვიღებ მაგალითს – შენ ხომ სწორედ ამას მასწავლიდი!



– მე სხვა რამესაც გასწავლიდი! – შენიშნა ზურაბმა.

– რას?

– ჩემს ზურგსუკან არაფერი გააკეთო-მეთქი!

– ნანა სირაძე შენ არ დაგელაპარაკებოდა! – უპასუხა რეზომ.

– მართლა?! – გაუკვირდა ზურაბს, – რატომ?!

– არ გახსოვს, რა დღეში ჩააგდე?!

– საქმისთვის საჭირო რომ გამხდარიყო, უარეს დღეში ჩავაგდებდი და მაინც ავალაპარაკებდი!.. მე პოლიციელი ვარ!..

– ეს მისი არჩევანი იყო. ასე მითხრა, თქვენ ყველაფერს გეტყვით, ოღონდ კი იმ საშინელ ადამიანთან აღარ შემახვედროთო, – თქვა ფიფიამ.

– მაინც, რით დაიმსახურე მისი კეთილგანწყობა? – ჰკითხა ზურაბმა.

– გაიხსენე ის დღე!

– ააა... – ჩაეღიმა ზურაბს, – კეთილი გამომძიებელი, ბოროტი გამომძიებელი!.. ამ ზღაპრების ისევ სჯერათ?

– როგორც ჩანს, სჯერათ.

– მაინც უნდა გაგეფრთხილებინე.

– შენ ჩიქვინიძესთან საუბრით იყავი დაკავებული. რატომ უნდა დამეკარგა დრო?! სხვათა შორის, შენც ზუსტად ასე მოიქეცი, როდესაც ბარათაშვილის კოორდინატები გაარკვიე! – შეახსენა ფიფიამ.

– მაშინ ჩემს სასწრაფოდ წასვლას ოპერატიული ვითარება მოითხოვდა. რა გადაუდებელი საჭიროებით იყო გამოწვეული ნანა სირაძის დღეს დაკითხვა?.. რამდენადაც მახსოვს, მე გაგაფრთხილე, რომ ეს ჯერ ადრე იყო! – უკმაყოფილოდ თქვა ზურაბმა.

– რისთვის ვიტკეპნებით ერთ ადგილზე?.. ძიებისას ყოველ უმნიშვნელო დეტალს შეუძლია საქმის გახსნა და მე ამ დეტალების მოპოვებას ვცდილობდი! – სწრაფად უპასუხა ფიფიამ.

– მაინც, რა დეტალის მოწოდება შეეძლო ნანა სირაძეს ნინუას მკვლელობასთან დაკავშირებით?! – დამცინავად თქვა ზურაბმა, – შენ ხომ არ გგონია, რომ, როდესაც ვერულიძე ნინუას კლავდა, ნანა სირაძე „ატანდაზე" იდგა?!

– უადგილო ხუმრობაა! – მოიღრუბლა ფიფია.

– მე არ გეხუმრები! – მკაცრად თქვა ზურაბმა, – შენ დაარღვიე ყველა ის წესი, რომლის შესრულებაც მე გთხოვე!

– წესებს ვერავინ დამიდგენს! – ხმას აუწია ფიფიამ.

– წესებს ჩვენი მიზანი და სამუშაო გვიდგენს!

– მეც სწორედ იმ სამუშაომ და მიზანმა მიმიყვანა ნანა სირაძესთან!

– და, რა მიიღე ამით?! – ჰკითხა ზურაბმა.

– ყველაფერი რაც გვჭირდებოდა – მკვლელობის მოტივი! – უპასუხა ფიფიამ და დიქტოფონზე მიანიშნა, – იმედია, მოგეწონება. ქალბატონ ნანას გულწრფელობის მუზა ეწვია!

– ჩართე, – თქვა ზურაბმა, შემდეგ მოხერხებულად მოეწყო სკამზე და ჩანაწერის მოსასმენად მოემზადა.

დიქტოფონი ოდნავ გასაგონად აშიშინდა, მერე კი რეზოს ხმა გაისმა:

– ქალბატონო ნანა, მე, რა თქმა უნდა, შემიძლია, ოფიციალური ოქმი შევადგინო, მაგრამ, ეს მეტ დროს წაგვართმევს.

– არა, ასე ჯობია. თუ ეს შესაძლებელია, ოქმი მოგვიანებით შეადგინეთ და მე ხელს მოვაწერ, – უპასუხა ნანამ.

– კეთილი... თქვენთვის ცნობილია ვაჟა ვერულიძის გარდაცვალების შესახებ? – განაგრძო რეზომ?

– რაა?! – ნანა აშკარად შეაშინა ცნობამ, – ვაჟა დაიღუპა?!

– დიახ... თქვენი მეუღლის მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ ვაჟა ვერულიძემ თავი მოიკლა. მისი ცხედარი ჩვენმა ოპერატიულმა ჯგუფმა მის საკუთარ სახლში აღმოაჩინა.

ჩანაწერზე ნანას ქვითინი გაისმა:

– არა... ყველაფერი ჩემი ბრალია. ეს არ უნდა მომხდარიყო... მე რომ არა, ახლა ორივე ცოცხალი იქნებოდა!..

– რაში იდანაშაულებთ თავს? – ჰკითხა ფიფიამ.

– ჩემთვის ძალიან ძნელია უცხო ადამიანთან ამაზე საუბარი, – ყრუდ ჩაილაპარაკა ნანამ.

– მაგრამ, თქვენ მაინც მოგიწევთ ამის გაკეთება. თუ ახლა არ გსურთ, მოგვიანებით სხვაგან, სხვა ვითარებაში და სხვა გამომძიებელთან მოგიწევთ საუბარი, – შემპარავი ხმით თქვა რეზომ.

– არა... არა... ყველაფერს გეტყვით, სხვაგან საუბარს, მირჩევნია აქ და ახლა ვთქვა და ამით დავამთავრო ყველაფერი. ეს ძალიან მძიმე ტვირთია ჩემთვის, მით უმეტეს – ასეთ ვითარებაში. მხოლოდ გთხოვთ, ნუღარ მაიძულებთ ამის გამეორებას და კითხვებსაც ნუ დამისვამთ. მე თვითონ გიამბობთ ყველაფერს, – მძიმედ თქვა ნანამ, – მე და ანდრო ხუთი წლის წინ დავქორწინდით. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, ჩვენ ბედნიერები ვიყავით, მაგრამ, მალე ერთმა უბედურებამ იჩინა თავი – ანდრო უშვილო აღმოჩნდა. ის დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდა. მოვიარეთ რამდენიმე კლინიკა, მის ნაცნობებთანაც კი ვიყავით ჩასული რიგაში, რომლებმაც საუკეთესო სპეციალისტებს შეგვახვედრეს, მაგრამ ამაოდ. საბოლოო დიაგნოზი, უფრო სწორად კი – განაჩენი, იქ მოვისმინეთ: ანდროს არასოდეს ეყოლებოდა შვილი. ამ ცნობის მოსმენის შემდეგ ანდრო დეპრესიაში ჩავარდა და სასმელს მიეძალა. ნარკოტიკზეც არ ამბობდა უარს, მაგრამ, წამალზე დამოკიდებული არ გამხდარა. გასაოცარი ნებისყოფა გააჩნდა და დროზე შეეძლო შეჩერება – ეს მისი საუკეთესო თვისება იყო. ის მალე გამოვიდა მდგომარეობიდან და ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა, მაგრამ, მას შემდეგ ჩვენ შორის შვილის ყოლაზე საუბარს თავისთავად დაედო ტაბუ. მე ასე ცხოვრება არ შემეძლო. ვგრძნობდი, რომ ყოველი დღე ერთმანეთს გვაშორებდა. თუმცა, ამას ცხოვრება აღარც ერქვა – ეს იყო ქსეროასლებივით ერთმანეთის მსგავსი დღეების წყება: დილა – საუზმე... ანდრო თავის საქმეებზე მიდიოდა. მე – სამსახურში; საღამო – ვახშამი... ორიოდ საათი ტელევიზორთან... ძილი... ისევ დილა... დროდადრო სტუმრები... იშვიათად ჩვენც მივდიოდით ვინმეს-

თან სტუმრად... ასეთი ყოფა აუტანელი იყო და, როგორც იქნა, მე გავბედე იმის თქმა, რაზეც დიდხანს ვფიქრობდი – ანდროს ხელოვნური განაყოფიერება შევთავაზე. წინასწარ ვიცოდი, რომ ეს მარტივი საუბარი არ იქნებოდა, მაგრამ ასეთ რეაქციას მაინც არ მოველოდი. არასდროს მინახავს ის ასეთი გაშმაგებული. მეგონა, რომ მომკლავდა. ის მკლავებში მწვდა, შემანჯღრია და მთელი ხმით მიყვირა:

– რას მეუბნები?! გინდა, ვიღაცის ნაბიჭვარი ვზარდო?!

– რატომ? – ვუპასუხე მე, – ის ხომ ჩვენი შვილი იქნება.

ანდრომ გადაიხარხარა:

– ჩვენი?! ხომ არ შეიშალე?! ის შენი და ვიღაც ნაბიჭვრის შვილი იქნება, რომლის სახელიც კი არ გეცოდინება!.. რა ჰქვია ქალს, რომელმაც თავისი შვილის მამის სახელიც კი არ იცის?!

– მაშინ, ვიშვილოთ...

– არა!.. – ცივად მოსხიპა ანდრომ, – საერთოდ ამოიგდე თავიდან ამაზე ფიქრი!

– ეს ყველაფრის დასასრული იყო, – სევდიანი ხმით განაგრძო ნანამ, – ჩვენ შორის უხილავი უფსკრული გაჩნდა. ანდრო საერთოდ შეიცვალა, თითქოს ველარც მამჩნევდა. მალე სახლში გვიან მოსვლა დაიწყო. ერთ ღამეს საერთოდ არ მოვიდა, შემდეგ კი ეს ცხოვრების წესად იქცია. მეც შევეგუე ასეთ ყოფას. სიმართლე კი ის არის, რომ, როდესაც ის ჩემს სიახლოვეს არ იყო, უფრო მშვიდად ვგრძნობდი თავს. მოსვენებას აღარ მიკარგავდა მისი ზიზღით აღსავსე გამოხედვა. ისეთი მზერა, თითქოს... თითქოს... თითქოს მე მას ვუღალატე... – ამოიოხრა ნანამ, – შემდეგ კი... იმ ზაფხულს ქობულეთში ვისვენებდით. „დასვენება“ პირობითი სიტყვაა, უბრალოდ სხვა ადგილას გავაგრძელეთ არსებობა. ანდრო იქაც არ ჩერდებოდა ჩემთან. ქობულეთში ჩასვლამდე გამაფრთხილა: დასავლეთ საქართველოში საქმეები მაქვს და დროდადრო გამგზავრება მომიწევსო. რას ვეტყოდი – ეს ხომ უკვე ჩვენი ცხოვრების წესი იყო. კვირის ოთხ ან ხუთ დღეს მარტო ვატარებდი. სად მიდიოდა და რით იყო დაკავებული იმ დროს, არ ვიცოდი. თუმცა ვგრძნობდი, რომ მატყუებდა. ერთხელ მანქანის სპიდომეტრი მომხვდა თვალში. მანქანას მეც ვატარებ და კარგად ვიცი ამ მოწყობილობის დანიშნულება. გავლილი მანძილით თუ ვიმსჯელებდი, ძალიან მარტივი იყო იმის გაანგარიშება, რომ ის ერთხელაც არ გასულა აჭარიდან, მაქსიმუმ, რამდენჯერმე იმგზავრა ბათუმამდე. თუმცა, ჩემთვის ეს უმნიშვნელო იყო... ანდროს მომდევნო გამგზავრებისას მეზობლად მცხოვრები თბილისელების ოჯახი გავიცანი. ვაკელები იყვნენ: ორი და – ნინო და ლია დუმბაძეები და ორიც ბავშვი. მათ სახლი ჰქონდათ ჩემი სასტუმროს გვერდით. დროდადრო ახალ ნაცნობებთან ყავის დასალევად შევდიოდი და იქ გავიცანი ვაჟა. ის ლიას მეგობარი იყო და მასთან სტუმრად იყო ჩამოსული... – მაპატიეთ ასე დაწვრილებით რომ გიამბობთ, მაგრამ, სხვანაირად არ შემიძლია. ჩემთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

– პირიქით, ბრძანეთ. ჩემთვის ყველა დეტალს აქვს მნიშვნელობა, – უპასუხა რეზომ.

– ის გასაოცარი საღამო იყო, – თითქმის ჩერჩულით განაგრძო ნანამ, – ანდრო სამი დღის წასული იყო. რაღაცნაირად, მარტოობა მომეძალა და საღამოს, სანაპიროდან დაბრუნებისას, ჩემს ახალ ნაცნობებს შევუარე. ისინი ვერანდაზე ვახშმობდნენ, უფრო სწორად, პატარებს ჩაის ასმევდნენ. ბავშვები ჭირვეულობდნენ – არაფრით არ უნდოდათ კარაქიანი პურის ჭამა. მაშინ ვნახე პირველად ვაჟა. ის პატარებთან ერთად იჯდა და სერიოზული სახით უხსნიდა კარაქიანი პურის ჭამის ახალ და, მისი თქმით, „ყველაზე ნაღდ” მეთოდს – კარაქით ქვემოთ...

– რატომ? – უკვირდათ პატარებს, – ყველა ხომ კარაქით ზემოთ ჭამს?..

– მაგაშია მთელი მუღამი, – უხსნიდა ვაჟა, – რაა საინტერესო იმაში, რომ მოიქცე ისე, როგორც ყველა იქცევა? შენ შენთვის რაღაც ახალი უნდა გამოიგონო, ისეთი რამ, რაც ჯერ არავის გამოუგონებია. თქვენს საბავშვო ბაღში ვინმე ასე ჭამს კარაქს?

– არა, – ერთხმად პასუხობდნენ პატარები.

– იმიტომ რომ, არიფები არიან, – განაგრძობდა ვაჟა, – აბა, სცადეთ და ნახავთ, რა გემრიელია... პატარებიც დიდი ლუკმებით ჭამდნენ კარაქიან პურს, რა თქმა უნდა, კარაქით ქვემოთ და შემდეგ დედასა და დეიდას სთავაზობდნენ: თქვენც გასინჯეთ, ნახეთ, როგორ გემრიელიაო!..

ის საღამო მათთან ერთად გავატარე. არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს, მაგრამ, მისი სიახლოვე არნახულად მაფორიაქებდა. ვცდილობდი მისკენ საერთოდ არ გამეხედა, თუმცა, თავს ვერ ვერეოდი. მომდევნო დღეს ზღვაზე არ წავსულვარ. ფანჯრიდან ფარულად ვადევნებდი თვალს მეზობელ სახლს, ვუყურებდი, როგორ ერთობოდნენ პატარები ვაჟასთან ერთად. როგორ თამაშობდნენ, როგორ გორაობდნენ ბალახზე, როგორ ჭყუმპალაობდენ აუზში. ადრე არასოდეს შევხვედრივარ ასეთ ადამიანებს. ის სხვანაირი იყო – გულწრფელი, სპეტაკი და... ბავშვური... შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მასაც, ჩემსავით, ან დილით უყვარდა ზღვა, ან – საღამოს. ჩვენ ერთად დავიწყეთ ზღვაზე სიარული. ეს სრულიად ახალი სამყარო იყო ჩემთვის. ის ყველაფერს განსხვავებულად აღიქვამდა: უცნაურად მოხრილ ხეში, ლაზ მებადურს ხედავდა, რომელიც წყლიდან თევზით დამძიმებული ბადის ამოზიდვას ცდილობდა; უჩვეულო ფორმის ღრუბელში – გაწბილებულ კაზანოვას; ხის კორძში – მოხუცებულ ბურატინოს... მაგრამ, ეს ყველაფერი სამ დღეში დამთავრდა. საღამოს სანაპიროდან ვბრუნდებოდით, როცა სასტუმროსთან მისვლამდე შევხვდით ანდროს – მოულოდნელად დაბრუნებულიყო. მაშინვე შევამჩნიე, რომ უხასიათოდ იყო. ჩვენს დანახვაზე ხომ, საერთოდ, გაშმაგდა, მაგრამ, მე ეს მხოლოდ მის მზერაში ამოვიკითხე. სხვა მხრივ არაფრით გამოუხატავს გაბრაზება. ვაჟას ზიზღით გახედა. მერე კი მე მომიგდო: მანქანაში ჩაჯექი. სახლში მოგელაპარაკებიო!.. ის ისე გაბრაზებული იყო, ვაჟასთან გამომშვიდობებაც კი ვერ გავბედე. მისკენ არც გამიხედავს, ისე ჩავჯექი მანქანაში... მეორე დღეს ჩვენ თბილისში გამოვემგზავრეთ. მეგონა, ამით დამთავრდა ყველაფერი, მაგრამ, ვაჟა რამდენიმე დღეში დამიკავშირდა და... ყველაფერი თავიდან დაიწყო. ერთხელ შევხვდით



ერთმანეთს... ორჯერ... სამჯერ... შემდეგ კი ამ ყველაფერმა სისტემატური ხასიათი მიიღო, მაგრამ, ჩვენი ურთიერთობა სეირნობას, კაფეში გატარებულ რამდენიმე საღამოსა და საუბრებს არ გასცდენია. რამდენჯერმე მან სახლში მიმიწვია – ჩემთვის თავისი ხელით მოწყობილი იაპონური ბაღისა და თავისივე ნახატების ჩვენება უნდოდა, მაგრამ, ვერ გავბედე. მის უბანში ანდროს რამდენიმე მეგობარი ცხოვრობდა და მე მათთან შეხვედრა მაშინებდა. თუმცა, ეს მაინც მოხდა. არ ვიცი, ვინ და სად მოგვკრა თვალი და ვინ მიუტანა ენა, მაგრამ, იმ დღეს შინ დაბრუნებულმა ანდრომ ნამდვილი ჯოჯოხეთი მომიწყო. ხელი მკრა, დივანზე დამაგდო, თავს წამომადგა და გაქვავებული სახით მითხრა:

– ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოუნახე შენს შვილს მამა?!

ამან ისე მატკინა გული, რომ პასუხის გაცემა ვერ მოვახერხე. ანდრო სიმივით იყო დაძაბული. მეგონა, რომ, წამიც და, ზრიალით გაწყდებოდა. თუმცა, პასუხს არც დალოდებია, მოულოდნელად შემაქცია ზურგი და ბინიდან გავიდა. მეორე დღეს გავიგე, რომ ვაჟას სახლთან დახვდა და მათ შორის ჩხუბი მოხდა. საღამოს ანდრო დამცინავად მიყვებოდა, როგორ სცემა ვაჟა საკუთარი სახლის ეზოში. მე ამის ატანა ველარ შევძელი და პირდაპირ ვუთხარი, რომ მასთან განქორწინება მსურდა. კატეგორიული უარი განმიცხადა და იმან გამაოცა – ის დარწმუნებული იყო, რომ მე ვღალატობდი, მაგრამ, მაინც უარს მეუბნებოდა განქორწინებაზე.

– ნუ ღელავ, დიდხანს არ დაგაყოვნებ. ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, მოვაგვარებ და მე თვითონ მოგიძებნი საკადრის ადგილს! – დამემუქრა ის და ბინის კარი გაიბრახუნა... არ ვიცი, რა საქმეს გულისხმობდა ანდრო. თავიდან, ვიფიქრე, რომ ვაჟასთვის ანგარიშის გასწორება ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ, ანდრო შურისმაძიებელი ადამიანი არ იყო. ჰო, ის აღელდა, ვაჟას ეჩხუბა კიდეც, მაგრამ, ეს ხომ ყველა მამაკაცის დამახასიათებელი თვისებაა. მე არ ვიცი, რატომ მიაწერეთ ანდროს მკვლელობა ვაჟას, მაგრამ, მერწმუნეთ, ის არასოდეს ჩაიდენდა ამას. თუმცა, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს – აღარც ანდროა ცოცხალი და აღარც ვაჟა...

ფიფიამ დიქტოფონი გამორთო, ზურაბს გახედა და მოზეიმე ხმით ჰკითხა:

– როგორია?!

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ბაქოში მოღვაწე ცნობილი და მშვენიერი ქართველი მომღერალი მანანა ჯაფარიძე მცირე ხნით ეწვია მონატრებულ თბილისს. ამბობს, რომ ჩუმად, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე ესტუმრება ხოლმე მშობლიურ და საყვარელ ქალაქს. მანანას ჰყავს მეუღლე – გიორგი და 4 წლის გოგონა – ელისაბედი.**

# როგორ გადიოდა მანანა ჯაფარიძე სცენაზე ნამტირალევი და რა ტრაგედია გადაიტანა მან

**მანანა ჯაფარიძე:** დაახლოებით ერთი კვირაა, რაც თბილისში ვიმყოფები, მაგრამ, სამწუხაროდ, კვირის ბოლოს აზერბაიჯანში ვაპირებ დაბრუნებას, რადგან საქმე ასე მოითხოვს და რაც მთავარია, თბილისში გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი ჩამოსვლა ყოველთვის მიხარია. აქამდე ჩუმად ჩამოვდიოდი, მეგობრებისთვის, რუსები რომ იტყვიან, „სკრომნა" ***(იცინის).*** იმედი მაქვს, მალე საინტერესო პროექტებით ჩამოვალ. მაგალითად, სიყვარულის დღისთვის დავწერე ძალიან ლამაზი სიმღერა, სახელწოდებით – „გიყვარდეს", რომლის როგორც მუსიკის, ასევე ტექსტის ავტორი მე თვითონ ვარ.

**– თბილისში კონცერტს არ გეგმავ?**

– სანამ კონცერტს გავმართავ, ელემენტარული დოზით ხომ უნდა გავაცნო ქართველ მსმენელს ჩემი რეპერტუარი? საკმაოდ კარგად მიცნობენ უცხოეთში, ვმღერი ცნობილ სიმღერებს; ასევე, ინგლისურენოვან სიმღერებს საკუთარი ალბომიდან. სხვა არის მაინც, როცა უყვართ მომღერალი და ელოდებიან მისი სიმღერების „ლაივში" შესრულებას. ამისთვის კი მუშაობაა საჭირო. თავის ქება არ მიყვარს და არც მჩვევია, მაგრამ, ძალიან უყვართ ჩემი შემოქმედება იქაურ ქართველებსაც და აზერბაიჯანელებსაც. არაფერს ითხოვენ შენგან, ოღონდ ბედნიერი გნახონ და ესეც აბედნიერებთ. რამდენჯერ უთქვამთ ხნიერ ადამიანებს, ჩემს შვილიშვილებს გამსგავსებთ ჩვენი ოჯახის სარკე ხარო. ბავშვობიდან გამჯდარი მაქვს, რომ მომთხოვნი ვიყო საკუთარი თავის მიმართ. პირველ ყოვლისა, ეს გენეტიკურია. არ მიყვარს ზედმეტად ქება, არც მაქებდნენ ზედმეტად მშობლები, თუმცა, ალბათ, ცოტათი მამა უფრო – მოგეხსენება, მამისა და ქალიშვილის ურთიერთობა მაინც სხვა არის. უკვე ექვსი წელია მამა აღარ მყავს, ბაქოში რომ ვარ, სულ მგონია, რომ აქ არის და, თითქოს უფრო მიადვილდება ამ ტკივილის გადატანა. ბედნიერი ვარ, რომ მოესწრო ჩემს წარმატებებს, ბაქოშიც იყო ჩამოსული. 9 წლისაც არ ვიყავი, ცხრა წლით უფროსი ძმა რომ გარდამეცვალა და შემომციცინებდნენ მშობლები. მაგრამ, მაინც სულ მქონდა ისეთი განცდა, რომ ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი. ზედმეტი ამბიციები და შეფერება არ მახასიათებს. თავი ვარსკვლავად არ მიმაჩნია, არც მიყვარს ეგ სიტყვა. კი, წარმატებული ვარ, ცნობილი სახე, მაგრამ, ვარსკვლავი მარტო ცაშია, ჩემი მფარველი ვარსკვლავი ჩემი ძმის სულის სახით... პატარები რომ ვიყავით, ხშირად ვსეირნობდით ხელიხელჩაკიდებულები ჭავჭავაძის გამზირზე (ვაკეში ვცხოვრობდით). ასტრონომია უყვარდა ძალიან, სულ ცაში იყურებოდა და ვარსკვლავებს აკვირდებოდა ხოლმე... მეც ამახედებდა ცაში და უცნაურად მეტყოდა: მანჩო, ახედე ცას. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს ხედავ? როდესაც მოხდება ისე, რომ მარტო დარჩები, ახედე ცას და ის ყველაზე დიდი ვარსკვლავი მე ვიქნები; და თუ მე შენ გვერდით არ ვიქენი, ჩათვალე, რომ იქიდან გიყურებ და მფარველობას გიწევო. ეტყობა, წინათგრძნობა ჰქონდა რაღაცნაირი. სანამ სცენაზე ავალ, ავიხედავ ზევით და პირჯვარს ვიწერ ხოლმე.

**– ქუჩაში როგორ გამოხატავენ სიყვარულს შენ მიმართ?**

– ქუჩაში საერთოდ არ დავდივარ. შეიძლება, წარმოუდგენელიც იყოს, მაგრამ, იმ დონემდე ვარ ჩაკეტილი, რა დონემდეც მე თვითონ მაწყობს. ასეთი ცხოვრების წესი მაქვს – გართობა ღამის კლუბებში, „ტუსოვკები" ჩემი არ არის და არც იყო. მიზნისთვის ბევრს ვმუშაობ, ცოტა მძინავს, ფაქტობრივად, დღე და ღამე არეული მაქვს, მით უმეტეს, გასტროლების დროს. ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს. სადარბაზოდან პირდაპირ ვჯდები მანქანაში, მანქანიდან – შენობაში, მერე – პირიქით და ასე. მაღაზიაშიც არ გავდივარ, სულ ერთი-ორჯერ შევყევი დედას მარკეტში გვიან ღამით, როცა ხალხი ცოტა იყო. ზოგჯერ რომ შევდივარ, მგონია, კრუიზში გავდივარ, იმდენად სხვა გარემოა ჩემთვის ***(იცინის).*** ხან ვიღაც გამოჩნდება და ქართულ ღვინოს მჩუქნის, მოკლედ, ვართ გაცვლებში და ამბებში ***(იცინის)*** და უხერხულში ვვარდები.

**– რთული მომენტები ხშირად გქონია?**

– საკმაოდ. თბილისი მენატრებოდა ხოლმე, მამა, ნათესავები... მამა აქ იშვიათად იყო ხოლმე, სვანეთშიც სახლი ჰქონდა მისახედი და ხშირად ვერ ჩამოდიოდა ბაქოში. ცოტა უხერხულიც იქნებოდა – მომღერალი ვარ და, აქეთ – დედა, იქით – მამა... მაგრამ, ძალიან მიჭირდა მამის გარეშე. რთული ეტაპები გვქონდა ცხოვრებაში. რამდენიმე ბინა გაყიდეს ჭავჭავაძეზე, ცენტრში, რომ ჩემს შემოქმედებაში ჩაედოთ ინვესტიცია! გარანტირებული მილიონერები იქნებოდნენ დღეს, მაგ-



**აზერბაიჯანში გრძელთმიან გოგონებზე ამბობენ – ნახე, მანანას სტილის გოგოაო**

რამ, ბევრი რამ დათმეს ჩემთვის! ჩემმა ოჯახმა ბევრი ტკივილი და განსაცდელი გამოიარა და ყველაფრისთვის მადლობელი ვარ ღმერთის. წარმატების ფასი ვიცი და წარუმატებლობას არ დავუშვებ!

**– ალბათ, იღბალიც გწყალობს.**

– ალბათ, და, ღმერთიც, რადგან, ხედავს, რომ გულწრფელი ვარ. არავისგან არაფერს ვითხოვ, არ ვავალებ – ეს გამიკეთეთ, ის გამიკეთეთ-მეთქი. დღემდე საკუთარი თავის პროდიუსერიც, მენეჯერიც და ყველაფერიც თვითონ ვარ.

**– ალბათ, მამის გარდაცვალების შემდეგ ძალიან გაგიჭირდა სცენაზე ისევ დადგომა და სიმღერა...**

– ძალიან. მამა 2005-ში აღარ მყავდა უკვე... ჩერნობილში დასხივდა – იქ იყო გაწვეული და

**დედაჩემი იყო შანხაიში აზერბაიჯანული დელეგაციის თავმჯდომარე, სასაცილოდ ლაპარაკობდა თავისი ქართული აქცენტით. ჩემი სახელი იმ კონკურსის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაეწერა – „აზიის ოქროს ხმა" გავხდი**

უკურნებელი სენით დაბრუნდა... ჩემთან იყო მამა ბაქოში, რომ უცებ აუტანელი ტკივილები დაეწყო. სასწრაფოდ მივიყვანეთ ექიმთან და გასინჯეს, მაგრამ, დაგვიმალეს დიაგნოზი – ალბათ, შეეშინდათ, ცნობილი ადამიანია და აქ რამე არ ატეხოსო. მარტო რაღაც ნემსები დაუნიშნეს. მამა სვანეთში წავიდა და რამდენიმე კვირაში დაგვიკავშირდნენ – გაგვაგებინეს, რომ ცუდად იყო, ლოგინად ჩავარდა, ფეხებს ვეღარ გრძნობდა. ხუთი თვე იწვა ლოგინში და ამ ხუთი თვის განმავლობაში ჩამოვდიოდი ხოლმე ბაქოდან სანახავად და ვეფერებოდი. მამამ არ იცოდა ამ დაავადების შესახებ, ჩვენ ავარიდეთ მას ქიმია და პროცედურები, რაც თმის ცვენას გამოიწვევდა, ისეთი ხასიათის კაცი იყო, ვერ გადაიტანდა ასეთ რამეს. ტელეფონით ვესაუბრებოდი ხოლმე, აქედან ვაიმედებდი. ყავა არ მიყვარს, მაგრამ, უძილობისგან და ნერვიულობისგან ძალაგამოლეული ბევრს ვსვამდი მაშინ. დილით პირს რომ ვიბანდი, მაკიაჟი წაშლილი და თავიდან გასაკეთებელი მქონდა. სარკეში ვერ ვიხედებოდი! არადა, სხვის მხიარულებაზე, განწყობაზე, ღიმილზე უნდა მეზრუნა. სახლში მოვთქვამდი, დასიებულ თვალებს ვიღებავდი და ისე გავდიოდი სცენაზე, ეჭვსაც ვერავინ შეიტანდა, რომ კარგად არ ვიყავი. მამა გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე რომ ვნახე, გარეგნულად ძალიან იყო შეცვლილი. ვკითხე: მამა, რა ვქნა, როგორ გავაგრძელო ცხოვრება-მეთქი. მითხრა, შენ ჩემი შვილი ხარ და, ვიცი, არაფერი შეგეშლებაო. ძალიან მიჭირს უცრემლოდ მამაზე ლაპარაკი. მეუღლესაც კი ვუმალავ ბევრ სევდიან მომენტს. მაქსიმალურად ვეცდები, ჩემი შვილი დარდს ავარიდო. დედასაც ძალიან ვუფრთხილდები, მასთან „ნიღაბსაც" კი ვატარებ, რომ რამე არ ვაგრძნობინო. სიმწრით მოვედით დღემდე. ცხრა წელი ბაქოში ქირით ვცხოვრობდით.

**– საკუთარ იმიჯზე თვითონ ზრუნავ?**

– ასეა. დედამ შემაჩვია მოწესრიგებულობას, გემოვნებით ჩაცმას. მაკიაჟსაც თვითონ ვიკეთებ – ეს საკმაოდ კარგად მეხერხება. რამე ძალიან გიჟური არ მიცდია, არ მიყვარს ექსპერიმენტები, რომ გავჭალარავდები, ამავე ფერზე შევიღებავ თმას ***(იცინის).*** აზერბაიჯანში გრძელთმიან გოგოებზე ამბობენ, ნახე, მანანას სტილის გოგოაო. პარიზში ვიყავი „დიორის" უზარმაზარ სახლში და აღფრთოვანდნენ ჩემი მაკიაჟით – არ სჯეროდათ, რომ თვითონ ვიკეთებ. მერე რაღაც ცდები ჩაატარეს ჩემზე და, იმ პროდუქციის შესაძენად, რითაც შემღებეს, უშველებელი რიგი დადგა ***(იცინის).*** კინაღამ „დიორის" სახე გავხდი. ერთი დიდი ჩანთით დამაჯილდოვეს. დედაჩემიც მიდის ხოლმე იტალიაში და იქ იძენს ჩემთვის სამოსს. ვარ ასევე „პანტინის" სახე და ახლაც იგეგმება ამ კუთხით გადაღებები.

**– პარიზულ ვოიაჟზეც მითხარი.**

– კანშიც ვიყავი „მიდემის" უპრესტიჟულეს მუსიკალურ ფესტივალზე. პარიზში ყველა ერთად ვიყავით, ლიზიც მყავდა ჩაყვანილი. პონტ დე ზალის ხიდზე ბოქლომი დავამაგრეთ მოაჯირზე და ლიზიმ სენაში ისროლა გასაღები.

**– შვილთან მკაცრი ხარ?**

– არა. ვცდილობ, მაქსიმალურად კარგი დედა ვიყო. შვილს ვექცევი როგორც ტოლს; ვცდილობ, როგორც დიდს, ისე ავუხსნა და გავაგებინო, არავითარი ენის მოჩლექა. როცა ბავშვს ვეთამაშები ან ვუკითხავ, არ არსებობს, თუნდაც ყურმილი ავილო.

**– ალიევების ოჯახთან დაახლოებული ხარ?**

– არ მოგატყუებთ, ეს არ არის ისეთი ოჯახი, რომელთანაც შეიძლება ძალიან ახლოს და თავისუფლად იყო. უბრალოდ, ძალიან მიღებული მომღერალი ვარ მათთან ყველა დღესასწაულსა და სახელმწიფო დონის ღონისძიებაზე. ერთ-ერთი სერიოზული ჩინოვნიკის მიერ დაწერილი სიმღერა მაქვს (ეს ჩინოვნიკი აზერბაიჯანში მეორე კაცად ითვლება) და ტექსტი პრინცესა ლეილა ალიევას ეკუთვნის – მე მას პრინცესას ვეძახი. სიმღერას ჰქვია „Я уиду." და მის შესრულებას საკმაოდ ხშირად მთხოვენ.

**ქეთი დიდებულიძე**

**ინტერვიუზე პირდაპირ კლინიკიდან მოვიდა და საუბრისას წამოსცდა, რომ ოთხი ურთულესი ოპერაცია გააკეთა. საზოგადოებისთვის უფრო მეტად ცნობილები არიან მისი მამა – ბატონი ივა კუზანოვი და უფროსი ძმა – გუგა, თუმცა, ალექსანდრე კუზანოვის პროფესიონალიზმმა უკვე მოიპოვა აღიარება მსოფლიოს წამყვან პლასტიკურ ქირურგებს შორის. საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს, მაგრამ, საკმარისია, საუბრისას ქირურგია ახსენო, რომ მაშინვე თვალები უბრწყინდება და ხალისით გიყვება საყვარელი პროფესიის შესახებ.**

# რატომ აინტერესებს რეკონსტრუქციული ქირურგია ალექსანდრე კუზანოვს ლიპოსაქციაზე მეტად



ალექსანდრე კუზანოვი: გამიკეთებია ქვედა ყბის აწყობა თავიდან

**ალექსანდრე კუზანოვი**: ქირურგია ძალიან უნდა გიყვარდეს. ის შენში უნდა იყოს, შენს სულში და გრძნობდე ამას, თორემ, ვერავის რჩევით ან ვერავის წაბაძვით ქირურგი ვერ გახდები, მით უმეტეს – პლასტიკურ-რეკონსტრუქციული ქირურგი.

**– ანუ, პლასტიკურ-რეკონსტრუქციული ქირურგია ჩვეულებრივი ქირურგიისგან განსხვავდება?**

– განსხვავდება და გეტყვით, რითაც: პლასტიკური ქირურგია არის ის, რაც ყოველთვის სახეზეა, ანუ, რაც მუდმივად ჩანს და ამიტომაც მოითხოვს განსაკუთრებულ სიფაქიზეს. თავისთავად, პლასტიკური ქირურგია უზარმაზარი დარგია. მოიცავს ესთეტიკურ ქირურგიას, რაც უშუალოდ გალამაზებასთან არის დაკავშირებული და რეკონსტრუქციულ ქირურგიას – თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტების მკურნალობის ქირურგიას. ამ შემთხვევაში, პლასტიკურ ქირურგს თანამშრომლობა უწევს სხვა დარგის სპეციალისტებთან: ონკოლოგთან, მამოლოგთან... მაგალითად, როცა რთული ონკოლოგიური ოპერაციის შემდეგ ადამიანისთვის თითქმის ნახევარი სახის აღდგენა გვიწევს, ან – მოკვეთილი მკერდის აღდგენა. სწორედ დღეს გვქონდა ასეთი ოპერაცია – მამოლოგთან ერთად აღვადგინეთ მოკვეთილი მკერდი. 2008 წლის ომის დროს ძალიან აქტუალური იყო „ომის ქირურგია“.

**– მე ვიცი, რომ შენ ძალიან ბევრი რეკონსტრუქციული ოპერაცია გააკეთე ამ პერიოდში გორში.**

– ძალიან მძიმე პაციენტები გვყავდა. უმძიმესი დაზიანებებით. ვმუშაობდით ორთოპედებთან ერთად და ამ ოპერაციებზე შემდეგ მოხსენებაც დავწერეთ, რომელიც 2009 წელს თურქეთში გამართულ ორთოპედთა და გადაუდებელი ქირურგიის ევროპის ასოციაციის კონგრესზე გამოვიტანეთ. ორთოპედები აღადგენდნენ ძვალს, პლასტიკური ქირურგები კი რბილი ქსოვილების აღდგენაზე ვმუშაობდით. ძალიან დიდი და ძალიან საინტერესო შრომა გავწიეთ: სისხლის მიმოქცევას აღვადგენდით და ასე შემდეგ...

**– შესაბამისად, ოპერაციებიც გრძელდებოდა ხუთი, ექვსი, შვიდი საათი...**

– უფრო მეტიც *(იღიმება)*, ათი, თერთმეტი, თორმეტი საათიც გაგრძელებულა ოპერაცია. იმიტომაც გითხარით, ქირურგია შენს სულში უნდა იყოს-მეთქი. მეორე მთავარი პირობაა მუშაობის გუნდური პრინციპი – რეკონსტრუქციულ ქირურგიაში ამ პრინციპის გარეშე წარმოუდგენელია.

**– თორმეტი საათი ოპერაციას აკეთებ და ამით სიამოვნებას იღებ?**

– ასეა. მართლა ძალიან საინტერესოა, გამიკეთებია ქვედა ყბის აწყობა თავიდან... „კუზანოვ კლინიკაში“ ახლახან დავნერგეთ მოკვეთილი მკერდის აღდგენა ახალი მეთოდიკით. რინოპლასტიკაში ვმუშაობთ უახლესი მეთოდებით, რომლებიც სულ უფრო იხვეწება. დღეს სულ სხვანაირად ვაკეთებთ ცხვირის ოპერაციას და ჩვენი კლინიკის ეს სიახლეები მსოფლიოს ბევრ წამყვან კლინიკაშია დანერგილი.

**– ამბობენ, ალექსანდრე კუზანოვის „ცხვირები“ სერიოზულ კონკურენციას უწევს ივა კუზანოვის „ცხვირებსო“.**

– *(იღიმება)* მე ასე ვერ ვიტყოდი. ჩვენ ვმუშაობთ ერთად. ფაქტობრივად, ყველა კონკრეტულ შემთხვევას ერთად განვიხილავთ, ვმსჯელობთ, როგორ იქნება უკეთესი. მე მიყვარს პაციენტთან დიდხანს საუბარი, რათა გავიგო, რა უნდა მას. თუმცა, თითოეულ ჩვენგანს – მეც, გუგასაც და მამასაც, – მაინც გვაქვს საკუთარი ხელწერა.

**– და, საკუთარი ხედვა სილამაზეზე...**

– მიმაჩნია, რომ სილამაზის სტანდარტი საერთოდ არ არსებობს. ზოგს სწორედ ის კეხიანი ცხვირი უხდება. რომ გაუკეთო კორექცია, შეიძლება სტანდარტულ ლამაზ ქალად აქციო, მაგრამ, მთელი ეშხი დაუკარგო. ყოფილა შემთხვევა, როცა მითქვამს პაციენტისთვის, შენ არ გჭირდება ცხვირის ოპერაცია-მეთქი და, თუ მაინც დაჟინებია, სხვასთან გამიშვია. მე სილამაზის ხელყოფაში მონაწილეობას ვერ მივიღებ და ჰარმონიას ვერ დავარღვევ.

**– ისეთი შემთხვევებიც ხომ ყოფილა, როცა გითქვამთ – გასაკეთებელიაო?**

– რა თქმა უნდა. როცა ხედავ, რომ ცხვირი ყველაფერს აფუჭებს, იქ უკვე უნდა ჩაერიო, მოდელირებით აჩვენო პაციენტს, როგორი იქნება ოპერაციის შემდეგ და კეთილსინდისიერად გააკეთო შენი საქმე. ბოლო დროს ძალიან მოიმატა უცხოელი პაციენტების რიცხვმა. რუსეთიდანაც ჩამოდიან პაციენტები და რინოპლასტიკას იკეთებენ. კავკასიელებს თუ კეხი არ მოსწონთ, ისინი მეტისმეტად აპრეხილი ცხვირის წვერის ან ფართო ნესტოების კორექციის სურვილით მოდიან. შედიან ჩვენს საიტზე, კითხულობენ ყველაფერს და უკვე გადაწყვეტილებამიღებული გვაკითხავენ კლინიკაში.

**– მივხვდი, რომ „ცხვირების კეთებაც“ განიჭებს სიამოვნებას, მკერდისაც... და, ლიპოსაქცია?!**

– ერთიც გამიკეთებია და მეორეც. თუმცა, ამ საქმეში ჩემზე დაოსტატებული გუგაა. ჩვენთან მკერდის მარტო გადიდება კი არ ხდება, არამედ, დაპატარავება, აღდგენა და აწევაც (ლიფტინგი). ყოფილა შემთხვევა, როცა გუგასთვის მიკითხავს რჩევა. მის ოპერაციებსაც ხშირად ვესწრები – მაინტერესებს, როგორ მუშაობს. რაც შეეხება ბოტოქსს, ფილერებს, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული ოსტატობა სჭირდება, ერთსაც და მეორესაც, მე მაინც რეკონსტრუქციული ოპერაციები მირჩევნია.

**– მარტი ყოველთვის განსაკუთრებულია ხოლმე „კუზანოვ კლინიკაში“ – სპეციალური შეთავაზებებით ანებივრებთ ქალბატონებს...**

– წელსაც, 10 მარტამდე გვაქვს საგანგებო, საგაზაფხულო 15-პროცენტიანი ფასდაკლება ყველა ოპერაციაზე, პროცედურაზე, კოსმეტიკურ კაბინეტში – ეს უკვე ტრადიციაა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ მარტო ქალბატონები არ სარგებლობენ ამ დროის პრივილეგიებით. მამაკაცებიც გააქტიურდებიან ხოლმე და სარგებლობენ აქციით.

**– ანუ, ქალბატონების ხარჯზე იპატარავებენ ცხვირებს და ღიპებს?**

– ასე გამოდის, მაგრამ, ისინი ხომ ქალებისთვის ლამაზდებიან. ამიტომ, უნდა ვაპატიოთ *(იღიმება)*. სხვათა შორის, სულ უფრო ბევრი მამაკაცი ზრუნავს საკუთარ გარეგნობაზე და ეს ძალიან კარგია. დიეტა, ვარჯიში უჭირთ და, რადგან ამას დროც სჭირდება, არჩევენ, ღიპის მოსაშორებლად ჩვენ მოგვმართონ. სწრაფად დგებიან ფორმაში და ძალიან კმაყოფილები არიან ხოლმე. ზაფხულში ემიგრანტების გალამაზებით ვართ დაკავებული. ისინიც საიტით, დაწვრილებით ეცნობიან ჩვენს მეთოდებს, შედეგებს და „კუზანოვ კლინიკაზე“ აკეთებენ არჩევანს.

**ელენე წულუკიძე**



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

# როგორ აზიანებენ მშობლები გაუცნობიერებლად შვილის აურას და როგორ უნდა ავავსოთ ორგანიზმი საჭირო ემოციებით

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ირგვლივ არსებული ნივთი თუ მიმდინარე უამრავი მოვლენა, მაგალითად, არასწორად შერჩეული ნივთი, გამჭოლი მზერა, ბედში ხელოვნური ჩარევა და ასე შემდეგ, იწვევს ჩვენი აურის დაზიანებას, შემდეგ კი გამჭოლ ნახვრეტებს აჩენს მასში, რაც, რასაკვირველია, ძალიან საშიშია ნებისმიერი ჩვენგანისთვის. ზოგჯერ ადამიანს უეცარი ტკივილი ეწყება სხეულის კონკრეტულ ადგილას და ვერ ხვდება, რისი ბრალია. შესაძლოა, ექიმმაც ვერ დაადგინოს, რა მიზეზით არის ამა თუ იმ ორგანოს ტკივილი გამოწვეული. რეალურად კი ეს, შესაძლოა, დაზიანებული აურის ბრალი იყოს. ნორმალური აურა, ანუ, როცა ის 60 სანტიმეტრს აღემატება, ადვილად იცავს ადამიანს გარემოს საშიში ზემოქმედებისგან, აურის გასაფართოებლად კი აუცილებელია ვარჯიშების სპეციალური კურსის ჩატარება, რათა პრობლემებს ადვილად აარიდოთ თავი. ეს კურსი, შეგვიძლია, სახლის პირობებშიც ჩავიტაროთ. კერძოდ: თავისუფალი დროის უმეტესი ნაწილი სუფთა ჰაერზე, ბუნებაში უნდა დავყოთ. ბუნებაში არსებული მინერალები და მცენარეები უარყოფით ენერგიას ისრუტავენ და უდიდესი დადებითი მუხტით „გვტუმბავენ”. ამის შემოწმება ბიოლოკაციური ჩარჩოს მეშვეობითაა შესაძლებელი. ამიტომ, მზიან და სასიამოვნო ამინდში ბევრი ისეირნეთ, იარეთ ბალახზე ფეხშიშველმა, გაშალეთ მიწაზე პლედი, წამოწექით და უყურეთ ზეცაში ღრუბლებს, უსმინეთ ბუნებაში არსებულ უცნაურ ხმებს, მაქსიმალურად შეისრუტეთ დადებითი და მშვიდი ემოციები და განიტვირთეთ. ეს ემოცია, მერწმუნეთ, დიდხანს გაგყვებათ და დაგიცავთ უარყოფითი ზეგავლენისგან. საერთოდ, აურის მოცულობა ინდივიდუალურია. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ადამიანი უარყოფით ენერგიას იღებს, მაგრამ, ძლიერი აურა აქვს და ველი იოლად არ უმცირდება.

ასევე, ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება განსაზღვრული პოტენციალი, შემდეგ კი ხდება მისი გაძლიერება. საერთოდ, რაც უფრო განიერია ბიოველი, მეტ წინააღმდეგობას უწევს უარყოფით ენერგიას და ისიც ძნელად აღწევს სხეულში. დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ნებისმიერ ადამიანს საკუთარი ენერგია აქვს, კერძოდ, – უარყოფითი ან დადებითი. სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას მათი ენერგიები ერთმანეთს კვეთს და, შესაძლოა, სწორედ ამ გადაკვეთისას, სხვისი უარყოფითი ენერგია მიიღოთ და აურაც დაიბინძუროთ. იმ ოჯახებში, სადაც მშობლები ხშირად ჩხუბობენ, ილანძღებიან და კამათობენ, შვილსაც უზიანდება აურა. ზოგჯერ ადამიანი სხვასთან ურთიერთობის შემდეგ, იფიტება, გრძნობს სისუსტეს და ეწყება თავის ტკივილი. ეს სიმპტომები იმის მანიშნებელია, რომ თქვენს აურაში ენერგოვამპირი შემოიჭრა და დააზიანა. ამ დროს უნდა ეცადოთ, მაქსიმალურად შეინარჩუნოთ ჯანსაღი აზრი – ეს უარყოფითი ენერგიის დაბლოკვის ერთ-ერთი მეთოდი და მექანიზმია. სხვათა შორის, გაგიკვირდებათ, მაგრამ, შესაძლოა, შვილის აურის დაბინძურების მიზეზი მშობელი დედაც კი აღმოჩნდეს. მაგალითად, თუ დედას ვინმე ბოროტმა ჯადო გაუკეთა, ის შვილზეც გადადის და, შესაბამისად, მისი აურის დაზიანებასაც გამოიწვევს მომავალში. საერთოდ, როცა ოჯახის რომელიმე წევრზე რაიმე ცუდი კეთდება, ის სხვა წევრზეც შეიძლება გადავიდეს და დაიწყოს მოქმედება. დაბინძურებულმა აურამ, შესაძლოა, ასევე, ადამიანს ის ორგანო დაუავადოს, რომელიც შედარებით სუსტი აქვს. ძლიერად დაზიანებული ორგანოს გამოჯანმრთელება კი, შეიძლება, აურის გაწმენდის შემდეგაც ველარ მოხერხდეს, შესაბამისი სპეციალისტის მიერაც კი. ამ შემთხვევაში იმასაც აქვს მნიშვნელობა, რა ფორმით და სახით არის აურა დაზიანებული. მისი გასუფთავებითა და გაძლიერებით ხდება უარყოფითი ენერგიის გაუვნებელყოფა, რადგან, ძლიერი დამცავი შრე, ანუ აურა შიგნით არ უშვებს ცუდ ენერგიებს და ასუსტებს მის ზეგავლენას ორგანიზმზე.

არსებობს პერიოდი, როცა თავად შეგიძლიათ აურის გაძლიერება, კერძოდ, როცა მთვარე კლებას იწყებს. ამ დროს აქტიურად უნდა დაძაბოთ გონება და იფიქროთ ბედნიერ მომავალსა და იმაზე, რომ ცხოვრებაში ვერავინ და ვერაფერი მოგერევათ; ხართ ყველაზე წარმატებული ადამიანი და ვერავინ შეძლებს თქვენთვის ცუდის გაკეთებას; ასევე, იფიქრეთ იმაზე, რომ ძლიერი პიროვნება ხართ, გაქვთ სუფთა აურა და სპეტაკი ზრახვები სხვების მიმართ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1978 წლის 5 აგვისტოს, დილის 8 საათზე. მინდა უცხოეთში წასვლა. გთხოვთ, მითხრათ, განსაკუთრებით რომელი ქვეყნებია ჩემთვის მისაღები და რომელ სფეროში მელის წარმატება?**

**პასუხი:** უცხოეთში თქვენთვის ძალების მოსინჯვა ნამდვილად ღირს და წარმატების მომტანიცაა. ქვეყნებიდან კი კარგია: ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი, პორტუგალია. რაც შეეხება პროფესიებს, თქვენთვის კარგია და მისაღები: გასართობი ინდუსტრია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ადმინისტრაციული საქმიანობა, სამასაჟო საქმე, დიზაინი, არქიტექტურა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1999 წლის 28 აგვისტოს, დაახლოებით ღამის 3 საათზე. რომელი სფერო აირჩიოს სამომავლოდ, რომ წარმატებებს მიაღწიოს?**

**პასუხი:** მისთვის კარგია შემდეგი პროფესიები: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, პოლიტიკის ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო, კომერციული საქმიანობა, პედაგოგიკა, საინჟინრო საქმე.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1998 წლის 24 მაისს, ღამის საათებში. რომელი პროფესიებია მისთვის წარმატების მომტანი, უცხოეთის რომელ ქვეყნებში ურჩევთ გამგზავრებას და ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ჯობია, შექმნას ოჯახი?**

**პასუხი:** მისთვის მისაღებია ურთიერთობა შემდეგ ასტროლოგიურ ნიშნებთან: ლომი, კირჩხიბი, სასწორი ან ვერძი. უფრთხილდეს მერწყულს. უცხოეთი მისთვის საშუალოა, ქვეყნებიდან კი უმჯობესია: ჩეხეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, შვეიცარიის დასავლეთი მხარე, იტალიის ჩრდილო ნაწილი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – კალიფორნიის შტატი; ავსტრია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ისლანდია, მექსიკა, ლიტვა, საბერძნეთი, ბოლივია, ინდოეთი, ჩინეთის სამხრეთი ნაწილი, სირია, ალბანეთი და მაკედონია. მოერიდოს: რუსეთს, პოლონეთს, ჩილეს, ნიკარაგუას, კოლუმბიას, სლოვაკეთს, ეთიოპიას, კანადასა და ფინეთს. დანარჩენი ქვეყნები კი საშუალოა. რაც შეეხება პროფესიებს, მისთვის მისაღები და წარმატების მომტანია: სტომატოლოგია, პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, სახელმწიფო ზემაღალ სტრუქტურებში ორგანიზატორული საქმიანობა, იურისპრუდენცია, საიუველირო საქმიანობა ან ბიზნესი, დიზაინი, მოდელირება, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, სადალაქო სფერო, სამასაჟო საქმე, ჟურნალისტიკა, გასართობი ინდუსტრია, საგამომცემლო საქმიანობა, პოლიტიკის ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული საქმიანობა და მშენებლობა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სფეროში წარმატებების შანსი მაღალი აქვს.

**კითხვა: დავიბადე 1995 წლის 24 სექტემბერს, დილის 10 საათზე. მაინტერესებს, რომელ პროფესიას დავეუფლო, რომ ცხოვრებაში წარმატებას მივაღწიო?**

**პასუხი:** პროფესიებიდან თქვენთვის კარგია: პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია, სამასაჟო საქმე, სცენარისტობა, რეჟისურა და დრამატურგია.

**კითხვა: დავიბადე 1974 წლის 20 თებერვალს. გთხოვთ, მითხრათ, რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, გამოავლინოთ ხასიათში ისეთი თვისებები, როგორიცაა: აქტიურობა, ენერგიულობა, კომუნიკაბელურობა, ოპტიმიზმი, უშიშარი მებრძოლის სულისკვეთება. იყავით იუმორით აღსავსე, ოპტიმისტი, დაეყრდენით ცოდნის ბაზას, იყავით დემოკრატიული პრინციპების გამტარებელი. შეძელით ნოვატორული, რეფორმატორული ტენდენციების გამოვლენა, სპონტანური იმპროვიზაციები, ორიგინალური თვითგამოხატვა, არასტანდარტული მოქმედება და დაეყრდენით უანგარო პრინციპებს ურთიერთობების დროს. ეს თქვენთვის წარმატების მომტანიცაა და ამით კოსმიურ მისიასაც შეასრულებთ.

## ვერძი



გადაწყვეტილებები მიიღეთ დამოუკიდებლად. მოერიდეთ კამათს და აკონტროლეთ სიტუაცია. მოულოდნელი მოგზაურობის დროს სასიამოვნო მოვლენები გელით. საყვარელ ადამიანთან ნუ იქნებით ფიცხი და მოუთმენელი. განმარტოება და დასვენება დაგეხმარებათ ენერგობალანსის შევსებაში.

## კურო



ახალი საქმეები ან სამსახური დიდ პერსპექტივებს გპირდებათ. მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად ბევრი შრომა მოგიწევთ. ოჯახის წევრებთან ჰარმონიული ურთიერთობის შესანარჩუნებლად, ეცადეთ, მათი სურვილებიც გაითვალისწინოთ. საიდუმლოდ შეინახეთ სასიყვარულო კავშირის დეტალები. მოერიდეთ დიდ ფიზიკურ დატვირთვას და ხშირად დაისვენეთ.

## ტყუპები



გაგიჩნდებათ ცვლილებების მოთხოვნილება. კონტაქტები და გადაადგილებები ახალ იდეებს გააჩენს. ყურადღება მიაქციეთ თქვენამდე მოსულ ინფორმაციას. ეცადეთ, ფული ყაირათიანად ხარჯოთ. საყვარელ ადამიანთან გამოავლინეთ მეტი ინტელექტი. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობის მდგომარეობას.

## კირჩხიბი



გაიზრდება შემოქმედებითი პოტენციალი; ასევე გაუმჯობესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა და გუნება-განწყობა. შემოსავალს მოგიტანთ ახალი კონტაქტები და საქმეები. ეჭვიანობა კი დაანგრევს არა მხოლოდ სასიყვარულო, არამედ საქმიან კავშირებსაც.

## ლომი



ეს დრო გამოიყენეთ ახალი სპეციალობის ასათვისებლად და ახალი კავშირების დასამყარებლად. სამსახურში იყავით მეტად თავშეკავებული. ეცადეთ, დაიცვათ დიეტა და არ გადაიტვირთოთ საქმეებით. ნუ დახარჯავთ ფულს უყაირათოდ. ფარული სასიყვარულო კავშირები რთულ სიტუაციაში ჩაგაყენებთ. ნუ ეტყვით ახლო ნათესავებს დახმარებაზე უარს.

## ქალწული



ენერგიის ზრდა საშუალებას მოგცემთ, აიტანოთ გაუთავებელი გადაადგილებები, შეხვედრები და საუბრები. ეს დრო ზეგავლენას მოახდენს თქვენს კარიერასა და პირად ცხოვრებაზე. კარგია ახალი საქმის დაწყება, რადგან ეს დადებითად აისახება შემოსავლებზე. პირად ურთიერთობასთან დაკავშირებულმა ახალმა ინფორმაციამ, შესაძლოა, ეჭვიანობის გრძნობა გაამძაფროს.

## სასწორი



თავს დამოუკიდებელ ადამიანად იგრძნობთ. შესაძლოა, დაფიქრდეთ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე. მოსალოდნელია, ძველი გრძნობები გაღვივდეს და გაჩნდეს ფარული ვნება. თუმცა, ნუ გადადგამთ რადიკალურ ნაბიჯებს. არ გირჩევთ მოგზაურობას, რადგან ეს პრობლემებს შეგიქმნით.

## მორიელი



ადვილად იპოვით თანამოაზრეებს და იქნებით მეტად რეალისტი. საქმეებში დაეყრდენით ინტუიციას. ნუ დაუჯერებთ გარშემო მყოფებს და ნუ აიღებთ კრედიტებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ საყვარელი ადამიანის გვერდით. ასევე, ყურადღება მიაქციეთ ამ კვირაში ნანახ სიზმრებს.

## მშვილდოსანი



რთული პერიოდია, როცა ადრე დაშვებული შეცდომები იჩენს თავს. ნუ გააბამთ სასიყვარულო ურთიერთობას ერთდროულად რამდენიმე ადამიანთან. იყავით მეტად აქტიური. ძალების ნაკლებობის გამო ხშირად გექნებათ განმარტოებისა და დასვენების მოთხოვნილება. გაიზრდება ინტუიცია.

## თხის რქა



ახალი ჩანაფიქრების განხორციელების დროა. მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინეთ საქმეებში. საყვარელი ადამიანი დიდ როლს ითამაშებს თქვენს წინსვლასა და კარიერულ ზრდაში. ჯობია, გადაადგილებები მინიმუმამდე შეამციროთ. შემოსავალს გპირდებათ ადრე დაწყებული პროექტები.

## მერწყული



გაგიმართლებთ ვაჭრობაში, თუმცა, არ გირჩევთ დამოუკიდებლად მოქმედებას. კარგია დიეტის დაწყება და გარეგნობის შეცვლა. ნუ მიაქცევთ ყურადღებას საყვარელი ადამიანის ეჭვებს. არ გირჩევთ მოგზაურობას. დაისვენეთ ხშირად, რათა აღიდგინოთ დაკარგული ძალები.

## თევზები



თავს ხალისიანად და ენერგიულად იგრძნობთ. შრომისუნარიანი და ცნობისმოყვარე იქნებით. ეცადეთ, არ გააკრიტიკოთ კოლეგები და გარშემო მყოფები. რომანტიკული დროა, რომელიც ხელს შეუწყობს შემოქმედებით მუშაობასა და გართობას. უეცარი რომანი კი დიდი სისწრაფით შემოიჭრება თქვენს ცხოვრებაში. კარგია მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი და ლიტერატურული საქმიანობა.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 11 მარტი, 19 სთ: 52 წთ.**

## ორშაბათი

მაღალია ფინანსური და მატერიალური დანაკარგების ალბათობა. ყურადღება მიაქციეთ ცხოვრებისეულ მინიშნებებს. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, იისფერი, ყვითელი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, სარდიონი, აკვამარინი, ტურმალინი ან ნეფრიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა მშენებლობა, კარგია იურიდიული საქმიანობა, უცხოელებთან კონტაქტი, მოგზაურობა, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, სწავლა, სამეცნიერო კვლევა, ფულის ვალად აღება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## სამშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

ნუ აჩქარდებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას. პატივი ეცით სხვების აზრებს. ცვლილებების დღეა. კარგია მონანიება, პატიება, ვარჯიშების ჩატარება. მოერიდეთ თმის შეჭრას. ატარეთ წითელი, ყვითელი, იისფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, ციტრონი, ქარვა ან ლაზურიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა, კარგია იურიდიული საქმიანობა, უცხოელებთან კონტაქტი, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, ინტელექტუალური განვითარება, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

## ოთხშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

კარგია ახალი ნივთების ყიდვა. მოიმატებს პასუხისმგებლობის გრძნობა. კარგია ინტიმური შეხვედრები, მიწათმოქმედება, სამეცნიერო კვლევა, ექიმებთან კონსულტაცია, მანქანის შეძენა, კარგად მოფიქრებული საქმეების შესრულება. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, კბილები, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

## ხუთშაბათი

ყველა სფეროში მოიმატებს იღბალი. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, სწავლა, სამეცნიერო საქმიანობა, მანქანის შეძენა, ვაჭრობა, საქმიანი გარიგებები, ასევე, ექიმებთან კონსულტაცია. ნუ დაარღვევთ წესებსა და კანონებს. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, ბეჟი, ოქროსფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, მარჯანი, მალაქიტი, ყვითელი იასპი ან ტოპაზი. ნუ დაუჯერებთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობას. კარგია მიწათმოქმედება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება კანი, ხერხემალი, ძვლები, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## პარასკევი

კარგია კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება, საზოგადოებრივი მოქმედება, სამეცნიერო კვლევა. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ნეონის ფერები, ლურჯი, ცისფერი, ვარდისფერი, წითელი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ჟადეიტი ან ძოწი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სახლის მშენებლობა, სამშენებლო საქმიანობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება, გართობა. სუსტდება ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ძვლები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## შაბათი
## გეომაგნიტური დღეა

მოიმატებს კონფლიქტები. მოერიდეთ მოგზაურობას. ატარეთ ვერცხლისფერი, ვარდისფერი, ნაცრისფერი, ნეონის ფერები, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ძოწი, ცირკონი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია ელექტროტექნიკის შეძენა, საზოგადოებრივი მუშაობა, სამშენებლო მასალების შეძენა, დიეტის დაწყება, გართობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, თვალები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

## კვირა
## გეომაგნიტური დღეა

კარგია შემოქმედებითი მუშაობა. ატარეთ მწვანე, ლურჯი, იისფერი, ფირუზისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ამეთვისტო, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია მოგზაურობა, იურისტებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება. მოერიდეთ საიდუმლო საქმეებსა და სასიყვარულო შეხვედრებს. მაღალია მოტყუებისა და ღალატის ალბათობა. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**28 თებერვალს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში გაიმართა რამაზ ჩხიკვაძის 85 წლის იუბილე, მუზეუმის ეზოში კი მისი ბიუსტი გაიხსნა. გრანდიოზულ გახსნას ესწრებოდნენ ბატონი რამაზის მეგობრები, ოჯახის წევრები და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები. რამაზ ჩხიკვაძის ცხოვრების საინტერესო ისტორიების შესახებ გვესაუბრებიან მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია და რამაზ ჩხიკვაძის საერთაშორისო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით ოქიტაშვილი.**

# რა სასაცილო და საინტერესო ისტორიები გადახდენია რამაზ ჩხიკვაძეს ალა პუგაჩოვასთან ერთად და სად დადიოდა ის ყველაზე დიდი სიამოვნებით



**დავით ოქიტაშვილი: „რამაზი პატარა ბავშვივით იყო, ყველაფერი სიამოვნებდა, ყველასთან ურთიერთობა უხაროდა“**

**გიორგი კალანდია:** პირველი, რაც მინდა, გითხრათ, არის ის, რომ, ჩვენთვის, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმისათვის, ძალიან მნიშვნელოვანი არიან ის ადამიანები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული თეატრის ისტორიაში. ასეთი იყო რამაზ ჩხიკვაძე. 85 წელი გავიდა მისი დაბადებიდან და ამ 85 წლის განმავლობაში ბევრი ისეთი რამ დარჩა ქართულ თეატრს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რამაზ ჩხიკვაძის სახელთან არის დაკავშირებული. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩვენს მუზეუმში ინახება ცნობილი სპექტაკლის, რითაც ყველას თავი დაგვამახსოვრა ბატონმა რამაზმა, „კავკასიური ცარცის წრის“ უნიკალური ესკიზები. მე ძალიან მინდა, რამაზ ჩხიკვაძის კოსტიუმი ვიპოვო და ჩვენთან წამოვიღო.

**– თქვენს მუზეუმში, ალბათ, იქნება ბატონ რამაზთან დაკავშირებული სხვა მოგონებებიც?**

– ჩვენთან დაცულია უამრავი მოგონება მის შესახებ. რამდენიმე მოგონებაში წერია ასეთი რამ: „რომ არა რამაზ ჩხიკვაძე, „კავკასიური ცარცის წრე“ ასეთი არ იქნებოდა”. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება რამაზ ჩხიკვაძის გარეშე ეს სპექტაკლი მომავალში დაიდგას. ჩვენი სასახლის უკან არის ეგრეთ წოდებული „უკვდავთა ბაღი”, ანუ, ის უკვდავი სახელები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენს ისტორიაში. დიდხანს ვფიქრობდით, ვისი ბიუსტებით უნდა დამშვენებულიყო ჩვენი ბაღი. აქ არის ბალანჩივაძეების, ნიკოლოზ შენგელაიას, ჯანო ბაგრატიონის და ახლა დაემატა რამაზ ჩხიკვაძის ბიუსტი. მნიშვნელოვანი ფაქტი არის ის, რომ, ეს ბიუსტი გაკეთებულია მის სიცოცხლეში, მოქანდაკე პაპიაშვილის მიერ და ინახებოდა ჩვენი მუზეუმის ფონდში. ახლა მოგვეცა საშუალება, გამოვიტანოთ ფართო საზოგადოების სამსჯავროზე. ბიუსტის გახსნა მივუძღვენით მის დაბადების დღეს, 28 თებერვალს. საკმაოდ დიდი ღონისძიება გაიმართა, იმღერეს ჩოხოსნებმა, აქ იყვნენ მისი მეგობრები, ოჯახის წევრები. ქანდაკება ხომ ადამიანის ხსოვნის უკვდავყოფაა. ჩემთვის, როგორც მუზეუმის დირექტორისთვის, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რამაზ ჩხიკვაძის მთელი არქივი გახდება ჩვენი მუზეუმის კუთვნილება. მოლაპარაკებები ამ ეტაპზე უკვე დასრულდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უნიკალური, ინტელექტუალური მასალა, რომელიც რამაზ ჩხიკვაძის შესახებ არსებობს უკვე ზოგადად მთელი ერის კუთვნილება ხდება. ჩვენ დავიწყებთ ამ არქივის დამუშავებას და, დარწმუნებული ვარ ბევრი საინტერესო მასალა იქნება, რაც შემდეგში, მომავალი კვლევაძიებისა და სამეცნიერო შრომების საგანი გახდება. ჩვენ გვაქვს უცხოელი ავტორებისა და კრიტიკოსების შეფასებები რამაზის შესახებ, რომელთა შორის ვერ ნახავთ ვერც ერთ უარყოფითს – ყველა ერთნაირად არის აღფრთოვანებული მისით.

**– რას წერენ მის შესახებ უცხოელი ავტორები, რომელიმე წერილს ხომ არ გაიხსენებთ, რაც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ?**

– ყველამ იცის, რომ რამაზ ჩხიკვაძე ძალიან კარგად მღეროდა. სიმღერასთან დაკავშირებული მასალებიც აქ არის წარმოდგენილი. მე წავიკითხე, თუ არ ვცდები, გერმანული პრესის გამოხმაურება, სადაც წერენ ასეთ რაღაცას: „მე არ მესმოდა სიტყვები, მე ვერ ვხვდებოდი, რას გადმოსცემდა ქართული ენის ჟღერადობა, მაგრამ, ყველაფერი იყო გასაგები რამაზ ჩხიკვაძის ხმით”. ეს ფრაგმენტი ყველაზე მეტად დამამახსოვრდა; თუმცა, იმასთან შედარებით, თუ რამხელა არქივია ჩვენთან დაცული (ორმოცდაექვსი ათასი დოკუმენტი), რამაზ ჩხიკვაძე არ არის სათანადოდ წარმოდგენილი, ისე, როგორც მას ეკუთვნის. ჩვენთან, ასევე, დაცულია რამაზ ჩხიკვაძის თეატრალური მოღვაწეობის მთელი საწყისი პერიოდი; აღმოვაჩინეთ მისი ხელით შევსებული კადრების ფურცელი.

**გიორგი კალანდია: „რამდენიმე მოგონებაში წერია ასეთი რამ: „რომ არა რამაზ ჩხიკვაძე, „კავკასიური ცარცის წრე“ ასეთი არ იქნებოდა”**

**დავით ოქიტაშვილი:** მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ბატონ რამაზს ვიცნობდი. როდესაც იხსნებოდა რამაზ ჩხიკვაძის ვარსკვლავი, ის ძალიან ნერვიულობდა. იმ პერიოდში ჩვენ რამდენჯერმე ერთად ვიყავით ბაზარში. ის სიმღერ-სიმღერით შედიოდა ხოლმე, ძალიან უყვარდა ბაზარში სიარული და ყოველთვის თვითონ დადიოდა. ძალიან სიამოვნებდა გლეხებთან ურთიერთობა. საოცრად უშუალო და სტუმართმოყვარე ადამიანი იყო. რაც არ უნდა ცუდად ყოფილიყო, სცენაზე დადგომისთანავე ცოცხლდებოდა, ის წუხილი, დარდი, რაც ჰქონდა, ყველაფერი ავიწყდებოდა.

**– საინტერესო ისტორიას ხომ ვერ გაიხსენებთ ბატონი რამაზის ცხოვრებიდან?**

– მე არ დამავიწყდება ერთი საინტერესო ისტორია, როდესაც მათ სახლში ალა პუგაჩოვა იყო ჩამოსული. ვიქეიფეთ, დავთვერით, ძალიან კარგი დრო გავატარეთ. ალას მეორე დღეს 9 საათზე ჰქონდა შეხვედრა. ალა ამბობდა, ალბათ, ვერ ავდგები დილის 9 საათზეო, მაგრამ, რამაზმა მითხრა, არ ინერვიულო, აუცილებლად ადგებაო *(იცინის)*. სენსაცია ის იყო, რომ მეორე დილით, 9-ის ნახევარზე რომ მივედი, ორივე გალვიძებული დამხვდა და დაბლა მელოდებოდნენ. ასეთი კაცი იყო ბატონი რამაზი, ყოველთვის ზეიმი იყო მასთან მისვლა, სტუმრობა. ძალიან უშუალო ურთიერთობა მქონდა მასთან და ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ მე დამნიშნეს რამაზ ჩხიკვაძის საქველმოქმედო, საერთაშორისო ფონდის აღმასრულებელ დირექტორად. ჩვენ გვინდა, რომ ამ ფონდის სახელით ძალიან ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩავატაროთ. ვაპირებთ რამაზ ჩხიკვაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დაარსებას.

**– ალა პუგაჩოვას გარდა, ალბათ, სხვა ცნობილი ადამიანებიც მიდიოდნენ ბატონ რამაზთან სტუმრად?**

– მგონი, ვინც კი ჩამოდიოდა საქართველოში, ყველა რამაზთან და ნატაშასთან ცხოვრობდა *(იცინის)*. რამაზი პატარა ბავშვივით იყო, ყველაფერი სიამოვნებდა, ყველასთან ურთიერთობა უხაროდა. ძალიან თავმდაბალი ადამიანი იყო. კონკრეტულად ვერ დავასახელებ, ვინ იყვნენ სტუმრები, არ ვიცი, მე უშუალოდ ალას სტუმრობის მომსწრე გავხდი.

**ხატია კარანაძე**

# საბჭოთა ანაბრების კომპენსაცია საქართველოს სახელმწიფოს ღირსების საქმეა

*პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საბჭოთა ანაბრებთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების სამართლებრივი გზა არ არსებობს. 1996-1997 წლებში იმდროინდელმა ხელისუფლებამ კომპენსაციების გაცემის მექანიზმი შეიმუშავა, პრეზიდენტმა ბრძანებულებაც გამოსცა და მთავრობას დაავალა, რომ 502 000 000 ლარი შიდა ვალად ეღიარებინა. შესაბამისად, 1998 წლის ბიუჯეტში 5 000 000 ლარი გაითვალისწინეს და პირველი ჯგუფის ინვალიდებსა და მათი ოჯახის წევრებზე, გარკვეული დახმარების სახით, 4 100 000 ლარამდე გასცეს. თუ როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ამის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვა ეკონომიკის ექსპერტმა* ***ლევან კალანდაძემ:***

**„სახელმწიფომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად სპეციალური კომისია უნდა შექმნას, რომელიც ანაბრების გადაანგარიშების მეთოდოლოგიას შეიმუშავებს. ასევე, უნდა შექმნას ყოფილი საბჭოთა მეანაბრეების ბაზა, რომელიც, საქართველოს გარდა, ყველა ქვეყანაში არსებობს. ამ მხრივ საქართველოს, სხვა ყოფილი მოძმე რესპუბლიკებისგან განსხვავებით, სერიოზული პრობლემა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეებთან დაკავშირებით აქვს და, თუ ეს საკითხი სახელმწიფოთა დონეზე, მაგალითად, რუსეთთან არ მოგვარდება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა ბაზების მოპოვება გართულდება."** საქართველოსგან განსხვავებით, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ ამ პრობლემის დარეგულირება დაიწყო. ანაბრებთან დაკავშირებული პრობლემა ოთხ ძირითად ეტაპს ითვალისწინებს, ესენია: ვალის აღიარება; შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება; წყაროს მოძიება, ანუ, რის ხარჯზე უნდა განახორციელო, ასევე, კომპენსაციის გაცემის პროცესის დაწყება და სახელმწიფო მონიტორინგის სისტემის შემუშავება. საქართველოს ამ ოთხიდან მხოლოდ ერთი კომპონენტი აქვს გათავისებული – როგორც აღვნიშნეთ, 502 000 000 ლარი შიდა ვალად აღიარა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე სამართლიანად **ლიტვა** მოიქცა: მთავრობამ გამოაცხადა, რომ ქვეყანა ლიტვის მოქალაქეების მიერაა შექმნილი და, ამიტომ, პრივატიზაციის თანხის 80 პროცენტით საბჭოთა მეანაბრეების დავალიანება გაისტუმრა. თუ ლიტვის მოქალაქის საბჭოთა ანაბარი 6 000 რუსული რუბლი იყო, სრულად უნაზღაურებდნენ, თუ 6 000-ზე მეტი ჰქონდა, მაინც 6 000 საბჭოთა რუბლის ოდენობას უხდიდნენ. ლიტვამ თანხები ორ ეტაპად გასცა და მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები შექმნა ანუ, პროცესი დროში გაწელა, რომ ბაზარზე დიდი თანხის ერთჯერადად, გამოსვლას, ეკონომიკური პრობლემები არ შეექმნა. პირველ ჯგუფში 80 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეები, გადასახლებულები, მათი ოჯახის წევრები და პოლიტპატიმრები შევიდნენ; მეორე ჯგუფში – 70 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეები, ინვალიდები, მათი ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი ოჯახები, შრომისუუნარო მოქალაქეები; მესამე ჯგუფში – 60 წლის და უფროსი ასაკის პენსიონერები; ხოლო მეოთხე ჯგუფში – ყველა სხვა დანარჩენი.

ამ მხრივ **ლატვიასა** და **ესტონეთში** პარადოქსული სიტუაციაა, რადგან, ამ ქვეყნებმა წმინდა მემარცხენე, რადიკალურ-ნაციონალური პოლიტიკა განახორციელეს. ლატვიისა და ესტონეთის მთავრობებმა განაცხადეს, რომ მეანაბრეების წინაშე ვალდებულება არ აქვთ და ეს რუსეთის ვალდებულებაა, რადგან, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთია, რომელმაც „სბერბანკის" ყველა დავალიანება აღიარა.

**ყაზახეთში** სულ სხვა მოდელი შეიმუშავეს, რომლითაც ზარალი, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახით, გრძელვადიან პერსპექტივაში აანაზღაურეს – 15 000 რუბლზე 100 ამერიკული დოლარი გასცეს, გამოუშვეს გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები, რომლებიც მოსახლეობას დაურიგეს და უთხრეს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში კომპენსაციას ნაღდი ფულის სახით მიიღებდნენ ანაბარზე არსებული ნაშთის პროპორციის შესაბამისად.


ლევან კალანდაძე

რაც შეეხება **უკრაინას**, ის ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც საბჭოთა ანაბრების თემაზე მუშაობა დაიწყო. ანაბრების გაცემის მოდელი ჯერ კიდევ 1996 წლიდან შეიმუშავეს, რომლითაც 1 რუსული რუბლი 1 უკრაინულ გრივნაში გადაიანგარიშეს. თუ მოქალაქეს საბჭოთა ანაბარზე 1 000 გრივნაზე მეტი ჰქონდა, კომპენსაციას მაინც 1 000 გრივნის ოდენობით მიიღებდა. მართალია, ეს პროცესი 1996 წელს დაიწყო, მაგრამ, ძირითადი თანხა უკრაინაში 2007-2008 წლებში გასცეს, იუშჩენკო-ტიმოშენკოს მმართველობის დროს. უკრაინის ბიუჯეტში 6 მილიარდი გრივნა გამოყვეს და კომპენსაციის გაცემა დაიწყეს, მაგრამ, უკრაინამ ერთბაშად საკმაოდ დიდი „ქეშ-აუთი" გააკეთა, რის გამოც 2009 წლიდან ეკონომიკური კატასტროფა დაიწყო და

**საქართველოსგან განსხვავებით, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ ამ პრობლემის დარეგულირება დაიწყო**

უკრაინული გრივნა 90 პროცენტით გაუფასურდა. უკრაინის პრეზიდენტის 2011 წლის მითითებით, 2012 წლიდან საბჭოთა მეანაბრეებისთვის კომპენსაციების გაცემა უნდა განახლებულიყო. ეს პროცესი 2013-2015 წლებზე უნდა გაიწეროს და კომპენსაცია იმ დარჩენილმა 6 000 000-მა მოქალაქემ მიიღოს, რომლებმაც 2007-2008 წლებში ვერ მიიღეს.

ანაბრებთან დაკავშირებით, 1991 წლის მდგომარეობით, **ბელარუსში**, „სბერბანკის" ანგარიშზე 16 მილიარდი საბჭოთა რუბლი იყო. 1998-1999 წლებში ბელორუსშიც იყო მცდელობა, რომ კომპენსაციები გაეცათ. განსაზღვრეს კიდეც, რომ, მოქალაქეს, რომელსაც ანაბარზე 10 000-მდე საბჭოთა რუბლი ჰქონდა, 500 ამერიკულ დოლარს მიიღებდა. 1998-1999 წლებში კი ამ პროცესს ინფლაცია მოჰყვა, რადგან კომპენსაციას ეროვნულ ვალუტაში – ბელორუსიულ მანეთში გასცემდნენ. ბელორუსის მთავრობას კომპენსაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ ეს პროცესი, ინფლაციის გამო, ბუნებრივად შეჩერდა.

რაც შეეხება **რუსეთს**, ეს პროცესი 1996 წელს დაიწყო. ამჟამად, ქვეყანაში ანაბრების მომსახურების მესამე ტალღაა. დღეს მოსახლეობა გაყოფილია ორ კატეგორიად: 1945 წლამდე დაბადებული მოქალაქეები, (რომლებსაც საბჭოთა ანაბარზე არსებულ 1 რუბლში ახლანდელ 3 რუბლს უხდიან) და 1946-დან 1991 წლამდე დაბადებულ მოქალაქეებსა და მათ სამართალმემკვიდრეებს (რომლებშიც 1 საბჭოთა რუბლში 2 ახლანდელ რუსულ რუბლს აძლევენ). რუსეთი ყოველწლიურად ითვალისწინებს ბიუჯეტში კომპენსაციას, მაგრამ, პრობლემა ისაა, რომ ამ თანხის გაცემას ველარ ახერხებს. 2013, 2014, 2015 წლების ბიუჯეტებში 50 მილიარდი რუსული რუბლია გათვალისწინებული, მაგრამ, რუსეთის ყველა ექსპერტის პროგნოზით, საბიუჯეტო კრიზისის გამო, დამატებით 50 მილიარდ რუსულ რუბლს ვერ მოიძიებენ და რომც მოიძიონ, ამ კონკრეტული მიზნისთვის ვერ გამოიყენებენ.

**აზერბაიჯანს** რაც შეეხება, იქ ერთ-ერთი კარგი მოდელია შემუშავებული, თუმცა, საკმაოდ ჩახლართული. აზერბაიჯანი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა ანაბრებს შიდა ვალში არ აიღებს, მაგრამ, მოქალაქეები კომპენსაციას მაინც მიიღებენ, რასაც ხელისუფლების კეთილი ნება უწოდეს. 2012 წლის 14 მარტს ილხამ ალიევმა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც მთავრობას სპეციალური მეთოდიკის შემუშავება და 2013 წლიდან კომპენსაციის გაცემა დაავალა.

თავდაპირველი მოდელით, 1 საბჭოთა რუბლში აზერბაიჯანი 0,50-დან 1 ამერიკულ დოლარამდე იხდიდა, რაც მაღალი მაჩვენებელი იყო. ალიევის ბრძანებულების შემდეგ, საკომპენსაციო თანხები 0,13-დან 1 ამერიკულ დოლარამდე გადაიანგარიშეს. ლევან კალანდაძე ამბობს, რომ ეს რთული მოდელია, რადგან ადრინდელი 2 000 საბჭოთა რუბლი, ამჟამინდელი 4 აზერბაიჯანული „კაპიკია" ანუ, თითოეულ „კაპიკზე" 75 აზერბაიჯანულ მანათს იხდიან, რაც ცუდი არ არის.

რაც შეეხება **სომხეთს**, მისმა მთავრობამ ამ პროცესს თავი 2015 წელს უნდა მოაბას. სომხეთის მთავრობამ სამართლებრივი ბაზა შექმნა და მეთოდოლოგიაც შეიმუშავა, რა პრინციპით უნდა გასცეს კომპენსაცია. ვისაც ანაბარზე 1 000 საბჭოთა რუბლი ჰქონდა, ის პირდაპირ 200 ამერიკულ დოლარს მიიღებს; ის კი, ვისაც 1 000 რუბლზე მეტი ჰქონდა, ყოველ მეორე და მესამე 1 000 რუბლზე – 140 ამერიკულ დოლარს მიიღებს, მეოთხე და მეხუთე 1 000 რუბლზე – 80 ამერიკულ დოლარს; მეექვსედან მეათე 1 000 რუბლის ჩათვლით – 40 ამერიკულ დოლარს, 10 000 რუბლის ზემოთ, ყოველ 1 000 რუბლზე 20 ამერიკულ დოლარს მიიღებს.

# ბრძნული აზრები

**ნიდემი**: ძალაუფლება არის ნარკოტიკი, რომლის გარეშე პოლიტიკოსებს სიცოცხლე არ შეუძლიათ და რომელსაც ისინი ამომრჩევლებისგან ყიდულობენ თვით ამომრჩევლების ფულებით.

**ჩერჩილი**: პესიმისტი ყველა შესაძლო შემთხვევაში ხედავს სიძნელეებს, ხოლო ოპტიმისტი ყველა სიძნელეში ხედავს შესაძლებლობებს.

**ლაროშფუკო**: გინდა მიიღო მაქსიმუმი – მოითხოვე შეუძლებელი.

**ფრიდრიხ დიდი**: ჩვენმა ჯარისკაცებმა რომ იცოდნენ, რისთვის ვიბრძვით, ვერც ერთ ომს ვერ წარვმართავდით.

**ვოლტერი**: რა არის დანაშაული საზღვრავენ მხოლოდ გამარჯვებულები.

**სენდბერგი**: დადგება დრო, როდესაც გამოაცხადებენ ომს, მაგრამ იქ არავინ წავა.

**ლერნერი**: ზარმაც ადამიანს ხან ფული არ ჰყოფნის, ხან კი დრო.

**ლაო ძი**: მიეცი ადამიანს თევზი და შენ მას დააპურებ მხოლოდ ერთხელ. ასწავლე მას თევზის დაჭერა და ის მთელი ცხოვრება დაპურებული იქნება.

**ბუასტი**: არაფერი ისე არ აახლოებს ადამიანს ადამიანთან, როგორც უძლურება.

**სვიფტი**: ყველას უნდა რამე შეიცვალოს და არავის არ უნდა რამე მოხდეს.

**რაბლე**: რაც უფრო ბევრი ცვლილებები ხდება, მით უფრო ყველაფერი ძველებურად რჩება.

**ეჟი ლეცი**: ყველა პროფესიას განსაკუთრებული ჟარგონები აქვს. პოლიტიკოსებმა საკუთარი ხალხში ჩანერგეს.

**სენეკა**: ძალიან დიდი სხვაობაა მეგობრულ ჩარევასა და მეგობრის მიერ გამოწვდილ დახმარების ხელს შორის.

**ჰიპოკრატე**: მეშურნე თავის თავს ავნებს, როგორც მტერს.

**ოთარ ჭილაძე**: ჩვენი უბედურება ისაა, რომ ევროპელებისთვის აზიელები ვართ, აზიელებისთვის – ევროპელები. სინამდვილეში რა ვართ, ეშმაკმა იცის.

**სოკრატე**: ფრთხილად იყავი, რომ ადამიანებმა, რომლებიც შეამჩნევენ შენს უპატივცემულობას მშობლებისადმი, არ შეგიძულონ და არ დარჩე სულ უმეგობროდ იმიტომ, რომ ისინი, როგორც კი შეამჩნევენ შენს უმადურობას მშობლებისადმი, არ შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ გაგიკეთებენ კეთილ საქმეს და მადლობას მიიღებენ შენგან.

**საადი**: ცოდნა ბოლოვდება მხოლოდ საქმით. ცოდნა – ხეა, საქმე კი – ნაყოფი. ცოდნის მფლობელი მიმართავს საქმეს, რომ ისარგებლოს იმით, მაგრამ თუ არ იყენებს საქმეში იმას, რაც იცის, მაშინ მას არ ჰქვია მცოდნე.

**ბალზაკი**: როდესაც წიგნს ვკითხულობთ, ყოველ არასწორ დეტალზე სიმართლის გრძნობა გვეუბნება: „ეს სიცრუეა!" თუ ეს გრძნობა ძალიან ხშირია და ყველა განიცდის, მაშასადამე წიგნს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე ღირებულება! მსოფლიოს მარადიულ შედევრთა წარმატების საიდუმლოება სიმართლეშია.

**ლაბრიუიერი**: შეცდომა შეცდომაა, სულერთია, ვინ უშვებს, მოსდის ის უდიდეს ადამიანს თუ უმცირესს... დიდი ხანია, რაც ნიუტონმა შეცდომით იხილა და შეცდომითვე დაასკვნა...

**ზოლა**: ქალები ფიქრობენ, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია და ამაშია მათი ძალა. მამაკაცები ფიქრობენ, რომ ყველა ქალი ერთნაირია და სწორედ ეს ღუპავთ.

**ამინადო**: ისე მოექეცით საკუთარ თავს, თითქოს ის თქვენი კი არა, სხვისი ცოლია.

# თუ გაგვითვლით

1. ძველ ბერძნებსა და რომაელებს ავადმყოფები გამოსაჯანმრთელებლად ტაძარში მიჰყავდათ. იქ მსხვერპლად შეწირული ცხოველების ტყავებზე აწვენდნენ და ტოვებდნენ. **რა ერქვა ამ ტრადიციას?**

2. **დაასახელეთ** ბოსტონის დასავლეთ გარეუბანი, სადაც განლაგებულია დიდი სამეცნიერო ცენტრი – ჰარვარდის უნივერსიტეტი?

3. პეტრე პირველი მთელი მეფობის განმავლობაში ფინანსების ნაკლებობას განიცდიდა. თავდაპირველად ფულის რაოდენობა ვერცხლის მონეტების შემცირებით გაზარდა. მაგრამ ჩრდილოეთის ომის დროს ეს უკვე შეუძლებელი იყო – რუსული ფული ნდობას დაკარგავდა. ამიტომ 1711 წელს დამტკიცდა ფულის ახალი სინჯი. **როგორ?**

4. **დაასახელეთ,** რა სიტყვით გამოხატავდნენ ძველი ბერძნები ადამიანის ღრმა ძილის მდგომარეობას ან ძალიან დაბინდულ გონებას.

5. რომის მთელი მოსახლეობა ქონებრივი ცენზის მიხედვით ხუთ ხარისხად იყოფოდა. მეხუთე თანრიგს მიეკუთვნებოდნენ ისინი, ვინც ბრძოლებში იარაღით კი არა, კეტებით და ქვებით მონაწილეობდნენ. **რას უწოდებდნენ მათ?**

6. ებრაელები პასექზე ჭამენ მაცას – უსაფუარო პურს და ამასთან, ამ დროს გამოყენებულ ყველა სამარხვო კერძს თავისებური გემო აქვს, რასაც მწარე სუნელები აძლევს. სამაგიეროდ, აღდგომას ქრისტიანები კვერცხის გარდა, სადღესასწაულო კერძებსა და ტკბილეულს – კულიჩს, პასკას მიირთმევენ. **რით აიხსნება ასეთი განსხვავება?**

7. მსოფლიოს მშვენება და ინდოეთის სიამაყე, მავზოლეუმის სახელი ქართულად „გვირგვინოსან ტაძარს" ნიშნავს. **დაასახელეთ ხალხი, რომელთა სახელი ითარგმნება, როგორც „გვირგვინოსანი გვარდიელი".**

8. ამ ფერის დროშა მეფის მომხრეებმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს აირჩიეს. სწორედ ამან იქონია გავლენა, როდესაც ერთ-ერთი რუსული „მოძრაობის" სახელს არჩევდნენ. **დაასახელეთ ფერი.**

9. მეოცე საუკუნეში საბჭოთა კავშირში ასე უწოდებდნენ მოზარდების გარკვეულ კატეგორიას. დალის ლექსიკონში კი ასეა განმარტებული: ფრანგული სიტყვაა. ასე ერქვათ მიწაზე მომუშავე სამხედროებს, რომელთა მოვალეობებშიც შედიოდა ჯარისთვის გზის გაყვანა. **დაასახელეთ სიტყვა.**

10. ფოიერვერკები, გარკვეულწილად, ბენგალიურ ცეცხლთანაც არის დაკავშირებული. **რა ჰქვია ახლა „ქვეყანა ბენგალიას"?**

***პასუხები იხილეთ მე-69 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* 1944 წელს შეიქმნა ბელგიის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის კავშირი – ბენილუქსი.

* გამონათქვამი „ინ ვინო ვერიტას" – „ღვინოშია ჭეშმარიტება", ჩვენამდე ჰომეროსის ნაწარმოებით მოვიდა.

* ძველი ბერძნები უბრალო მიწისმზომელს „გეომეტრს" ეძახდნენ.

* ითვლება, რომ აპლოდისმენტების ძალისა და ხანგრძლივობის მიხედვით, ჰოკეის მატჩებში რეკორდი დამყარდა ჩიკაგოში გამართულ „ყველა ვარსკვლავის მატჩზე". საინტერესოა, რომ აპლოდისმენტები ეკუთვნოდათ არა ჰოკეისტებს, არამედ, ცნობილ მომღერალ უეინ მესმერს, რომელმაც ამერიკის ჰიმნი შეასრულა.

* 1975 წელს, ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, ესპანეთში გამოუშვეს „დემოკრატიული" მონეტა მეფე ხუან კარლოსის გამოსახულებით. ტოტალიტარული მიმართულებიდან დემოკრატიულ მიმართულებაზე გადასვლას კი ხაზს უსვამდა ერთი დეტალი – ხუან კარლოსი იყურებოდა მარცხნივ, მაშინ, როცა პროფილური გამოსახულებები მონეტებზე საწინააღმდეგო მიმართულებით იყურებიან.

* ჟირაფის გულს დამატებითი საგდულები აქვს, რომლებიც ყოველთვის კეტავენ მისი ტვინისკენ მიმავალ სისხლძარღვებს, როდესაც ჟირაფი ბალახის ძოვისას ან წყლის დასალევად თავს დაბლა ხრის, რათა, უცბად გაზრდილმა სისხლის წნევამ ტვინში სისხლჩაქცევები არ გამოიწვიოს.

* კათოლიკურმა ეკლესიამ რადიოს მუშაკთა მფარველად წმიდა გაბრიელი დაადგინა – მან ხალხს სახარება მოუტანა.

* ძველი ბერძნები ტვინის ფუნქციად მხოლოდ ჰაერისა და სისხლის გაგრილებას მიიჩნევდნენ. ეგვიპტელები კი ტვინს საერთოდ არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ.

* ბელორუსიამ თავისი სახელი ნაციონალური სამოსის თეთრი ფერის გამო მიიღო.

* შერიფი – ასეთ ჩინს ატარებს ქალაქ მექის მთავარი მოსამართლე.

* სუვოროვს ფრანგული სიმაგრის – მანტუის აღებისთვის მიენიჭა იტალიის თავადის ტიტული.

* გასული საუკუნის 80-იან წლებში პლანეტა ვენერისა და კომეტა გალეის შესასწავლად ორი კოსმოსური აპარატი გაუშვეს – „ვეგა 1" და „ვეგა 2".

* „ეპოქა" ასტრონომიული ტერმინია, რომლითაც განისაზღვრება დროის აღრიცხვის დაწყების გარკვეული მომენტი.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa8-F3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



– ექიმმა წამლები გამომიწერა, მაგრამ, აფთიაქში რომ შევედი, მივხვდი, რომ ოჯახს ჩემი სიკვდილი უფრო იაფი დაუჯდება....

– მაშინ, სარიტუალო მომსახურების ბიუროში წადი და იქაური ფასები გაიგე.

***

მიდის წითელქუდა ტყეში. შემოხვდა რუხი მგელი:




– წითელქუდა, მოდი, იმ ადგილას გაკოცებ, სადაც ჯერ არავის უკოცნია....

– კალათაზე?.. – ჩაფიქრდა წითელქუდა.

***

– რა არის, კარტში ყოველთვის იგებ, „ლოტოში“ – არასდროს...

– ეჰ, მე ჩამომაყრევინონ და ნახავ, თუ არ მოვიგებ...

***

– მამა, როცა გავიზრდები, რაც მომინდება, ყველაფერს გავაკეთებ, არა?!

– არა, შვილო, უკვე ცოლიანი იქნები.

***

ბევრი ფიქრობს, რომ თუ ცოლი ცუდ ხასიათზეა, მას პრობლემები აქვს... სინამდვილეში კი, თუ თქვენი ცოლი ცუდ ხასიათზეა, პრობლემები თქვენ გაქვთ.

***

სამი კაცი ერთმანეთს ეჯიბრება, ვის უფრო შტერი ცოლი ჰყავს.

– ჩემი ცოლი ყველაზე შტერია, პრინტერი იყიდა....

დუმილი.

– არადა, კომპიუტერი არ გვაქვს...

სამივე ხარხარებს.

– არა, ჩემი ცოლი უფრო შტერია – სეიფი იყიდა ბრილიანტებისთვის... არადა, ერთი ბრილიანტიც არ აქვს...

ისევ სიცილი.

– ჩემმა ცოლმა კი, ზღვაზე რომ მიდიოდა, მთელი პარკი პრეზერვატივები წაიღო... არადა, რად უნდა, მაგას ხომ ის არ აქვს...

***

– უცხოეთში ექვსი თვე ვიყავი. იქიდან ცოლს ფულს ვუგზავნიდი და ხმას არ იღებდა. ახლა ჩამოვედი, ორ სამსახურში დავრბივარ, რომ ოჯახში ფული შემოვიტანო, ის კიდევ უკმაყოფილოა – სექსი არ ჰყოფნის ქალბატონს...

***

ახალგაზრდა ქალი სამსახურიდან მოვიდა, თავის ოთახში ტანსაცმელი გაიხადა და სარკეში იყურება: შეათვალიერა მკერდი, თეძოები – ჯერ მარცხენა, მერე მარჯვენა; უკან შებრუნდა – ცდილობს, უკანალიც კარგად დაათვალიეროს და, უცებ, შენიშნა, რომ ფანჯარასთან ფიცრებია ჩამოკიდებული, ზედ მღებავი დგას ფუნჯით და მუშაობს... შეცბუნებული ქალი გაშეშდა და უყურებს.

– რას მომაშტერდი, რა მღებავი არ გინახავს?! შენს საქმეს მიხედე, ხომ ხედავ, ვმუშაობ...

***

მეგრელი ტაქსიდან გადმოვიდა, ჯიბეებში იქექება, რაღაცას ეძებს....

– ჯანდაბა, კაცო, ეს როგორ დამემართა, საფულე, ალბათ, ტაქსიში დამივარდა...

გაიგონა ტაქსის მძღოლმა, მიაჭირა გაზს ფეხი და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა...

გახედა მეგრელმა მანქანის უკან ავარდნილ მტვერს და ირონიულად ჩაეცინა:

– უყურე შენ, მართალი უთქვამს როლანდის, გაჭრა, ხომ იცი!..

***

– ო, ღმერთო, როგორი კარდიოგრამა გაქვთ! რამდენი წლის ხართ?




– 58 წლის გავხდები...

– ვერა, ვერ გახდებით...

***

ესემესი ქმარს ცოლისგან: „წაველი, სადაც გამგზავნე; ისე ვიქცევი, როგორც მიწოდე... რატომ აქამდე არ გისმენდი?“

***

თვითმფრინავი აფრინდა. სტიუარდესამ გამოაცხადა ყველაფერი, რაც საჭირო იყო, მგზავრები გააფრთხილა, რა უნდა გაეკეთებინათ და სალონში გამოვიდა, რადიო კი ჩართული დარჩა... და, ესმის პილოტების ხმა:

– ახლა ჩაი დავლიოთ, შემდეგ კი სტიუარდესა წამოვაწვინოთ...

სტიუარდესა სირბილით გაემართა პილოტების ოთახისკენ და გზაში ხანში შესულ ქალს შეეჩება:

– ნუ ჩქარობ, გოგონი, ადრეა – ხომ თქვეს, ჯერ ჩაი უნდა დავლიოთო...

***

ერთ-ერთი მუდმივი კლიენტი რესტორანში გულუხვად აჯილდოებდა ხოლმე მიმტანს, რომელიც მას ემსახურებოდა. ერთხელაც, იქ მისულს სხვა ოფიციანტი მოემსახურა.

– სად არის ის ახალგაზრდა, მე რომ მემსახურებოდა?

– მან კარტში თქვენ წაგაგოთ.

***

ქეიფის შემდეგ წყვილი ოთახში შეიკეტა...

– ოხ, ზურა, ზურა... რა დაატრიალე! ასეთი არასდროს ყოფილხარ... ალბათ, ქეიფის დამსახურებაა... იმიტომ ხომ არა, რომ ღვინომ კარგად იმოქმედა შენზე?

– არა, იმიტომ, რომ ზურა არ ვარ...

***

მასწავლებელმა ბავშვებს დაავალა, დაეწერათ თემა ოჯახის წარმოშობის შესახებ. სანდრო ეკითხება მამას:




– მამა, ამქვეყანას როგორ მოევლინე?

– კომბოსტოში მიპოვეს...

– დედა, შენ?

– მეც კომბოსტოში აღმომაჩინეს...

– მე?

– შენც კომბოსტოში გნახეთ, ორივემ ერთად, ისეთი საყვარელი იყავი...

მიუჯდა სანდრო მაგიდას, თავი მოიფხანა და დაიწყო წერა: „ჩემი წინაპრები უკვე სამი თაობაა, ვეგეტატიური გზით მრავლდებიან და წარმოდგენა არ აქვთ სექსზე“.

***

უფროსი გაბრაზებული უყვირის თანამშრომელს:

– ამის ატანა შეუძლებელია! ჩვენ ორს შორის ერთ-ერთი იდიოტია! ან – მე, ან – შენ!!!

– როგორ, თქვენ, ასეთი გამოცდილებით, იდიოტს მიიღებდით სამსახურში?!

# რას სწერს ჩინელი ბიჭი ქართველების შესახებ დედას

დედა, როგორ ხარ, ძალიან მომენატრე... ხუნხუა, სინგი, ტუნგი, ლიო, სეენდი, დაოლი კიმი და ოჯახის სხვა წევრებიც მენატრებიან. რომ ჩამოვალ, ისეთ „ნასკებსა“ და საცვლებს ჩამოვუტან, ათჯერ შეუძლიათ ჩაიცვან და არ დაიხევა.

ახლა ღამის 11 საათია. ჩემს მეზობლად მოხუცი კაცი გარდაიცვალა, ქელეხია და მთვრალი ჭირისუფლები მღერიან. მაინც არ მაძინებენ და, გადავწყვიტე, წერილი მოგწერო.

მე არა მიშავს, კარგად ვარ. ერთ-ერთ უბანში თხუთმეტი კვადრატული მეტრი ოთახი ვიქირავეთ და ახლა ერთად ვცხოვრობთ მე, ლუსი, ლიანგი, ტენგი, ჩანგი, დინი, ხაი, შანგი, ვონგი და სანგი.

წამოსვლამდე რაც ქართველების სტუმართმოყვარეობაზე გამეგო, ყველაფერი პირიქით ყოფილა: ქუჩაში სულ ბრუს ლის მეძახიან. ბავშვები მეკითხებიან, შენ მოერევი თუ რემბოო. ჩვენს დადგმულ დახლს, რომლის აწყობას მთელ დილას ვანდომებთ, მოვლენ და ხუთ წუთში გვაშლევინებენ; ერთმანეთზე გაბრაზებულები მე მირტყამენ. შენი და მამას დამზადებული იტალიური ფეხსაცმელები კარგად იყიდება. უფრო კარგად რომ გაიყიდოს, ვამბობ: „მოპარულია“, რაღაც ჯადოსნური სიტყვაა, ალბათ.

ჩვენი სახლის დიასახლისიც დაბალი და ღარიბია, ჩვენი კარგად ესმის. თვითონ ქვეყანა ძალიან პატარაა და ცოტა ხალხი ცხოვრობს –დაახლოებით იმდენი, რამდენიც ჩვენს სოფელში. უცნაური ხალხია. მაგალითად, ერთი კვირის წინ ვნახე, როგორ მოკლა ცემით ერთმა ბიჭმა მეორე დედის შეგინებისთვის და შემდეგ როგორ ყვებოდა ამ ამბავს და თან თავის საკუთარ დედას აგინებდა.




ვნახე, როგორ სვამდა ერთი კაცი ორლიტრიანი სასმისით და თითებში სიგარეტით ჯანმრთელობის სადღეგრძელოს; ვნახე ბანანების გამყიდველი, რომელსაც ბანანი არასდროს უჭამია, იმიტომ, რომ ძვირი ღირს; ვნახე ყურძნის არაყი, რომელიც ბაზრობაზე ერთი ჭიქა 10 ცენტი ღირს და ზუსტად იგივე არაყი კაფეში – ათი დოლარი; აქ ძალიან ღარიბები და გაჭირვებულებიც კი მსუქნები არიან. ჩვენს ჩუსტებს, კეტებსა და წებოს აქ სხვანაირად აფასებენ – ძვირი ღირს.

არ მესმის, რატომ იტანჯავენ თავს შიმშილით, როცა ამდენი უპატრონო ძაღლი დარბის ქუჩაში. ჩემს უბანში თხუთმეტი უპატრონო ძაღლი ცხოვრობდა, მაგრამ, ამ ბოლო დროს ვაჭრობა ცუდად მიმდის და ექვსიღა დარჩა. იმ დღეს ბაყაყით სადილის მომზადება მინდოდა, მაგრამ, აქაურებმა არ დამაკვლევინეს – წვიმა მოვაო.

ქართული უკვე კარგად ვისწავლე. ლაპარაკი ცოტა მიჭირს, მაგრამ, ყველაფერი კარგად მესმის, რასაც მეუბნებიან. ძირითადად, მაგინებენ ხოლმე, მაგრამ, აღარ მწყინს, რადგან, აქ ყველა ერთმანეთს აგინებს. ტყუილი უყვართ ძალიან. ყველა ცდილობს, მოგატყუოს. თავიდან ესეც მწყინდა, მაგრამ, აქ ყველა ერთმანეთს ატყუებს და აღარ მწყინს. ნაცნობი ბევრი არ მყავს, მაგრამ ისე ჰგვანან ერთმანეთს, ვერ ვარჩევ ხოლმე, რომელი რომელია – ყველას მრგვალი თვალები აქვს.

სადაც ვცხოვრობთ, იმ ქალაქს თბილისი ჰქვია და აღმოსავლეთის, ანუ აეროპორტის მხრიდან ძალიან ლამაზია. შუაში მდინარე ჩამოუდის, რომელშიც ნაგავს ყრიან და თავს იხრჩობენ.

დიასახლისმა ჩვენი ოთახიდან მაცივარი გაიტანა. ამიტომ, შეგიძლია, ხუნხუაც გამოუშვა, ისიც დაეტევა. აქ რომ ჩამოვა, სანამ მიპოვის, ფრთხილად იყოს. ამათ, როცა მთვრალები არიან, ჩხუბი იციან, თუმცა, ფხიზლები არაფერს დაგიშავებენ, მარტო შეგაგინებენ და მორჩა. ვაგზლის ბაზრობა იკითხოს და ადვილად მომაგნებს. სულ ეს არის, დედა, მერე კიდევ მოგწერ, როცა დრო მექნება.

გკოცნით ყველას.

**თქვენი ტობი ვონგი**

# კახელი პატრული და უცნაური მძღოლი

– ექვსასსამოცდაშვიდი... ექვსასსამოცდაშვიდი, გადააყენე! ტრნნნ ტრნნნ.

– „ემელი“, „ემელი“, ოეეე, გადააყენე-მეთქი, არ გესმის?!

– ეს ხმები გურჯაანისკენ მიმავალ გზაზე შემომესმა. სარკეში გავხედე და პატრულის მანქანა მომდევდა ჩართული „მიგალკით“. მორჩილად გადავაყენე მანქანა გზიდან და წესის თანახმად, მანქანიდან არ გადავსულვარ.

ფანჯარას არ ჩავუწიე და გაყინული მზერით დაველოდე.

– ინსპექტორი მღებრიშვილი, – ოდნავ გასაგონად გაისმა ხმა.

მე არ მიმიხედია.

– ინსპექტორი მღებრიშვილი! – ისე დასჭექა, ღიპი და ღაბაბი აუთრთოლდა.

ისევ არ მივხედე.

გადავიდა პრიმიტიულ ხერხზე – ფანჯარაზე დამიკაკუნა.

არც ახლა მივხედე.

წინიდან მოუარა და წამოჭარხლებული სახით ფანჯრის ჩაწევა მიბრძანა.

ფანჯარას ჩავუწიე და გავუღიმე.

– რა დავაშავე, უფროსო?

– ფანჯარას რათ არ უწევდი? – დამიბღვირა.

– როდის, კაცო? – გავიკვირვე მე.

– როდის და ახლა.

– როდის ახლა?

– ოოჰ... საბუთები! – მოჰბეზრდა ჩემთან დავა.

– რა საბუთები?

– მანქანის საბუთები და პრავა, – დამიკონკრეტა.

– მანქანის პასპორტი მივაწოდე.

– პრავა არ გაქ? – შემათვალიერა ეჭვის თვალით.

– პრავა რა არის? – გავისულელე თავი.




– ეე ახლა შენ რას ატრაკებ?! – გაბრაზდა პოლიციელი.

– მოვითხოვ ჩემკენ მომართული ფრაზეოლოგიის დახვეწას, – წარბი შევიკარი მე.

– ვინა ხარ, კაცო, შენა? – შეშფოთდა ინსპექტორი.

– თუ ფაქი, – ვუპასუხე მე სერიოზული გამომეტყველებით.

– გვარი? – დაიბნა პატრული.

– შაქური, – არ დავიბენი მე.

– მართვის მოწმობა მაჩვენეთ, თუ შეიძლება, – გადაერთო ქართულზე.

– მივაწოდე.

– აქ რო აკაკი წერია? – გამომიჭირა.

– ეგ ჩემი არ არის, – ვუთხარი დაბალი ხმით.

– მა ვისია? – აუწია ხმას.

– ჩემი, – ვუპასუხე მე.

– შენა ახლა, იცი, რას გიზამ, თუფაქ, ჩაგისვამ მანქანაში და სანამ ტირილ არ დაიწყებ, იქამდე მეყოლები იქა, გაიგეე? – გაცოფდა ინსპექტორი.

– ჯასთ სვი ენაზა მაზაფაქინ ვორდ ენდ ზის შით ის ოვა, – ვუთხარი მე.

– რაა? – დააღო პირი.

– ვოთს ე ფრობლემ ინსფექთა? – ვკითხე მე.

– ჩამო დაბლა, ერთი, აბა...

– აი ქანთ ჰია...

– დაბლა ჩამო-მეთქი, დაბლა ერთი...

– ჰუ არ იუ ბიტჩ, ფაქ ოფ.

– ახლა აღარ იცი ქართული არაა? ჩამო მანქანიდან, რო გელაპარაკები.

– რა გნებავთ? – დავინტერესდი მე.

– აღარაფერი, – მითხრა ინსპექტორმა მღებრიშვილმა და ჯარიმის ბლანკი ამოიღო.

– რა დავაშავე, იქნებ მითხრათ? – მოვისაწყლე თავი.

– წითელზე გაიარე, – მითხრა მან და სოფლის ამტვერებულ გზას გახედა.

**გვერდი მოამზადა**
**აკაკი სინჯიკაშვილმა**



ISSN 1987-569X
9771987569002

რამ გააგიჟა თამუნა
რცხილაძის უცხოელი
ქმარი და რა სახით
გადაწყვიტა მან ესპანურ
კინოში ქალების მოსინჯვა

გვ. 35